

კარლ კიონიგი
გრძნობადი განვითარება და სხეულის განცდა

კარლ კიონიგი

გრძნობადი განვითარება და
სხეულის განცდა

სამკურნალო პედაგოგიური მოსაზრებანი
გარე გრძნობების შესახებ
რუდოლფ შტაინერისეული მოძღვრებისათვის

გამოცემული გეორგ ფონ არნიმის მიერ



„აკეშირი“ ადამიანებისთვის გამომცემლობა „აწმყო“
განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ

კარლ კიონიგი

სამკურნალო პედაგოგიური დიაგნოსტიკა

თარგმანი ქართულ ენაზე შესრულებულია მარინა ბულიას მიერ
გამომცემლობა „აწმყო“ კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას
რომ საკურობენ

ტელ. 77-63-07. თბილისი 2007.

© მარინა ბულია. 2007.

ISBN 978-9941-9000-0-6

Karl König

Sinnesentwicklung und Leiberfahrung

Heilpädagogische Gesichtspunkte zur Sinneslehre Rudolf Steiners

Herausgegeben und um ein Kapitel erweitert von Georg von Arnim

Verlag Freies Geistesleben. Stuttgart 1995.

© Verlag Freies Geistesleben GmbH Stuttgart 1971

დაბეჭდილი და აკინძულია სოციალური თერაპიის სახლში.
თბილისი, ძმები უბილავების ქ. 8.

წინასიტყვაობა	7
შესავალი	10
შეხების გრძნობა	14
რა არის შეხების გრძნობა?	14
შეხების განცდა	17
შეხების გრძნობის ორგანოები	21
შეხების გრძნობა, როგორც ძრწოლის განცდა	26
შეხების გრძნობა სამკურნალო პედაგოგიის ქრილში	32
სიცოცხლის გრძნობა	37
რა არის სიცოცხლის გრძნობა?	37
სიცოცხლის გრძნობით მიღებული განცდები	41
სიცოცხლის გრძნობის ორგანო	45
სიცოცხლის გრძნობა შიშა და სირცხვილს შორის	49
სიცოცხლის გრძნობა სამკურნალო პედაგოგიის ქრილში	57
საკუთარი მოძრაობის გრძნობა	64
რა არის საკუთარი მოძრაობის გრძნობა?	64
საკუთარი მოძრაობის გრძნობით მიღებული განცდები	67
საკუთარი მოძრაობის გრძნობის ორგანო	72
საკუთარი მოძრაობის გრძნობის შინაგანი განცდა	77
საკუთარი მოძრაობის გრძნობა სამკურნალო პედაგოგიის ქრილში	82
წონასწორობის გრძნობა	88
რა არის წონასწორობის გრძნობა?	88
წონასწორობის გრძნობით მიღებული განცდები	91

წონასწორობის გრძნობის ორგანო	95
წონასწორობის გრძნობის ორგანოს ფუნქცია	102
წონასწორობის გრძნობის შინაგანი განცდა	106
ცოტაოდენი რამ წონასწორობის გრძნობის მეტამორფოზაზე სიყრმის განმავლობაში	109
წონასწორობის გრძნობა სამკურნალო პედაგოგიკის ქრილში	113
წონასწორობის გრძნობის კავშირი სმენასთან	118
სხეულის სქემა და სხეულებრივი გრძნობები გეორგ ფონ არნიმი	121
შენიშვნები	159

წინასიტყვაობა

სამკურნალო პედაგოგიური ღონისძიებების ერთ-ერთი არსებითი მიზანია ბავშვის გარე გრძნობების წვრთნა, გაძლიერება და დიფერენცირება. მათი განვითარება განსაზღვრავს თვითცნობიერების გაჩენას, ადამიანთაშორისი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, საკუთარ სხეულში ცხოვრებასა და სამყაროს წვდომას. შინაარსიანი და ცოცხალი გრძნობადი გამოცდილება ის ნიადაგია, რომელიც ბავშვს მეს თვითღამკვიდრებისთვის სჭირდება. რაც უფრო მდიდარი და ბუნებრივი იქნება ყოველი ცალკეული გარე გრძნობის შინაარსი, მით უფრო ჰარმონიულად ჩამოყალიბდება საკუთარი თავისა და გარემოს განცდით მიღებული მთლიანობითი სურათ-ხატი. სამკურნალო პედაგოგიური მუშაობის ამგვარი საჭიროება ეხმიანება რუდოლფ შტაინერის მოძღვრებას თორმეტ გარე გრძნობაზე. კარლ კიონიგმა (1902-1966) 1957 წ. გამოქვეყნებული ნაშრომით „ბავშვის ცხოვრების პირველი სამი წელიწადი“ საწყისი წვლილი შეიტანა გარე გრძნობების შტაინერისეული მოძღვრების პედაგოგიურ გაგებაში. აქ განხილულია იმ გარე გრძნობების განვითარება ბავშვში, რომელნიც ემსახურებიან ადამიანთა შორის სულიერ ურთიერთობას – „შემეცნებითი გრძნობების“. ამის შემდეგ 1959-1961 წწ. ჟურნალში *Das seelenpflege - bedürftige Kind* გამოაქვეყნა სტატიები, რომელთაც ახლა ხელახლა გამოვცემთ. ისინი ეხებიან „სხეულებრივი გრძნობების“ სფეროს და სამკურნალო პედაგოგიური კუთხით იკვლევენ სხეულებრივი არსებობის განცდის საფუძვლებსა და მათ პათოლოგიურ გამოვლინებებს.

გარე გრძნობების შტაინერისეულ მოძღვრებაზე მუშაობა ათწლეულების განმავლობაში განსაზღვრავდა კიონიგის სამკურნალო პედაგოგიურ კვლევებს. ამიტომ ორივე ეს ნაშრომი უნდა განვიხილოთ, როგორც ზოგადი კონცეფციის ნაწილი, რომლის მიზანიცაა სამკურნალო პედაგოგიური კუთხით შეხედოს შტაინერის მიერ აღწერილ თორმეტივე გარე გრძნობას. ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სამკურნალო პედაგოგიურად ორიენტირებული მოძღვრება გარე გრძნობებზე ერთ-ერთი ძირითადია იმ მრავალ თემას შორის, რითაც კიონიგი იყო დაკავებული.

სხვადასხვა მიზეზის გამო სასურველი შეიქნა ხელახლა გამოქვეყნებულიყო „სხეულებრივი გრძნობების“ კიონიგის მიერ მოცემული სამკურნალო პედაგოგიური აღწერები. როგორ განიცდის შეფერხებული ბავშვი თავის სხეულს, როგორ ცხოვრობს იგი საკუთარ სხეულში, რას ნიშნავს განვითარების დარღვევის გაგებისათვის ავადმყოფური სხეულებრივი პირობების შეცნობა? ესაა კითხვები, რომელთაც თითქმის ყოველდღე უნდა უტრიალებდეს მკურნალო პედაგოგი. სამკურნალო პედაგოგიური მუშაობა საბოლოოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორაა დანახული ეს ურთიერთმიმართებანი. გარდა ამისა, წინამდებარე განხილვები „სხეულებრივი გრძნობებისა“ განავრცობს კიონიგის მოსაზრებებს „შემეცნებითი გრძნობების“ შესახებ. ორივე სფერო შინაგანადაა ურთიერთდაკავშირებული; გარკვეულწილად, „შემეცნებითი გრძნობების“ განვითარების წინაპირობა სხეულებრივი გრძნობების ჰარმონიული ჩამოყალიბება არის.

კიონიგს სიცოცხლეშივე ჰქონდა დაგეგმილი ამ ოთხი სტატიის გამოქვეყნება; ამავე დროს იგი აპირებდა შემდგომეული მეხუთე სტატიის დამატებას. გამომცემელმა სცადა ამგვარი მეხუთე სტატიის დამატება, თუმცა, ბუნებრივია, ეს ვერ მოხდებოდა ისე, როგორც კიონიგი თავად აპირებდა. აქ განხილულია პრობლემა, რომელიც მკიდროდაა დაკავშირებული სხეულებრივ გრძნობებთან და რომლითაც კიონიგი ინტენსიურად

იყო დაკავებული და გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე
გამოაქვეყნა კიდევ სტატია მასზე.' საქმე ეხება დაკვირვებებს
ე.წ. ფანტომურ კიდურებსა და სხეულის სქემის განვითარებაზე.
კიონიგის სტატიებში მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებებია
შეტანილი. გამომცემლის მიზანი იყო, პირველყოფილი სახით
შენარჩუნებინა აღწერები და გამოთქმის ფორმები.

გ.ფ. არნიმი

შესავალი

ამ სტატიებში ნაცადია გარე გრძნობების შესახებ სამკურნალო პედაგოგიურად ორიენტირებული მოძღვრების განვითარება. ამდენად, საქმე ეხება არა გარე გრძნობების ფიზიოლოგიას ანდა შეშეცნების თეორიას, არამედ პირველ ნაბიჯს გარე გრძნობებსა და ბავშვის ანომალური ქცევის შორის დამოკიდებულების კვლევაში.

თითოეულ გარე გრძნობას ღრმად აქვს გადგმული ფესვები ადამიანის სხეულებრივ და მშეინვეირ ცხოვრებაში. როგორც პიროვნებები, ჩვენ დიდადა ვართ განსაზღვრულნი გარე გრძნობების მოქმედებით. ეს განსაკუთრებით ცხადია უმაღლეს გარე გრძნობებთან მიმართებით. ყრუდშობილი ბავშვი არა მარტო იმით განსხვავდება სხვა ბავშვებისგან, რომ არ ესმის, არამედ ამ ნაკლის გამო მთელი მისი მშეინვეირი სტრუქტურა სულ სხვაგვარი არის. შეცვლილია მისი დამოკიდებულება გარე სამყაროსა და ადამიანთა მიმართ. სიყრუე მის სხეულებრივ ფუნქციებზეც კი ზემოქმედებს. ასევე ბრმა ბავშვის შემთხვევაშიც – უსინათლობა მოტორიკასა და აზრების ჩამოყალიბებაზეც კი მოქმედებს. იგი აზროვნებს, გრძნობს და მოქმედებს, როგორც უსინათლო და სწორედ ამ სხვაგვარობის გაგებაა იმათი ამოცანა, ვინც ბრმასთან ურთიერთობს.

იგივე ითქმის სხვა გარე გრძნობებზეც. ყნოსვადაკარგული ადამიანის ქცევაც იცვლება. ვისაც წონასწორობის გრძნობა არ გააჩნია, მძიმე ფსიქიკური დარღვევები აქვს, რომელნიც

ხშირად ტრაგიკულ შედეგებს იწვევენ.

გარე გრძნობების სფეროს საშუალებით ადამიანი არა მარტო გარე სამყაროს უკავშირდება; გარე გრძნობები ჩვენში მშეინვიერ თვისებებს აღვიძებენ, რომელნიც ჭერაც არ არიან ბოლომდე შეცნობილნი. რაციონალისტური ფსიქოლოგია სწავლობს მხოლოდ ინსტიქტებსა და ლტოლვებთან დაკავშირებულ რეაქციებს, რომელნიც თითოეულ გრძნობად განცდას მოსდევენ. მაგრამ თავად გარე გრძნობები უმეტესწილად დაფარულნი რჩებიან. ჩვენ ვიცნობთ ჩვენს შეგრძნებებს და ვსწავლობთ მათ ზემოქმედებებს ჩვენს ქცევა-ბზე. გრძნობის ორგანო და მისი ფუნქცია კი ჭერაც თითქმის შეუცნობელი რჩება. გარე გრძნობების შესახებ მოძღვრების სწორედ ეს მხარე უნდა იქნეს განხილული ქვემოთ.

ამ კვლევების საფუძველია რუდოლფ შტაინერის მიერ მოცემული მითითებები გარე გრძნობების შესახებ. კარგა ხნით ადრე, სანამ აკადემიური ფსიქოლოგია აუცილებლად ჩათვლიდა ხუთი გრძნობისთვის სხვა გრძნობების დამატებას, რუდოლფ შტაინერმა ისაუბრა ჭერ (1909) ათი, შემდეგ (1916) კი თორმეტი გრძნობის შესახებ. ამ მოძღვრების აგებისას გარე გრძნობები მკაფიოდ დაიყო სამ ჭგუფად თითოეულში ოთხი მათგანი —, რომელნიც შეიძლება აღვნიშნოთ, როგორც ქვედა, შუა და ზედა გრძნობები.²

ქვედა ოთხი გარე გრძნობაა:

შეხების გრძნობა

სიციოცხლის გრძნობა

მოძრაობის გრძნობა

წონასწორობის გრძნობა.

ესენი განაშუალებენ ჩვენი სხეულის საშუალებით მიღებულ გამოცდილებათა პირდაპირ განცდას. როგორ ვგრძნობთ თავს, როგორ ვდგავართ და დავდივართ, ვწევართ და ვსხედვართ — ამას შევიგრძნობთ მათი საშუალებით. ნება, როგორც აქტივობა, პირველ ყოვლისა ამ ოთხ გრძნობად პროცესშია ქმედითი.

მეორე ოთხეულს შეადგენს შუა გარე გრძნობები:

ყოსის გრძობა
გემოს გრძობა
მხედველობის გრძობა
სითბოს გრძობა.

აქ საქმე ეხება არა საკუთარი სხეულებრივობის, არამედ ჩვენი გარემომცველი „გრძობადი“ სამყაროს უშუალო განცდას. ამ ოთხი შუა გრძობის საშუალებით ჩვენი გარემომცველი სამყაროს „სხელი“ განგვიცხადებს თავს. იგი ავლენს საკუთარ თავისებურებას და აღძრავს ჩვენს სიმპათიანტიპათიებს. ამიტომაცაა ეს ოთხი გარე გრძობა ემოციებით გაჟღერებული. სიყვარული და სიძულვილი მოქმედებს მათში.

დაბოლოს, ზედა გარე გრძობების ოთხეულია:

სმენის გრძობა
სიტყვის გრძობა
აზრის გრძობა
მეს გრძობა.

ისინი განგვიცხადებენ სულის საუფლოს, საიდანაც მოდის სიტყვა და ენა და საიდანაც წარმოვსდგებით თავად ჩვენ, როგორც ინდივიდუალები. ყური გვიხსნის ბგერების, ელერადობებისა და ჰანგების სამყაროს. მისი წყალობით მონაწილეობას ვიღებთ სიტყვებისა და წინადადებების გაგებაში. ამის შედეგია აზრთა საუფლოში გამოღვიძება (აზრის გრძობა,, და აქედანვე აღმოცენდება მეორე ადამიანის მეს უშუალო განცდა.' რულოლფ შტიინერი ამ ოთხ გრძობას „შემეცნებით გრძობებს“ უწოდებს, ვინაიდან ისინი პირველ ყოვლისა აზროვნებით არიან განსაზღვრულნი.

გარე გრძობების ამგვარი დანაწევრება შესაძლებლობას გვაძლევს არა მარტო ვიკელით ისინი, როგორც ცალკეული თვისებრიობები, არამედ მათი ადგილიც შევიცნოთ გარე გრძობათა ერთიან სფეროში. აქ უკვე არსებობს რამოდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელთაც მოგვიანებით შევეხებით ცალკეულ გარე გრძობებთან დაკავშირებით.

პირველ რიგში განვიხილავთ ოთხ ქვედა გრძობას, ვინაიდან

მათ პირდაპირი კავშირი აქვთ ადამიანის სხეულებრივ ბუნებასთან და ამით საუკეთესო საშუალებას იძლევიან, შევისწავლოთ მათთან დაკავშირებული დარღვევები. ოღონდ აუცილებელი იქნება თითოეული გრძნობადი პროცესისთვის ჭერ მისი ზოგადი მოქმედება იქნეს აღწერილი.

წინამდებარე ნაშრომი პირველი მცდელობაა და პრეტენზია არა აქვს სრულყოფილებაზე. ავტორის სურვილია, ეს სტატიები ჩათვლილ იქნეს იმპულსად, რომელსაც შეიძლება ცოცხალი დისკუსია და გამოცდილებათა ურთიერთგაზიარება მოჰყვებოდეს.

შეხების გრძნობა

რა არის შეხების გრძნობა?

გარე გრძნობათა თეორიის პირველი მონახაზები რუდოლფ შტაინერმა 1909 წლის „ანთროპოსოფიად“ წოდებულ ლექციებში გააკეთა. აქ იგი ათ გრძნობაზე საუბრობდა და შემდგომი ლექციებისგან განსხვავებით მათთვის არც შეხების და არც მეს გრძნობა არ მიუთვლია. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგანაც რუდოლფ შტაინერი მკაფიოდ მიუთითებდა, რომ იგი ვერ ჩათვლიდა შეხებას ნამდვილ გარე გრძნობად. იგი ამბობდა: „რატომაა გამოტოვებული ის, რასაც მეცნიერება შეხების გრძნობას ეძახის... შეხება გამოტოვებულია, ვინაიდან ისე, როგორც ის ჩვეულებრივ აღიწერება, იგი ფიზიოლოგიის გამოგონება, ფანტაზიაა. როგორც ასეთი, იგი არ არსებობს, ვინაიდან არაერთი გარე გრძნობა შეიძლება აღვნიშნოთ, როგორც შეხება. საკუთრივ შეხების გრძნობაზე კი ვერ ვისუბრებთ“. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ რუდოლფ შტაინერი შეხებას, როგორც მას ჩვეულებრივ აღწერენ, ვერ მიიჩნევს გარე გრძნობათა დამოუკიდებელ ფორმად, მაგრამ იგი ლაპარაკობს შეხების შეგრძნებებზე, რომელნიც სხვა გარე გრძნობების შიგნით აღმოცენდებიან. ამაზე ის შემდეგს ამბობს: „თუ სწორად დავეყვირდებით, შეხება არა მარტო ის იქნება, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, როცა საგანს ვეხებით, მის ზედაპირს ვსინჯავთ; ისიც შეხებაა, როცა თვალებით რაღაცას ვეძებთ. ყნოსვისა და გემოს გრძნობებსაც შეუძლიათ შეხება. სითბოს გრძნობის ჩათვლით შეხება არის მეოთხიდან მეშვიდე გრძნობების საერთო თვისება (გემოს, ყნოსვის, მხედველობის,

სითბოს გრძნობის.“

ცხადია, რომ აქ საუბარია „შეხებაზე“ საპირისპიროდ „შეხების გრძნობისა“ და რომ ოთხ „შუა“ გრძნობას საფუძვლად ერთგვარი შეხება უდევს. როცა შემდეგ რულოლფ შტაინერი უმატებს, რომ „შეხების გრძნობებით აღიქმება გარე სამყაროს ზედაპირი“, მაშინ ვხვდებით, თუ რას გულისხმობს იგი.

უფრო ზუსტად საუბრობს იგი იმავე თემაზე წიგნში, რომელიც აქ ნახსენები ოთხი ლექციიდან ერთ-ერთიდან წარმოიშვა და ბევრად მოგვიანებით დაიბეჭდა არასრულყოფილი სახით.⁵ კერძოდ:

„გრძნობადი ხასიათი იმისა, რასაც, ჩვეულებრივ, შეხების გრძნობას ეძახიან, არ ვლინდება იმავე გზით, როგორც ათი ზემოთ ჩამოთვლილი გარე გრძნობისა. შეხების გრძნობა აშუალებს გარეგან ზეწოლას, წინააღმდეგობას, სიმაგრეს, სირბილეს. წარმოიდგინება იმის არსი, რასაც აღვნიშნავთ, როგორც „წნევას“, „ზეწოლას“. პროცესი სულაც არაა მარტივი. სინამდვილეში უშუალოდ აღიქმება არა ის სხეული, რომელიც გვაწვება, არამედ ის ფაქტი, რომ ამ სხეულის საშუალებით სტიმული გვეძლევა კანის ამა თუ იმ ადგილით უკუვიკცეთ, ან რომ მეტ-ნაკლებად უნდა დავიძაბოთ, რათა რაიმე სხეულს დავაწვეთ“

შემდეგ ერთმანეთისგანაა განსხვავებული სითბოსა და შეხების გრძნობები და მითითებულია, რომ პირველისას საქმე ეხება თავად საგნის თვისების განცდას, მეორისას კი საკუთარი თავის განცდას. შეხების შეგრძნება გვიშუალებს არა იმ საგნის თვისებას, რომელსაც ვეხებით, არამედ იმ მიმართებას, რომელსაც მე ვაწყარებ გარე სამყაროს ამ საგანთან. განიცდება „შეხება“ და არა „ის, რასაც ვეხები“. შეხებისას ადგილი აქვს აღმქმელი პიროვნების აქტივობას, რომელიც „შუა“ გრძნობების სფეროშიც ხორციელდება. მაგრამ აქ შეხების აქტივობა აღმოგვიცენებს გრძნობად განცდას, რომელნიც შეხების მიღმა არიან. თხევადი ნივთიერებების „შეხება“ გვიშუალებს გემოს აღქმებს; ტემპერატურის მდგომარეობებთან შე-

ხება გვაძლევს სითბოს შეგრძნებას და ა.შ. ასე რომ, უფრო მკაფიო ხდება განსხვავება შეხებას, როგორც აქტივობას, და თავად შეხების გრძნობას შორის. 1910 წელს ზემოხსენებულ წიგნში კი რუდოლფ შტაინერი შემდეგს ამბობდა შეხების გრძნობაზე: „ის, რაც უშუალოდ შეიგრძნობა შეხებისას, შეიძლება სამ პირველად ჩამოთვლილ გრძნობათა სფეროში აღმოვაჩინოთ. სხეული, რომელიც მაწვება, იწვევს, მაგ., მდგომარეობის ცვალებადობას ჩემს სხეულში; ეს კი აღიქმება სიცოცხლის, საკუთარი მოძრაობის ან წონასწორობის გრძნობით“; ამდენად, ამ აღწერაში შეხების გრძნობა მიჩნეულია ერთგვარ სივრცედ, სადაც დანარჩენი სამი გრძნობის, ცალცალკე ანდა მათი სხედასხვა კომბინაციების, მონაცემები განცდად იქცევა. შეხების შთაბეჭდილებები რთული სახის შედეგებია, რომელნიც ერთ მთლიანობად ყალიბდებიან სამი „ქვედა გრძნობის“ აღქმებიდან და მათი ურთიერთკავშირიდან ადრე განცდილთან, შეთვისებულთან და გახსენებულთან. როცა მე აბრეშუმის ჭოვილს ხელს გადავუსვამ, მაშინ აღქმული მოძრაობის განცდა, შერწყმული სიცოცხლის ფაქიზ შეგრძნებებთან, აღმოაცენებს მოგონებას „ეს აბრეშუმის მაგვარია“. უამრავი შთაბეჭდილება უნდა არსებობდეს, რათა მივიღეთ დასკვნამდე „აბრეშუმი“ თავად შეხების გრძნობა მხოლოდ ის სივრცეა, სადაც განცდათა ეს კომბინაცია მიმდინარეობს.

როცა 1916 წ. რუდოლფ შტაინერი კვლავ მიუბრუნდა გარე გრძნობათა შესახებ მოძღვრებას, მან შეხების გრძნობას მისი საკუთარი ადგილი მიუჩინა. მან დაუმატა მეს გრძნობაც და ამით თორმეტი გრძნობა მიიღო. ამჯერად შეხებაზე ნათქვამი იყო, რომ ეს „ის გრძნობაა, რომლის საშუალებითაც ადამიანი გარე სამყაროს ყველაზე მატერიალურ მხარესთან ამყარებს მიმართებას. შეხების გრძნობის მეოხებით ადამიანი ერთგვარად ეჭახება გარე სამყაროს... მაგრამ შეხების პროცესი ადამიანის კანში თამაშდება“.⁴

აქ აღიარებულია შეხების გრძნობის თავისთავადობა, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი საშუალებით განვიცდით

არა გარემოს, არამედ მის ზემოქმედებას ჩვენი კანის ზედაპირზე; ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ შეხების გრძნობისას ადგილი აქვს ერთგვარ „წინარე გრძნობას“, რომელიც გვაწვდის არა პირველად, არამედ მეორად გრძნობად გამოცდილებას. რასაც ამ დროს აღვიქვამ, ჩემი საკუთარი სხეულის მდგომარეობანია, რომელნიც, ფაქტობრივად, სიცოცხლის, საკუთარი მოძრაობისა და წონასწორობის გრძნობათა სფეროებს განეკუთვნებიან. თავად „შეხება“ დაფარული რჩება ჩემი ცნობიერებისთვის, თუმცა მე მუდამ გახვეული ვარ განცდებში, რომელთაც შეხების გრძნობა მიშუალებს. მაგრამ შეხებისას ვერ მივდივართ ალქმის განცდამდე, ვინაიდან მას განუწყვეტლივ სხვა გრძნობადი შთაბეჭდილებები გადაფარავს. არც ენაში მოიძებნება აღნიშვნები შეხების თვისობრიობებისთვის, არამედ ამ შთაბეჭდილებებისთვის გამოიყენება ისეთი სიტყვები, როგორიცაა: რბილი, მაგარი, წვეტიანი, ჩლუნგი, გლუვი, ხორკლიანი და ა.შ. ეს აღნიშვნები ალქმათა შინაარსი კი არაა, არამედ მსჯელობებია; გრძნობადი შთაბეჭდილებებისა და შეგრძნებების მრავალფეროვნება ჯამდება და შედეგი ერთი სიტყვით გამოიხატება. „წვეტიანი“ ისევე ნაკლებადაა შეხების შეგრძნება, როგორც „ჩლუნგი“; აქ ერთმანეთშია გადახლართული ემოციური შთაბეჭდილებები, მხედველობის გამოცდილებები და სიცოცხლის შეგრძნებები.

აქ მთავარია არა სიტყვებზე გამოკიდება, არამედ საჭირო ურთიერთგამიჭვნის მოხდენა, თორემ ვერ მოვახერხებთ შეხების გრძნობის ქეშმარიტ წვდომას. რადგანაც იგი სამყაროს კი არ გვიჩვენებს, არამედ ჩვენი სხეულებრივი არსებობის საზღვრების ბუნდოვან განცდას გვაძლევს მხოლოდ.

შეხების განცდა

გარე გრძნობების ფიზიოლოგებსა და ფსიქოლოგებსაც დღესდღეობით განსაკუთრებით უკირთ შეხების გრძნობის გამიჭვნა

სხვა გრძობადი განცდებისაგან. ამიტომ უფრო ხშირად საუბრობენ კანის გრძობაზე, რომელიც იყოფა ტკივილის, შეხების, ტემპერატურისა და წნევის გრძობებად. წნევის გრძობას ზოგჯერ სიღრმისეულ მგრძობიარობას ანდა კუნთურ გრძობას უწოდებენ.

თავად შეხების გრძობას აღქმის სხვადასხვა თვისებები მიეწერება; უმეტესად წნევის, შეხების და ვიბრაციის შეგრძნებები. მაგრამ „სულ უფრო ვრცელდება თვალსაზრისი, რომ ვიბრაციის შეგრძნებები წნევის ან შეხების შეგრძნებათა მოდიფიკაცია კი არა, არამედ შეგრძნების დამოუკიდებელი მოდალობაა. ისინი აღმოცენდებიან, როცა, მაგ., ხელით ვეხებით მკვლე რკინაგზის, ან ხორხზე ვიღებთ მას ბგერის გამოცემისას... ვიბრაციის გრძობასა და ყურს საერთო აქვს აგზნების ოსცილატორული ფორმა“.

აქედან ჩანს, რომ შეხების განცდა და შეგრძნება სულაც არაა ადვილად დასაქერი მდგომარეობა; ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ მათ, ვიცით მათი არსებობა, მათი აღწერა და შემოსაზღვრა კი ძალზე გვიძნელებდა.

შეხების განცდები არ შემოიფარგება მხოლოდ კანით, არამედ ზოგადი შთაბეჭდილებების სახით ღრმად ვრცელდება ჩვენს სხეულში. გარკვეული ორგანოების სისაფრის მდგომარეობა, შესიება, ანთება კარგადაა ჩვენთვის ცნობილი სხეულის შიგნით წნევის, დაწოლის განცდების სახით. ასევე სისხლის პულსაცია თითებში ან საფეთქლებში, გულისცემა შეხების შედასხეულებრივი შთაბეჭდილებებია.

კანით განვიცდით შეხების შეგრძნებებს, რომელნიც ნაზი, ძლივს შესამჩნევი შეხებიდან დაწყებული დარტყმამდე და დაჭახებამდე ცვალებადობენ. მაგრამ რას წარმოადგენს საკუთრივ შეხების განცდა ყველა ამ შემთხვევაში?

მზით გამსჭვალულ ზღვის ნაპირას წოლა ნეტარებაა. თბილ და ერთგვაროვან კვიშაში ჩაფლულობა სიამოვნებას აღძრავს. მაგრამ როგორც კი ხელზე კიანჭველა აგვაცოცდება, წარმოიშვება უსიამოვნო გრძობა, რასაც უკუგდების ენერგიული

მოძრაობა მოჰყვება თავდაპირველად აქ შეხების აღქმა თითქმის მთლიანადაა გადაფარული ქვიშის სითბოს განცდით და რაღაცაში ჩაფლულობის გრძობით. ამ ერთიან სიამოვნებას არღვევს კიანჭველა, რომელიც ხელს ეხება და ამას უკუგდება მოჰყვება. განცდათა მთელ ამ სფეროში რას წარმოადგენს შეხების შეგრძნება? სხვას არაფერს, თუ არა ბუნდოვან განცდას ჩემი სხეულის საზღვრისა, რომელიც ქვიშასთან პარმონიულ მიმართებაშია, კიანჭველასთან კი არა.

როცა მე, მაგ., ჩემს სახეს ხელის გულს ვაჭრდნობ, თავიდან გამაჩნია სითბოს ძალზე დიფერენცირებული შეგრძნებები იმისდა მიხედვით, სახე თბილია თუ ცივი ხელთან შედარებით. ტემპერატურის ამ აღქმებში წინ მოიწვევს ხელისა და ლოყის ურთიერთშეხების განცდა, მის უკან კი განირჩევა ბუნდოვანი აღქმა ლოყის ზედაპირის მოყვანილობისა და მის შიგნით მდებარე ძვლებისა. აქ სახეზეა საზღვრის განცდა. ესაა შედეგი, რომელიც ზეწოლიდან და უკუქმედებიდან აღმოცენდება და ჩვენი არსებობის პირველად, ბუნდოვან ცნობიერებას გვიშუალებს.

სხეულის საზღვრების ეს განცდა არა რჩება დიფუზური შთაბეჭდილებად, არამედ ნაწვევრდება იმის წყალობით, რომ გაგვაჩნია შესაძლებლობა, განვსაზღვროთ ის ადგილი, სადაც ხდება საზღვრის შეგრძნება. ჩვენ ზუსტად ვიცით, თუ სად ეხება კიანჭველა ჩვენს სხეულს, როცა ის მარჯვენა ხელის ზურგზე მიცოცავს. ჩვენ ზუსტად ვგრძნობთ, მაგ., თუ სად გვიქერს ფეხსაცმელი და ხშირად შეგვიძლია უზუსტესად მიეუთითოთ ის ადგილი, სადაც შევიგრძნობთ წნევას. ამგვარი სივრცითი ორიენტაციის ფუნდამენტი მეტად განმაცვიფრებელია, ვინაიდან თავად შეხების განცდა ასე ბნელითაა მოცული. ხშირად გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ადგილის აღქმა ცნობიერების ერთადერთი და კემშარიტი გამონათებაა, რომელიც ამ სფეროში ხდება. არა შეხების, არამედ ადგილის განცდაა ცნობიერებაში შემომავალი ნაწილი შეხების გრძობის სფეროსი.

ამით შეხების ზოგადი განცდა თავისთავში დანაწევრებულ გამოცდილებად იქცევა. ჩვენ ბუნდოვნად განვიცდით საზღვრებს, რომელნიც გაგვაჩნია ჩვენი სხეულის შიდა სიერცეში და ზედაპირზე. გარდა ამისა, აღიქმება ცალკეული ადგილები და უერთდება სურათ-ხატს, რომელიც ჩვენი სხეულის შესახებ გვაქვს. აქაც ერთმანეთს ერწყმის სხვადასხვა მშეინვიერი განცდები და აქტივობები: მრავალფეროვანი გამოცდილებანი, რომელნიც წლებისა და ათწლეულების მანძილზე მოგვიპოვებია ტკივილის, დაჩახების, ტემპერატურისა და წნევის ლოკალიზებული შეგრძნებების საშუალებით. ისინი ისე გამოიყოფიან შეხების ზოგადი განცდის მუქ ფონზე, როგორ ფერადი ცარცებით შავ ზედაპირზე დახატული ნახატი. ოღონდაც ჩვენ ხშირად გვაიწყდება, რომ ამ შავი საფუძვლის გარეშე ფერადი ნახატი ვერ წარმოიქმნებოდა; იგი იძლევა საფუძველს, მაგრამ თავად ქრება. შეხების განცდა ჰგავს კარგ სარკეს, რომელიც აგვირეკლავს სურათს, საკუთარ თავს კი უარყოფს. იგი ძლივს შეიგრძნობა, მაგრამ მაინც საფუძველია ყველა გრძნობადი გამოცდილებისთვის.

ის, რაც აქ ვეცადეთ დაგვეხასიათებინა, როგორც შეხების განცდა, არის შედეგი შეხების იმ აქტივობისა, რომელზეც პირველ ქვეთავში ვისაუბრეთ; იგი შუა გრძნობადი პროცესების საფუძვლად დევს და ბუნდოვნად თავს იჩენს შეხების გრძნობის სფეროშიც. ასე რომ, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ თავად შეხება, შეხების გრძნობა და შეხების განცდა. მხოლოდ ამგვარი დიფერენციაციის შემთხვევაშია შესაძლებელი აქ განხილული ურთიერთმიმართებების წვდომა.

კურსში „ზოგადი ადამიანთმცოდნეობა, როგორც პედაგოგიკის საფუძველი“ რულოლფ შტაინერი აღწერს ქვედა ოთხ გრძნობას და ახასიათებს მათ, როგორც ნებელობით გრძნობებს. „ეს გრძნობები გაუღწეველია ნებელობითი აქტივობით... იგრძნობით, თუ როგორ მოქმედებს ნება... მოძრაობის აღქმავში... მშვიდი ნება მოქმედებს წონასწორობის აღქმავშიც. ძალზე ძლიერად მოქმედებს იგი სიცოცხლის გრძნობაში, ასევე მოქმედებს

შეხებაში: ვინაიდან, როცა რაიმეს ეხებით, ძირითადად ადგილი აქვს თქვენი ნებისა და გარემოს ურთიერთშეხვედრას.“

აქედან ვიგებთ, რომ შეხების აქტივობა ნებელობითი პროცესია, ხოლო შეხების განცდა შედეგია, რომელიც წარმოიქმნება ჩემი ნებისა და გარე სამყაროს ურთიერთშეხვედრიდან. ახლა უნდა ვიპოვოთ ის ადგილები, სადაც ეს შეხვედრა ხდება, რადგანაც მხოლოდ მაშინ შევძლებთ შეხების გრძნობის ორგანიზაციის დანახვას.

შეხების გრძნობის ორგანოები

ექვს გარეშეა, რომ შეხების გრძნობის მთავარი ადგილსამყოფელი კანში უნდა ვეძებოთ. თუ წავიკითხავთ შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას, მეტად მწირ ცოდნას მოვიპოვებთ. ნაპოვნია ნერვების მრავალი დაბოლოება, რომელნიც გრძნობის ორგანოებადაა მიჩნეული; ზუსტადაა აღწერილი მათი მიკროსკოპიული სტრუქტურა, მაგრამ მათი ფუნქცია უმეტეს შემთხვევებში არაა ზუსტად დადგენილი.

კანის ზედაპირის უზუსტესი კვლევისას ვპოულობთ დიდი რაოდენობის ე.წ. „ზეწოლის პუნქტებს“. ესაა კანის უმცირესი არეალები, რომელნიც განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან შეხებისა და წნევის მიმართ. ამ წერტილების განაწილების სიმჭიდროვე ცვალებადობს კანის სხვადასხვა უბნებში. მაგრამ ერთი ფენომენი უეჭველად დგინდება: ყოველი ასეთი პუნქტი მჭიდროდაა დაკავშირებული აქ მდებარე თმასთან. ზეწოლის პუნქტები თანაბარი დაშორებითაა განლაგებული თმის ამოსვლის ადგილებიდან. ცხადზე ცხადია, რომ ნერვული ბადე, რომელიც კანქვეშ გარს ერტყმის ყოველი თმის ღერის ფესვს, ამ პუნქტებზე წნევისა და შეხების შეგრძნების ორგანოს ქმნის.

გარდა ამისა, კანის უთმო ადგილებში, რომელნიც ხშირად ძალზე მგრძნობიარენი არიან შეხებისათვის (მაგ., ხელის გული, თითების შიდა მხარე, ფეხის გულები, შუბლი და ა.შ.,, ეპი-

დგრამისის ქვეშ აღმოჩენილია უამრავი ნერვული ორგანო: მაისნერის სხეულები. ამ ორგანოთა რაოდენობა კანში დაახლოებით შეესაბამება იმავე ადგილას აღმოჩენილი ზეწოლის პუნქტების ოდენობას. ასე რომ, გარკვეული ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მაისნერის სხეულები შეხების გრძობის ორგანოებს წარმოადგენს სხეულის ზედაპირის უთმო ადგილებში. ამრიგად, შეიძლება ვისაუბროთ მთელ კანში განაწილებული ზეწოლის პუნქტების ბაღეზე, რომელთაც მათ ქვეშ მდებარე გრძობის ორგანოები მიეკუთვნება. კანის თმიან ნაწილებში გრძობის ორგანოებია თმების გარემომცველი ნერვები, კანის უთმო ადგილებში კი მაისნერის ორგანოები.

ამ ბადისებრი წყობის მეოხებითაა შესაძლებელი ის ზუსტი ლოკალიზაცია, რომელზეც ზემოთ მივუთითეთ. ზეწოლის ყველა პუნქტის ერთიანი ბაღე გვიშუალებს საზღვრის ზოგად განცდას, რომელიც შეხების გრძობის საფუძვლად უნდა ჩაითვალოს. ხოლო ზეწოლის ცალკეული პუნქტები, მეტ-ნაკლები ოდენობით, შესაძლებელს ხდის იმ ადგილის განცდას, სადაც შეხებისას ხდება გალიზიანება. ასე რომ, შეიძლება ვისაუბროთ შეხების ზოგად განცდაზე, რომელიც იმ შავ დაფას ჰგავს, რომელზეც დაიტანება ის ადგილები და პუნქტები, სადაც განცდა ლოკალიზდება.

ზეწოლის პუნქტების ეს ბაღე სხეულის შიგნითაც გრძელდება. ტუჩები, ენა, სასა, ხახა, ხორხი და სხვა მრავალი ნაწილი სხეულისა ამ ბადითაა მოცული. ამის მეოხებით განუწყვეტილად აღმოცენდება ორგანოთა საზღვრებისა და ზედაპირის შეგრძნებები, რომელნიც ყოველდღიურად გავგაჩნია.

მაგრამ ეს ბაღე არაა გახევებული ორგანიზაცია. იგი იცვლება სიცოცხლის განმავლობაში. ბავშვში მისი მარყუქები უფრო პატარაა და განვითარების მანძილზე დიდდება; ასე რომ, უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენი კანის განმსკვალავი ცვალებადი ქსოვილი.

ამას ემატება კიდევ ერთი მომენტი, რომელიც უნდა აღიწეროს. როდესაც, მაგ., სიარულისას ვიყნებთ ჭოხს და ვყურ-

დნობით მას, მაშინ შევიგრძნობთ არა მარტო ჯოხის ზეწოლას ჩვენს ხელზე, არამედ ცხადად განვიცდით ჯოხის წვეტის სულ ახალ-ახალ დაბჯინებას მიწაზე. თავიდან ეს ყოვლად გაუგებარი და დღევანდელი ფიზიოლოგიისთვის ყოვლად აუხსნელი მოვლენაა. იგი თავს იძვრენს იმის თქმით, რომ ჩვენ ჯოხის წვეტში „გადავანაცვლებთ“ შეხების შეგრძნებას. მაგრამ ვერავინ ამბობს, თუ რა იგულისხმება ამ „გადავანაცვლებასა“ თუ „პროეცირებაში“ და მაინც, ჩვენი შეგრძნების ორგანიზმი ჯოხის წვეტამდეა განვრცობილი და მიწასთან შეხებას ზუსტად ისევე გრძნობს, როგორც თითების დაქერა აღიქმება რომელიმე საგანზე.

ეს ასეა არა მარტო ჯოხის შემთხვევაში, არამედ ყველა საგნისა და იარაღისა, რომელნიც გვიჭირავს და ვიყენებთ. ყველაფერი, რასაც ვიყენებთ, გვიჭირავს, ვდგამთ, ვატარებთ, ნამდვილად „ჩვენად“ იქცევა მაშინვე, როგორც კი ჩვენი კუთვნილება ხდება. მე ისევე უშუალოდ შევიგრძნობ ქაღალდზე მოსრიალე ფანქრის წვერს, როგორც ჩემს თითს, ქაღალდს რომ შევხებოდით. ჩაქუჩისა და ლურსმნის, მაკრატლისა და ქსოვილის, ლილისა და ნემსის ურთიერთშეხება ცხადად და თითქმის უშუალოდ განცდადია. უეჭველია, რომ შეხების შეგრძნების ზემოთ აღწერილ ბადეს შეუძლია მოეფინოს და გავრცელდეს მოხმარების ყველა საგანზე და ამით ჩვენს საკუთრად აქციოს ისინი. ამ ბადის მარყუქები იცვლება არა მარტო განვითარების მანძილზე, არამედ იმდენად ელასტიურნი არიან, რომ განუწყვეტლივ იწელებიან და იკუმშებიან.

შესაძლებელია თუ არა, უფრო ზუსტად განისაზღვროს ამ ბადის ბუნება და სუბსტანცია? თავად ზეწოლის პუნქტები, რომელნიც მარყუქების გადაკვეთის წერტილებს წარმოადგენენ, ანატომიურად და ჰისტოლოგიურად არ განირჩევიან დანარჩენი კანისაგან. ისინი მხოლოდ „განცდის პუნქტებია“, რომელთა დადგენაც მარტოდენ მათ ქვეშ მოთავსებული ნერვული ორგანოების მიხედვით შეიძლება. ამდენად, ეს ელასტიური და წელვადი ბადე დაკავშირებულია არა ფიზიკურ

სტრუქტურასთან, არამედ შეგრძნების პუნქტებთან.

აქედან ცხადი ხდება, რომ შეხების ბაღეზე უნდა ვისაუბროთ, როგორც ორგანიზაციაზე, რომლის წვდომაც მხოლოდ შეგრძნობადაა შესაძლებელი. აქ საქმე ეხება შეგრძნებების ორგანიზმს. მასში ნება იღვიძებს საზღვრის ბუნდოვან განცდამდე.

ჩვენი განაზრებებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი ადგილი წიგნიდან „თეოსოფია“, სადაც რუდოლფ შტიინერი აღწერს ადამიანის გრძნობასა და შეგრძნობად ორგანიზაციას: „ამრიგად, სხეული აიგება მინერალური ნივთიერებებისგან. ცოცხლდება ეთერული სხეულის მიერ და შემოსაზღვრავს შეგრძნებების სამშენველს... მაგრამ შეგრძნებების სამშენველის საზღვარი არ ემთხვევა ფიზიკური სხეულის საზღვარს. ეს სამშენველი ფიზიკური სხეულის გარეთაც გამოდის. აქედან ჩანს, რომ იგი სხეულზე უფრო მძლავრია. მაგრამ ძალა, რომელიც მას საზღვრებს უდგენს, ფიზიკური სხეულიდან მოდის. ამით ფიზიკურსა და ეთერულ სხეულებს შორის, ერთი მხრივ, და შეგრძნებების სამშენველს შორის, მეორე მხრივ, ადამიანის ბუნების კიდევ ერთი წევრი იკავებს ადგილს. ესაა მშენიერი სხეული ანდა შეგრძნებების სხეული. შეიძლება ასევე ითქვას: ეთერული სხეულის ერთი ნაწილი დანარჩენზე უფრო ნატიფია და ეს ნატიფი ნაწილი ეთერული სხეულისა შეგრძნებების სამშენველთან ქმნის ერთიანობას, ხოლო უფრო უხეში ნაწილი ფიზიკურ სხეულთან ერთად ქმნის ერთგვარ მთლიანობას.“

ეთერული სხეულის ეს ნატიფი ნაწილი, რომელიც შეგრძნებების სამშენველს ერწყმის, ზედაპირზე წარმოადგენს შეხების იმ ბაღეს, ჩვენთვის დასანახი რომ გახდა. თმები ორგანული გამოხატულებაა ამ შეგრძნებების სხეულისა და ამიტომაც არიან ასე მკიდროდ დაკავშირებულნი შეხების განცდასთან. თმა განუწყვეტლივ განახლებადი წარმონაქმნია, რომელიც საპირისპიროდ ზრდის ძალებისა გარქოვანებისა და გაქვავების ტენდენციასაც ატარებს. მასში მუდმივად უპირისპირდება ერთმა-

ნეთს აღმშენებლობითი და დაშლის ძალები. ესაა ზრდისა და შეგრძნების ორგანო, ეთერული ძალებისა და მშენიერი განცდების ურთიერთშერწყმის გამოხატულება.

ახლა ასევე გასაგები ხდება მჭიდრო ურთიერთკავშირი შეხებისა და სითბოს შეგრძნებებს შორის. რუდოლფ შტაინერმა ზემოხსენებულ ლექციებში ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სწორედ შეგრძნებების სხეული „აშუალებს ადამიანში სითბოს გრძნობას“ ისე, რომ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ შეგრძნებების მთლიანი სხეული განუწყვეტლივ განმსჭვალულია სითბური ალქებით. მაგრამ ამ მშენიერი სხეულის საზღვარზე ბუნდოვნად განიცდება წნევის შეგრძნებები. ამ სხეულბრივობის ფიზიკური გამოხატულებაა ადამიანის თმის საფარველი.

მშენიერი სხეულის, რომელიც შეგრძნებების არსებით გაუღნთილი ნატიფი ეთერული სუბსტანციისგან შედგება, საზღვრები ელასტიურია. ისინი გარშემოველებიან მოხმარების ყველა საგანს და აგვათვისებინებენ მათ. განა არ ჩერდება საათი მისი მფლობელის სიკვდილის მომენტში? განა არ იბინდება სარკე, რომელსაც აღარ იყენებენ? განა არ იხვევა ტანისამოსი, რომელსაც აღარ ატარებენ?

ოთახი, სადაც დღის განმავლობაში ვიმყოფებით, ჩვენს გარშემო მყოფი საგნები ჩვენი არსებობის ნაწილებია. შეგრძნებების სხეული მუდმივად ეფინება მაგიდას, რომელზეც ვკამთ; სავარძელს, რომელშიც ვზივართ; მსჭვალავს საწოლს, სადაც გვიძინავს. ყველა ქსოვილი, რომლითაც ვიმოსებით, ბამბის, სელის, აბრეშუმის თუ შალის, განასახიერებს ჩვენი შეხების განცდების ბადეს.

შეხების შეგრძნება ჩვენი სხეულის საზღვრებზე გაცილებით უფრო შორს ვრცელდება. იგი განივრცობა მახლობელ გარემოში და ეფინება ჩვენს კუთვნილ საგნებს; იგი განუწყვეტლივ მსჭვალავს მათ ჩვენი შეგრძნებების სხეულის სუბსტანციით.

შეხების გრძნობა ჩვენი პიროვნების ბექედს ასვამს ჩვენი გარემომცველი სამყაროს საგნებს. ამის წყალობით კი ჩვენ განვიცდით დარწმუნებულობას, საიმედოობას, რომელიც იძლევა

შეხების გრძობა, როგორც ძრწოლის განცდა

წინარე განხილვებმა დაგვანახა, რომ შეხების გრძობის სფეროსა და თავად შეხებას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ჩვენი არსებობის ქვეცნობიერში. შეხების განცდა აღმოცენდება შეგრძნებების სხეულის არეში და წარმოადგენს ძალზე ზოგად და არადიფერენცირებულ გამოცდილებას. იგი მუდმივად გადაიფარება სხვა შეგრძნებებით და ამიტომ თითქმის არ აღწევს დღის ცნობიერების სფეროში.

მაგრამ ნუთუ არ არსებობს პირობები, რომელნიც ამოატივტივებენ ამ დაფარულს? ნუთუ არ არსებობს მდგომარეობა, რომლის დროსაც ჩვენი გამოცდილებისათვის მიუწვდომელი შეხების განცდა მთლიანად გამოვლინდება? ჩვენ უნდა მოვძებნოთ მონაცემები, რომელნიც შესაძლებელს გახდიან შეხების მკაფიო და ცალსახა აღქმას.

ჩვენ უკვე მოვიყვანეთ რუდოლფ შტაინერის გამონათქვამები, სადაც იგი საუბრობს ოთხი შუა გრძობის სფეროზე. ის ამბობს, რომ „შეხება არის ყნოსვის, გემოს, მხედველობისა და სიტბოს გრძობის საერთო თვისება“. აქ საქმე ეხება ძირეულ, ბუნდოვან შეგრძნებას, რომელიც ნამდვილად თითქმის ვერასდროს აღიქმება, მაგრამ მიეკუთვნება შესაბამის გრძობად განცდებს.

არსებობს თუ არა ასეთივე ზოგადი და დაუნაწევრებელი შეგრძნება, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს მრავალ ფსიქიკურ აქტს და ამდენად შეხების განცდის მსგავსია? ასეთი შეგრძნება არსებობს და ჩვენ მას ვიცნობთ იმ მშვინვიერი განცდის სახით, რომელიც ძრწოლის* სახით შემოდის ცნობიერებაში.

როგორც კი ძრწოლაზე ვიწყებთ საუბარს, ჩვენს წინ გა-

* გერმანულად Angst (მთარგმნ. შენიშენა)

დაიშლება ყოველი ადამიანისთვის ნაცნობი განცდების სფერო. იგი ისე ზოგადი და არადიფერენცირებულია, რომ ძნელი გასამიჯნია სხვა მსგავსი გამოცდილებებისგან. შიში* და თავზარის დაცემა, მოუსვენრობა და დაურწმუნებლობა ყოფიერების ერთი და იმავე სფეროს განეკუთვნება. მაგრამ ძრწოლა თითქოს დაუნაწევრებელი სათავეა მრავალი აქედან აღმოცენებული შეგრძნებისა. უილიამ შტერნი სამართლიანად ამბობს: „ჩვენ ვსაუბრობთ ძრწოლაზე შიშისგან განსხვავებით მაშინ, როცა გვინდა გამოვხატოთ საკუთარ თავში დაქვეითებული დარწმუნებულობის ზოგადი განწყობილება. ეს არაა აუცილებლად დაკავშირებული რაიმე განსაზღვრულ შიშისაღმძვრელ საგანთან, არამედ შეიძლება გარკვეულ პირობებში უსაგნო იყოს“.

ეს განსხვავება ძრწოლასა (Angst) და შიშს (Furcht) შორის მნიშვნელოვანია. შიში მუდამ ობიექტთანაა დაკავშირებული, ძრწოლა თავდაპირველად არა. იგი შეიძლება შემდგომში მიებას რაიმე ობიექტს და შემდეგ ძალზე ინტენსიურად დაკავშირებული დარჩეს მასთან; მაგრამ აღმოცენებისას ესაა განწყობილება, რომელიც მრავალი ხარისხის ინტენსივობით ვლინდება ჩვენში, გაძლიერებული თუ შესუსტებული. იგი შეიძლება თითქმის შეუშინველი სხეულებრივი გრძნობიდან გადაიზარდოს ისეთ მძლავრ ემოციაში, რომ ვისაც იგი მოიცავს, ზოგჯერ მართლაც „ძრწოლისგან კვდება“

ძრწოლის ჩვეულებრივი გრძნობა ძნელად აღსაწერია. ესაა მთელ სხეულში აღმოცენებული შეგრძნება დაძაბულობისა და ცახცახის, რომელიც ღრუბელივით ჩამოწვება ჩვენს აზროვნებასა და გრძნობებზე. ჩვენ მთლიანად ვიმსკვალებით ამ ძრწოლით და რაც უფრო ძლიერი და ინტენსიურია იგი, მით უფრო გამოკვეთილი ხდება სხეულებრივი რეაქციები. ჯერ ქრუანტელი გვივლის, შემდეგ „თმები ყალყზე გვიდგება“ და „ცივი ოფლი გვასხამს“. ხშირად მოტორიკაც ფერხდება იმის გამო, რომ ყველა კუნთს ცახცახი მოიცავს და ხელს უშლის

* გერმანულად Furcht (შთარგმნ. შენიშვნა)

გაქცევას. ამას მოსდევს კბილების კაწკაწი, გულისცემის და ნაწლავების პერისტალტიკის გაძლიერება იქამდე, რომ ადამიანს შეიძლება ფაღარათი დაემართოს.

ამდენად, საქმე ეხება სამშენველის ზოგადად აგზნებულ მდგომარეობას, რომელიც ამავე დროს ღრმად მოქმედებს სხეულებრივ სფეროზე. თითქოს ადამიანს მსკვალავეს წუთისოფლის ძრწოლით აღსაესე კვილი და მისთვის ხილული ხდება საკუთარი მოკვდავობა; იგი აცნობიერებს თავის წარმავლობას, საკუთარ სიკვდილს. ძრწოლა არის ზღუბლის განცდის გამოხატულება, რომლის დროსაც თავად ზღუბლი თუმცალა უხილავია, მაგრამ მაინც განცდადი ხდება.

მარგარეტა ლოოსლი-უსტერი სავსებით სწორად ამბობს თავის მშენიერ წიგნში: „ძრწოლის ემოციას – ბოლოს და ბოლოს სიკვდილის წინაშე ძრწოლა – და შიშის გრძნობას – ღვთის წინაშე შიში – შორის რეაქციათა მთელი წყებაა, რომლებშიც პირველემოცია სახეცვლილია გამოცდილებისა და გონების მიერ“.

ეს განსხვავება უდიდესი მნიშვნელობის მქონეა. არ არსებობს Gottesangst და Ehrangst, არამედ Gottes-Furcht (ღვთის წინაშე შიში) და Ehr-Furcht (თაყვანისცემა, სიტყვასიტყვით, ღირსების წინაშე შიში), ისევე როგორც არსებობს De-Mut (მორჩილება) და Sanft-Mut (თვინიერება).* ძრწოლა უფრო ღრმა შრეებში მკვიდრობს და ამიტომ არადიფერენცირებულად ვლინდება. ამიტომ სიკვდილის წინაშე ძრწოლა (Todesangst) არის ცხოველურ-ამქვეყნიური განცდა, სხეულზე ზემოქმედი ემოცია. სიკვდილის შიში (Todesfurcht) კი თითქმის რელიგიური გრძნობაა, რომელიც მთელი ბრწყინვალეობით გვაუწყებს სიკვდილის ანგელოზის სიახლოვეს. ცხოველს მოიცავს ძრწოლა; ადამიანი შეიგრძნობს შიშს.

ზემოხსენებულ წიგნში ნათქვამია: „უექველად, აღზრდის ამოცანაა ისე წარმართოს ბავშვი, რომ ბრმა ძრწოლა გარდაიქმნას გონივრულ შიშად. უფლის წინაშე შიში და არა

* Mut – სიამაყე, სიმხვევე Sanft – რბილი, ნაზი.

ძრწოლა არის სიბრძნის სათავე”.

ღიახ, ძრწოლა ბრმაა, მხოლოდ შიში შეიძლება გახდეს თვალხილული და ასევე გონიერული. ძრწოლა ისევე ბრმაა, როგორც შეხების შეგრძნება, ისაა ბუნდოვანი, მაგრამ მთელი სხეულის მომკველი განცდა. როგორც შეხების გრძნობის ორგანოა უმთავრესად კანი, ასევე ძრწოლის სხეულებრივი სიმპტომები კანში იჩენს თავს; გაოფლიანება, ჩუმი ცახცახი, თმების აბურძგვლა, ჟრუანტელი მისი არსებითი გამოვლინებანია. უკვე აქ ჩანს მჭიდრო კავშირი ძრწოლასა და შეხების გრძნობას შორის.

ძრწოლა ჩვენთან ერთად იბადება. იგი შიშის გამომწვევ გამოცდილებებთან ერთად კი არ ვითარდება, არამედ დაბადებიდან თან გვდევს, როგორც წოვის, ან სმენის უნარი. ჩვილი ბავშვის განვითარების ყველა მკვლევარი (უოტსონი, გეზელი, შტირნიმანი, პრეიერი, ვალენტინი — მხოლოდ რამოდენიმე მათგანი რომ დავასახელოთ) ერთი და იგივე აზრისაა, რომ ძრწოლა სიცოცხლის პირველივე დღეებიდანვე არსებობს და შეიძლება გამოვლინდეს. ძრწოლის პირველი აშკარა მდგომარეობები შესამჩნევი ხდება, როცა ჩვილი კარგავს საყრდენს და ამით ფიზიკურ უსაფრთხოებასაც. თუ გამოეცლება საყრდენი, მაგ., ხელი, მას რომ იჭერს, ადგილი ექნება ძრწოლის რეაქციებს. პატარა თითები დაიკრუნჩხებიან საყრდენის ძებნისგან, სუნთქვა გახშირდება და გაღრმავდება.

აქ ძრწოლის პირველფენომენებს ვხვდებით, ისინი მუდამ იქ ჩნდებიან, სადაც ირყევა საყრდენი და წესრიგი, უსაფრთხოება და საიმედოობა. წონასწორობის დაკარგვა, უცნობი ხმაური, მოულოდნელობა, ცხოვრების დინების ისეთი დარღვევა, რომელიც სამშენველისგან მოითხოვს შეგუების ჩვეულ უნარებზე უფრო მეტს — ყოველივე ეს ძრწოლას აღმოაცენებს. ოღონდაც არ უნდა დაეუშვათ შეცდომა და არ უნდა მივიჩნიოთ ეს დარღვევები ძრწოლის მიზეზად; ისინი მხოლოდ ხელშემწყობი ფაქტორებია, რომელთა საშუალებითაც ძრწოლის ღრუბელი ჩამოწვება. ეს ღრუბელი კანშია დაბუდებული და

იმის იდენტურია, რასაც შეიგრძნობს შეხების განცდა თითქმის არაცნობიერად, სიზმარეულად. არსებობს მეტად უცნაური გამოვლინებანი ამასთან დაკავშირებით. მაგ., კანის გარკვეული უბნების გალიზიანებით შეიძლება გამოვიწვიოთ ლუტუნის შეგრძნება. თუ შევეცდებით ამ გრძობადი შთაბეჭდილების ანალიზს, აღმოჩნდება, რომ იგი წარმოადგენს ბუნდოვანი ძრწოლის ნარევს ერთგვარ სიამოვნებასთან, ხოლო სიცილის მიზანია ამ თავსომხვეული გალიზიანებისგან გათავისუფლება.

ყოველგვარი ძრწოლა შეიცავს გარკვეული ოდენობის სიამოვნებასაც; მრავალი ბავშვი და მოზრდილი ხშირად ცდილობს, ფანტაზიისა და წარმოდგენების თამაშით აღმოიცნოს ძრწოლა ისეთი ოდენობით, რომ იგი ამავე დროს სასიამოვნოც იყოს. ამ ფენომენის აღწერისას უილიამ შტერნი¹ იყენებდა სიტყვას Angstlust (ძრწოლის სიამოვნება) და ამასთან კავშირში ასევე ხმარობდა სიტყვას Gruseln (შიში, გულის ფანცქალი). ესაა ამბივალენტური გრძობა, რომლითაც თავზარდამცემ ამბებს ვისმენთ, უცნობ ადგილებში მივდივართ და ა.შ. ეს Gruseln ისევე ცხადად განეკუთვნება კანს, როგორც თავად ძრწოლა, ამ განცდაში ჭერაც შერეულია ის, რაც ღიღი ძრწოლისას გამოთავისუფლდება და ნათლად იჩენს თავს თავზარის დაცემისა და შეშინების სახით.

ამრიგად, ძრწოლის გამოვლინებისას ვაწყდებით შეგრძნებას, რომელიც სხვა დროს არაცნობიერად ცხოვრობს ჩვენში შეხების გრძობის სახით. ძრწოლისას საქმე ეხება არა ახალ განცდას, არამედ ყველა გრძობადი განცდის საფუძვლად მდებარე ამ არადიფერენცირებული ნებელობითი გრძობის თუ გრძობისმიერი ნების ცნობიერებაში ამოსვლას. ამაზე მიუთითებდა რუდოლფ შტაინერი, როცა შეგრძნების არსს აღწერდა: „თუ შეგრძნებას ნამდვილად ზუსტი თვითდაკვირვების საგნად ვაქცევთ, მაშინ მივხვდებით: შეგრძნება ნებელობითი ბუნებისაა და გრძობისმიერი ბუნებაც აქვს... ამდენად, შეგრძნება, როგორც ის ადამიანებში იჩენს თავს, მნებავი გრძობაა ანდა მგრძობი ნება. ამიტომ უნდა ვთქვათ: იქ, სადაც გარეგნუ-

ლად ადამიანის გარე გრძნობების სფერო ვრცელდება – გარე გრძნობები ხომ, ასე ვთქვათ, ჩვენი სხეულის გარეგან მხარეს გვაქვს – იქ არსებობს მგრძნობი ნება, მნებავი გრძნობა“.¹

ეს პირველშეგრძნება, რომელიც ყველა გრძნობადი განცდის საფუძვლად და შეხების განცდაში არადიფერენცირებულად იჩენს თავს, არის ძრწოლის ღრუბელი, რომელსაც კარგად ვიცნობთ და რომელიც ყველა შესაძლო შემთხვევისას განიცდება. კანის გრძნობად სფეროში, საიდანაც წარმოდგებიან შუა გრძნობები და თავად შეხება, ჩაბუღებულია ეს „მნებავი გრძნობა“ და იმავენაირ მდგრადობას გვანიჭებს, როგორც აქვს გემს, როცა ის ნავსაყუდელშია შესული და ღუზა აქვს ჩაშვებული. მაგრამ თუ ჩვენი სამშინველის ხომალდი ამოსწევს შეხების ღუზას და დატოვებს სხეულის ნავსაყუდელს, მაშინ ის რწევას დაიწებს, დაკარგავს საყრდენს და თავს იჩენს ძრწოლის განცდა.

ამ ძრწოლის შესაგრძნობად გვაქვს ერთი ორგანო: გული. ამ სფეროში მრავალი კვლევა და დაკვირვება არსებობს, რომელნიც თავმოყრილია, მაგ., ლუდვიგ ბრაუნის² და კარლ ფარენკაჰის³ წიგნებში. პირველი მათგანი ამგვარ დასკვნამდეც კი მიდის: „შესაძლოა, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ძრწოლის შეგრძნება აღმოცენდება გულში ისევე, როგორც სინათლის შეგრძნება – თვალში, ხოლო სმენისა – ყურში“ თუმცაღა ეს ფორმულირება არასწორია, რამეთუ სინათლის შეგრძნება არასოდეს აღმოცენდება თვალში, ბგერის შეგრძნება კი ყურში, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან შემეცნებით აქტს წარმოადგენს ძრწოლის დაყენება შეგრძნებების რიგში, გულის კი მისი აღქმის ორგანოდ მიჩნევა. ადამიანის გული რეაგირებს იმ „მნებავ გრძნობაზე“, რომელიც კანის მგრძნობელი სფეროდან ამოდის და მაშინ ჩვენ განვიცდით ძრწოლის შეგრძნებას. ეს პირველშეგრძნებაა, რომლის შინაარსის კვლევასაც გავაგრძელებთ.

შეხების გრძობა სამკურნალო პედაგოგიკის ქრილში

რულოლფ შტიანერი ერთგან ახასიათებს შეხების გრძობას და მიუთითებს ჩვენი განხილვებისთვის უმნიშვნელოვანეს ფენომენზე. „ის, რაც შეხების გრძობაში გვაქვს, არის შინაგანი განცდა, მაგრამ ის, რაც შინაგანად მიმდინარეობს, მთლიანად არაცნობიერში რჩება. ამისი მხოლოდ ჩრდილია არსებობს შეხების გრძობის თვისებებში, რომელთაც სხეულს მივაწერთ. შეხების გრძობის ორგანო აკეთებს სწორედ იმას, რომ საგნებს ვგრძობთ როგორც აბრეშუმისას ანდა შალისას, მაგრამ არს ანდა რბილს, ხორკლიანსა თუ გლუვს. ეს შინაგანშიც ასხივებს, სამშინველში ასხივებს; ოლონდ ადამიანი ვერ ამჩნევს თავისი მშენიერი განცდების კავშირს იმასთან, რასაც ეხება შეხების გარე გრძობა, ვინაიდან ერთმანეთისგან მეტად დიფერენცირებულია ის, რაც შინაგანში გამოსხივდება და ის, რაც გარეთ განიცდება. არადა ის, რაც შინაგანში გამოსხივდება და რაც გარეთ განიცდება, სხვა არაფერია, თუ არა ღვთის გრძობით განმსჭვალულობა. ადამიანს არ ექნებოდა ღმერთის გრძობა, შეხების გრძობა რომ არ ჰქონოდა... ის, რაც ყველაფერს მსჭვალავს, რაც ჩვენშიც შემოდის, რაც ყოველივეს იჭერს და ატარებს, ეს ყოვლისგანმსჭვალავი ღვთის სუბსტანცია შემოდის ცნობიერებაში და შიგნით არეკლილი წარმოადგენს შეხების გრძობის განცდას.“ (ხაზგასმა ავტორისა).

ეს აღწერა ახალ საფუძველს სძენს ჩვენს განხილვებს. მხოლოდ ახლა ვიწყებთ ყველა სახის ძრწოლის ზოგადი ფონის გაგებას. იგი მაშინ იჩენს თავს, როცა შიგნით მასხივებელი და სამშინველის აღმესები ღვთის გრძობა, მუდმივად რომ გველინთავს, მეტ-ნაკლები ხანგრძლივობით ირღვევა. ძრწოლა აღმოცენდება, როგორც რეაქცია იმ სასიცოცხლო ნიადაგის დაკარგვაზე, რომელსაც ვეყრდნობით შეხების გრძობის მოქმედების შედეგად. ამიტომაც რულოლფ შტიანერი ამბობს იმავე ადგილას: „ჩვენ ვაღვანთ გარე სამყაროს არსებობას სწორედ შეხების გრძობის წყალობით. ჩვენ ჯერ არ გვჯერა რაიმეს

სივრცეში არსებობა, როდესაც მხოლოდ ეხედავთ მას; ჩვენ ვრწმუნდებით სივრცეში რაიმეს არსებობაში, როცა შეგვიძლია შევეხოთ მას“.

მაგრამ როგორც კი ეს დარწმუნებულობა გეტოვებს და ამით შეირყევა შიგნითკენ მასხივებელი ღვთის გრძობა, შევიგრძნობთ ძრწოლას და განვიცდით მას ჩვენი არსებობის ცენტრალურ ორგანოში — გულში. გული გააქცევს მოშიშარად, როცა შეხების შეგრძნების ღუზა და მასთან ერთად ღმერთის გრძობა ამოიწვევა კანის გრძობადი სფეროდან. მაშინ ჩვენი სამშინველის ხომალდი რყევას იწყებს და საჭიროა შინაგანი ძალა, რომელიც მოახდენს მის მართვას. ვისაც ის არა აქვს, სჯობს დაბრუნდეს კანის ნავსაყუდელში.

გენიალური მხატვარი და გრაფიკოსი ალფრედ კუბინი არის ადამიანი, რომელიც გამუდმებით ძრწოლისა და შეხების გრძობის ამ მორყეულ სფეროში ცხოვრობს. მისი ნამუშევრების უმრავლესობა არის ძრწოლით სავსე ფანტაზიები, რომელნიც იმ ზღვარზე იფურჩქნებიან, რომელსაც მიადგება სამშინველის ხომალდი, როცა კანის ნავსაყუდელს ტოვებს. კუბინის ავტობიოგრაფია არის ამ ფენომენის გულახდილი და მკაფიო აღწერა. ამ პრობლემატიკით დაინტერესებულებმა არ უნდა დაიზარონ ამ ავტობიოგრაფიის წაკითხვა. მასში ვპოულობთ სიკვდილის წინაშე ბუნდოვანი ძრწოლისა და გულის ფანცქალის ჩრდილებს.

შიშის უფრო აკადემიური კვლევები, როგორცაა ფროშელისა“ და ნოიმანის,“ არ ეხება შიშის განცდის მეტაფიზიკურ მხარეს, მაგრამ თუმცაღა ისინი ვერ მიდიან ღვთის გრძობის მკაფიო აღწერამდე, მაინც იქითკენ მიიწევენ. რასაკვირველია, ისინი ვერ ახერხებენ შეხების გრძობასთან კავშირის წვდომას, რის გამოც აკლიათ შიშის ქეშმარიტი გაგება.

ძრწოლისა და კანის შინაგან კავშირში უნდა ვეძიოთ ასევე ყოველგვარი ტატუირების ფესვები. ამ დროს კანზე ამოიტვიფრება საკულტო ნიშნები და ხატები, რათა განდევნილ იქნეს შიშის ჯადო. კუბინის გრაფიკა, შეიძლება ითქვას, გრანდიო-

ზული ტატუირების ხელოვნებაა. აქ დასანახი ხდება მშენიერი განცდები, რომელთა აღმოჩენაც სხვა შემთხვევაში შეგვიძლია მხოლოდ იმის შედეგად, რომ ვცდილობთ გავუგოთ მათ მიერ შეპყრობილ ბავშვებსა და მოზრდილებს.

„სამკურნალო პედაგოგიურ კურსში“ რულოფ შტაინერი იძლევა ამ მდგომარეობის საფუძვლიან აღწერას და უწოდებს მას „ისტერიული სნეულების ფორმებს“ რასაკვირველია, ამასთან საქმე ეხება დაავადების გამოვლინებებს, რომელნიც განსხვავდებიან ისტერიის ჩვეულებრივი დახასიათებებისგან. რულოფ შტაინერი ამას ცალსახად მკაფიოს ხდის, როცა ამბობს: „ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ისტერიული მდგომარეობის ყველა აღწერაზე, რადგანაც ყველა ამ აღწერებისას თავში აქვთ ხოლმე გარკვეული განყნებული ცნება; მაგრამ როდესაც რაიმე განყნებულ ცნებაზე ფიქრობენ, მაშინ აღწერა ყალბი ხდება.“ როგორ ესმის რულოფ შტაინერს ისტერიული მდგომარეობა ბავშვებთან და მოზარდებთან? იგი წარმოგიდგენს მას, როგორც ეპილეფსიური მდგომარეობის პოლარულ პროცესს. უკანასკნელისას ცუდად ანდა საერთოდ ვერ ხერხდება ადამიანის გარემომცველ სფეროებში ჩართვა; სამშინველი სწორად ვერ ეუფლება სიმძიმესა და სიმსუბუქეს, პერსა და სინათლეს. ისტერიული მდგომარეობისას პირიქითაა. ბავშვი „იქვდება გარემოში, იგი ქვდავს ასტრალურ სხეულსა და მეს სიმძიმეში, სითბოში, ისე ინტენსიურად სწვდება მათ, როგორც ეს შეუძლებელია ე.წ. ნორმალურებისთვის“

ამით კი წარმოიშვება მდგომარეობა, რომლის დროსაც ბავშვი „ყველაფერს სწორედ ისე სწვდება, თითქოს ჭრილობა ჰქონდეს. ამის შედეგად აღმოცენდება ზედმეტი მგრძობელობის განცდა... ასეთი ადამიანი ბევრად უფრო ძლიერად, ინტენსიურად შეიგრძნობს გარემოს და ბევრად უფრო ძლიერად არეკლავს კიდევ მას. ამიტომ აღმოცენდება წარმოდგენებიც, რომელთაც ტკივილი მოაქვთ“

ამ მტკივნეული წარმოდგენების შედეგად წარმოიქმნება მოუსვენრობა და შფოთვა. „ვინაიდან ადამიანს სურს ტკივილის

შეჩერება“. ამ აღწერის ბოლოს რუდოლფ შტაინერი ამბობს: „ყოველი ამგვარი წარმოდგენა, რომელიც იმ მომენტში, როცა ცნობიერებაში უნდა ამოვიდეს, წარმოქმნის მომენტში აღძრავს შიშს, ყოველი ასეთი წარმოდგენა ამავე დროს ხელს უწყობს გრძნობათა ცხოვრების განვითარებას. აიშლებიან გრძნობები და შემდეგ მუდამ დეპრესიული მდგომარეობა იწყება“

აქ ნათლადაა აღწერილი ბავშვის ქცევის ძალზე გავრცელებული სინდრომი. ესაა კარგად ცნობილი მდგომარეობები, რომელნიც სხვადასხვა ფორმით იჩენენ თავს, დაწყებული შეგრძნობათა ცხოვრების თითქმის შეუშინეველი დარღვევებით, დამთავრებული აკვიატებების უმძიმესი სიმპტომებით. ამგვარი ბავშვებისა და მოზარდების ფიქსაციები გარემოს გარკვეულ სფეროებზე ხშირად იმდენად ღრმა არის, რომ მხოლოდ უძლიერესი სამკურნალო პედაგოგიური ჩარევით სუსტდება ან საერთოდ ქრება. ვინაიდან ფიქსაცია შედეგია იმისა, რომ დაკარგულია საკუთარ სხეულში, პირველ ყოვლისა კი კანის ორგანოში, დარწმუნებულობა და ეს ბავშვები იძულებულნი არიან გარე სივრცეში და არა საკუთარ სხეულში ეძებონ საყრდენი. ეს შეიძლება იმდენად შორს წავიდეს, რომ პატარა პაციენტები სხვა ადამიანებს, თუკი მათ მიეჩაქვებიან, ეძახიან „მე“-ს, საკუთარ თავს კი „შენ“-ს.

უმრავლეს შემთხვევაში ამ მდგომარეობას შიშის უმძიმესი ფორმები ახლავს თან. ყოველ ახალ სიტუაციას, ყოველ პირდაპირ მიმართვას, ყოველ პირდაპირ მოთხოვნას თან სდევს ოფლდენა, შფოთვა და მათი თანამდევნი წინააღმდეგობა და სიჭიუტე. აქედან აღმოცენდება მთელი რიგი ფობიები, რომელნიც სტანჯავენ ბავშვს და რომელთაგანაც ძნელად თუ შეუძლია გათავისუფლება.

აქ ვხვდებით შეხების დარღვევებისა და არასაკმარისად ჩამოყალიბებული შეხების გრძნობის შედეგებს. ახლა გასაგები ხდება, თუ რატომ დანიშნა რუდოლფ შტაინერმა სამედიცინო საშუალებად პროცედურა, რომლის საშუალებითაც ხდება კანის, როგორც ორგანოს, გამტკიცება. შეგვიძლია ვთქვათ -

კვლავ ზემოთ მოყვანილ ხატს თუ მიემართავთ —, რომ პირველ ყოვლისა საჭიროა სამშენველოს ხომალდის ღუზის ჩაგდება კანის ნავსაყუდელში და ბავშვის სხეულებრივი ორგანიზაციის ისე გაძლიერება და გამკეროება, რომ იგი დილიდან საღამომდე მშვიდად იყოს საკუთარ სხეულში. ამით ღუზის გრძნობას, რომელიც ყველა ჩვენთაგანისთვის არსებობის საფუძველია, კვლავ შეუძლია ისე იმოქმედოს, რომ თავისი სხივებით განმსჭვალოს ბავშვის სამშენველი და სიმშვიდე და დარწმუნებულობა მისცეს მას.

„სამკურნალო პედაგოგიურ კურსში“ მეტად დაწვრილებითი ცნობებია მოცემული ამ მდგომარეობაზე. ისინი ყველას შეუძლია წაიკითხოს და ამიტომ აღარაა საჭირო აქ მათი გამეორება. ჩვენი მიზანი იყო, თვალი მიგვედევნებინა შეხების გრძნობასთან მიმართებებისთვის. თუ მათ ბოლომდე გავიაზრებთ, აქედან განვითარდება ისტერიული მდგომარეობის სხვადასხვა ფორმებისადმი რაციონალური მიდგომა.

არსებითად, ამ დროს მუდამ საქმე გვაქვს ღუზის გრძნობის დაკარგვასთან და აქედან წარმომდგარ შინაგან დაურწმუნებლობასთან. და თუ ამგვარი ბავშვი ამასთან ერთად ცხოვრობს მოუწესრიგებელ, უსიყვარულო და არარელიგიურ გარემოში, მაშინ მისი მდგომარეობა უარესდება, შიში კი ძლიერდება. ამ ჩგუფს მიეკუთვნება მრავალი ე.წ. „აუტისტური“ ბავშვი. ასევე ზოგი ძნელად აღსაზრდელი ბავშვი იმიტომ ხდება ასეთი, რომ მათ სურთ აგრესიითა და ძალადობით ჩაიხშონ და სძლიონ შიშისა და ტკივილის მუდმივ მდგომარეობებს.

მკურნალი პედაგოგის წინ აქ დგას ამოცანა შესაფერის კალაპოტში ჩასვას „გრძნობი ნება“, „მნებავი გრძნობა“ კი დაამშვიდოს, მოათვინიეროს, ხოლო გარემომ უნდა გააცნობიეროს საკუთარი ღუზის გრძნობა და იმდენად განამტკიცოს იგი, რომ ამან შეძლოს ბავშვს შეუცვალოს საკუთარი შინაგანი სიმტკიცის დანაკლისი. მაშინ მოშორდებიან მას მსოფლიო შიშის ლამურები, მიწიერ ყოფიერებაში რწმენა კი კვლავ დაისადგურებს მასში.

სიცოცხლის გრძნობა

რა არის სიცოცხლის გრძნობა?

რუდოლფ შტაინერმა „სიცოცხლის გრძნობა“ უწოდა შეგრძნებების ერთ თვითმყოფად სფეროს. არც აქამდე და არც შემდგომში მეცნიერულ ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიას არ გამოუყენებია ეს სახელწოდება. საპირისპიროდ შეხების გრძნობისა, რომელიც საყოველთაოდაა ცნობილი და აღწერილი, სიცოცხლის გრძნობისას საქმე გვაქვს უცნობ ერთეულთან გარე გრძნობათა მწკრივში. ამიტომ პირველ რიგში მკაფიოდ უნდა განვსაზღვროთ ამ გრძნობის რაობა.

ბოლო წლებში ზოგიერთმა ანთროპოსოფოსმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სიცოცხლის გრძნობის გააზრებაში. ლაუერმა¹ ფილოსოფიური სტატიით; ტრაიპლერმა² სამედიცინო კვლევით; გლასმა³ უფრო ფელეტონური წიგნით; აეკლიმ⁴ პედაგოგიური ნაშრომით. ძალზე საინტერესოა, ერთმანეთს შევუდაროთ ეს ნაშრომები, რომელნიც ოთხი სხვადასხვა მხრიდან აშუქებენ სიცოცხლის გრძნობას, ისინი ცდილობენ მისი ბუნების გაგებასა და მისი ადგილის გარკვევას ადამიანის, განსაკუთრებით კი ბავშვის, ცხოვრებაში. აქ ჩვენ გვსურს, კიდევ უფრო განვაერკოთ ეს მონაპოვარი, ოღონდ სამკურნალო პედაგოგიურად ორიენტირებული ექიმის თვალთახედვით.

როცა რუდოლფ შტაინერმა ზემოხსენებულ ლექციებში ანთროპოსოფიის⁵ შესახებ პირველად ისაუბრა სიცოცხლის გრძნობაზე, მან ერთმნიშვნელოვნად თქვა: „რა არის სიცოცხლის გრძნობა? ესაა ისეთი რამ, რასაც ადამიანი ვერა გრძნობს, როდესაც ყელაფერი წესრიგში აქვს, არამედ

მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა რაიმე არა აქვს წესრიგში. ადამიანი გრძნობს სისუსტეს და აღიქვამს მას, როგორც შინაგან განცდას ისევე, როგორც ფერს აღიქვამს. ასევე ის, რაც შიმშილის ან წყურვილის გრძნობაში ვლინდება, ანდა რასაც შეიძლება ვუწოდოთ განსაკუთრებული ძალის გრძნობა, ყოველივე ამას უნდა ისევე აღვიქვამდეთ შინაგანად, როგორც ფერს ან ბგერას... ადამიანის მიერ საკუთარი თავის პირველად აღქმას სიცოცხლის გრძნობა იძლევა; მისი საშუალებით ადამიანი აცნობიერებს საკუთარ თავს, როგორც ერთიანს სხეულებრივობის მხრივ“

ფრაგმენტში „ანთროპოსოფია“ რუდოლფ შტაინერი იძლევა წერილობით ფორმულირებას, რომელიც უდიდესი მნიშვნელობისაა სიცოცხლის გრძნობის განმარტებისთვის: „ადამიანი გრძნობს სისუსტეს, დაღლილობას. მას კი არ ესმის დაღლილობა ანდა სისუსტე; კი არ ყნოსავს მათ, არამედ იმავე აზრით აღიქვამს, როგორც სუნსა თუ ბგერას... მათი (ამ აღქმათა) საშუალებით ადამიანი შეიგრძნობს საკუთარ თავს, როგორც სივრცეში განფენილ, სხეულებრივ მეობას“.⁵

სიცოცხლის გრძნობის საშუალებით ადამიანი სწავლობს, „იგრძნოს თავი, როგორც შინაგანი მთლიანობა და შეიგრძნობს თავს, „როგორც სივრცეში განფენილ, სხეულებრივ მეობას“ ორივე ეს გამოთქმა ერთმანეთის გვერდით უნდა დავეწეროთ, ვინაიდან ისინი გამოხატავენ იმის არსს, რასაც მიეყვართ სიცოცხლის გრძნობის განცდამდე. ნორმალურ პირობებში ჩვენი სხეულებრივი ორგანიზაცია სიცოცხლის გრძნობის მიერ განიცდება, როგორც ერთიანობა. ამ მთლიანობას შევიგრძნობთ, როგორც სივრცეში განფენილ ჩვენსავე საკუთარ ყოფიერებას. ის, რომ მე შემიძლია სხეულს „ჩემი“ სხეული დაუქაზო, რომ შემიძლია გავაიგივო საკუთარი თავი ამ „ჩემს“ სხეულთან, სიცოცხლის გრძნობის შედეგია. სიცოცხლის გრძნობის საშუალებით სხეული ჩემს საკუთრებად იქცევა. „მე და ჩემი სხეული ერთნი ვართ“ არის განცდა, რომელიც პირველ რიგში სიცოცხლის გრძნობას უნდა

მივაწეროთ.

შეხების გრძნობის შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა; იგი გვაძლევს ჩვენი სხეულის საზღვრების შეგრძნებას, რომელთაც ვეჭახებით და ამით განვიცდით თავს, როგორც გარემოსაგან „განსხვავებულებს“. შეხების გრძნობა გვიშუალებს „არასამყაროდყოფნის“ ბუნდოვან შემეცნებას, ნეგატიურ განცდას. იგი რბილად, მაგრამ უწყვეტად იწვევს ჩვენში იმ მდგომარეობას, რომელსაც უცბად წარმოქმნის ტკივილი, დაჯახება: ისინი მათხიზლებენ ჩემი თავის მიმართ. ხოლო ამ შოკის შემდეგ რომ შემიძლია საკუთარი თავი განვიცადო, როგორც „მე“, ეს სიცოცხლის გრძნობის წყალობით ხდება. იგი სხეულის შემომსაზღვრავი კანის შეგრძნებას კი არ მაძლევს, არამედ ამ კანის შემავსებელი სხეულებრივი მთლიანობისას. შეხების გრძნობა გვიშუალებს ნეგატიურ განცდას, სიცოცხლის გრძნობა კი პოზიტიურს.

1920 წელს რუდოლფ შტაინერმა უფრო მკაფიო და პირდაპირი აღწერა მოგვცა: „თქვენ იმ პროცესებს კი არ აღიქვამთ, რომელნიც სასიცოცხლო პროცესებს წარმოადგენენ, არამედ აღიქვამთ სიცოცხლის გრძნობის მონაცემებს. ესაა გრძნობა იმისა, რასაც ვერ აღიქვამთ ძილის დროს, სიფხიზლისას კი აღიქვამთ, როგორც შინაგან მდგრადობას, შინაგანად კარგად ყოფნას, რაც მხოლოდ მაშინ ირღვევა, როცა რაიმე გვაწუხებს... ეს განმსქვალულობა კარგად ყოფნის განცდით ძლიერდება გემრიელი ტრაპეზის შემდეგ, ჭკვითდება შიშშილისას; ეს ზოგადი შინაგანი გრძნობა საკუთარი თავისა სიცოცხლის გრძნობის მოქმედებაა, რომელიც ასხივებს სამშენველში“.

ახლა კიდევ ერთი ნაბიჯით წავიწიეთ წინ სიცოცხლის გრძნობის გაგებაში. იგი გვიშუალებს მყუდროდ ყოფნის გრძნობას. და სწორედ ეს კარგად ყოფნა განიცდება, როგორც „სიერცეში განფენილი სხეულებრივი მე“ ამით სიცოცხლის გრძნობა გვაძლევს ჩვენი არსებობის მიწიერ საიმედოობას. ჩვენ ამქვეყნად „შინ“ ვგრძნობთ თავს, ვინაიდან განმსქვალულნი

ვართ სიცოცხლის მყუდროებით.

თუკი შეხების გრძობა გემსჭვალავს „ღეთის ზოგადი გრძობით“ და ამით გვიშუალებს ჩვენი სულიერი არსებობის შინაგან დარწმუნებულობას, სიცოცხლის გრძობა გვაძლევს მიწიერ-ხორციელი სამშობლოს გრძობას, რომელიც ჩვენი სხეულის სახით გავგაჩნია. შეხებისა და სიცოცხლის გრძობების საშუალებით ადამიანი შეიგრძნობს თავს შინ „იქ“ და „აქ“; იგი ორი სამყაროს მოქალაქე ხდება. ოღონდ ეს შეგრძნებები ბუნდოვანი რჩება, ცნობიერების ზღურბლს ვერ გადააბიჯებს და ვერ ამოდის დანარჩენი გრძობებისა და შეგრძნებების სფეროში. როგორც უმეტესწილად ვერ ვამჩნევთ ნიადაგს, რომელზეც დავდივართ, თუმცაღა ვეყრდნობით მას, ასევე ვერ ვამჩნევთ იმ ძირეულ გრძობებს, რომელთაც გვიშუალებს შეხებისა და სიცოცხლის გრძობები; მიუხედავად ამისა, ისინი წარმოადგენენ იმ ფუნდამენტს, რომელზედაც აღმართავთ ჩვენი ყოველდღიური არსებობის უტყუარობას; ისინი სამშინველს ამკვიდრებენ ამქვეყნიურ ყოფიერებაში, რომლისთვისაც იგი უცხო არის.

თუ მოვინდომებთ აქამდე შემეცნებული ერთ სურათ-ხატად გავაერთიანოთ, ჩვენს შინაგან მზერას წარმოუდგება ტბის ხატი. იგი გარემომცველ ლანდშაფტშია ჩაფლული. მის ზედაპირზე აირეკლება ცა; ტბას ბორცვები, მდელოები და მთები შემორკალავს და განსაზღვრავს მის ხასიათს. მთის ტბა განსხვავდება დაბლობის ტბისაგან. მაგრამ ყოველი ტბა აირეკლავს ცის იმ ნაწილს, მის თავზე რომ იმყოფება. ასეთივე ამრეკლია ჩვენში სასიცოცხლო პროცესებზე გადაშლილი ზედაპირი სიცოცხლის გრძობისა. და როგორც წყლის ზედაპირი ფარავს ტბის სიღრმეში მჩქეფარე სიცოცხლეს, მცენარეებსა და ცხოველებს, ასევე აქვს გადაფარებული სიცოცხლის გრძობას შეგრძნების საფარველი ჩვენი სხეულის სასიცოცხლო პროცესებზე.

სიცოცხლის გრძობის ტბა შეხების გრძობის ნაპირებშია ჩამჭდარი. მისი ზედაპირი გვიშუალებს სივრცეში განფენილი

მეობის შეგრძნებას, რაც განიცდება, როგორც შინაგანი მყუ-
დროება. მაგრამ ტბა მუდამ როდია სარკე; იგი შეიძლება
შიგნიდან აღელდეს და აედრისა და ქარის საკბილო გახდეს.
მაშინ ის ამოძრავდება, ზოგჯერ გაშმაგებითაც კი; მისი სახე
ბნელდება და იგი კარგავს არეკვლის ძალას. ეს ის მდგო-
მარეობებია, რომელთაც განვიცდით, როცა სიცოცხლის გრძნო-
ბა არაა წესრიგში იმის გამო, რომ დაზიანებული და
დარღვეულია სამშინველისა და სხეულის გაღიზიანებისა და
ავადმყოფობისგან.

სიცოცხლის გრძნობით მიღებული განცდები

რუდოლფ შტაინერის გამონათქვამებიდან სიცოცხლის გრძნო-
ბის შესახებ ერთმნიშვნელოვნად იკვეთება, რომ შინაგანი მყუ-
დროება, თავის კარგად გრძნობა საკუთრივ ამ გარე გრძნო-
ბისეული აღქმა არის. თავის ცუდად გრძნობა ამ განცდის
მეორე პოლუსი კი არაა, არამედ ჩვეული განცდების დარ-
ღვევა. არ უნდა გვეგონოს, რომ თავის კარგად და ცუდად
გრძნობა ორი პოლუსია, ან სპექტრის ორი ბოლოა, რომელთა
შორისაც ლაგდება სხვადასხვა შეგრძნებები, სიცოცხლის გრძნო-
ბა რომ გვაწვდის. ეს ასე არაა. სიცოცხლის გრძნობის საშუა-
ლებით განვიცდით არა შეგრძნებების სკალას, არამედ გვეძლევა
ერთიანი, საკუთარ თავში ჩაკეტილი განცდა: თავის კარგად
გრძნობა. იგი თითქმის მთლიანად ცნობიერების ზღურბლს ქვე-
ვით იმყოფება და ამოტივტივდება მხოლოდ რაიმე დარღვევების
ან დაავადებების დროს, როგორც „მეტი აღარ არის“ განც-
და. ასევეა ჩვეული ხმაურისას, რომელსაც ვეღარ ვამჩნევთ,
მაგრამ როგორც კი უეცრად გაჩერდება, განვიცდით, როგორც
„მეტი აღარაა აქ“; დაახლოებით ასევე აღიქმება სიბნელე,
სწორედ იმიტომ, რომ სიბნელეში ვეღარ ვხედავთ იმას, რა-
საც იქამდე ვხედავდით. ესაა თავის კარგად არგრძნობა,
რომელიც ვლინდება, როგორც სიცოცხლის გრძნობის დარღვევა

და არა მისი კუთვნილი შეგრძნება. ამდენად, უნდა დავასკვნათ, რომ სიცოცხლის გრძნობა გვაძლევს ერთიან, ბუნდოვან განცდას, რომელიც ირლევვა სხეულებრივი ან მშენიერი დაზიანებებისას. ასევე აქაფდება ხოლმე ტბის ზედაპირი გაავდრებისას, ცოტა ხანში კი ტალღები ეხეთქებიან ნაპირს. შიმშილი, წყურვილი, გულისრევა, ტკივილი და სხვა მდგომარეობები, მაგ., წნევისა და კრუნჩხვის შეგრძნება, სიცოცხლის გრძნობის არეალში შემოდის, მაგრამ არ არის მის მიერ მოწოდებული განცდების იდენტური.

ეს გამომდინარეობს რუდოლფ შტაინერის მითითებებიდანაც. ფრაგმენტში „ანთროპოსოფია“, თაეში „სასიცოცხლო პროცესების“ შესახებ კვითხულობთ: „შეიძლება ითქვას, რომ სუნთქვას, სითბურ პროცესებს, კვებას უკავშირდება შინაგანი განცდები, რომელნიც ცხადდებიან, როგორც კარგად ყოფნა, შინაგანი მყუდროება და ა.შ. ეს განცდები მუდამ არსებობს; ისინი საფუძველი არიან იმისა, რაც რაიმე დაზიანებისას თავს იჩენს, როგორც ცუდად ყოფნა, წუხილი, შიმშილი და ა.შ.

აქ მინიშნებულია, რომ ამგვარი შეგრძნებებისა და გრძნობების აღძვრა შეუძლია არა სიცოცხლის გრძნობას, არამედ თავად სასიცოცხლო პროცესებს, როცა ისინი დისპარმონიულნი ზდებიან. ეს ეწ. ორგანული შეგრძნებები გვაუწყებენ ნორმალური ფუნქციის დარღვევას და აღიქმებიან პირდაპირ, ოღონდ არა სიცოცხლის გრძნობის საშუალებით. იმავე ადგილას რუდოლფ შტაინერი ამბობს ამ ორგანულ შეგრძნებებზე: „ეს შინაგანი გრძნობები არის ის, რაც ადამიანში სუნთქვის, სითბური, ზრდის და ა.შ. პროცესების პირისპირ დგას ისევე, როგორც გრძნობადი აღქმის პროცესების პირისპირ დგას შინაგანი განცდები, რომელნიც „მე“-ში უკავშირდებიან ამ აღქმებს“ ამით ცხადადაა ნაჩვენები, რომ ეს „შინაგანი გრძნობები“ წარმოადგენს იმის ქმნად ნაწილს, რასაც განვიცდით, როგორც ჩვენს მეს. ამიტომაც რუდოლფ შტაინერი უმატებს ნათქვამს: „გარკვეულწილად „მე-ადამიანში“ იმალება მეორე ადამიანი, რომელიც შინაგანი განცდებიდან წარ-

მოიქმნება, მე-აღამიანი კი გარე გრძობადი აღქმებიდან წარმოიშვება“

ამდენად, ერთმანეთისგან მკაფიოდ უნდა გავარჩიოთ სიცოცხლის გრძობის შეგრძნებები და ორგანული გრძობები, რომელნიც გაღიზიანებების შედეგად ამოდიან ცნობიერებაში. პირველნი არიან მე-აღამიანის ნაწილნი, რამდენადაც გრძობადი აღქმები არიან; ორგანული გრძობები მიეკუთვნებიან იმ „მეორე ადამიანს“, რომელზეც მიუთითებს რუდოლფ შტაინერი. გარკვევა იმისა, თუ რა არის „ერთი“ და რა „მეორე“, რთულია სიცოცხლის გრძობის სფეროში. ამიტომაც ზემოთ მოყვანილ ნაწილებში ნათქვამია: „შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ მთლიანად უარყონ ამ განცდათა თავისთავადობა და თქვან, რომ არ არსებობს არსებითი განსხვავება მათ და იმ განცდებს შორის, რომელნიც აღმოცენდებიან გრძობადი აღქმების ზეგავლენით. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ არ არსებობს მკაფიო განსხვავება ორივე სახის შინაგან განცდებს შორის, მაგ., სიცოცხლის გრძობასა და სუნთქვის ან სითბური პროცესებისას წარმოქმნილ შინაგან გრძობისმიერ განცდებს შორის“

შემდეგ რუდოლფ შტაინერი მიუთითებს ძირეულ განსხვავებაზე ორგანულ შეგრძნებებსა და გრძობად აღქმებს შორის; იგი ამბობს, რომ ჩვენს მიერ წარმოებული მსჯელობა განუყოფელი ნაწილია მეს განცდისა გარე გრძობების პროცესში. „შინაგანი გრძობები“ კი არ მოითხოვს ამ მსჯელობას. „შიმშილის განცდა უშუალოდ მიუთითებს იმაზე, რაც შიმშილს შეესაბამება“ ეს ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვჭირდება ვიმსჯელოთ შიმშილზე, მას თავისით გააჩნია ძალა. იგივე ითქმის წყურვილზე, გულისრევაზე, ტკივილზე, კრუნჩხვაზე. ისინი თავისით მეტყველებენ, ჩემი მათდამი მიქცევის გარეშე. მე არ მჭირდება მათთვის სახელის დარქმევა, ვინაიდან ისინი თავად გამოთქვამენ საკუთარ სახელებს, ანუ საკუთარ მნიშვნელობასა და მოთხოვნებს. რუდოლფ შტაინერი აგრძელებს: „ამიტომ ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ სიამოვნება სუნთქვით, თბო-

ბით, რამდენადაც ისინი ინსტინქტური შინაგანი განცდები არიან, და მათი შესატყვისი სიცოცხლის გრძნობისმიერი აღქმები. ინსტინქტურის ტალღები ჭერ „მე-აღამიანს“ უნდა მიეხალოს, რათა სიცოცხლის გრძნობის სფეროს შიალწიოს“.

ხოლო ამ სფეროში კარგად ყოფნის ყველა ინსტინქტური განცდა ერთიანდება შინაგანი მყუდროების მთლიან სარკედ, რომელიც მიწიერ სასიცოცხლო საფუძვლად იქცევა ჩვენთვის. ასე მიედინება ყველა მხრიდან მდინარეები და ნაკადულები ტბისაკენ და ერთვის მას; ის კი ყველას იღებს საკუთარ წიაღში.

ამიტომაც არაა მართებული გლასის აზრი: „კარგად ყოფნა და ცუდად ყოფნა ურთიერთსაპირისპირო შეგრძნებებია, რომელთა საშუალებითაც სიცოცხლის გრძნობა გვაძნობს ჩვენი მდგომარეობის შესახებ“, და კიდევ ის, რომ „ამ პოლუსებს შორის ისევე ბევრი გარდამავალი საფეხური არსებობს, როგორც ნათელსა და ბნელს შორის.“¹ ამგვარად აღწერა ნიშნავს სიცოცხლის გრძნობის არსის უარყოფას. „ბევრი გარდამავალი საფეხურის“ სპექტრი, რომელზეც აქაა საუბარი, არის ორგანული შეგრძნებების მრავალფეროვნება, რომელნიც ინსტინქტური განცდების სახით აღმოცენდებიან სასიცოცხლო პროცესებიდან. ისინი შეიძლება სიცოცხლის გრძნობის არეალში გამოვლინდნენ; მაგრამ ეს უკანასკნელი გვაძლევს ჩვენივე თავის იმ ზოგად განცდას, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვიცადოთ სხეული, როგორც ჩვენი საკუთარი.

სიცოცხლის გრძნობა არაა მაცნე, რომელიც ვატყობინებს შიდა სხეულებრივ სნეულებებსა და დარღვევებს. იგი არის განცდა მიწიერი ყოფიერების საფუძვლისა, რომელიც გაგვაჩნია სხეულისა და მისი განმსჭვალავი სასიცოცხლო პროცესების ერთიანობის წყალობით. სიცოცხლის გრძნობის ტბის კრიალა სარკე იძლევა ერთიანობის ამ განცდას.

ამრიგად, ჩვენ მორიგი ნაბიჯი გადავდგით, რითაც შევიტყვეთ, რომ ორგანული გრძნობები და გალიზიანების შეგრძნებები არ წარმოადგენს გრძნობად აღქმებს, არამედ გრძნო-

ბისმიერ გამოცდილებებს, რომელნიც პირდაპირ, უშუალოდ ეხებიან ჩვენს სამშეინველს. ისინი წარმოიქმნებიან სიცოცხლის გრძობის მიღმა, მაგრამ ინტიმურად არიან მასთან დაკავშირებულნი.

სიცოცხლის გრძობის ორგანო

რადგანაც სიცოცხლის გრძობა საკუთარ თავში ჩაკეტილი შეგრძნებაა, რომელიც ზემოთ აღწერილ განცდებს გვაწვდის, მართებული იქნება ვიკითხოთ, სად შეიძლება ვიპოვოთ მისი ფიზიკური ორგანო. რამდენადაც ცხადი იყო, მთლიანი კანი შეხების გრძობის ორგანოდ მიგვეჩნია, იმდენად რთულია, სხეულის მრავალფეროვან ქსოვილებში აღმოვაჩინოთ სიცოცხლის გრძობის სპეციფიკური ორგანო. ერთი შეხედვით, არ არსებობს ორგანო, რომელიც ისე ერთმნიშვნელოვნად იქნება განკუთვნილი სიცოცხლის გრძობისთვის, როგორც თვალი მხედველობისთვის ან ყური სმენისთვის.

ამიტომ უნდა დავიწყოთ ძებნა და ვიკითხოთ: არის თუ არა ჩვენს სხეულში ისეთი სტრუქტურული ფორმა, რომელიც, ერთი მხრივ, ყველა ორგანომდე აღწევს და მკიდროდ უკავშირდება მათ, მეორე მხრივ, კი იმდენად ზოგადია, რომ ერთიანობას ქმნის? ამ წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს სიცოცხლის გრძობის ორგანო, ვინაიდან იგი უნდა გვაძლევდეს შესაძლებლობას, საკუთარი თავი ვიგრძნოთ, როგორც „შინაგანი მთლიანობა“, ამას კი მხოლოდ მაშინ შეძლებს, თუ დაკავშირებული იქნება ყველა ქსოვილსა და ორგანოსთან.

არსებობს ორგანოთა ორი სისტემა, რომელიც ორივე წინაპირობას აკმაყოფილებს: სისხლის მთელი მიმოქცევა და სიმპათიკური ნერვული სისტემა. ვინაიდან სიცოცხლის გრძობა გარე გრძობებს მიეკუთვნება და შეგრძნებებს გვაწვდის, რაც მხოლოდ ნერვული სუბსტანციის ბაზაზეა შესაძლებელი, გამართლებული იქნება იმის დაშვება, რომ „სიცოცხლის გრძობის

ორგანოს მთელი სიმპათიკური ნერვული სისტემა წარმოადგენს". ამას ვარაუდობს ტრაიპლერიც²⁰ და საფუძვლიანი არგუმენტები მოკაყვს ამ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად. ჩვენ მას ვუმადლით ამ საკითხზე პირველ მინიშნებებს.

რა არის სიმპათიკური ნერვული სისტემა? მთელ ორგანიზმში განაწილებული ნერვული ბადე, რომელიც ყველგან ვრცელდება. უკანასკნელი ათწლეულების აღმოჩენები, რომლებშიც ვეგეტატიურ ნერვულ სისტემას დიდი ყურადღება ეთმობა, „ნათლად გვიჩვენებს, რომ სხეულის ყოველ უჯრედს“ უკავშირდება მისი ბოქკოები.“²¹ ამდენად, შთაბეჭედავი სურათი იხატება, თუ წარმოვიდგენთ, რომ ჩვენი სხეულის უთვალავი უჯრედიდან თითოეულს ეხება ვეგეტატიური ნერვული სისტემის ბოქკოები.

ამასთან, ყოველი უჯრედისაკენ ორგვარი ბოქკოები მიემართება, ვინაიდან ვეგეტატიური ნერვული სისტემა ორი ქვესისტემისგან შედგება: სიმპათიკური და პარასიმპათიკურისაგან. პირველი მათგანი თავისი სტრუქტურით შუა ნაწილს წარმოადგენს, რომელიც თითქოსდა შემოსაზღვრულია ზედა და ქვედა პარასიმპათიკური სისტემით. სიმპათიკური ნაწილის ბოქკოები მიერთებულია ზურგის ტვინის შუა (მკერდისა და წელის) უბანზე, ხოლო პარასიმპათიკური სისტემის ბოქკოების სათავე და დაბოლოებები თავის ტვინის შუა უბნებსა და ზურგის ტვინის ბოლოში იმყოფება.

ბოქკოების ორივე ჯგუფი ყველა ორგანომდე და ქსოვილამდე მიდის; გვექმნება წარმოდგენა, რომ ისინი ურთიერთმონაცვლეობაში იმყოფებიან და წონასწორობას ინარჩუნებენ. შუა ადამიანიდან გამომავალი სიმპათიკური ნერვები თითქოს ჩადგმულია ზედა და ქვედა ადამიანიდან წარმოქმნილ პარასიმპათიკურ ნერვებში.

დღევანდელი ფიზიოლოგია ამ ნერვულ სისტემას თვლის ორგანულ სიცოცხლეში აქტიურად მონაწილე მართვის სისტემად. მაგ., მრავალი ექსპერიმენტისა და დაკვირვების შედეგად აღიარებულია, რომ თვალის გუგები ფართოვდება, როცა გა-

დასწონის სიმპათიკური ნერვული გალიზიანებები, ხოლო პარასიმპათიკური ნერვების გალიზიანებისას გუგები ვიწროვდება. მსგავსი სურათია გულის მოქმედებასთან დაკავშირებით; პარასიმპათიკური ბოჭკოების საშუალებით იგი ფერხდება, სიმპათიკური კი ხელს უწობს მას.

ამ ფუნქციური კავშირებისა და მათი სიმპტომების დეტალური განხილვა ძალზე შორს წაგვიყვანდა; აქ წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ის პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს დღესდღეობით გაბატონებულ შეხედულებას. ის კი ჭყარაც საყოველთაოდ გავრცელებული ფატალური წარმოდგენის გავლენის ქვეშ იმყოფება, რომლის მიხედვითაც არსებობს მოტორული და სენსორული ნერვები და ნერვული სისტემის მოქმედება მეტწილად აქტიური, მოტორული სახისაა. მაგრამ თუ სერიოზულად დაფიქრდებით რუდოლფ შტაინერის გამონათქვამზე, რომ „ნერვების დაყოფამ სენსორულად და მოტორულად“ დიდი არევე-დარეულობა გამოიწვია და რომ ორივე სახის ნერვების „არსი ერთი და იგივეა“, დიახ, რომ მოტორული ნერვი მამოძრავებელი კი არაა, არამედ „ემსახურება ნივთიერებათა ცვლის იმ პროცესის შინაგან აღქმას, რომელიც ნებელობას უდევს საფუძვლად“.³⁴ მაშინ მოგვიხდება ძირფესვიანად გადავსინჯოთ ის წარმოდგენებიც, რომელნიც დღესდღეობით გაგვაჩნია ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაზე. ვეგეტატიური სისტემის ბოჭკოები არა მამოძრავებელი, არამედ შემგრძნები ნერვებია.

ბავშვობის პირველ წლებში ისინი თითქმის მთლიანად სიცოცხლის გრძნობას ემსახურებიან. თავდაპირველად პატარა ბავშვი ძალზე ღრმადაა ჩაფლული ვიტალურ შეგრძნებებში, რომელნიც მთლიანად არ არიან სიცოცხლის გრძნობის იდენტურნი. ზრდისა და საკმლის მონელების, გამოყოფისა და სუნთქვის პროცესებთან დაკავშირებული განცდები ალავსებს ბავშვის სამშინველს. არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ სიცოცხლის პირველ წლებში სიცოცხლის გრძნობა წარმოადგენს დანაწევრებულ შეგრძნებას, რომელიც ერთმანეთისგან დამოუკი-

დებლად სხეულის სხვადასხვა ადგილას ათავსებს კარგად და ცუდად ყოფნის განცდებს.

ამიტომ ბავშვი ბევრად უფრო უშუალოდ შეიგრძნობს მოქმედების ლტოლვას, მოძრაობის მოთხოვნილებას, სირბილს, სიარულსა და მეტყველებას, წყურვილსა და შიმშილს, სხეულის აესებასა და დაცარიელებას; და ამ შეგრძნებათა ორკესტრის მრავალფეროვნება საერთო ელერადობას ანიჭებს სიცოცხლის შეგრძნებას. ყოველივე ამას აშუალებს ვეგეტატიური ნერვები, რომელნიც სენსორულ ნერვებს წარმოადგენენ.

მაგრამ ბავშვობის მანძილზე ეს მრავალმხიანობა ერთმხიანობით იცვლება. რუდოლფ შტაინერი ამბობს: „სიცოცხლის ეს გრძნობა შემდგომი ცხოვრებისას თავს იჩენს, როგორც ჩვენი შინაგანის ზოგადი შეგრძნება“.³³ ამით მკაფიოდაა მითითებული ამ გაერთიანებაზე. ეს მოვლენა დაკავშირებულია იმასთან, რომ ზედა ადამიანში მდებარე ნაწილი პარასიმპათიკური სისტემისა, რომელიც Nervus vagus-ის იდენტურია თიოქმის, თანდათან იქცევა აზრის გრძნობის ორგანოდ, რაზეც მე სხვა ადგილას³⁴ დაწვრილებით ვისაუბრე.

შემდგომში ფუნქციურ ცვალებადობას განიცდის ქვედა ადამიანში მდებარე პარასიმპათიკური სისტემის ნაწილიც. მისი ნერვული ბოჭკოები უერთდება სქესობრივ ორგანოთა სისტემას და ამით ამ სფეროს უშუალო სამსახურში დგება. ზედა ადამიანში პარასიმპათიკური სისტემა იქცევა აზრის გრძნობის მატარებლად, რომელიც შემეცნებას შეგვაძლებინებს. ქვედა ადამიანში კი პარასიმპათიკური სისტემა გამრავლების სფეროს მატარებელი ხდება. ამგვარად, ცხადად მქლავნდება ცოდვით-დაცემის ქვედა და ზედა შედეგები. ადამიანი იქცევა შემეცნებელ არსებად, რომელიც მრავლდება.

სიმპათიკური სისტემა კი სიცოცხლის გრძნობის ორგანოდ რჩება. იგი გვიშუალებს იმ შეგრძნებას, რომელიც გვაძლევს ბუნდოვან ცნობიერებას, რომ ჩვენ „სივრცეში განფენილი, სხეულებრივი მეობა“ ვართ. რაც ბავშვში ჯერაც შერეულია ყველანაირ ორგანულ შეგრძნებასთან და სიცოცხლის გრძნობის

სახით ცხოვრობს, მეტწილად ერთიანდება მოზარდ ადამიანში. ზემოთ გამოიყოფა აზრის გრძნობის ორგანო; ქვემოთ სიცოცხლის გრძნობიდან სქესობრიობის შეგრძნების მთელი სფერო გადაიშლება და ქვედა პარასიმპათიკურ სისტემასაც მიიზიდავს თავისკენ. შუაში კი სიმპათიკური სისტემა საკუთარ თავზე იღებს სიცოცხლის გრძნობის ორგანოდ ყოფნას. იგი ამშვიდებს ტბის ზედაპირის სარკეს და ახლა მასში ყოველდღე შეიძლება ირეკლებოდნენ ჩვენი აზროვნების ვარსკვლავები. ხოლო ორგანულობის წარმომშობი ნაწილი ჩვენი არსებობისა ტბის სიღრმეში იძირება.

სიცოცხლის გრძნობა შიშსა და სირცხვილს შორის

ღებულება, რომელამდეც მივდით – რომ ვეგეტატიურ ნერვულ სისტემას აქტიურ-მოტორული და სეკრეციული ფუნქცია კი არ გააჩნია, არამედ სენსორული და სიცოცხლის გრძნობის ორგანოს წარმოადგენს – იმდენად ახალია, რომ ქეშმარიტი გაგებისთვის განვრცობას საჭიროებს. ყველა, ვინც კი თანამედროვე მედიცინის ზოგად წარმოდგენებს იცნობს, იტყვის, რომ თუ ვეგეტატიურ სისტემას წავართმევთ აქტიურ როლს სხეულებრივ პროცესებში, მაშინ დიდ წინააღმდეგობებს მივიღებთ და შეუძლებელი გახდება მრავალი ზუსტი დაკვირვების ახსნა.

ბოლო ათწლეულებში თანამედროვე მედიცინა ძალზე დიდ როლს აკუთვნებს „ვეგეტატიურ“ დარღვეებს დაავადების წარმოქმნასა და მიმდინარეობაში. მრავალი ნევროზი და ნევროტული მდგომარეობა, რომელთათვისაც დამახასიათებელია შიში, მოუსვენრობა, უძილობა და შფოთიანობა, დღესდღეობით აღწერილია, როგორც ვეგეტატიური დისტონია. ჩათვლილია, რომ ამ მდგომარეობებისას დარღვეულია პარამონიული ურთიერთკავშირი სიმპათიკურ და პარასიმპათიკურ სისტემებს შორის. შედეგად ვღებულობთ ორგანოთა ან გადაჭარბებულ, ან უკ-

მარის ფუნქციონირებას. ვინაიდან ვეგეტატიური ნერვული სისტემა უნდა ზემოქმედებდეს გულისცემაზე, სუნთქვაზე, სისხლძარღვების გაფართოება-შევიწროებაზე, ნაწლავების მოქმედებასა და მთლიან ნივთიერებათა ცელაზე – და რადგანაც ამას გარდა ვეგეტატიური ნერვული სისტემა როგორც ჩანს, უნდა განაგებდეს სისხლის წნევას, სითხის შემცველობასა და შინაგანი სეკრეციის ზიკვლებს – გასაგებია, რომ დაავადებათა დიდ რიცხვს ამ ნერვების დისფუნქციასთან მივყავართ.

ამგვარმა განაზრებებმა შეიძლება ცხადი გახადოს ჩვენი ვარაუდის მნიშვნელოვნება, რომლის მიხედვითაც სიმპათიკურ ნერვულ სისტემას მივაწერეთ სიცოცხლის გრძნობის ორგანოს როლი. მაგრამ თუ ეს ასეა, ვინ არის მაშინ ზემოხსენებული ფუნქციების რეგულატორი? ვინ უზრუნველყოფს მათ წონასწორობას, რათა გული არც ჩქარა ფეთქედეს და არც ნელა, ანდა, ვთქვათ, თირკმელი ჭეროვნად ფუნქციონირებდეს? უეცრად, თითქოსდა სასიცოცხლო პროცესებს ქაოსი მოიცავს და ჩვენ ვხვდებით, თუ რატომ იყო თავისთავად ცხადი, ვეგეტატიური ნერვული სისტემისთვის მიეკუთვნებინათ შტურმანის ფუნქცია, რომელსაც სასიცოცხლო ფუნქციების ხომალდი მეტნაკლები სიმტკიცით უნდა გაეტარებინა „ზედმეტად ბევრსა“ და „ზედმეტად ცოტას“ შორის.

რაც უფრო ინტიმური და მრავალფეროვანი ხდებოდა ცოდნა ვეგეტატიური ნერვების ზეგავლენების შესახებ, მით უფრო რთულდებოდა ის სურათ-ხატებიც, რომელთა მეოხებითაც ცდილობდნენ ამ მრავალფეროვნების წვდომას. თავდაპირველად ლაპარაკობდნენ ვაგოტონიაზე, ანუ ზედმეტი ძილქუშისა და დაღლილობის მდგომარეობაზე და სიმპათიკოტონიაზე, ანუ მოვლენაზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია გაძლიერებული აგზნებადობა და აქტიურობა. შემდეგ ისიც შენიშნეს, რომ ძილის დროს ორგანიზმი უფრო ვაგოტონური (არასიმპათიკოტონური) ხდება, სიფხიზლისას კი აშკარა სიმპათიკოტონიაა სახეზე. სადღეისოდ ამას სხვაგვარად გამოხატავენ: ჰოფი შემდეგნაირად აღწერს ნერვების ამ ორი ჯგუფის ურ-

თიერთქმედებას. „სიმპათიკური სისტემა შეესაბამება მმართველ ჯგუფს, რომელიც ხელმძღვანელობს ძალების მობილიზაციასა და ბრძოლას, პარასიმპათიკური სისტემა კი მმართველ ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს რეზერვების მზადყოფნასა და მომარაგებას.“. თუ ამ რამდენადმე ფატალური სურათ-ხატი-დან ამოვადგებთ ომის ელემენტს, რომლის განმსაზღვრელიცაა ბრძოლა არსებობისთვის, მაშინ კვლავ წარმოგვიდგება სიფხიზ-ლეში აქტიური და ძილში საკუთარი თავის აღმდგენი ორგანიზმის სურათი.

თუ გვსურს კონკრეტულ მაგალითზე გამოვიკლიოთ არსებული წარმოდგენები ვეგეტატიური ნერვების მოქმედების შესახებ, მაშინ უმჯობესი იქნება მივუბრუნდეთ კარგად აღწერილ სფეროს. დღესდღეობით აღიარებულია, რომ პარასიმპათიკური სისტემის გალიზიანებისას თვალის გუგა ვიწროვდება, სიმპათიკური სისტემის გალიზიანებისას კი ფართოვდება. ამგვარი დასკვნები გამოაქვთ, მაგ., იმის შედეგად, რომ ახდენენ თვალის გუგაში პარასიმპათიკური ნერვების დაბოლოებების პარალიზებას, რაც იწვევს სიმპათიკურის ზედმეტ მოქმედებას; ამით კი გუგები ფართოვდება. მსგავსი კვლევები ჩატარებულია მრავალ ორგანოზე. სიმპათიკოტონუსი იწვევს გულისცემის აჩქარებას და ამავე დროს სხეულის პერიფერიაზე სისხლძარღვების შევიწროებას. მეორე მხრივ, ძალზე ძლიერი პარასიმპათიკოტონუსისას გულისცემა ნელდება, კანის სისხლძარღვები კი ფართოვდება. ძალზე ძლიერი სიმპათიკოტონუსური ზემოქმედებისას შარდის ბუშტი არ იხნება, პარასიმპათიკოტონუსისას კი ხშირად იცლება.

უქვეყლია, რომ ეს ანტაგონისტური ფუნქციები და რეაქციები არსებობს და რომ ისინი მთელი სხეულებრივი პროცესების რეგულაციას ახდენენ. მაგრამ არაა აუცილებელი რეაქციათა ორივე ფორმის იდენტიფიცირება ვეგეტატიური ნერვული სისტემის მოქმედებასთან. ეს რეგულაციები შეიძლება გაცილებით უფრო ღრმად იქნეს გაგებული, თუ თავს დავანებებთ მიკერძოებულ შეხედულებას, თითქოს არსებობს მორთულად და სეკრეტორულად მოქმედი ვეგეტატიური ნერ-

ვები.

შემდეგ ცხრილში ერთმანეთის გვერდით მოვათავსეთ ყველაზე ცნობილი სიმპათიკოტონური და პარასიმპათიკოტონური სიმპტომები, რათა შესაძლებელი იყოს მათი ურთიერთშედარება.

ცხრილი I^ა

პარასიმპათიკური სისტემა	სიმპათიკური სისტემა
<p>შევიწროებული გუგები გაძლიერებული ცრემლდენა ენოფთალმუსი (თვალი ღრმად ჩადის თვალის ბუდეში)</p> <hr/>	<p>გაფართოებული გუგები შესუსტებული ცრემლდენა. ეგზოფთალმუსი (თვალი გადმოდის თვალის ბუდიდან)</p> <hr/>
<p>კანის სისხლძარღვების გაფართოება გაწითლება სითბოს გამოყოფის გაძლიერება თბილი, წყლისებრი ოფლი</p> <hr/>	<p>კანის სისხლძარღვების შევიწროება გაფითრება სითბოს გამოყოფის შეზღუდვა ცივი, წებოვანი ოფლი</p> <hr/>
<p>გულისცემა შენელებული პერიფერიული სისხლძარღვები გაფართოებული</p> <hr/>	<p>გულისცემა აჩქარებული პერიფერიული სისხლძარღვები შევიწროებული</p> <hr/>
<p>სუნთქვა შეჩერებული ბრონქების შევიწროება კუკ-ნაწლავის პერისტალტიკის გაძლიერება</p> <hr/>	<p>სუნთქვა გაძლიერებული ბრონქების გაფართოება კუკ-ნაწლავის პერისტალტიკის შეფერხება</p> <hr/>
<p>შარდდენა ასიმილაციის ხელშეწყობა (ნივთიერებების აგება)</p> <hr/>	<p>შარდის შეკავება დისიმილაციის ხელშეწყობა (ნივთიერებების დაშლა)</p> <hr/>
<p>სექსუალობის აგზნება</p>	<p>სექსუალობის შეფერხება</p>

ამ დაპირისპირებიდან ნათლად იკვეთება, რომ არა მარტო სიმპათიკოტონური და პარასიმპათიკოტონური სიმპტომები უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ ისინი თავის თავშიც შეიცავენ პოლარობას. ასე მაგ., სიმპათიკური სისტემის აგზნებისას გუგები ფართოვდება, თვალის კაკალი წინ წამოიწევა, გულისცემა და სუნთქვა ჩქარდება, მაგრამ შარდის ბუშტი დახურულია, კუჭ-ნაწლავის პერისტალტიკა შესუსტებულია, კანი გაფითრებულია.

მეორე მხრივ, პარასიმპათიკოტონური გალიზიანებისას გუგები ვიწროვდება, თვალის კაკალი ღრმად ჩადის ბუდეში, გულისცემა ნელდება, სუნთქვა ზედაპირული ხდება. მაგრამ კანი ნოტიო და თბილი ხდება, წითლდება, კუჭ-ნაწლავის პერისტალტიკა ძლიერდება, შარდის წარმოქმნა იზრდება.

განა ისე არაა პირველ შემთხვევაში (სიმპათიკოტონიისას), თითქოს თავი ფხიზლდება, ყველა შეგრძნება დაძაბულია, გული და სუნთქვა მოლოდინში აქტიურდება, დანარჩენი სხეული კი გაჩერებულია? მეორე შემთხვევაში კი საპირისპირო ხდება. პარასიმპათიკოტონიისას გუგები ვიწროვდება, გულისცემა ნელდება, სუნთქვა ზედაპირული ხდება; ქვედა ადამიანში კი ფუნქციები ძლიერდება. ამ დროს თავს სძინავს, ხოლო სხეული აქტიურდება; სიმპათიკოტონიისას შეგრძნებებისა და თავის უბნები იღვიძებს, სხეულმბრივი ცხოველქმედება კი კავდება და ქვეითდება.

თუ ამ სიმპტომებს ოფლის გამოყოფის ფენომენსაც დავუმატებთ — პირველ შემთხვევაში ცივი წებოვანი ოფლი გამოიყოფა, მეორეში კი წყლისებრი და თბილი — მაშინ ეს რეაქციები ერთიან სურათ-ხატად შეიკვრება.

შიშით მოცული ადამიანი არის სიმპათიკოტონიკი. მისი თვალები ფართოვდება, გადმოიკარკლება, გაფითრებულ კანს ცივი ოფლი ფარავს; გული შიშით აღსავსე ცემს, სუნთქვა ღრმავდება. მონელებისა და ნივთიერებათა ცვლის ფუნქციები დაქვეითებულია, შარდის ბუშტი დაკეტილია.

სირცხვილისას კი ადამიანი, პირიქით, წითლდება, თვალებს

დაბლა ხრის და სისხლის მოწოლის ქვეშ „მალავს თავის სახეს“; მას არც დანახვა სურს და არც ის, რომ დანახულ იქნეს. კანის ფორებიდან გამოიყოფა თბილი, წყლისებრი ოფლი, სუნთქვა ზედაპირული ხდება, გულისცემა ნელდება. ქვედა ადამიანში კი სასიცოცხლო პროცესები აქტიურდება. მათ მოქმედებაში მოჰყავთ კუჭ-ნაწლავის პერისტალტიკა და აჩქარებენ ნივთიერებათა ცვლას.

ორივე ამ სურათში დაფიქსირებულია სიმპათიკოტონიისა და პარასიმპათიკოტონიის არსებითი სიმპტომები. ისინი მოიცავენ ადამიანს შიშის მდგომარეობისას და სირცხვილის შემოტყვისას. ამრიგად, ვიგებთ, რომ ვეგეტატიური ფუნქციების მართვას სიმპათიკური და პარასიმპათიკური ნერვები კი არ ახორციელებენ, არამედ ადამიანის სირცხვილითა და შიშით მოცული მე. ორივე ეს პირველემოცია, რომლითაც ყველა ადამიანია დაჯილდოებული და შეიარაღებული, ის სცილა და ქარიბდაა, რომელთა შორისაც განუწყვეტლივ უნდა გადიოდეს ჩვენი სასიცოცხლო პროცესების ნავი.

ადრინდელ გამოკვლევაში, რომელზეც აქ შემიძლია მხოლოდ მივანიშნო, მე შევეცადე გამერკვია ამ ემოციების გადამწყვეტი მნიშვნელობა. იქ შევეძელი მეჩვენებინა, რომ სამშენველის ამ ორივე მოძრაობას სათავე კაცობრიობის ცოდვითდაცემის მოვლენაში აქვს და მას შემდეგ ისინი ჩვენი ამქვეყნიური არსებობის თანამგზავრებად არიან ქცეულნი. იმის წყალობით, რომ ადამსა და ევას „თვალები აფხილათ“, მათ შეამჩნიეს, რომ შიშველნი იყვნენ და „შერცხვათ“ ხოლო როგორც კი ღვთის ხმა გაიგეს, შიში განიცადეს. ასე გამოიღვიძა კაცობრიობაში ამ ორივე ემოციამ იმ ძლევამოსილ მოვლენასთან ერთად, რომელიც ბიბლიაში ხატონდაა აღწერილი, როგორც ხეცნობადის ნაყოფის ქამა. სირცხვილის მდგომარეობისას ჩვენ ბუნდოვნად ვგრძნობთ ჩვენს დაბადებისეულ სიშიშვლეს; შიშის მდგომარეობისას წამიერად იხსნება კარი, საიდანაც ჩვენი გარდაცვალება მოჩანს. დაბადებასა და სიკვდილს შორის კი მიედინება ჩვენი ცხოვრება. დაბადების კარიბჭესთან დგას სირ-

ცხვილი, სიკედლის კარიბქესთან კი შიში.

ზემოთ ნახსენებ ნაშრომში” მე ასევე მივუთითე, რომ სირცხვილის შეგრძნების საფუძველი მიწიერი სფეროსთვის გამოფხიზლებაა. ჩვენ სირცხვილით აღსავსენი ვიწყებთ ჩვენი ადამიანური ყოფიერების შემეცნებას. სირცხვილი შემეცნებისეული ტყვილის მონათესავეა; ესაა საკუთარი სიშიშვლისა და გამრავლების უნარის სირცხვილი. ადამიანი, რომელიც აცნობიერებს საკუთარ ცოდვებს, სირცხვილისაგან წითლდება. იმავდროულად იგი იმეცნებს საკუთარ თავს და იწყებს თავის თავზე ფიქრს.

აქ ვპოულობთ კავშირს ზემოთ აღწერილ მოსაზრებებთან. ჩვენ მივუთითეთ, რომ ბავშვობის პერიოდში პარასიმპათიკუსის ზედა სისტემა, ვაგუსის ნერვი, გადაიქცევა აზრის გრძნობის ორგანოდ, ხოლო მოგვიანებით, პუბერტეტის დასაწყისში, პარასიმპათიკუსის ქვედა ნაწილი მჭიდროდ უკავშირდება სქესობრიობის სფეროს. ამით მტკიცდება ის ორმხრივი მჭიდრო კავშირი, რომელიც სირცხვილსა და პარასიმპათიკუსს შორის აღმოვაჩინეთ. სირცხვილი ზედა ადამიანში იქცევა აზრის გრძნობის საფუძვლად, მასთან დაკავშირებული ვაგუსის ნერვი კი აზრის გრძნობის ორგანოდ.

პარასიმპათიკუსის ქვედა ნაწილი უკავშირდება სექსუალურ ფუნქციებს და ამით იქცევა აქედან ამომავალი შეგრძნებებისა და ლტოლვების მატარებლად. „ქვედა“ სირცხვილი გარდაიქმნება გამრავლების ძალად; „ზედა“ სირცხვილი კი აზრის გრძნობის საფუძვლად იქცევა.

ხოლო რა წარმოიქმნება სიმპათიკუსისგან და შიშისგან? სიცოცხლის გრძნობა ის საფარველია, რომელიც გადაფარებულია ყველა ჩვენს შემაწუხებელ ორგანულ შეგრძნებაზე და ამით შიშსაც ფარავს. კარგად ყოფნის განცდა, რომელიც „სივრცეში განფენილი სხეულებრივი მეობის“ განცდას გვაძლევს და საკუთარი სასიცოცხლო ძალით აღვსებულობა ღრმად ქვეცნობიერში განდევნის შიშს. სიმპათიკური ნერვული სისტემა გვიშუალებს კარგად ყოფნის შეგრძნებას. მაგრამ სიცოცხლის გრძნობის ტბის სარკეს განუწყვეტლივ ეჯახება არას-

წორი, არაჩანსალი, პათოლოგიური ორგანული პროცესები, რომელთაც ჩვენვე ვიწვევთ შიშისა და ძრწოლის, მოუთმენლობისა და ცოდვების, მთელი ჩვენი ბედისწერისა და შეცდომების მეოხებით; ისინი ამღვრევენ და აღელვებენ მას. მათი თანამდევია შიში, რომელიც სიკვდილზე მიგვანიშნებს.

ამრიგად ვხედავთ, რომ შიში სიცოცხლის გრძნობის მოწინააღმდეგეა, როგორც ძრწოლა იყო შეხების გრძნობის ფონი. სიცოცხლის გრძნობას აქეთ-იქიდან ემიჯნება „ზედა“ და „ქვედა“ სირცხვილი, რომელიც ყველა იმ ორგანულ და მშვინივიერ სიმპტომებს იწვევს, დღესდღეობით ჭერაც პარასიმპათიკუსს რომ მიეწერება. შიში და სირცხვილი სამშვინიველის განცდებია და როგორც ასეთნი, უშუალოდ სისხლთან, მეს მატარებელთან, ერთად ურთიერთქმედებენ. ამიტომაც ამბობს რუდოლფ შტაინერი, რომ „ისეთი განცდები, როგორცაა შიში, ძრწოლა და სირცხვილი, საფუძვლად უდევს მეს განცდას, რომელიც სისხლზე ახდენს ზემოქმედებას... ორივე შემთხვევაში სისხლი, როგორც მატერიალური იარაღი, მატერიალურად მიჰყვება იმას, რასაც მე განიცდის“¹ სწორედ მე არის ის, ვისი ხორციელი იარაღიცაა სისხლი, ვინც წითლდება და ფითრდება შიშისა და სირცხვილისას, ვინც აფართოებს და ავიწროებს გუგებს, აჩქარებს და ანელებს გულისცემასა და ყველა დანარჩენ ზემოხსენებულ ფუნქციას მართავს.

შუაში კი სიცოცხლის გრძნობის ტბაა, ზემოთკენ აზრის გრძნობა გადაიშლება, ხოლო ქვემოთ — გამრავლების უნარი ყალიბდება. არა ვეგეტატიური სისტემა, არამედ მე, შიშსა და სირცხვილში, მოქმედებს რა სისხლის საშუალებით, მართავს სასიცოცხლო პროცესებს და შუაღედურ მდგომარეობაში აკავებს მათ. ამით შეუძლია ადამიანს ყოველივეს საზომად იქცეს.

ნერთუსის მისტერიებში, რომელთაც ქრისტეშობამდე მეორე ათასწლეულამდე დღესასწაულობდნენ ჩრდილო ევროპაში, ხატოვნად იყო წარმოდგენილი სირცხვილისა და შიშის საიდუმლო. ეტლი, რომელზეც ღვთაება ჰერთას (ნერთუსის) ქანდაკება იდგა და რომელიც მონებს მიჰყავდათ, აღდგომის დღეებში ზღვის

ტალღებში იძირებოდა. ამ ზღვას რუდოლფ შტაინერი „ენებათა ზღვას“ ეძახის, ჩაძირვაზე კი ამბობს, რომ ესაა იმ დროს ჭერაც არაეცნობიერად მიმდინარე განაყოფიერების აქტი.“ იქ მყოფ მონებს კი, რომელთაც მომხდარის დანახვა შეეძლოთ, კლავენ. აქ დაბადება და სიკვდილი ერთმანეთს ხელს ართმევს. ნერთუსი სირცხვილის ღეთაება არის, მისი მსახურები სიკვდილს განიცდიან და ამით შიშის სფეროებში შედიან. ყოველივე ამას სიცოცხლის გრძნობა საკუთარ საფარველს გადაათარებს, ადამიანი კი მისი წყალობით იძენს ძალას, „განიცადოს საკუთარი თავი, როგორც შინაგანი მთლიანობა“.

სიცოცხლის გრძნობა სამკურნალო პედაგოგიის კრილში

ის გადახრები, რომელთაც სამკურნალო პედაგოგიურ პრაქტიკაში ვხვდებით და რომელნიც მშენიერი მოვლას მოითხოვენ, ძირითადად ის მდგომარეობებია, რომელნიც ბავშვობისა და ყრმობისას იჩენენ თავს განვითარებაში მომხდარი დარღვევების შედეგად. ეს გადახრები აღმოცენდება იმის წყალობით, რომ განვითარების გარკვეული საფეხურების გავლა ან საერთოდ არ ხდება, ან ისინი თავის დროზე არ იჩენენ თავს. ამის შედეგია ნაადრევი ან დაგვიანებული განვითარება, რაც ხშირად მძიმე დისპარმონიებს იწვევს.

ამიტომ თუ გვსურს შევიმეცნოთ სიცოცხლის გრძნობასთან დაკავშირებული შესაძლო დარღვევები, მაშინ უნდა ვეკითხოთ, თუ როგორ ყალიბდება და სრულიქმნება ეს შეგრძნება ბავშვობის განმავლობაში. პასუხი ჩვენ უკვე შევამზადეთ ზემოთ მოყვანილი განაზრებებით. შეიძლებოდა მიგვეთითებინა, რომ ადრეულ ბავშვობაში სიცოცხლის გრძნობა გაცილებით უფრო ინტენსიურ როლს თამაშობს მშენიერი მოქმედებისთვის, ვიდრე მოგვიანებით. ჩილი და პატარა ბავშვი განსაკუთრებით

ძლიერ ექვემდებარება ორგანულ და სასიცოცხლო შეგრძნებებს. ამ პერიოდში არც სიმპათიკუსი და არც პარასიმპათიკუსი ნერვული სისტემა ფუნქციონირებს სრულყოფილად. დაბადების შემდეგ ვეგეტატიურ ნერვულ სისტემას ისევე დიდი დრო სჭირდება ჩამოყალიბებისათვის, როგორც დანარჩენ ნერვულ სისტემას. სიარული, მეტყველება და მოძრაობაც მხოლოდ სიცოცხლის პირველი სამი წლის მანძილზე ვითარდება, ხოლო ამ უნართა გაშლის ფეხდაფეხ მწიფდება ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემა.

მსგავსი რამ ითქმის ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაზეც. აქაც ადგილი აქვს საფეხურებრივ ჩამოყალიბებას, რომლის დროსაც ადრეული ბავშვობის პერიოდში სიმპათიკუსი თანდათან საკუთარ თავზე იღებს სიცოცხლის გრძნობის ორგანოს ფუნქციას, ზედა პარასიმპათიკუსი კი აზრის გრძნობის ორგანოდ იქცევა. სწორედ იმიტომ, რომ ჩვილ ბავშვში სიცოცხლის გრძნობა ჭერაც არაა ბოლომდე ჩამოყალიბებული, ორგანული შეგრძნებები მძლავრი და პირველხარისხოვანია. შიმშილი, წყურვილი, მუცლის ბერვა, მონელების დარღვევები, სუნთქვის სიძნელეები მძლავრობს სამშენიველზე, რომელიც ამ გრძნობათა სათამაშოდ იქცევა. სიმძლვრე და თბილად ყოფნა ჩვილისთვის იმდენად ყოვლისმომცველი სასიამოვნო განცდაა, რომ მის გვერდით თითქმის არც ერთ სხვა შეგრძნებას არა აქვს ადგილი.

შეიძლება დავუშვათ, რომ სიმპათიკუსის საბოლოო ჩამოყალიბება სიცოცხლის გრძნობის ორგანოდ გრძელდება დაახლოებით იმდენ ხანს, რამდენსაც ძუძუს წოვის პერიოდი, ანუ დაახლოებით ცხრა თვე. რაც უფრო ადრე ანებებს ბავშვი თავს ძუძუს, მით უფრო ნაკლები დრო აქვს ვეგეტატიურ ნერვულ სისტემას ჩამოყალიბებისათვის, ვინაიდან მოთხოვნები, რომელთაც უცხო საკვები უყენებს მონელებისა და ნივთიერებათა ცვლის პროცესებს, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე დედის რძის შემთხვევაში, რომელიც ზუსტად შეესატყვისება ჩვილს. ამიტომ დაახლოებით ცხრა თვეა საჭირო, სანამ სიცოცხლის გრძნობის ტბის ზედაპირის თხელი ფენა გადაეფარე-

ბოდეს ორგანულ პროცესებს. მაშინდა შეუძლია ბავშვს ისწავლოს საკუთარი ორგანული შეგარძნებების ატანა; ახლა ის თანდათან დგამს ნაბიჯებს, რომელთაც იგი იქამდე მიჰყავთ, რომ ახლა თავად აღზრდის (გოეთე) საკუთარ ორგანოებს და არა ორგანოები მას.

სიცოცხლის მომდევნო წლებში მეტყველების განვითარებასთან ერთად ხდება აზრის გრძნობის ჩამოყალიბება. სწორედ ვაგუსის ნერვის განშტოებებია მკიდრო კავშირში ხორხთან, როგორც ცენტრალურ სამეტყველო ორგანოსთან. ამით იქმნება შესაძლებლობა, ჩამოყალიბდეს აზრის გრძნობის ორგანო. „ამეტყველებამდე მისული სამშინველი ხორხს იყენებს სამეტყველო ორგანოდ... (ხორხის) კუნთებს თანდათან ეუფლება მეტყველი სამშინველი და შესაბამისი ნერვების საშუალებით სიტყვიერი სურათ-ხატები მიედინება მთლიან ავტონომიურ ნერვულ სისტემაში. იქ ისინი ერწყმიან მთლიანი ორგანიზმის სასიცოცხლო იმპულსებს და აღბეჭდავენ მასზე ენის თავისებურებას“.

ამრიგად, ზედა პარასიმპათიკუსი, ნერვუს ვაგუსი, ყალიბდება აზრის გრძნობის ორგანოდ და იძლევა იმის საფუძველს, რომ სამი წლის ასაკში ბავშვში გამოიღვიძოს აზრთა ჩამოყალიბების უნარმა. ასე რომ, შეგვიძლია ვისაუბროთ განვითარების შემდეგ საფეხურებზე: ერთი წლის ასაკში სიმპათიკუსი იქცევა სიცოცხლის გრძნობის ორგანოდ, ორი წლის ასაკში ზედა პარასიმპათიკუსში მიედინება ენის ნაკადი და ამის წყალობით სამი წლის ასაკში მას შეუძლია ჩამოყალიბდეს აზრის გრძნობის ორგანოდ.

განვითარების ამ პერიოდში მომხდარმა დარღვევებმა საქმე შეიძლება იქამდე მიიყვანოს, რომ ამ ორივე გრძნობის ორგანოს ჩამოყალიბება ან შენელდეს, ან დაჩქარდეს, ან საერთოდ შეფერხდეს. ამის შედეგი დიდად აზიანებს ბავშვის შემდგომ განვითარებას. კარგად უნდა წარმოვიდგინოთ, თუ რას ნიშნავს, როცა სიცოცხლის გრძნობა ვერ ყალიბდება მთლიან, ჩაკეტილ გრძნობად განცდად. თუ ამას აქვს ადგილი, მაშინ, ამგვარი ბავშვი ვერ იქონიებს სწორ მიმართულებას საკუთარ სხეულ-

თან. არ იარსებებს ის, რაც სხვა შემთხვევაში ადრეული ბავშვობიდანვე უშუალო განცდას წარმოადგენს, რისი წყალობითაც საკუთარ თავს „განვიცდით, როგორც შინაგან მთლიანობას“ და ამით შევიგრძნობთ ჩვენს თავს, როგორც „სივრცეში განფენილ სხეულებრივ მეობას“ არ ექნება ადგილი ხორციელ სხეულსა და სულიერ სამშენებელს შორის იდენტიფიკაციას, ამას კი ურთიერთობის მძიმე დარღვევები მოჰყვება. ბავშვის სამშენებელი სხეულს შევიგრძნობს არა როგორც საკუთარს, არამედ როგორც სამყაროს ნაწილს. ამის გამო მიწიერ არსებობაში დარწმუნებულობა უფრო და უფრო დაიკარგება და თავს იჩენს მძიმე აუტისტიური დარღვევების სიმპტომები.

არ ექნება ადგილი იმას, რაც საკუთარი სხეულის განცდად უნდა იქცეს. „ჩემი“ სხეული არ იარსებებს, არამედ სხეული იქცევა ჩემოდნის მსგავს წარმონაქმნად, რომელიც სამშენებელმა უნდა ათრიოს და არა მის ნაწილად და ინსტრუმენტად, რომელთანაც ურთიერთქმედებს. ამიტომ არ აღმოცენდება კარგად ყოფნის განცდა, რომელიც დღის ცნობიერებას ახლავს თან და არ განვითარდება პატარა ბავშვისთვის ასე დამახასიათებელი განწყობა – არსებობის ხალისი და სიხარული. ეს ბავშვები გაქვნილი არიან სევდიანი სერიოზულობით, რომელიც თითქოს იისფერ-ლურჯი ელფერით აფერადებს მათ არსებობას. ქამა რიტუალად იქცევა და როგორც ყველაფერ დანარჩენს, არ გააჩნია მხიარული უშუალობა. წარმოიქმნება უცნაური ცერემონიები და წეს-ჩვეულებები, რომელნიც იმასთან არიან დაკავშირებულნი, რომ საკუთარი სხეული უცხო სხეულია და ბავშვი კვებავს არა „საკუთარ თავს“, არამედ „მას“

ამგვარ ბავშვებს შეუძლიათ დალიონ მხოლოდ განსაკუთრებული მოყვანილობის თასებიდან, ქამონ მხოლოდ გარკვეული ფერის საკვები, ისხდნენ მხოლოდ გამორჩეულ ადგილებზე და კიდევ ვინ მოთვლის ამგვარ აკვიატებულ ქცევებს. ესენი უამრავი ვარიანტებით იჩენენ თავს. ბავშვის სამშენებელი არ არის

პირდაპირ დაკავშირებული მის კუთვნილ სხეულთან, არამედ მხოლოდ არაპირდაპირ. ამის შედეგი კი არის ღრმა აუტისტიური დარღვევა. ვინაიდან სხეული დგას სამშინველსა და გარე სამყაროს შორის; მას ისეთი მდგომარეობა უჭირავს, როგორც მზის დაბნელებისას მთვარეს, მზის წინ რომ დგას და აბნელებს მის შუქს.

შემდგომი განვითარების განმავლობაში „მე“-ს თქმის სტადია, მართალია, იჩენს თავს, მაგრამ ბავშვი ამ სიტყვით აღნიშნავს არა საკუთარ თავს, არამედ სხვა პირებს. რამეთუ მხოლოდ „სხეულებრივი მეობის“ განცდა, რომელსაც სიცოცხლის გრძნობა გვაძლევს და რომელიც აქ არაა ჩამოყალიბებული, განაპირობებს ამ ნორმალურ გამოცდილებას, რომელსაც ყოველი ბავშვი იძენს დაახლოებით სამი წლის ასაკში და რომელიც აძლევს მას ცოდნას იმისას, რომ იგი შემოფარგლული ინდივიდუალობაა. უკანასკნელი განცდა აკლიათ აქ აღწერილ ბავშვებს და ამიტომაც ისინი ავლენენ დაურწმუნებლობისა და დაუცველობის ნიშნებს. ამასთან კავშირშია ასევე ხშირად გამუდმებით არსებული შიში, რომლის ქვეშაც ამ ბავშვებს უხდებათ ცხოვრება. ვინაიდან სიცოცხლის გრძნობის არასრულყოფილი ჩამოყალიბება ქვეცნობიერის ზღურბლზე აჩერებს შიშს და იგი ყველა ხელსაყრელი შემთხვევისას წამოიშრება, როგორც არსება, განუწყვეტლივ რომ იღვიძებს და თრგუნავს სამშინველს.

მოგვიანებით შეიძლება ამას დაემატოს ასიმილაციისა და ნივთიერებათა ცვლის მძიმე დარღვევები, რომელთა შედეგია სხეულებრივი ზრდისა და განვითარების დისპარმონია.

ბევრ, თუმცა არა ყველა, ამგვარ ბავშვთან ვლინდება ინტელექტის მძიმე დარღვევები. ამასთან, საქმე ეხება არა თანდაყოლილ დეფექტს, არამედ მეტყველების განვითარების შეფერხების შედეგებს. მრავალი ბავშვი, რომელნიც ზემოთ აღწერილ სიმპტომებს ავლენენ, ვერ მეტყველებს. ხშირად მათ ენის გაგება კი არ უჭირთ; არამედ ვერ ახერხებენ აქტიურ მეტყველებას. ამის მიზეზი შეიძლება მრავალგვარი იყოს.

მაგ., ურთიერთობის დარღვევები ბავშვს ხელს უშლის მიბადვაში და ამით ფერხდება მეტყველების სწავლა. გარდა ამისა, საკუთარ სხეულთან კავშირის უქონლობამ შეიძლება მოსპოს ხმის ამოღებისა და ტიკტიკის ხალისი, ეს კი მეტყველების სტიმულს აქრობს, რაც უდიდესი მნიშვნელობის მქონეა დედაენის შესწავლისათვის. მაშინ ბავშვმა შესაძლოა მოახერხოს რაიმეს თქმა, მაგრამ არა დასახელება, სახელის დარქმევა და ლაპარაკი. მან შეიძლება გამოთქვას, გამოხატოს, ამოიყვიროს საკუთარი მშინვეერი მდგომარეობა, მაგრამ გარე სამყარო მას არასაკმარისად ეცოდინება, რათა სახელი დაარქვას და მით უმეტეს, ილაპარაკოს მასზე.¹²

ენის ვერაუფლების შედეგია აზრის გრძნობის ორგანოს განუვითარებლობა. ამით კონტაქტის დარღვევა უფრო ღრმა და აკვიატებული ხდება. წარმოთქმული სიტყვის გაგება თუმცა ზერხდება, ვინაიდან ბგერის გრძნობა ბავშვს გააჩნია, მაგრამ ნათქვამის დედააზრი დაფარული რჩება. თავს იჩენს სულიერი იზოლირებულობა, რის გამოც ეს ბავშვები ხშირად ტყვეებს ემსგავსებიან. ისინი მარტონი არიან მიუხედავად იმისა, რომ აღამიანებს შორის არიან. ისინი თავს გარიყულად გრძნობენ, თუმცა სხვები ცდილობენ მათთან ურთიერთობის დამყარებას. საკუთარი თავის ვერ გაგებინება თითქოს უხილავი გალიაა, რომელიც აცალკევებს ამ ბავშვს გარე სამყაროსაგან. ამ სულიერ უდაბნოში შემდეგ ჩნდება ჰალუცინაციები და აკვიატებული იდეები; მრისხანების უეცარი შეტევები არის პასუხი ამაზე. ამ მდგომარეობიდან პუბერტეტის შემდეგ შეიძლება შიზოფრენია განვითარდეს.

სიცოცხლისა და აზრის გრძნობების არასრულყოფილი განვითარებიდან მომდინარე სიმპტომების წარმოდგენისას მე თავი ავარიდე, ამ მდგომარეობისთვის გარკვეული ტერმინები დამერქმია. ამის საფუძველია ის ფაქტი, რომ სადღეისოდ არ არსებობს მათი შესაფერისი საყოველთაო ნომენკლატურა. ზოგი, განსაკუთრებით ამერიკელი, ავტორი საუბრობს ბავშვურ აუტიზმზე, ასევე გამოიყენება ისეთი სახელწოდებები, როგორი-

ცაა პრეფსიკოზი, ინფანტილური შიზოფრენია და სხვა. დღეს-დღეობით ჭერაც ვერ ხერხდება ქცევის ამ მძიმე დარღვევების მკაფიოდ კლასიფიცირება და მოწესრიგება; ამიტომაც მე საქმე მქონდა ფენომენებთან და არა სახელწოდებებთან.

ასევე შეუძლებელია ცალსახად დადგენა იმისა, თუ რა მიზეზებით იჩენს თავს დარღვევები, რომელთაც სიცოცხლისა და აზრის გრძნობების არასრულყოფილი ჩამოყალიბება მოს-დევს. მაგრამ უთუოა, რომ ვეგეტატიური ნერვული სისტემის განვითარების ნაკლოვანება ასევე პასუხისმგებელია ამაზე. ვეგეტატიური ნერვების ერთობლიობა მთლიანი ნერვული სისტემის ნაწილია და მასავით შეიძლება არასრულყოფილად ან არასწორად იყოს ორგანიზებული. ამან კი შეიძლება აქ აღწერილი მდგომარეობები გამოიწვიოს.

ამგვარ ბავშვთა სამკურნალო პედაგოგიკა უმძიმესი ამოცანაა და ცალკე სალაპარაკო თემაა. აქ კი საქმე ეხებოდა სიცოცხლის გრძნობის თავისებურებისა და განვითარების ფენომენოლოგიურ დახასიათებასა და მისი და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული აზრის გრძნობის დაზიანების შედეგების აღწერას.

საკუთარი მოძრაობის გრძნობა

რა არის საკუთარი მოძრაობის გრძნობა?

შეხებისა და სიცოცხლის გრძნობების განხილვას ახლა უნდა მოჰყვეს რუდოლფ შტაინერის მიერ საკუთარი მოძრაობის გრძნობად წოდებული გარე გრძნობის აღწერა და გარჩევა. ესაა მესამე იმ ოთხ „ქვედა“ გრძნობათაგან, რომელთა ამოცანაცაა ჩვენი საკუთარი სხეულბრივობის მდგომარეობის შეგრძნების უზრუნველყოფა. შეხებისა და სიცოცხლის გრძნობების მსგავსად საკუთარი მოძრაობის გრძნობაც იძლევა ჩვენი სხეულბრივი არსებობის განცდას.

შეხების გრძნობის მეოხებით ვაცნობიერებთ საკუთარი სხეულის საზღვრებს. სიცოცხლის გრძნობა განგვაცდევინებს იმ ზოგად მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება ეს სხეული; შეიგრძნობა კარგად და ცუდად ყოფნა. საკუთარი მოძრაობის გრძნობა განავრცობს ამ განცდათა სფეროს, ვინაიდან ახლა აღიქმება სხეულის ცალკეული ნაწილების ურთიერთგანლაგება და ურთიერთმდებარეობა. სახელწოდებით „საკუთარი მოძრაობის გრძნობა“ რუდოლფ შტაინერს სურდა გამოეხატა, რომ მისი საშუალებით აღვიქვამთ არა სხვა სხეულების მოძრაობას, არამედ საკუთარი სხეულისას. მისი მეოხებით ჩვენ გარშემომყოფი საგნების მოძრაობას კი არ ვხედავთ, ვისმენთ ან შევიგრძნობთ, არამედ განვიცდით მოძრაობის პროცესებსა და მათ შედეგებს იმდენად, რამდენადაც ისინი ჩვენს საკუთარ სხეულს ეკუთვნიან. რუდოლფ შტაინერი ამბობს მასზე: „ამ გრძნობისაგან (სიცოცხლის გრძნობისგან) განსხვავებულია ის, რომლის მეოხებითაც ადამიანი აღიქვამს მის მიერ განხორციელებულ მოძრაობას. ჩვენ ვამოძრაებთ ფეხს და აღვიქვამთ

ამ მოძრაობას... საკუთარი მოძრაობის გრძნობა აღიქვამს იმას, სადაც მოქმედება, მოძრაობა იგულისხმება“.¹

სხვა ადგილას შემდეგ განმარტებებს ვხვდებით: „თქვენ ვერ იქნებოდით ადამიანური არსება, საკუთარი მოძრაობების აღქმა რომ არ შეგძლებოდათ. მანქანა არ აღიქვამს საკუთარ მოძრაობას, ეს შეუძლია მხოლოდ ჰემმარიტად ცოცხალ არსებას. შეგრძნება იმისა, რასაც ჩვენ ვამოძრავებთ ჩვენს თავში, თვალის დახამხამებიდან ფეხის მოძრაობის ჩათვლით, ნამდვილად მეორე გრძნობაა, საკუთარი მოძრაობის გრძნობა“.²

ეს შეგრძნება კარგადაა ცნობილი დღევანდელი ფიზიოლოგისთვის. იგი მას სხვადასხვა სახელებს არქმევს. ჩვეულებრივ, მას აღწერენ, როგორც „კუნთურ ან ძალის შეგრძნებას“. ასევე აღნიშნავენ, როგორც „სიღრმისეულ სენსიბილობას“ ანდა „პროპრიოცეპტივობას“. შეგრძნებათა ფიზიოლოგია ასე აღწერს მას: „მისი მეოხებით აღვიქვამთ სხეულისა და მისი ცალკეული ნაწილების მდებარეობასა და აქტიურსა და პასიურ მოძრაობებს; მისი საშუალებით ვამჩნევთ წინააღმდეგობას მოძრაობის შესრულებისას ანდა მცდელობისას, შევინარჩუნოთ სხეულის ნაწილების გარკვეული მდებარეობა, ასევე შეგვიძლია ვიმსჯელოთ საგნის სიმძიმეზე. კუნთური სენსიბილობის თანააქტივობას მიეწერება აგრეთვე კიდურებში დაღლილობის, მოწყვეტილობისა და სიმძიმის გრძნობა დამატული კუნთური მუშაობის შემდეგ“.³

ამ აღწერიდან ჩანს, რომ ვინაიდან შეგრძნებების ფიზიოლოგია სიცოცხლის გრძნობას არ აღიარებს დამოუკიდებელ შეგრძნებად, იგი იძულებულია საკუთარი მოძრაობის ანუ კუნთურ გრძნობას მიაწეროს ისეთი შეგრძნებები, რომელნიც სულაც არ ეკუთვნიან მას. რამეთუ „დაღლილობის, მოწყვეტილობისა და სიმძიმის გრძნობა კიდურებში“ აშკარად სიცოცხლის გრძნობის სფეროს განცდაა. ხოლო წინააღმდეგობის შეგრძნება მოძრაობის განხორციელებისას და ჩვენს მიერ გადაადგილებული საგნის წონაზე მსჯელობა არის განცდა. რომელიც შეხებისა და წნევის გრძნობის სფეროს უნდა მივაკუთვნოთ.

კუნთური გრძობა გვაძლევს მხოლოდ ჩვენი სხეულისა და მისი ნაწილების მოძრაობის შეგრძნებას.

სამწუხაროდ, შეგრძნებათა ფიზიოლოგია ჯერაც ძლიერ შორსაა იქიდან, რომ სწორი წარმოდგენა ჰქონდეს საკუთარი მოძრაობის გრძობის მთელ მნიშვნელობაზე. იგი აღწერს მას, აკავშირებს მის მოქმედებას გარკვეულ ნერვულ დაბოლოებებთან (რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ), მაგრამ ფაქტობრივი კვლევის შედეგების უჩვეულოდ დიდი უკმარისობის გამო ვერ ახერხებს ამ გრძობის ნამდვილი შესაძლებლობების გაგებას. რამოდენიმე ხნის წინ გამოცემულ ბუდენბროკის¹ „შედარებითი ფიზიოლოგიის“ სახელმძღვანელოს პირველ ტომში, რომელიც შეგრძნებათა ფიზიოლოგიას ეხება, შეხების გრძობას დათმობილი აქვს 20 გვერდი, წონასწორობის გრძობას 60 გვერდი, საკუთარი მოძრაობის გრძობას კი მხოლოდ 6 გვერდი. ეს მკაფიო ნიშანია ამ სფეროში ჩვენი ცოდნის სიმწირისა.

პირველმა რუდოლფ შტიინერმა მიუთითა საკუთარი მოძრაობის შეგრძნებაზე, როგორც გარე გრძობების დამოუკიდებელ სფეროზე. ფიზიოლოგიას ჯერაც ძალზე არასრულყოფილი გაგება აქვს ამ გრძობის ყოვლისმომცველი მნიშვნელობისა. მხოლოდ ნევროპათოლოგიის შესწავლა იძლევა მკაფიო მინიშნებებს მის ფუნქციაზე. დაავადებებისას, რომელნიც ლოკალურად ან გენერალიზებულად იჩენენ თავს ნერვულ სისტემაში და აზიანებენ საკუთარი მოძრაობის გრძობასაც, მოტორიკა შეიძლება სერიოზულად დაირღვეს. ჰქვება მოძრაობის მდინარება, მიზანსწრაფულობა, ჰარმონიულობა და უნდა დავასკვნათ, რომ მოძრაობა ნორმალურად მხოლოდ მაშინ ხორციელდება, როდესაც საკუთარი მოძრაობის გრძობა დაუზიანებელი არის. სასიცოცხლო პროცესების მიმდინარეობის დარღვევა შესამჩნევი ხდება სიცოცხლის გრძობის სფეროს შეგრძნებების მეოხებით. მაშინ კარგად ყოფნის ზოგად განცდას არღვევს სხვადასხვა სახის ორგანული შეგრძნებები. შეხების გრძობის სფეროს დარღვევა იწვევს დაურწმუნებლობას, შიშს,


საკუთარ სხეულში დამკვიდრების უუნარობას. საკუთარი მოძრაობის გრძობა კი, როცა ის არასწორად ფუნქციონირებს, უშუალო უკუშემოქმედებას ახდენს თავად მოძრაობაზე, რომლის აღქმასაც იგი ემსახურება. შეხებისა და სიცოცხლის გრძობებში აღქმა და აღქმის საგანი ერთმანეთისგან რამდენადმე დამოუკიდებელია. საკუთარი მოძრაობის გრძობის სფეროში კი საქმე სულ სხვაგვარადაა, ვინაიდან მოძრაობა მხოლოდ მაშინ შეიძლება მიმდინარეობდეს აზრიანად, როდესაც სწორად აღიქმება. მოძრაობის გრძობა მოძრაობას აზრს აძლევს. აღქმის გარეშე მოტორიკა იშლება წყვეტილ მოძრაობებად და მოძრაობის უაზრო მცდელობებად.

წონასწორობის გრძობაში აღქმისა და მოძრაობის შერწყმის პროცესი კულმინაციას აღწევს, ვინაიდან აქ მხოლოდ შეგრძნებათა კომპლექსური მოქმედება ხდის შესაძლებელს წონასწორობის მდგომარეობას.

შემდეგ სტემაში თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ეს მიგნება. ამის გაგება უდიდესი მნიშვნელობის მქონეა, რადგანაც იგი ნათელს ხდის, რომ თავად აღქმა შეიძლება აღქმულის განუყოფელი ნაწილი გახდეს.

აღქმული

აღქმა



საკუთარი მოძრაობის გრძობით მიღებული განცდები

საკუთარი მოძრაობის გრძობის აღქმის უნარი ვრცელდება მთელ ჩვენს სხეულზე. შეიძლება ითქვას, რომ ყველგან,

სადაც კი კუნთებია, მოძრაობის გრძნობაც არსებობს. როგორც შეხების გრძნობაა მჭიდროდ დაკავშირებული კანთან, ასევე საკუთარი მოძრაობის გრძნობას ალქმის ველი კუნთების სფეროში აქვს. საკუთარი მოძრაობის გრძნობა ალიქვამს კუნთების მოქმედებას, რომელიც პირველ რიგში რიტმულ შეკუმშვა-გაშლას წარმოადგენს. ამასთან, შეკუმშვას თან ახლავს კუნთების დამოკლება, გაშლას კი ოდნავი დაგრძელება. ეს ზოგადი შეგრძნება განიერცობა სხეულის სხვადასხვა ნაწილების ურთიერთგანლაგების ალქმად, ბოლოს კი ადის დიდი მოძრაობების ფორმების ერთობლივ განცდამდე. დგომა და ჯდომა, სიარული და სირბილი, გადახტომა და ხტუნვა, წერა და თხრა, მაკრატლით ჭრა და ჩაქუჩის დარტყმა ისეთი მთლიანობითი განცდებია, რომელნიც მეტ-ნაკლებად ღრმად ალიბეჭდებიან ჩვენს შეგრძნებებში, ალქმებსა და წარმოდგენებში.

საკუთარი მოძრაობის გრძნობის საშუალებით განცდათა მთელი თანმიმდევრობა გვეძლევა. პირველ რიგში გვაქვს ჩვენი კუნთების შეკუმშვა-გაშლის ბუნდოვანი შეგრძნებები. ისინი დღის ცნობიერების ზღურბლზე იმყოფებიან და უმეტესწილად არ განიცდებიან. სხეულის ნაწილების ურთიერთგანლაგება უკვე ალქმის ველში შემოდის. ჩვენ ზუსტად შევიგრძნობთ, მოხრილია თუ გაქიმული ჩვენი თითი; მკერდის წინაა თუ უკან, ანდა მხარს ზემოთაა თუ ქვემოთ ჩვენი ხელი. თვალდახუჭულებსაც მკაფიო ალქმა გვაქვს ამისა. დიახ, ამ სფეროში დიფერენცირების უნარი არაჩვეულებრივად დახვეწილადაა ჩამოყალიბებული. „ნორმალურ პირობებში იდაყვის სახსარში ალიქმება მოძრაობები, რომელნიც საშუალოდ $0,038^\circ$ კუთხით ბრუნს შეესაბამებიან“ ამით შეიძლება ვიმსჯელოთ ამ ალქმათა გასაოცარ სიზუსტეზე.

მოძრაობის ფორმები წარმოდგენების სფეროში სურათ-ხატად გარდაიქმნება. ეს წარმოდგენები თანდათან მოიპოვება ვარჯიშისა და მრავალჯერ განმეორებადი შესრულების შედეგად; ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ჯერ უნდა მივალწიოთ რთული მოძრაობების განხორციელებას და შემდეგ შევინარჩუნოთ ისინი. წარმოდგე-

ნის დაუმახინჩებელი ხატი ისევე აუცილებელია მათი შესრულებისთვის, როგორც თავად მოტორული აქტივობა. მოტორიკა ეყრდნობა წარმოდგენას, წარმოდგენას კი კვლავ მოტორიკა აყალიბებს. აქ აღგილი აქვს ურთიერთქმედებას, რომელიც ორი ათეული წლის წინ აღწერა ვაიც ზეკერმა, როგორც „გემტალტთა წრე“. აქედანვე იღებს სათავეს გასული საუკუნის ბოლოს ვენელი ფიზიოლოგის ექსნერის მიერ შემუშავებული შეხედულება „სენსომობილობის“ შესახებ. როგორც ვაიც ზეკერისთვის, ისე ექსნერისათვის, იმდენად მკაფიო იყო ფენომენების ენა, რომ ისინი ხედავდნენ მოძრაობისა და აღქმის შინაგან ურთიერთკავშირს.

ასე აღიმართება საკუთარი მოძრაობის გრძნობის ორგანიზაცია კუნთური აქტივობის თითქმის არაცნობიერი შეგრძნების სიღრმეებიდან, სხეულის ნაწილების განლაგებისა და მოძრაობის ბუნდოვანი აღქმის გავლით, შესრულებული მოძრაობების კომპლექსური წარმოდგენების სფერომდე. შეიძლება სადავო იყოს, ეს წარმოდგენები მიეკუთვნება თუ არა გრძნობადი პროცესების სფეროს. მაგრამ საკუთარი მოძრაობის გრძნობის შესახებ ობიექტური და ყოვლისმომცველი თვალსაზრისის მოსაპოვებლად აუცილებელია, მასთან დაკავშირებულ იქნეს როგორც აღქმა, ისე წარმოდგენა. ეინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ თვალი მოვაელოთ აქ წარმოდგენილი ფენომენების ერთობლიობას.

აღამიანისა და შესაძლოა ცხოველის მოტორიკის მთლიან სფეროს ესაჭიროება მოძრაობის მიმდინარეობისა და საკუთარი მოძრაობის გრძნობის სფეროს ჰარმონიული ურთიერთქმედება. მხოლოდ ეს ერთიანობა მშვენიერი განცდისა და ორგანული მოძრაობისა ხდის შესაძლებელს ყოველი მოტორული აქტის მთელ კომპლექსს. რასაც სადღეისოდ ფიზიოლოგია წარმოგვიდგენს, როგორც კუნთურ გრძნობას, მხოლოდ ყველაზე ჭკედა შრეა, რომელიც კუნთური შეგრძნების სახით აღწერეთ.

რუდოლფ შტაინერი ყურადღებას ამახვილებს საკუთარი მოძრაობის გრძნობის კიდევ ერთ მოქმედებაზე. ვალდორფის

სკოლის მასწავლებლებისთვის წაკითხულ ლექციებში ნათქვამია: „როდესაც ადამიანი ფერად წრეს აღიქვამს, იგი უხეშად ამბობს: მე ვხედავ ფერს, ასევე ვხედავ წრის სიმრგვალებას, წრის ფორმას. მაგრამ ამ დროს ერთმანეთშია აღრეული ორი სრულიად სხვადასხვა რამ. საკუთრივ თვალის მოქმედებით... თქვენ პირველ რიგში მხოლოდ ფერს ხედავთ. წრის ფორმას კი ხედავთ, რამდენადაც თქვენს ცნობიერებაში იყენებთ საკუთარი მოძრაობის გრძნობას – არაცნობიერად ეთერულ სხეულში, ასტრალურ სხეულში შემოწერავთ წრეს და შემდეგ შემეცნებაში ამოგაქვთ ეს. და როცა მოძრაობის გრძნობით აღქმული წრე შემეცნებაში შემოდის, მხოლოდ მაშინ უკავშირდება შეცნობილი წრე აღქმულ ფერს. ამრიგად, ფორმა ამოგაქვთ მთელი თქვენი სხეულიდან, რამდენადაც მიმართავთ მთელ სხეულზე განფენილ მოძრაობის გრძნობას... სადღეისოდ ოფიციალური მეცნიერება ვერ მიდის იმდენად ფაქიზ დაკვირვებამდე, რომ გამოიკვეთოს განსხვავება ფერის ხედვასა და მოძრაობის გრძნობით გაშუალებულ ფორმის აღქმას შორის; იგი ყველაფერს ერთმანეთში ურევს“.

ეს ციტატა იმიტომ მოვიყვანეთ აქ ასე სიტყვა-სიტყვით, რომ იგი შეიცავს ერთ ძირეულ მითითებას, რომელიც დღემდე სრულებით უგულებელყოფილია შეგრძნებათა ფიზიოლოგიის მიერ. იგი ეხება მხედველობისა და მოძრაობის გრძნობების შინაგან გადაჯაჭვულობას. ისმის კითხვა: როგორ წარმოიქმნება საკუთარი მოძრაობის გრძნობის სფეროში ასეთი აღქმები, როგორიცაა წრის აღქმა?

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ იმ პროცესების დაკვირვებებმა, რომელთაც ადგილი აქვთ ხელოვნების ნაწარმოებების კერეტიკსას, აჩვენა, რომ ადამიანები, რომელთაც მარჯვენა ხელი აქვთ დომინანტური, ნახატის დათვალიერებას იწყებენ მარცხენა ქვედა კუთხით, შემდეგ კი მზერა რკალისებურად გადააქვთ მარჯვნივ და ზევით.¹⁵ მაგრამ არა მარტო სურათის თვალიერებისას, არამედ მხედველობის ყოველი აქტისას მონაწილეობს თვალების, თავის, კისრის და ტანის ზედა ნაწილის მოტორი-

კა. არ არსებობს მხედველობის აქტი კუნთური სისტემის გარკვეული ნაწილების თანამდევით მოძრაობის გარეშე. ოღონდ ეს თანამოძრაობა იმდენად ფაქიზი და უჩინარია, რომ უმეტეს შემთხვევებში არ ექცევა ყურადღება, მაგრამ იგი მთლიანი მხედველობის აქტის უცილობელი ფუნქციაა და ამ სფეროში ადგილი აქვს საკუთარი მოძრაობისა და მხედველობის გრძობების ურთიერთქმედებას. კუნთების თანამოძრაობა აღმოაჩენებს საკუთარი მოძრაობის გრძობის რუდოლფ შტაინერის მიერ ხსენებულ ქვეცნობიერ შეგრძნებებს, რომელნიც შემდეგ წარმოდგენებად იქცევიან და წრის სურათ-ხატის ფერს ერწყმიან. ნებსითი მუსკულატურის ნაწილების ეს მოქმედება ხორციელდება კუნთების სხვადასხვა ჯგუფების სუსტი შეკუმშვა-გაშლის სახით, რისი შედეგიცაა მოძრაობის დანახული ფორმის მოტორული იმიტაცია.

არა მარტო თვალი, არამედ ყურიც და ცხვირიც, ენაც და კანიც, რამდენადაც ისინი გრძობის ორგანოებს წარმოადგენენ, მკიდროდაა დაკავშირებული მოძრაობის გრძობასთან. მიმართულების სმენითი აღქმა მოძრაობის გრძობის ნაწილია; აგრეთვე „დაჯნოსვა“, რომელიც ცხოველთა ჯნოსვის სფეროში ასე ცხადად იჩენს თავს, მოტორული გრძობის არეალს ეკუთვნის. ამით ჩვენ არა მარტო საგანთა ფორმებს აღვიქვამთ; არამედ მათი ურთიერთდაშორება, ჩვენგან დაშორებულობა, მათი სწრაფი თუ ნელი მოძრაობა ასევე „სრულდება“ ჩვენი მთლიანი მუსკულატურის მიერ და ამით უშუალოდ შემოდის ჩვენი განცდებისა და გამოცდილების სფეროში. ნებსითი კუნთური სისტემა არა მარტო მამოძრავებელია, არამედ ძალზე დახვეწილი რეზოტანორიცაა გარე სამყაროს ყველა ფორმისა და მოძრაობის მიმართ.

ეს რთული რეზონანსული სისტემა საკუთარი მოძრაობის გრძობის მოქმედების ორგანული სფეროა. ახლა კი ვხვდებით, თუ რატომ უნდა იყოს ასე მკიდროდ დაკავშირებული ერთმანეთთან გრძობადი განცდები და მოძრაობა. თავად კუნთი ერთსა და იმავე დროს მამოძრავებელიცაა და შემგრძნებიც;

მოქმედებისა და გრძნობის ორგანო, რომლის აღწერასაც ახლა შევუდგებით. კუნთური სისტემის სახით გაგვაჩნია ფორმისა და გეშტალტის დეტექტორი, რომელიც შეგრძნების დახვეწილი ორგანოს სახით მოქმედებს.

საკუთარი მოძრაობის გრძნობის ორგანო

როგორც კანი გარშემოწერს შეხების გრძნობის სფეროს, ასევე გარშემოწერს კუნთური სისტემა საკუთარი მოძრაობის შეგრძნებათა სფეროს. აქტიური კუნთი, რომელიც იკუმშება და დუნდება, ნებით განმსჭვალული გრძნობის ორგანოს ნაწილია. მაგრამ ამ ნებიდან აღმოცენებული შეგრძნების აღქმისთვის საჭიროა ნერვული სტრუქტურა, რომლითაც უხვადაა ეს კუნთი აღქურვილი.

უკვე ასი წლის წინ ფიზიოლოგმა ვილჰელმ კიუნემ კუნთში ნერვების გვერდით აღმოაჩინა გრძნობის ორგანოთა მსგავსი წარმონაქმნები, რომელნიც მას შემდეგ პროპრიოცეპტორთა სახით იქნენ აღწერილნი და კუნთურ გრძნობასთან დაკავშირებულნი. ეს ე.წ. კუნთის თითისტარები შედგება არადიფერენცირებული კუნთური ბოქკოებისგან, რომელნიც გარშემოჭოფი ქსოვილებისგან გამოყოფილნი არიან. ამრიგად, საქმე ეხება „კუნთს კუნთში“. ეს თითისტარები, რომელნიც კუნთების ბოქკოების მიმართულებით არიან ორიენტირებულნი, წარმოადგენს 1-3 მმ სიგრძის, 0,2 მმ სისქის სტრუქტურებს და გარშემორტყმულია ძლიერი შემაერთებელი ქსოვილით.“¹⁶ ამ გრძნობის ორგანოთა განაწილება სხვადასხვანაირია. თითების პატარა კუნთებსა და თვალის კაკლის მამოძრავებელი კუნთების ბოლოებში ისინი განსაკუთრებით მრავალრიცხოვანნი არიან.“¹⁷ ამ უცნაურ გრძნობის ორგანოებს გარს ეხვევა უამრავი ნერვული ბოქკო. დღესდღეობით შესაძლებელია გარკვეული დარწმუნებულობით ეს სტრუქტურები საკუთარი მოძრაობის გრძნობას დავუკავშიროთ. თუმცაღა მათი ფუნქცია ჭერჭე-

რობით ზუსტად მაინც არაა ცნობილი.

გარდა კუნთის თითისტარის განმსჯეალავი ნერვული ბოქკოვებისა არსებობს დიდი რაოდენობის ნერვი, რომელნიც, როგორც ჩანს, მჭიდრო კონტაქტში არიან თავად კუნთურ ბოქკოვებთან. ამ ნერვებისა და მათი უფაქიზესი განშტოებების დაბოლოებები ვრცელდება ლანჩისებრ სტრუქტურებზე, რომელნიც მჭიდროდ ეკვრიან კუნთურ ბოქკოვებს. კუნთის განმსჯეალავ ამ ნერვულ ორგანოებს "მოტორულ ფირფიტებს" უწოდებენ. თანამედროვე ფიზიოლოგია მათში ხედავს წარმონაქმნებს, რომელნიც ეფერენტულ ნერვულ გალიზიანებებს გადასცემენ კუნთურ ბოქკოვებს. ვინაიდან ჭერაც გავრცელებულია წარმოდგენა, რომ კუნთი მოტორული ნერვული იმპულსის პასუხად ამოძრავდება. ამით ნერვული იმპულსი ცხადდება. პირველად აქტად, რომელსაც მოძრაობა ავტომატურად მოსდევს.

სანამ არ გადაილახება ეს ფატალური შეცდომა, იქამდე ვერც საკუთარი მოძრაობის გრძნობა მოიპოვებს კუთვნილ ადგილს. ნერვი კუნთის მამოძრავებელი კი არაა, არამედ ის ორგანიზაციაა, რომელიც სამშენველს შეაძლებინებს მოძრაობის აღქმას. ამაზე გამუდმებით ხაზგასმით მიუთითებდა რუდოლფ შტაინერი. მაგრამ დღემდე, ნახევარი საუკუნის შემდეგაც, მისი მინიშნებები არაა გაზიარებული, რის გამოც ნერვებისა და კუნთების ფიზიოლოგია მცდარ წარმოდგენათა ბაღეში გახლართული რჩება.

აქ ვერ შევუდგებით მოტორული და სენსორული ნერვების პრობლემის განხილვას. მაგრამ ის კი უნდა ვიკითხოთ, თუ როგორ ხდება, რომ კუნთურ აპარატს, რომელიც წინა ქვეთავში აღვწერეთ, როგორც გეშტალტისა და ფორმის დეტექტორი, ამ ფუნქციების შესრულება შეუძლია. „თანამდევნი მოძრაობების“ მეოხებით ჩვენ ისე განვიცდით გარე სამყაროს საგანთა და არსებათა ფორმებს, რომ შეგვიძლია მათ მივბაძოთ. როგორ ხდება „თანამოძრაობის“ ეს პროცესი? ეს კითხვა ეხება იმ პრობლემათა გულს, რომელნიც საკუთარი

მოდრაობის გრძობასთან არიან დაკავშირებულნი. ვინაიდან ამ შეგრძნების საშუალებით ჩვენ არა მარტო საკუთარ მოძრაობებს აღვიჭვამთ, არამედ ვბაძავთ კიდეც ჩვენს გარემოში არსებულ მოძრაობებს. ამრიგად, კუნთური გრძობის სფეროში ჩვენ გარემომცველი ფორმების სამყაროს წევრი ვხდებით.

ამ კითხვაზე პასუხს ვიპოვით, თუ ყურადღებით წავიკითხავთ რუდოლფ შტაინერის მოსაზრებებს მოტორული და სენსორული ნერვების პრობლემის შესახებ: „გარე გრძობების საშუალებით გარე სამყარო ისე შემოდის ორგანიზმში, როგორც ყურეში. როდესაც სამშინველი მოიცავს გარე გრძობებში მიმდინარე მოვლენებს, იგი შინაგან ორგანულ პროცესებში კი არ მონაწილეობს, არამედ გარე მოვლენების გაგრძელებაში ორგანიზმის შიგნით... ასევე მოძრაობისას ჩვენ ფიზიკურად საქმე არ გვაქვს იმასთან, რაც ორგანიზმის შიგნითაა, არამედ ორგანიზმის მოქმედებასთან წონასწორობისა და ძალთა ველში, რომელშიც ორგანიზმია ჩართული. ორგანიზმის შიგნით ნებას მხოლოდ ნივთიერებათა ცვლის პროცესი მიესადაგება; მაგრამ ამ პროცესით გამოწვეული მოვლენა იმავდროულად არსისმიერი რამაა გარე სამყაროს წონასწორობისა და ძალთა ველში; ნებელობითი აქტივობისას სამშინველი მოიცავს ორგანიზმის სფეროს და ამ აქტისას განიცდის გარე სამყაროს მოვლენებს“.²⁴

აქ რუდოლფ შტაინერი ნათლად მიუთითებს, რომ როგორც გრძობად პროცესებში, ისე ნებელობითში, სამშინველი მონაწილეობს არა იმ აქტივობებში, რომელთაც ადგილი აქვთ მის განკარგულებაში მყოფ სხეულში. გარე გრძობების ზონაში გარე სამყარო ისე შედის, როგორც „ყურეში“, ხოლო ნებელობითი აქტისას ხორციელდება ქმედება, რომელიც ჩართულია გარემოს „წონასწორობისა და ძალთა ველში“ ამის შემდეგ, ეხება რა ნერვების ფუნქციებს, რუდოლფ შტაინერი ამბობს ჩვენი განხილვებისთვის უმნიშვნელოვანეს სიტყვებს: „ი.წ. მოტორული ნერვი მოძრაობას იმ გაგებით კი არ ემსახურება, როგორც ამას თვლის მოძღვრება ამგვარი დაყოფის (მო-

ტორულ და სენსორულ ნერვებად) შესახებ, არამედ როგორც ნერვული აქტივობის მატარებელი, იგი ემსახურება ნივთიერებათა ცვლის ამ პროცესის შინაგან აღქმას, რომელიც ნებელობას უდევს საფუძვლად, ზუსტად ისევე, როგორც სენსორული ნერვი ემსახურება იმის აღქმას, რაც გრძნობის ორგანოში მიმდინარეობს“.

„შინაგანი აღქმა“, რომელზეც აქაა საუბარი, კუნთებში დაკავშირებულია იქ მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესებთან. ესენი თავის მხრივ ჩართულნი არიან „წონასწორობისა და ძალთა ველში“ და ამიტომაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ იქ არსებულ მოძრაობისა და ფორმის ტენდენციებში. ისინი თავად არიან ამ ტენდენციათა ნაწილნი და ქლადნიტური ფირფიტის მსგავსად ირხევიან მოძრაობის ამ ფორმებთან ერთად. თუ ამას გავიგებთ, მაშინ მოტორული ფირფიტების ფუნქციაც გაირკვევა. ესენი კუნთების მოძრაობის აღმძვრელნი კი არ არიან, არამედ ნივთიერებათა ცვლის იმ პროცესების „შინაგანი აღმქმელები“, რომელნიც კუნთებში მიმდინარეობენ და ნებელობის საფუძველნი არიან.“ ვინაიდან ეს ფირფიტები „მოტორული“ ნერვების უშუალო დაბოლოებებია, სამშინველს შეუძლია პირდაპირი მონაწილეობა მიიღოს აქ მიმდინარე პროცესებში. ამგვარად, ეს „მოტორული ნერვები“ შეგვაძლებინებს აღვიქვათ წრე, როგორც მრგვალი მოძრაობა, კვადრატი — როგორც ოთხკუთხა მოძრაობა, სამკუთხედი — როგორც სამკუთხა მოძრაობა. აქ უნდა ვეძიოთ გეშტალტ-ფსიქოლოგიის ფიზიოლოგიური საფუძვლები.

თითისტარისებრი ბოქკოები კი, რომელნიც მყესებში და სახსრებშიც არიან, ნამდვილი გრძნობის ორგანოებია; ანატომიურად ეს უკვე იქიდან ჩანს, რომ ისინი გამოცალკევებულნი არიან დანარჩენი კუნთების, მყესებისა და სახსრების სტრუქტურისაგან. ისინი ემსახურებიან ჩვენი სხეულის ნაწილების ურთიერთმდებარეობისა და ერთმანეთის მიმართ მოძრაობის აღქმას. ეს თითისტარისებრი ბოქკოები თვალის პატარა, პრიმიტიული ბროლის მსგავსია, რომელიც ჩამჭდარია

კუნთებისა და მყესების ქსოვილებში. ისინი აღიქვამენ სხეულის შიდა სივრცეს და ამით ზომავენ და ითვლიან მისი ნაწილების მდებარეობასა და პოზას. მათგან მომდინარეობს მოძრაობის აღქმები და მოძრაობის რთული პროცესების წარმოდგენები. ამ თითისტარისებრ ბოქკოებთან დაკავშირებული ნერვები თავისი არსით „მოტორული“ მსგავსია, ოღონდ ფიზიკურად მათ არ ემთხვევა. ეს ასეც შეგვიძლია გამოვთქვათ: თითისტარისებრი ბოქკოების ნერვები აღიქვამენ; მოტორული ფირფიტების ნერვები კი მონაწილეობენ. ორივე ნერვი არსით ურთიერთმსგავსია, ფუნქციის მიხედვით კი – ერთმანეთისგან განსხვავებული.

ამრიგად, ჩვენ შევიცანით მოძრაობის გრძობის ორგვარი ბუნება და მნიშვნელობა. იგი ემსახურება არა მარტო ჩვენი საკუთარი სხეულის მიერ შესრულებული მოძრაობების აღქმას, არამედ სამშეინველს აძლევს გარემოში მოქმედი ფორმებისა და მოძრაობების განცდასაც. ამით ეს გრძობა სხვა გარე გრძობებს უკავშირდება და უზიარებს გამოცდილებებს, რომელთა მეოხებითაც მათ შეუძლიათ, უფრო ცხადად და რეალისტურად სწვდნენ გარემოს. აქ უკვე საქმე ეხება ე.წ. „ინტენციონალურ ურთიერთმიმართებებს“, რაზეც რუდოლფ შტიინერმა ფრანც ბრენტანოსთან დაკავშირებით მიუთითა.³⁴

თავად მოძრაობა კი ნებელობითი აქტის სახითა დგას საკუთარი მოძრაობის გრძობის ორივე აღქმით მხარეს შორის. ეს უკანასკნელნი არ განსაზღვრავენ მას, არამედ ახდენენ ზეგავლენას. რამეთუ მოტორიკის აღქმა მისი განხორციელების ნაწილია, ხოლო ეს განხორციელება ხდება გარე სამყაროში არსებულ „წონასწორობისა და ძალთა ველთან“ ურთიერთქმედებით. რაც უფრო ჰარმონიულია ეს ურთიერთქმედება, მით უფრო დახვეწილი და მშვენიერია მოძრაობა. საკუთარი მოძრაობის გრძობის ფარგლებში წარმოიქმნება და ქრება ყველა სახის მოტორიკა.

ჩვენ ვიბადებით შებების უნარით. სიცოცხლის გრძნობას ვიძენთ ცხოვრების პირველი წლის მანძილზე. საკუთარი მოძრაობის გრძნობის გაშლისთვის კი უცხოა ასაკობრივი საზღვრები. სიცოცხლის მანძილზე ჩვენ სულ ახალ-ახალ მოძრაობებს უნდა დავეუფლოთ, რის გამოც ამ გრძნობის განვითარება არასოდეს ჩერდება. იგი მონაწილეობს ბავშვის მიერ სიარულისა და მეტყველების სწავლაში. სირბილი და ხტუნვა, ძრომიალი და გადახტომა მხოლოდ მისი დახმარებით ხორციელდება. წერა-კითხვაც მასთანაა დაკავშირებული; რამეთუ როგორ შევასრულებდით ფაქიზ მოძრაობებს მკლავებით, ხელის მტევნებითა და თითებით, რომ არ გაგვაჩნდეს განუწყვეტლივ განახლებადი ცნობიერება სხეულის იმ ნაწილების მდებარეობისა, რომელიც მიმართავენ კალამსა თუ ფანქარს? და როგორ ვისწავლიდით კითხვას, საკუთარი მოძრაობის გრძნობას რომ არ მოეწოდებინა ჩვენთვის ფიგურებისა და ასოების მოტორული ფორმა?

როცა კი ვეუფლებით მუსიკალურ საკრავს, ვსწავლობთ ნემსის თუ ჩაქუჩის ხმარებას, ველოსიპედის ტარებას — მუდამ სახეზეა საკუთარი მოძრაობის გრძნობა. იგი ერთგული იოპანესივით თანა სდევს, იცავს, უფროხილდება, იფარავს ჩვენს ყველა მოძრაობას. სანამ ის ჩვენთან ერთადაა, ჩვენ უსაფრთხოდა ვართ ჩვენი არსებობის გარკვეულ სფეროებში.

შებების გრძნობა გვაძლევს ჩვენი საკუთარი თავის ბუნდოვან ცოდნას და საშუალებას გვაძლევს, რომ ვიყოთ ღვთის გრძნობით აღვსილნი. სიცოცხლის გრძნობა გვაძლევს ჩვენი სხეულებრივი, სივრცეში განფენილი მეობის შეგრძნებას. ამ გრძნობის მეოხებით განვიცდით კარგად ყოფნასა და კმაყოფილებას. რა განცდებს გვაძლევს საკუთარი მოძრაობის გრძნობა?

რუდოლფ შტიინერი ამბობს, რომ იგი გვაძლევს „თავისუფლების იმ გრძნობას“, რომელიც ადამიანს სამშინველად შეაგრძნობინებს თავს. „თქვენ რომ თავისუფალ სამშინველად

შეიგრძნობთ თავს, ესაა მოძრაობის გრძნობის გამოსხივება, ესაა თქვენს მშენიერი კუნთების შეკუმშვისა და მოღუნების გამოსხივება...“ მაგრამ რას ნიშნავს „თავისუფალ სამშენველად“ თავის შეგრძნება? შეიძლება ვთქვათ: შეხების გრძნობა შემოგვსაზღვრავს, სიკოცხლის გრძნობა საყრდენს გვაძლევს; ხოლო საკუთარი მოძრაობის გრძნობა გვათავისუფლებს. იგი გვათავისუფლებს „როგორც სამშენველს“, ვინაიდან მისი წყალობით აღარ გვიწევს სხეულისა და გარემოს შეგრძნება, როგორც იძულებისა ანდა ტვირთისა. იგი ერთვება სამყაროს „წონასწორობისა და ძალთა ველში“, ამიტომ ჩვენი სხეულიც ამ უკანასკნელის ნაწილი ხდება და სამშენველს აძლევს შეუზღუდავი არსებობის საშუალებას. სამშენველი სიარულისას ეუფლება სივრცეს, სირბილისას გაკვეთს მას, სძლევს მას ცოცვისა და ზეასვლის მეოხებით, ზომავს ხტომისას და ნაბიჯის გადადგმისას. იგი მატერიალურ ეუფლება, როდესაც სწავლობს მის გარდაქმნას. იგი ზელს და აყალიბებს, ქსოვს და კერავს, ძერწავს და ართავს. სულ უფრო მეტი ჩვევები შეიძინება საკუთარი მოძრაობის გრძნობის მონაწილეობით და როცა სამშენველი ავლენს თავის მოტორულ უნარებს, მას ერთადერთი გრძნობა მსკვალავს: სიხარული. ეს განცდა საკუთარი მოძრაობის გრძნობის საუფლოდან აღმოგვიცნდება. სიხარული გამუდმებით ცხოვრობს ჩვენში ისევე, როგორც შიში და სირცხვილი, ძრწოლა და რისხვა. სიხარული ჩვენი სამშენველის ერთ-ერთი ძირითადი ფერია. საკუთარი მოძრაობის გრძნობა ინახავს, აძლიერებს და ასუსტებს მას. საკუთარი მოძრაობის გრძნობა სიხარულის დედაა.

ფსიქოლოგების მცდელობები, ჩაწვდნენ სიხარულის არსს, იქამდე დარჩება უნაყოფო, სანამ არ იქნება შეცნობილი ეს ურთიერთკავშირი. როცა შტრასერი სიხარულს ეძახის „წინმსწრები გაურკვეველობის შემდეგ რაიმეს მიღწევაზე უზოგადესი გაგებით გრძნობისმიერ დასტურს“, მას განზე რჩება სიხარულის განცდის ცენტრალური ასპექტი. სიხარული არ არის რეაქცია მიზნის მიღწევაზე, არამედ აქამდე განცდილი

ტყეობიდან გათავისუფლებაზე. სიხარულში ხორციელდება არა „ფლობა“, არამედ „ყოფნა“.

როდესაც ხანგრძლივი, დამქანცველი და რთული ზეასვლის შემდეგ ბოლოს და ბოლოს ვალწევ მთის მწვერვალს, სიხარულით აღვივებთ. მაგრამ იგი მიზნის მიღწევის გამოხატულება კი არ არის, არამედ დაძლეული ლაშქრობისა.

როდესაც რთული მუსიკალური პასაჟის დაკვრას ესწავლობ, პირველად მაშინ მიხარია, როცა ბოლოს და ბოლოს მისი თავისუფლად დაკვრა შემიძლია. და კვლავ რაც მახარებს, მიღწეული მიზანი კი არაა, არამედ სწავლისა და ვარჯიშის ჩაფხისგან გათავისუფლება. სიხარული მიუთითებს წარსულზე და ამით „მხიარული მიღებით“ განიცდის აწმყოს.

როცა შტრასერს მოჰყავს მაგალითი კაცისა, რომელიც თავისი სახლის ჩაქეტილი კარის წინ დგას და „სიხარულისგან შეკრთება, როცა პალტოს სარჩულში აღმოაჩენს გასაღებს, ამდენ ხანს რომ ეძებდა“, მას აღავეებს არა გასაღების ფლობის ნეტარება, არამედ გასაღების-არ-ფლობის გაურკვეველი და მტანჯველი მდგომარეობის გადალახვის სიხარული. სახლის კარების გაღების შესაძლებლობა შემსუბუქებაა, შესაძლოა, ბედნიერებაც, მაგრამ არა სიხარული.

ქენზელიც ვერ წვეტს პრობლემას, როცა თვლის, რომ „სიხარული არის გრძნობისმიერი რეალიზაცია იმ განცდისა, რომ ყველაფერი ისე ხდება, როგორც სასურველია“.⁴ როცა სურვილი მისრულდება, ბედნიერი ვარ და ეს შეგრძნება სიხარულის მონათესავეა, მაგრამ არა იდენტური. მე შეიძლება მიხაროდეს რაიმეს აღსრულების გარეშეც. სიხარული გათავისუფლებაა, გამოხსნა.

მსჯავრდებული, რომელიც გაამართლეს, ამ გათავისუფლებას შეიგრძნობს, როგორც სიხარულს. მხოლოდ მოგვიანებით განიცდის იგი ბედნიერებას, რადგანაც შეუძლია კვლავ იყოს თავის ახლობლებთან ერთად. ბედნიერება არის ფლობის მდგომარეობა, სიხარული კი ყოფნის განცდა.

როცა საქმე არ გამოგვდის, უიღბლო დღე გვაქვს, ყვე-

ლაფერი უკულმა მიდის, ყოველივე ხელიდან გვივარდება და ყველაფერი ხელს გვიშლის – მაშინ ჩვენს სამშენველს უხალისობა და მოღუშულობა ალავსებს. ეინაიდან ვერაფერი გამოგვივიდა და ვერაფერს მივაღწიეთ. მაშინ სიხარული ისევე მიუწვდომელია, როგორც მზის სინათლე, როცა მზეს სქელი ღრუბლები ფარავს.

მაგრამ თუკი სამშენველში სიხარულის მზე აღმობრწყინდება, მაშინ ადამიანს სახე ღიმილით უნათდება. ყოველგვარი სიხარული ღიმილში განაცხადებს თავს. ჩვილის პირველი გღიმიება არის ნიშანი იმისა, რომ საკუთარი მოძრაობის გრძნობა იწყებს განვითარებას. ბეეტენდეეკი რომელმაც ამ პროცესს ძალზე საინტერესო გამოკვლევა მიუღძვნა, შემდეგ დასკვნამდე მიდის: „როცა ბავშვი ღიმილისას თავს განაცხადებს, როგორც ბავშვი, რომელსაც სხვები ამოძრავებენ და თავადაც მოძრაობს არათავისუფლად, იმ სახით, როგორც ამას მისი სხეულებრივობა განსაზღვრავს, მაშინ იგი გადააბიჯებს დროში მიმდინარე არაცნობიერ იძულებას, რათა საკუთარი არსებით მონაწილეობა მიიღოს პირველი ცნობიერი დაცულობის უქამო ყოფიერებაში“. მაგრამ ამ სიტყვებით აღწერილია სიხარულის გრძნობაც, რომელიც ჩნდება, როცა გადაილახება „საკუთარი არათავისუფალი ბუნებიდან“ გამომდინარე „არაცნობიერი იძულება“ და დაცულობის პარამონიული შეგრძნება დაისადგურებს.

ბეეტენდეეკი მიუთითებს მკვიდრო ურთიერთკავშირზე სიხარულსა და ღიმილს შორის, ოღონდაც ფიქრობს, რომ სიხარულის სხვა მრავალი გარეგამოხატულებაც არსებობს. მაგრამ გაბრწყინებული თვალები, გაშლილი მკლავები და მოცინარი პირი მხოლოდ მეტამორფოზაა ღიმილისა, რომელიც ტუჩების არედან შეიძლება განივრცოს ზემოთ თვალებისკენ, შიგნით ხორხისკენ, ქვემოთ მკლავებისკენ. ხოლო როცა იგი თვლის, რომ ღიმილი არა მარტო გარეგამოხატულებაა, არამედ „იმავედროულად პასუხიც არის იმაზე, რასაც სინამდვილეში ან წარმოდგენაში ვხვდებით, პასუხი პიროვნებაზე, საგანსა თუ წარმოდგენაზე, რომელსაც ჩვენი გული სიმპათიით გადაეშლება“.

მაშინ იგი ეხება ერთ მნიშვნელოვან პუნქტს ლიმილის ბუნებასთან დაკავშირებით. ვინაიდან ლიმილი გარეგამოხატულებაცაა და პასუხიც. როგორც „გარეგამოხატულება“, იგი უბრალო სიხარულს განაცხადებს. როგორც „პასუხი“ კი რაღაც ახალზე მიანიშნებს.

როდესაც ვუღიმი მეგობარს, რომელსაც შეეხვდი, ან როცა ლიმილის ნიშნად ტუჩებს ვწელავ იმ ადამიანთან შეხვედრისას, რომლისადმიც გულგრილი ვარ, მაშინ ლიმილი წარმოჩნდება, როგორც ადამიანისთვის ბოძებული მიმიკური გამომსახველობითი უნარის ნაწილი. ლიმილი სიხარულის განცხადებაა; მაგრამ მას შეუძლია მიმიკურ ფესტად გადაქცევაც და მაშინ იგი იქცევა დაბნეული, თავშეკავებული, ავი, ეშმაკური, მწარე, ჯერაგული, სულელური, კეთილი, თანამგრძობი და ზიზღიანი ლიმილის აურაცხელ ფორმად. სამშინველის თითები უკრავენ ლიმილის სიმებზე და სხვადასხვაგვარად ააქვებენ მათ.

გალიმებას იგივე ნერვი (Nervus facialis) ემსახურება, რაც ჩვენი პირისახის მიმიკას, ხოლო მიმიკა არის საკუთარი მოძრაობის გრძობის გაძლიერება. ამ ფაქტის გაცნობიერებისას იკრება წრე, რომლის შემოწერაც დავიწყეთ სიხარულის განცდაზე მინიშნებისას.

ლექციაში „ხელოვნების არსის“⁴² შესახებ რუდოლფ შტიინერმა იმაგინაციურად მიუთითა ამ ურთიერთკავშირზე. მან აღწერა ის აქტი, რომელიც ხორციელდება ადამიანში, როცა საკუთარი მოძრაობის გრძობა გარდაისახება „მიმიკის ხელოვნებად“. ამას უნდა ვუმაღლოდეთ სიხარულს, რომლის განცხადებაცაა ლიმილი; ეს უკანასკნელი კი შეიძლება მიმიკურ გამომეტყველებად გარდაიქმნას.

საკუთარი მოძრაობის გრძობა სამშინველში გამოასხივებს იძულებისგან, ჯაფისგან, წვალებისგან გათავისუფლების სიხარულს. ეს სიხარული თავს განაცხადებს ლიმილში, რომელიც მიმიკის უნარსაც შეიცავს. ამიტომ საკუთარი მოძრაობის გრძობა შეიძლება მივიჩნიოთ არა მარტო გარემოს ფორმებისა და ფიგურების მიმბაძველად, არამედ ადამიანური განცდე-

ბისა და დამოკიდებულებების იმიტატორად. დიდი მსახიობი ისაა, ვისაც საკუთარი მოძრაობის გრძობა სხვებზე მეტი ზომით აქვს ბოძებული.

საკუთარი მოძრაობის გრძობა სამკურნალო პედაგოგიის კრილში

ისევე როგორც სიცოცხლის მანძილზე საკუთარი მოძრაობის გრძობის განვითარებისათვის უცხოა ასაკობრივი საზღვრები და იგი სულ ახალ გამოცდილებებს იძენს, ასევე უსაზღვროა ამ გრძობის მნიშვნელობა სამკურნალო პედაგოგიის სფეროში. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ განვითარებისა და ინკარნაციის დარღვევათა უდიდესი ჭგუფი ინტიმურ კავშირშია მოტორიკის ჩამოყალიბებასთან. შეფერხებული ბავშვის ცნობა უკვე მისი მოძრაობების ფორმითა და როგორცაა შეიძლება. არ იქნებოდა რთული, სამკურნალო პედაგოგიის სახელმძღვანელო მარტოდენ მოტორული დარღვევების კუთხით დაწერილიყო. ამგვარი მიდგომა უმრავლეს შემთხვევაში ძალზე ახლოს მიგვიყვანდა პათოლოგიური ქცევის არსთან.

შეიძლებოდა ასეც კი გვეთქვა: არ არსებობს განვითარების და ინკარნაციის დარღვევა, რომელიც მეტ-ნაკლები სიცხადით თავს არ იჩენდა მოტორიკის პათოლოგიაშიც. ეს უმალ გასაგები გახდება, თუკი გავიხსენებთ, რომ აღმართული სიარულის მიღწევა, დედაენის შესწავლა და აზროვნების გამოვლიძება ინდივიდუალური მოტორიკის მონაპოვრებია, რომელნიც ნაბიჯ-ნაბიჯ ეხმარებიან სამშენიველს იმაში, რომ ფეხი მოიკიდოს სხეულში. სამშენიველი ნაბიჯ-ნაბიჯ ეუფლება სხეულის სახლის სხვადასხვა ოთახებს. ყოველი ამ ნაბიჯთაგანი კი მოტორულ აქტს წარმოადგენს. შეიძინება მოძრაობის ახალი ფორმები, რომელნიც ამავე დროს აფართოებენ საკუთარი მოძრაობის გრძობის გამოცდილებათა სფეროს.

ეს გრძობა თითქმის საზომ ხელსაწყოს ჰგავს, რომელიც

გვიჩვენებს მობრუნებული უნარების შექმნის ხარისხს. მაგრამ როგორც უკვე ვნახეთ, ესაა ინსტრუმენტი, რომელიც ამავე დროს თავადაც მონაწილეობს ამ უნარების შექმნაში. რამოდენიმე მაგალითი ნათელს გახდის ამ მოსაზრებას.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებთან მოტორიკის ძალზე შენელებულ განვითარებას თან მოაქვს ამ ადამიანთა მძიმე ჩამორჩენა. ისინი უმეტესწილად ერთი წლის დაგვიანებით სწავლობენ აღმართულ სიარულს; მეტყველებას პირველად სამი წლის ასაკის შემდეგ იწყებენ და ხშირად ენის დაუფლება იმდენად დიდხანს გრძელდება, რომ აზროვნების განვითარება პრეპუბერტეტის პერიოდამდეც კი ვერ ხერხდება. შემდეგ კი საამისოდ უკვე გვიანაა. საკუთარი მოძრაობის გრძობის განვითარება მეტად დაგვიანებულია, ახალი მობრუნებული აქტების სწავლა კი არაჩვეულებრივად გართულებულია. დაუნის სინდრომის მქონე ზრდასრულების უმრავლესობა ინტელექტუალური ჩამორჩენილობის გამო კი ვერ ეუფლება სხვადასხვა ხელობას, არამედ აქ არსებით როლს თამაშობს მოძრაობის გრძობის სფეროში პლასტიკურობის დანაკლისი. ამიტომაცაა მუდამ გაძნელებული ხელით შრომის ახალი ჩვევების შექმნა.

ბრმა ბავშვთან სამი წლის ასაკის შემდეგ თავს იჩენს ხოლმე ძალზე უცნაური და უჩვეულო აკვიატებული მოძრაობები; მაგ., სახის დაჭლანვა, სხეულის რიტმული რხევა, თითის განუწყვეტლად თვალთან მიტანა და სხვა მსგავსი რამ. ამით მობრუნებულ არასწორ განვითარებას გადის და ამასთან ერთად ვერც საკუთარი მოძრაობის გრძობა ვითარდება ჭეშრვნად. კერძოდ, სიბრმავე მას ხელს უშლის ინტენციონალურად დაუკავშირდეს თვალის გრძობად გამოცდილებას. რადგანაც მუსკულატურის ჩართვა „გარემოს წონასწორობისა და ძალთა ველში“ მხოლოდ ნაწილობრივად შეიძლება ხდებოდეს, ერთგვარი უკუქმედების სახით წარმოიშვება აკვიატებული მოძრაობები.

მსგავსი ქცევა თავს იჩენს ყრუ ბავშვთან, ოღონდაც მობრუნებული აქტები აკვიატებული ხასიათის კი არაა, არამედ მკვეთრი და აჩქარებული. ყრუ ხშირად უხეში, აგრესიული,

ხმაურიანი და ქედმაღალი ხდება. თავისი ნაკლის გამო იგი ზედმეტადაა თვალის სამყაროზე მიჯაჭვული და თითქოსდა გაქედლია მხედველობაში. ამის გამო მას აკლია მოტორიკის სითაქიზე, რაც სწორედ მეტყველებისა და მოსმენის უნარის დაუფლებით შეიძინება. საკუთარი მოძრაობის შეგრძნება აქ თითქოსდა გრძნობისგან დაკლილი რჩება; მას მშვენიერი ხასიათის ნაცულად ერთგვარი მექანიკური ხასიათი აქვს.

საკუთარი მოძრაობის გრძნობა განსაკუთრებით დაზიანებულია მოძრაობის ყველაზე უფრო შეფერხების მქონე ბავშვებთან. სპასტიკურებსა და ათეტოზურებს,“ ცალი მხარის დამბლის მქონეებსა და ატაქსიურებს“ პირველ ყოვლისა იმიტომ გააჩნიათ სხვადასხვა დარღვევები, რომ მათთან ვერ მოხერხდა კუნთური გრძნობის ნორმალური განვითარება. კიდური პარალიზებულია არა მარტო მოტორიკის დეფექტის გამო, არამედ სენსორიკის დეფექტის ან დაკარგვის გამოც. ამიტომ ხელები ან ფეხები, ან ორივე ერთად გარე სამყაროს ნაწილებს ემსგავსებიან. ბავშვი კიდურებს არ შეიგრძნობს, როგორც მის კუთვნილს და ვერ ამყარებს მათთან მიმართებას. პარალიზებულ ხელს იგი უყურებს, როგორც გარემოს ნაწილს, რომლის ტარება, დარტყმა ანდა შემჩნევა არ ძალუძს. ვინაიდან მოტორიკის დაზიანების გამო საკუთარი მოძრაობის გრძნობა განუვითარებელი დარჩა, ეს კი განაპირობებს იმას, რომ ხელი არ არის ჩართული (გრძნობადი ალქმის არარსებობის გამო) სხეულის სივრცეში.

დამბლის რაგვარობასთან ერთად იცვლება ეს ურთიერთდამოკიდებულებაც. ეს განსაკუთრებით აშკარაა ცალი მხარის დამბლის დროს (ჰემიპლეგიისას). ამის საპირისპიროდ ათეტოზისას ადგილი აქვს შეგრძნების სფეროს ხანგრძლივ, შეტევით გამორთვებს. რომელსაც (შეგრძნების სფეროს) იძლევა მოძრაობის გრძნობა. უნებლიე მოძრაობები, რომელნიც არღვევენ მოტორიკის ნორმალურ მიმდინარეობას, კიდურების მდებარეობისა და მოძრაობის ალქმებსაც ხლიჩავენ.

ოთხივე კიდურის სპასტიკური დამბლის (ტეტრაპლეგია) შემ-

თხვევაში მოტორიკა და საკუთარი მოძრაობის გრძნობა მთლიანად ეთიშება ერთმანეთს. მოტორული გახვევებულობა აფერხებს ყოველგვარი მოძრაობის მიმდინარეობას, რის გამოც უმოძრაო კიდურების აღქმაც გაჭკავებული და სკლეროტული რჩება. საკუთარი მოძრაობის გრძნობა ჭავჭავნივით აკრავს გარს უსიცოცხლო ხელ-ფეხს.

საკუთარი მოძრაობის გრძნობის დარღვევები განსაკუთრებით მკაფიოა ყველა ატაქსიურ ბავშვთან, პირველ რიგში კი ცერებრული ატაქსიისას. რადგანაც ამ დროს ადგილი აქვს წონასწორობის ნაწილობრივ დაკარგვასაც, მოძრაობები გახვევებული, დაურწმუნებელი და უხეში ხდება. „დაცემის გამუდმებული შიში“ ხელს უშლის მოძრაობის დაწყებას და ხშირად მოტორულ აქტივობას ჩანასახშივე ახშობს. ამ ბავშვებს უარესად უჭირთ აღმართულად სიარულის უმარტივესი ფორმის სწავლაც კი. მათთვის დიდი შველაა, თუკი „მესამე ფეხად“ ყვარჯენს მისცემენ. მაშინ ისინი უფრო ადვილად ეჩვევიან თავისუფლად სიარულს, კარგავენ შიშს და ამასთან უვითარდებათ ჭერაც გაუშლელი საკუთარი მოძრაობის გრძნობა.

უდიდესი მნიშვნელობის მქონეა, გადაადგილების მექანიკური საშუალებებით რაც შეიძლება მეტი მოძრაობა შევაძლებინოთ მოძრაობის დარღვევების მქონე ბავშვებს. ამ გზით ხელი ეწყოფა საკუთარი მოძრაობის გრძნობას. საპირისპირო ითქმის რელსებიან აპარატსა და საწოლ მოწყობილობებზე. ისინი აფერხებენ მოძრაობის გრძნობის განვითარებას და ამიტომ, სადაც კი შესაძლებელია, არიდებულ უნდა იქნენ.

ასევე აუცილებელია პასიური მოძრაობის სავარჯიშოები საკუთარი მოძრაობის გრძნობის სტიმულირებისა და წვრთნისათვის. რაც უფრო რეგულარულად ჩატარდებიან ისინი, მით უფრო გაძლიერდება შეგრძნების უნარი საკუთარი მოძრაობის გრძნობის სფეროში. თითები და ხელები, ტერფები და ფეხები, რომელნიც აქამდე უცხო სხეულები იყვნენ ბავშვისთვის, ახლა მისი ცნობიერი განცდების არეალში შემოვლენ. ისინი სხეულის სქემაში ჩაერთვებიან და მხოლოდ ამ პროცესის

დაწყების შემდეგ უნდა მოხდეს აქტიური მოძრაობის სავარჯიშოების ინტენსიფიკაცია.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ პარალიზებული კიდურის მოძრაობაში ვარჯიში მხოლოდ მაშინ იქნება შედეგიანი, როცა თავდაპირველად სხეულის ამ ნაწილში გარკვეული ხარისხით მაინც გამოვლიძებულ იქნება მოძრაობის გრძობა. როცა საქმე ეხება ნებისთი მოძრაობის ფორმების განვითარებას, მთავარია არა მარტო მოტორიკა, არამედ პირველ ყოვლისა სენსორიკის გამოვლიძება. ვერითმია და სამკურნალო ვერითმია საკუთარი მოძრაობის გრძობის გაცოცხლების უმშვენიერესი საშუალებებია. ვინაიდან ვერითმიული მოძრაობის ფორმები ატარებს ენისა და მუსიკის ხასიათს და ამდენად, ყოველგვარი მოტორიკის არსის მონათესავეა. ვერითმია ქეშმარიტი მოძღვარია საკუთარი მოძრაობის გრძობისა და ეს არც სამკურნალო პედაგოგიაში უნდა იქნეს დავიწყებული. ვერავითარი ტანვარჯიში ვერ შეცვლის იმას, რისი გაკეთებაც შეუძლია ვერითმიას, როგორც კუნთური შეგრძნებებისა და მოძრაობის აღქმების გამომვლიძებელს.

ასევე არასოდეს უნდა დააკლდეს „სიხარულის“ ელემენტი მოძრაობის დარღვევების მქონე ბავშვების აღზრდა-განათლებას. რამეთუ იგი ის მშვენიერი ღვთიური ნაპერწკალია, რომელსაც შილერმა უმღერა.

სიხარულია რომ ახლავს მარად
ბუნების ყოველ დროს და წელიწადს,
სიხარულია მოძრავე ძალა
მსოფლიო დიდი საათებისა.*

სწორედ სიხარული ასხივებს ყველა დასრულებული მოძრაობიდან; იგი ყოველგვარი შესაქმის თაურელემენტი და ჩვენც იგი ცოცხალი სურათ-ხატის სახით უნდა შევიგრძნოთ, რომელსა

* თარგმანი ფ. შილერის რჩეული თხზულებების სამტომეულიდან, 1961 წ. გამოცემა.

საც საკუთარი მოძრაობის გრძობა აძლევს ჩვენს სამშინველს.
ვისაც ოდესმე საქმე ჰქონია სპასტიურ ბავშვებთან, იცის, თუ რაოდენ სჭარბობს სევდა და ნაღველი მათ გუნება-განწყობილებაში. რამეთუ საკუთარი მოძრაობის გრძობას არ გააჩნია საკმარისი ძალა, რათა სიხარული აღნთოს ამ ბავშვების სამშინველში. მათ ისე არაფერი შეეღის, როგორც გაბრწყინებული და პატიოსანი ღიმილით შეხვედრა. ღიმილით ქმედება, ღიმილით დახმარება, ღიმილით ცხოვრება ამ ბავშვების გარშემო.

აქ გაახსენდება ფრანც ვერფელის მშვენიერი სიტყვები. რომლებითაც მან თავის ერთ-ერთ ლექსში მოგვმართა:

შექმენი, ატარე, დაიჭირე
შენი ხელით ღიმილის უხვი წყლები!
ღიმილი, ნეტარი ნამი ეფინება
მთელ პირისახეს.
ღიმილი ნაოჭი როდია,
ღიმილი სინათლის არსია.“

ამ სტრიქონებში ჩანს საკუთარი მოძრაობის გრძობის უშინაგანესი არსება, მოისმის ძახილი, მშინვეერ ნათელზე რომ მიანიშნებს, რომელიც გვეხმარება შეფერხებულ ბავშვებთან ამ გრძობის გამოღვიძებაში.

წონასწორობის გრძნობა

რა არის წონასწორობის გრძნობა?

კითხვაზე, გვაქვს თუ არა უფლება ვისაუბროთ წონასწორობის გრძნობაზე, რომელიც განგვაცდევინებს ჩვენი სხეულის მდებარეობას გარემომცველ სივრცესთან მიმართებით, თანამედროვე ფიზიოლოგია არ იძლევა ცალსახა პასუხს. მართალია, იგი მიუთითებს, რომ არსებობს ორგანო, რომელიც ძალზე სპეციფიკურად ემსახურება წონასწორობის შენარჩუნებას – შიდა ყურის ლაბირინთი; მაგრამ არასოდეს ამბობს გარკვევით, არის თუ არა იგი გრძნობის ორგანო ამ სიტყვის ქეშმარიტი გაგებით.

ისიცაა ნაჩვენები, რომ წონასწორობის შენარჩუნებასთან არაერთი გრძნობადი პროცესია მჭიდროდ დაკავშირებული. თვალი, ყური, შეხებისა და კუნთური გრძნობა პასუხისმგებელია იმ რეფლექსების, ინსტინქტების, მოძრაობებისა და რეაქციების რთულ ურთიერთქმედებაზე, რომელნიც წონასწორობის დაცვას ემსახურებიან. მაგრამ არის კი სივრცეში სხეულის მართვა გარე გრძნობის ფუნქციასა და მის ორგანოებთან დაკავშირებული აქტი? თუ საქმე გვაქვს მეტად რთულ, ოღონდ ჩვენი სხეულის ნეიროკუნთურ აპარატში მოქმედ მექანიზმთან?

თუ ვიკითხავთ, რომელია ის შეგრძნებები და ალქმები, რომელნიც წონასწორობის გრძნობას შეიძლება მივაკუთვნოთ, მაშინ გასაგები გახდება ფიზიოლოგების გაუბედავობა, გასცენ ერთმნიშვნელოვანი პასუხი. ერთი შეგრძნებაც არ არსებობს, რომლის მიწერაც შეიძლებოდეს ამ გრძნობისათვის. მაგრამ ჩვენთვის ცნობილია განცდები და ძალზე მკაფიო ალქმები,

რომელიც წონასწორობის დარღვევისთანავე აღმოცენდებოდა. როცა რაიმეს ფეხს წამოვყრავთ და წონასწორობას ვკარგავთ, მაშინ ამოქმედდება მთელი წყება მამოძრავებელი მექანიზმებისა, რათა დაცემისაგან დაიცვას სხეული, ანდა თუ დაცემა გარდაუვალია, რაც შეიძლება რბილად მოხდეს იგი. მოძრაობის მრავალგვარი რეაქცია ამოტივტივდება არაცნობიერიდან და გადაადგილებს, დაიჭერს, ვერტიკალურ მდგომარეობას დაუბრუნებს წონასწორობადაკარგულ სხეულს.

მსგავსი რამ განიცდება თავბრუსხვევისას, ოღონდ ბევრად უფრო ინტენსიურად. როდესაც ოთახის კედლები ჩვენს გარშემო ტრიალს იწყებს, ანდა როცა ვკარგავთ წონასწორობას, მაშინ თავს იჩენს ჩვენი სხეულებრივი ბუნების უფრო სიღრმისეული რეაქციის ფორმები. ძლიერდება კუჭ-ნაწლავის მოძრაობა ისე, რომ ადგილი აქვს პირღებინებასა და ფაღარათს. ცუდად ყოფნის შეგრძნება შეიძლება განადგურების მძიმე გრძნობამდე გაძლიერდეს. ამას ემატება შიში, მთელ კანს ცივი ოფლი ასხამს. კიდურებს მოიცავს სიცოცხლის გრძნობა, გული სწრაფად იწყებს ცემას.

ამ მდგომარეობებისას აშკარა ხდება, თუ როგორაა შეზრდილი წონასწორობის შენარჩუნება ჩვენი ორგანიზმის მთლიანობასთან. როცა დაცემას ვაპირებთ, საკუთარი მოძრაობის გრძნობის რეაქციების მთელი სამყარო იწყებს თავდაცვას. როცა თავბრუ გვეხვევა, სიცოცხლის გრძნობის მთლიანობა ალიგზნება; ამასთან ვეგეტატიურ სისტემასაც მღელვარება მოიცავს.

ამ მოსაზრებებიდან შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ წონასწორობის გრძნობა იმდენად ღრმად მსკვალავს აქამდე აღწერილ სამ გრძნობას, რომ თავად აღარ განიცდება. ხომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენი სხეულის წონასწორობა სწორედ იმის წყალობით ნარჩუნდება, რომ წონასწორობის გრძნობა უხილავი ჩონჩხივით მსკვალავს შეხების, სიცოცხლისა და საკუთარი მოძრაობის გრძნობებს? და რომ თავისი დაფარულობის გამო არ იძლევა უშუალო შეგრძნებებსა და აღქმებს?

კარგა ხნის წინ ფონ კრისი მიუთითებდა სტატისტიკური გრძნობის ამ განსაკუთრებულ ადგილზე. იგი ამბობდა: „როგორც ჩანს, სტატისტიკური ორგანოდან მომდინარე გალიზიანებები ზემოქმედებს, სახეს უცვლის, განავრცობს და ა.შ. ცნობიერების შინაარსებს, რომელნიც სხვა შეგრძნებებიდან წარმოიშვებიან, ან მათთან არიან მჭიდროდ დაკავშირებული“.* შემდეგ ფონ კრისი სვამს კითხვას, გააჩნია თუ არა წონასწორობის გრძნობას საკუთარი, მისთვის სპეციფიკური შეგრძნებები, თუ სხვა გრძნობათა სფეროში რეგულაციის მექანიზმს ახორციელებს. იგი ფიქრობს: „მაშინაც კი, თუ დაუშვებთ, რომ სტატისტიკური ორგანოს მოქმედებისას გარდა მისი აქტიუობის შედეგებისა, რომელნიც ცნობიერებამდე აღწევენ, ადგილი აქვს თავისთავად, განსაკუთრებულ შეგრძნებებს, მაინც საქმე გვექნება ძალზე უმნიშვნელო, არასაიმედო რამესთან. და ჩვენ ვერ მივაკუთვნებთ გადამწყვეტ მნიშვნელობას... ფსიქიკური მოვლენის ამ ფაზებს“.

ჯერ კიდევ საკითხავია, გამართლებულია თუ არა „ძალზე უმნიშვნელო“ შეგრძნებებზე საუბარი, თუ მოცემული ფენომენების ბევრად უფრო შესატყვისი იქნებოდა, აგველწერა ისინი, როგორც დაფარული შეგრძნებები და აღქმები, რომელნიც უშუალოდ არ გვეძლევიან, არამედ თავს იჩენენ მხოლოდ გარე გრძნობათა დაზიანებისას, დაკარგვისას, მათთან დაკავშირებული პრობლემებისას.

საკუთარი მოძრაობის გრძნობის შესახებ თავში უკვე აღვნიშნეთ, რომ სწორედ წონასწორობის გრძნობის სფეროში აღწევს „აღქმისა და მოძრაობის შერწყმის პროცესი თავის უმაღლეს წერტილს“, როდესაც აღქმა და საგანი სრულ ერთიანობად გადაიქცევა. შეგვიძლია თუ არა აქედან დავასკვნათ, რომ სტატისტიკური გრძნობა მხოლოდ გაძლიერებაა საკუთარი მოძრაობის გრძნობისა და მოკლებულია ყოველგვარ სპეციფიკურობას? რომ, ასე ვთქვათ, მის სფეროში სამშვიდველსა და სხეულს შორის იდენტიფიკაცია იმდენად სრულყოფილია, რომ ორივენი ისევე ქრებიან, როგორც

ენგბადი და წყალბადი, როცა მათგან წყალი იქმნება?

ე.ი. რომ „წონასწორობა“ ახალი, მესამე გახდა, რომელიც აღარაა აღქმადი, ვინაიდან თავად გახდა სამშვინველისა და სხეულის ნაწილი.

რაც აქამდე განხილულ გარე გრძნობებში რაიმენაირი ფორმით ჯერაც შეგრძნების შინაარსს წარმოადგენს, წონასწორობის გრძნობაში იმდენად მთლიანად იქცევა მშვინვერ განცდად, რომ შეგრძნების ყველა თვისებას კარგავს. წონასწორობის გრძნობამ და მისმა განცდებმა სამშვინველთან მოახდინეს იდენტიფიკაცია და მთლიანად შეუერთდნენ მას. ამიტომაც დაიკარგა აქ დისტანცია, რომელიც დამახასიათებელია ყველა სხვა აღქმის პროცესისთვის. წონასწორობის გრძნობა თუმცაღა გარე გრძნობას წარმოადგენს, მაგრამ აკლია ყოველგვარი შეგრძნებითი შინაარსი. გააჩნია თუ არა მას აღქმები?

წონასწორობის გრძნობით მიღებული განცდები

რუდოლფ შტაინერისთვის ეკვგარეშეა, რომ წონასწორობის გრძნობა გარე გრძნობებს მიეკუთვნება. იგი ამბობს: „მესამე გრძნობას გავაცნობიერებთ, თუ დაეფიქრდებით იმაზე, რომ ადამიანი განასხვავებს ზევით და ქვევითს. თუ ამისი აღქმა მას აღარ ძალუძს, ეს მეტად სახიფათოა, იგი ვეღარ დაიქერს თავს და დაეცემა. შეიძლება მივანიშნოთ ორგანოზე, რომელიც ამ გრძნობასთანაა დაკავშირებული, კერძოდ სამ ნახევარწრისებრ არხზე ყურში. ამ ორგანოს დაზიანებისას ადამიანი კარგავს ორიენტაციის გრძნობას“.

აქ სამი რამაა განსაკუთრებით აღსანიშნავი: რუდოლფ შტაინერი ცალსახად ასახელებს სტატიკური გრძნობის ორგანოს; იგი ამ გრძნობას „ორიენტაციის გრძნობასაც“ ეძახის და პირველ რიგში მიაწერს მას იმ აღქმას, რომელიც შეგვაძლებინებს „ზევით და ქვევითს“ შორის განსხვავების მოხდენას. ამდენად, ამ გრძნობის საქმეა არა მარტო სხეულის

წონასწორობის შენარჩუნება, არამედ ზევით-ქვევითის ისე აღქმა, რომ ადამიანი ამას იმთავითვე განასხვავებდეს. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ ზევით-ქვევითის გაგებას თანდათან გამოცდილების შეძენის გზით კი არ ვსწავლობთ, არამედ რომ აქ უშუალო აღქმასთან გვაქვს საქმე.

მე ეს ერთხელ ძალზე მკაფიოდ საკუთარ თავზე განვიცდე, როდესაც ერთმა მეგობარმა (30 წლის წინ) პატარა ღია აეროპლანში ჩამსვა. როდესაც მფრინავმა დაიწყო მარყუჟების გაკეთება და თვითმფრინავი სიგრძივი ღერძის გარშემო დატრიალდა, გაოცებულმა განვიცადე, რომ თუმცაღა ცა და მიწა ჩემს გარშემო მოძრაობდა, თავად მე „ვერტიკალურ“ მდგომარეობაში ვრჩებოდი. მას შემდეგ მე ვიცი, რომ ყველა ადამიანისათვის ერთი მტკიცებულებაა ძალაში: იქ, სადაც თავია, არის „ზევით“. რადგანაც უმეტეს შემთხვევაში ცა იქ იმყოფება, ისიც ზევით განიცდება, დედამიწა კი შესაბამისად – ქვევით. ამრიგად, ჯერ ეს ფაქტი უნდა შევიმეცნოთ, რომელიც ყველა ადამიანის განცდაა და რომლის გაგებაც შესაძლებელია, როგორც წონასწორობის გრძობის მიერ გაშუალებული აღქმის შედეგისა.

ცნობილია ექსპერიმენტები, სადაც ცდის პირებს თვალებზე რამოდენიმე კვირის განმავლობაში განსაკუთრებული ფორმის ლინზებს უფიქსირებენ. ამ ლინზების საშუალებით მხედველობის ველი 180°-ით შემობრუნდება ისე, რომ ყოველივე, რაც ზევით იყო, ქვევით აღიქმება, ქვედა კი – ზევით. მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ ცდის პირები კვლავ „ნორმალურად“ იწყებდნენ ხედვას. ანუ ისინი სრულად ორიენტირებდნენ სივრცეში და მის შესატყვისად მოძრაობდნენ. ამ ფენომენის ახსნა შეუძლებელია მარტოოდენ ადაფტაციის უნარით, რომელიც თვალის სივრცით გრძობას უკავშირდება. საქმე უფრო ეხება წონასწორობის გრძობის საშუალებით მხედველობითი ხატის „დაძლევას“. თავდაყირა დაყნებულ სივრცეშიც ადამიანი აღმართული რჩება, სანამ მისი ორიენტაციის გრძობა ფუნქციონირებს. თავდაყირა დაყნებულ მხედველობითი

გამოსახულება არ უშლის მას, რადგანაც თავად ის ვერტიკალურად მყარად დგას.

ბრმადშობილები და ადრე დაბრმავებულებიც ზუსტად არჩევენ ზევით-ქვევითს. ისინი სინათლის სუბიექტურ განცდებს აღნიშნავენ არა სახის იმ ნაწილის მიხედვით, სადაც ისინი ჩნდებიან. „მიუხედავად მოთხოვნისა შემოწმებული პაციენტები არ იყენებენ გამოთქმებს „შუბლისკენ, პირისკენ, საფეთქლისკენ, ცხვირისკენ“, არამედ თვალხილულების მსგავსად ხმარობენ აღნიშვნებს ზევით-ქვევით, მარჯვნივ-მარცხნივ“.

ამ ფენომენებიდან ცხადი ხდება, რომ ჩვენ გაგვაჩნია ერთგვარი წარმოდგენისეული ხერხემალი, რომელიც გვეხმარება, საკუთარი თავიდან გამომდინარე მკაფიოდ შევიგრძნოთ ის, რაც ზევითაა და ქვევით. ეს დარწმუნებულობა შეგვაქვს ყველა სიტუაციაში, რომლებშიც ვხვდებით. გარკვეულწილად გამართლებული იქნება, თუ ამ წარმოდგენისეული ხერხემლის მოქმედებას წონასწორობის გრძობას მივაწერთ.

სხვა ადგილას რუდოლფ შტაინერი კვლავ ეხება წონასწორობის გრძობას და ასე აღწერს მას: „მესამე გრძობას აღმოვაჩინეთ, თუ შევამჩნევთ, რომ ადამიანს შეუძლია გარკვეული მდებარეობის დაჭერა ზევით-ქვევით, მარცხნივ-მარჯვნივ და ა.შ. განზომილებებთან მიმართებით. მას შეიძლება ეუწოდოთ წონასწორობის ანდა სტატიკური გრძობა. მის თავისებურებას შევამჩნევთ, თუ დავფიქრდებით იმაზე, რომ აუცილებელია შეგვეძლოს მდებარეობის აღქმა, რათა როგორც ცნობიერმა არსებებმა შევინარჩუნოთ იგი. თუ წონასწორობის გრძობა არ მოქმედებს, ადამიანს თავბრუ ესხმის; იგი ეცემა. ცნობიერების არმქონე საგანი მდებარეობას ინარჩუნებს მისი აღქმის გარეშე. მას თავბრუ ვერასოდეს დაეხვევა“.

აქ ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ სტატიკურ გრძობასთან დაკავშირებულია არა მარტო პოლარობა „ზევით-ქვევით“, არამედ ჩვენი ორიენტაციის უნარი „მარჯვნივ-მარცხნივ“, „წინ-უკან“ მიმართულებებთან დაკავშირებით. და ამრიგად, ერთიანი სამგანზომილებიანი სივრცე წონასწორობის

გრძნობით განიცდება. შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი მოძრაობის გრძნობის სივრცე არის დაუნაწევრებელი, სამგანზომილებიანი მოცულობის მქონე სფერო. მასში მხოლოდ ორი მიმართულებაა: ცენტრისკენული და ცენტრიდანული, რომელთა სხივები პერიფერიიდან ცენტრისკენ და ცენტრიდან პერიფერიისკენ მიემართება. ხოლო როცა ამას წონასწორობის გრძნობა ემატება, სივრცის განცდა ნაწევრდება ისე, რომ წარმოჩნდება სამი ურთიერთპერპენდიკულარული მიმართულება.

ამასთან, საქმე ეხება ამ სამი განზომილების ცნობიერ წვდომას. ისინი „ორიენტაციის შინაგანი გზაჯვარედინი“ არიან, რომელიც გაგვიჩნია და რომელიც შეგვაძლებინებს ყველა დანარჩენი გრძნობადი შთაბეჭდილება მის გარშემო განვალაგოთ. ამდენად, სტატიკური გრძნობა იქცევა ორიენტაციის ჩონჩხად, რომელსაც უკავშირდება ყველა პაპტური, ოპტიკური და აკუსტიკური შთაბეჭდილება.

კიდევ სხვა ადგილას რუდოლფ შტაინერი უფრო მეტს ამბობს წონასწორობის გრძნობაზე: მისი წყალობით „შეგვიძლია დაედგეთ სამყაროში, არ დავეცეთ და აღვიქვათ, თუ როგორ ვამყარებთ პარმონიას გარემოს ძალებთან. გარემოს ძალებთან სწორედ ამ პარმონიის დამყარებას აღვიქვამთ ჩვენ შინაგანად“.²⁵

აქ ახალ ელემენტს ვხვდებით სტატიკური გრძნობის გასაგებად. თუ აქამდე განხილული გარე გრძნობები მთლიანად ჩვენნი საკუთარი სხეულის აღქმასა და განცდას უკავშირდებოდა, გარე სამყაროს მდგომარეობების აღქმა კი მეორადი იყო (როგორც, მაგ., შეხებისა და საკუთარი მოძრაობის გრძნობისას), სტატიკური გრძნობის სფეროს უკვე მიეკუთვნება განცდები, რომელნიც თავად გარემოს უკავშირდებიან. ახლა აღიქმება არა საკუთარი სხეული, არამედ მისი გარემომცველი სივრცის სტრუქტურა.


გარე გრძნობების წრეში წონასწორობის გრძნობის ადგილას გადამწვეტი ნახტომი კეთდება: სხეულის განცდიდან გარემოს განცდისკენ. მართალია, ეს განცდები ჭერაც სხეულბრივი ორგანიზაციის შიგნით იჩენს თავს, მაგრამ ისინი უკვე გარე-

მომცველი სამყაროს შთაბეჭდილებებს იძლევიან.

ცხოველისა და ადამიანის სხეულში ჩანერგილობის გამო წონასწორობის გრძობა აღძრავს „სამყაროში ჩადგმულობის“ შეგრძნებას. თუ შეხების გრძობის წიაღში კანით შემოსაზღვრულობა საკუთარი სხეულებრივობის ბუნდოვან განცდად იქცევა, ორიენტაციის გრძობა კარს გვიღებს სამყაროსაკენ. მისი საშულებით ეწელებით გარემოში ჩვენს მოთავსებულობას. „ჩვენ აღვიქვამთ ჩვენი შინაგანი არსების მიმართებას გარე სამყაროსთან, სადაც თავს წონასწორობაში ვგრძობთ“.

წონასწორობის გრძობის ორგანო

სადღეისოდ ითვლება, რომ წონასწორობის გრძობის ორგანო შიგნითა ყურში მდებარეობს. ეს ორგანო, რომელიც წარმოადგენს ძელოვან და აპკოვან ლაბირინთს, თავის ქალის



ნახევარკალოვანი აპარატის სქემა

ისრებით აღნიშნულია ენდოლიმფის მოძრაობის მიმართულება
 U = ოვალური პარკი A = ამპულები

საფეთქლის ძელის პირამიდაში არის მოთავსებული. იგი ოთხი ნაწილისაგან შედგება: საკუთრივ ლაბირინთისა და მასთან დაკავშირებული ლოკოკინისაგან. უკანასკნელი სმენის მთავარი გრძობის ორგანოა, ხოლო ლაბირინთის ნაწილები – სამი ნახევარკალოვანი არხი, რომელნიც საერთო კამერაში, ოვალურ პარკში,* ერთიანდებიან – სტატიკური გრძობის ორგანოა. ქვედა გრძობების განხილვისას აქ პირველად ვხვდებით ერთ ცენტრალურსა და ერთიან გრძობის ორგანოს. შეხების, სიცოცხლისა და საკუთარი მოძრაობის გრძობათა შემთხვევაში სახეზეა მხოლოდ მთელ ორგანიზმში განთენილი ცალკეული გრძობადი უბნები, როგორიცაა მაისნერის სხეულები კანში, კუნთების მოტორული ფირფიტები და სიმპათიკური ნერვული სისტემის უთვალავი ნერვული დაბოლოება. ახლა კი ჩვენს წინაშეა ნამდვილი ორგანო, რომლის ფორმითა და თავისებურებით გამოიხატება მისი კავშირი წონასწორობის გრძობასთან.

აღსანიშნავი და გასაოცარია, რომ ამ ორგანოში ასე მკიდროდაა ურთიერთდაკავშირებული სმენისა და ორიენტაციის გრძობის ადგილსამყოფელი. ამ მორფოლოგიური სტრუქტურის მნიშვნელობის შესახებ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

ნახევარკალოვანი არხების აგებულება და ფორმა ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის ნებისმიერ სახელმძღვანელოშია აღწერილი. ამიტომ აქ მათ განვიხილავთ, როგორც ყველასათვის ცნობილს. საქმე ეხება სამ ურთიერთპერპენდიკულარულ, აკოვან, ნახევარკალოვან არხს, რომელნიც ოვალურ პარკში გადასვლის ადგილას პატარა ამპულებად განივრდებიან, სადაც ამ მთლიანი აპარატის სპეციფიკური გრძობადი უბანი იმყოფება. მცირე ზომის ფირფიტაზე თავმოყრილია მრავალი უჯრედი გრძელი მგრძობიარე ბუსუსებით, რომელთაც ველესებრი მასა აკავებს ერთად.

ოვალურ პარკში იმყოფება მსგავსი აგებულების გრძობადი უბანი, ოღონდ აქ ველეში ვხვდებით უმცირეს კრისტალებს,

* Utriculus

რომელიც ნახშირორქანგან კირქვას შეიცავენ. მთელი ორგანო შეიცავს სითხეს, ენდოლიმფას, გარშემოც მსგავსი სითხე, პერილიმფა, აკრავს. აპკოვანი ლაბირინთი ძელოვანი ლაბირინთის შიდა კედელზეა მიმაგრებული ისე, რომ თითქმის უწონოდ დაცურავს პერილიმფაში და ენდოლიმფით არის ამოვსებული.

ჩემი აზრით, ეს უწონობა ამ ორგანოს შესანიშნავი თვისებაა. იგი თითქოს ამოღებულია გრავიტაციული ძალების ველიდან და მხოლოდ იქ, სადაც კირქვის უმცირესი კრისტალები იმყოფება, მიწიერი მტერის უკანასკნელი ნაშთია დარჩენილი. აქ მოქმედებს სიმძიმის ძალები და გრავიტაციის ბუნდოვან გრძნობად განცდად იქცევა.

არხების ამპულაში კი პირველ ყოვლისა სივრცითი მიმართულებებია გამოკვეთილი; ვინაიდან ყოველი ამ სამ არხთაგანი ისეა განლაგებული, რომ დანარჩენ ორთან 90°-იან კუთხეს ქმნის. ეს ნახევარკალები ისეა ჩასმული საფეთქლის ძვალში თავის ქალის მარჯვენა და მარცხენა მხარეს, რომ არ არის სხეულის ფრონტალური და საგიტალური სიბრტყის პარალელური, არამედ დაახლოებით 45°-იან კუთხეს ქმნის მათთან. ამიტომაც ერთიანობაში ისინი სრულყოფილ სივრცით ჯვარს ქმნიან. მარცხენა წინა არხი მდებარეობს იმავე სიბრტყეზე, რაც მარჯვენა უკანა; იგივე ითქმის ორივე ვერტიკალურ არხზე. ორივე პორიზონტალური არხიც ისეა განლაგებული, რომ ერთ სიბრტყეზე მდებარეობს.

ამგვარი განლაგების წყალობით ადამიანის თავის რეგიონში შექმნილია სივრცის გრძნობის ორგანო, რომელიც სივრცეში მოქმედი ძალების ერთგვარ სრულყოფილ სურათ-ხატს იძლევა. ლაბირინთის შიგნით უწონო სივრცემ საკუთარი თავი გამოსახა სხეულებრივ ორგანიზაციაში. და ჩვენ შეგვეძლო გოეთეს სიტყვებისთვის, რომლებსაც იგი იაკობ ბიომეს დაესესხა -

რომ არ იყოს თვალი მზიური,
როგორ შეძლებდა იგი სინათლის ხილვას...

სტატოკურ გრძობასთან დაკავშირებით დაგვემატებინა:

რომ არ ყოფილიყო ლაბირინთი
სივრცის ძალების გამოსახულება,
როგორ შეეძლებდით
წონასწორობის განცდას სხეულში...

ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ამ ორგანოსთან ერთი განსაზღვრული ნერვია დაკავშირებული (თავის ტვინის მერვე ნერვი, რომლის ბოქოები სმენის ორგანოსთანაც მიდის). მხოლოდ ნერვულ სისტემასთან კავშირის გამო ვეუფლებით გრძობის ამ ორგანოს, მისი განცდები კი ცნობიერებამდე აღწევს. მაგრამ თავად გრძობის ორგანო არის გარე სამყაროს ნაწილი, ერთგვარი ყურე (რუდოლფ შტაინერი), რომელიც სხეულშია მოთავსებული. ამიტომაც განაცდევინებს იგი თავის მატარებელს გარემოს შესაბამის სფეროს.

მხოლოდ ხერხემლიან ცხოველებს აქვთ ლაბირინთი და იგი მუდამ ან თავის ქალაზე, ან მის შიგნით იმყოფება. მაგრამ არსებობს წონასწორობის სხვა ორგანოც, ე.წ. სტატოლიტური ორგანო, რომელიც ოვალური პარკის გრძობად უბანს შეესაბამება და თითქმის ყველა ცხოველშია აღმოჩენილი. ეს სტატოლიტური ორგანო სხეულის ნებისმიერ ნაწილში შეიძლება მდებარეობდეს. მედუზას გარსის კიდეზე, ლოკოკინას ფეხში, სხვადასხვა ქიების წინა ან უკანა ბოლოში და ა.შ.

სადღეისოდ დადგენილია, რომ ეს სტატოციტები გრძობის ორგანოებს წარმოადგენს, რომელნიც თავიანთ მატარებლებს სიმძიმის ძალის განცდას აღუძრავენ. რაგინდ მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარიც არ უნდა იყოს ამ ორგანოთა ფორმა, ისინი ერთი ძირითადი გეგმის მიხედვით არიან აგებულნი: სითხით საესე ბუშტი; მისი შიდა კედლის გარკვეულ ადგილას არის გრძობადი უბანი, რომელიც წამწამოვანი უჭრედებისგან შედგება, მასზე კი დევს, აწეება ან ტივტივებს მინერალური ნივთიერებისგან აგებული წარმონაქმნი, ეს

უკანასკნელი შეიძლება იყოს მრგვალი ან კუთხოვანი, ხორკლიანი ან გლუვი და შედგებოდეს მრავალი ან ერთი მთლიანი ნაწილაკისგან.

ეს გეგმა მხოლოდ შემდეგნაირად შეიძლება გავიგოთ: აქაც სითხით ავსებული ბუშტის საშუალებით წარმოქმნილია ერთგვარი უწონო არე, სადაც მოთავსებულია კრისტალი, როგორც მიწიერი მარილისა და სიმძიმის მატარებელი. ამგვარი სტრუქტურა დედამიწის სიმძიმის ველში ორიენტაციის საშუალებას იძლევა.

სულ სხვაა თავად არხების აპარატი. ყველა ხერხემლიან ცხოველში იგი სტატოლიტური ორგანოს წინ მდებარეობს და სრულიად ახალ რამეს ნიშნავს. არც ერთ უხერხემლო ცხოველს არ გააჩნია მსგავსი ორგანიზაცია. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ ხერხემლიანებშია სხეული ისე ჩამოყალიბებული, რომ იგი აღმართვის ძალას აძლევს გამოვლინების საშუალებას.

ძლოვანი, მოძრავი ღერძი, ხერხემალი, წამყვანი სტრუქტურა ხდება სხეულის ფორმისთვის. ამ ღერძთანაა მიერთებული ნეკნები, ზემოთ ორგანიზმი თავით მთავრდება. ორი წყილი კიდური განაპირობებს სივრცის ორ დანარჩენ განზომილებაში ჩართვას, ხოლო ხერხემალი – ხერხემლიანთა პირველნიშანი – ის ცენტრალური ორგანოა, რომელიც ამ ძირითად გეგმას ყოველგვარი ვარიაციის შესაძლებლობას აძლევს.

ადამიანში იგი განსაზღვრავს „ზევით-ქვეით“ მიმართულებას, ცხოველებში კი „წინა-უკანას“. ამით ცხოველებში ფეხები იქცევა სვეტებად, რომელნიც ტანს აზიდავენ და ქვემოდან ზემოთ იქერნენ. მიმართულება მარჯვნივ-მარცხნივ მხოლოდ მოჩვენებითად არსებობს ცხოველებთან. ხოლო იმის წყალობით, რომ ადამიანი ვერტიკალურად დადის, მისი ფეხები იქცევა კიდურებად, რომელნიც „წინ-უკან“ მიმართულებას უხსნიან მას; ხელები მარჯვენა-მარცხენას სფეროში მოქმედებს, თავი კი, რომელიც ხერხემლის ზევით ნაუარდობს, თავისი ფორმით სივრცის სამივე განზომილებას აერთიანებს. იგი არეკლავს დედამიწისა და კოსმოსის სივრცეს.

ხერხემლიანი ცხოველი ცხოვრობს „წინ-უკან“ მიმართულე-ბაში, თავისი კიდურების ფორმისა და ფუნქციის მეოხებით კი განიცდის სიმძიმის ზევით-ქვევითს. უხერხემლო ცხოველი მთლიანად ჩაფლულია მიწის სიმძიმის ველში და იქ ორი-ენტაციას ახდენს სტატოლიტური ორგანოს საშუალებით ხერხემლიანი ცხოველი ისეა აგებული, რომ ნაწილობრივ შეუძლია წამოიშორდეს სიმძიმის ველიდან, რათა თვითონ იმოძრაოს სივრცის განზომილებებში. უხერხემლო ცხოველს ჭერაც არა აქვს მიმართება სიმაღლე, სიღრმესა და სიგანესთან. თავისი აგებულებით იგი ჭერაც სფეროსთანაა დაკავშირებული, რომელიც მხოლოდ ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალებისგან შედგება. აქ პოულობს უხერხემლო ცხოველი არსებობის საშუალებებს. მხოლოდ ხერხემლიანი ცხოველი აღიშნება ისე, რომ მისი ფორმა სამგანზომილებიანი სივრცის ელემენტებით განისაზღვრება. ადამიანის სხეული ხერხემლიანი ცხოველის ფორმის პირველხაზია; ამიტომაც გააჩნიათ ხერხემლიანებს (ზოგიერთი თევზის გამოკლებით) ლაბირინთის ორგანო თავის ქალაში, როგორც წინასწარმეტყველება, რომელიც ადამიანის ვერტიკალურ სიარულზე მიაჩნებდა.

ასე აღიბეჭდება ხერხემლიანთა თავის აგებულებაში სამგან-ზომილებიანი სივრცე, როდესაც იგი საკუთარ ორგანოს იქმ-ნის სამი ნახევარკალოვანი არხის სახით. ეს არხები მდებარეობს ხერხემლის ზედა ბოლოს ორივე მხარეს, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ხერხემალი თავის ქალაში გადადის. არხების ორგანო ადამიანის სხეულს ნარნარად დაატარებს სამგანზომილებიან სივრცეში. ხერხემლიან ცხოველებს ისინი კარს უხსნიან „წინისკენ“, რაზეც მიაჩნებდა ცხვირი ანდა ნისკარტი.

ამ მოსაზრებებიდან ცხადი ხდება, რომ წონასწორობის გრძობაში ორი ასპექტი უნდა გავარჩიოთ:

1. სიმძიმის გრძობა და
2. სივრცის ანუ სიმსუბუქის გრძობა.

ორივე სფერო მკიდროდაა ურთიერთდაკავშირებული და ერთად მოქმედებს; მაგრამ მათი ერთმანეთისგან გარჩევა აუცილებელია, რათა ფენომენებთან წინააღმდეგობაში არ მოვიდეთ.

სტატისტიკური გრძნობის ამ ორი ფუნქციის მოკლე დახასიათება და აღწერა ამგვარი იქნება: სიმძიმის გრძნობა გვაძლევს შესაძლებლობას, სიმძიმის ძალის შესაბამისად შევინარჩუნოთ ჩვენი სხეულის მდებარეობა. მასთანაა დაკავშირებული ყველა სახის ე.წ. ადგილმდებარეობის რეფლექსი. ვლგავართ თუ ვსხედვართ, ვწევართ თუ ვცოცავთ – ყველა ამ მდგომარეობისას წონასწორობა სიმძიმის გრძნობით ნარჩუნდება. ამის საპირისპიროდ, სივრცის ანუ სიმსუბუქის გრძნობა გვაძლევს თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობას. ჩვენი კიდურების თითქმის უწონო მობილურობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰარმონიულად ხორციელდებოდეს, როცა მოძრაობა ერთი უძრავი ცენტრის გარშემო ხდება. ეს ცენტრი წერტილოვანი ფორმის სტრუქტურა კი არ არის, არამედ უძრავი სფეროა, რომელშიც ყოველგვარი მოძრაობა მიმდინარეობს. ეს, სფერო იმის წყალობით წარმოიქმნება, რომ სამგანზომილებიანი სივრცის ძალები ისე ლაგდება არხების გარშემო, რომ მოძრაობის ველს გვიქმნის. წონასწორობა-სივრცე-სიმსუბუქის ორგანოს მეოხებით ჩვენ ისე დაგვაქვს თან ჩვენი საკუთარი სამგანზომილებიანი სივრცე, როგორც ლოკონას – თავისი სახლი სამი ნახევარკალი ამ სფეროს ცენტრში მდებარეობს, რომელიც ამავე დროს სივრცის სამივე მიმართულების გადაკვეთის წერტილს წარმოადგენს.

ყოველივე ზემოთქმული არაპირდაპირ მტკიცდება ახალი გამოკვლევებით, რომელნიც ჩატარებულ იქნა მწერებზე, განსაკუთრებით ნემსიყლაპიებზე. ცნობილია, რომ მწერებს არ გაჩნიათ სტატოციტების მსგავსი ორგანო. მიუხედავად ამისა, მათ შეუძლიათ ჰარმონიულად მოძრაობა და საკითხავი იყო, სხეულის რომელი ნაწილი აძლევთ მათ წონასწორობის გრძნობას. ამასთან დაკავშირებით ფონ ბუდენბროკი წერს: „მიტელ-შტედტმა (1950) აჩვენა, რომ წონასწორობის შენარჩუნებაში

თვლების გარდა მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებს გრძნობის მეორე აპარატი, კეფის პროპრიორეცეპტორები. ნემსიყლაპიას თავს, რომელიც უწერილესი კისრითაა ტანთან დაკავშირებული, თავისი სიდიდის წყალობით გააჩნია საგრძნობი მექანიკური ინერცია. როცა ქარის გამო ტანი და ფრთები დახრილ მდგომარეობაში აღმოჩნდება, თავი გაუნძრევლად რჩება; მაგრამ გადახრილი ფრთები მაშინვე იწყებს ტრიალს, რისი მიზანიცაა ტანისა და ფრთების ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დაბრუნება".

ამ მნიშვნელოვანი დაკვირვებების ინტერპრეტაცია შემდეგნაირად შეიძლება. მწერების თავი მოქმედებს, როგორც ლაბირინთის ორგანო. „ინერცია“ შეაძლებინებს მას, უმოძრაოდ რჩებოდეს და ამით საორიენტაციო პუნქტს აძლევდეს ფრთებისა და ტანის მოტორიკას.

განსაკუთრებით მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ „ნათელში“ შობილი“ მწერები ისე გამოთავისუფლდნენ მიწიერი სიმძიმისაგან, რომ სულ არ გააჩნიათ სტატოლიტური ორგანო. სტატოციტებს მათ უცვლის ე.წ. ქორდოტონალური ორგანო, რომელიც ფეხების მსგავს კიდურებზე აქვთ მოთავსებული.

წონასწორობის გრძნობის ორგანოს ფუნქცია

ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა რამოდენიმე შენიშვნა, ვინაიდან საქმე ეხება მნიშვნელოვან გაუგებრობებს, რომელთაც სამეცნიერო ინტერპრეტაციებში ვაწყდებით.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ფრანგმა ფლოურენსმა აჩვენა, რომ ნახევარკალების დაზიანება მტრედებში იწვევს თავისა და ტანის მოძრაობის ძალზე თავისებურ დარღვევებს. რამოდენიმე წლით ადრე ბოჰემელმა ექიმმა და ფიზიოლოგმა პურკინიემ გამოაქვეყნა თავისი უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები თავბრუსხვევის ფენომენის შესახებ, რომელსაც საკუთარ თავზე აკვირდებოდა. და მხოლოდ გოლტცი, რომელმაც ფლოურენსის იმ დროისათვის თითქმის მივიწყებული

ექსპერიმენტები გაიმეორა, 1870 წელს მივიდა შემდეგ დასკვნამდე: „ჩერაც დაუდგენელია, არის თუ არა ნახევარკალები სმენის ორგანო. მაგრამ ამასთანავე ისინი ქმნიან აპარატს, რომელიც ემსახურება წონასწორობის შენარჩუნებას. ისინი, ასე ვთქვათ, გრძობის ორგანოს წარმოადგენენ თავისა და მთელი სხეულის წონასწორობისთვის“.⁴

ეს გამონათქვამი დღესაც ძალაშია. მას შემდეგ ლაბირინთის ფუნქცია მრავალმხრივ იქნა შესწავლილი, რის შედეგადაც უამრავი ცალკეული ფაქტი დადგინდა. მაგრამ რაიმე ძირეულად ახალი ამით არ მიმატებია გოლტციისეულ მოსაზრებას.

მართალია, გოლტცმა არ იცოდა, თუ როგორ ფუნქციონირებს რეალური აპარატი, მაგრამ მისი დაკვირვებებიდან ცოტა ხნის შემდეგ, 1875 წელს, თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა სამი ავტორის (ბროიერის, მაჰის და ბრაუნ-კრუმის) ნაშრომები, რომელთაც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ერთიდაიგივე თეორია განავითარეს რეალური აპარატის ფუნქციის შესახებ. „ეს თეორია არსებითად დღემდეა ალიარებული“. სამივე ავტორის აზრით, მოტორული რეფლექსების გამომწვევი მიზეზია ენდოლიმფის დინების აჩქარება, რასაც ადგილი აქვს თავის ყოველგვარი მოძრაობისას და ასევე სხეულის სწრაფი მოძრაობისას და რაც იწვევს ამპულების შიგნით გრძობადი აპარატის გალიზიანებას. ამ თეორიის დასამტკიცებლად უამრავი ექსპერიმენტი და გამოკვლევა ჩატარდა; მაგრამ ლაბირინთის, როგორც მთლიანი ორგანოს, განსაკუთრებული სტრუქტურისა და მდებარეობისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

საფეთქლის ძვლიდან რთული ფორმის ღრუს მსგავსად ამოკვეთილი ძვლოვანი ლაბირინთი სრული სიჩუმისა და სიმშვიდის ადგილს წარმოადგენს. ამ ღრუში მოთავსებულია აპკოვანი ლაბირინთი, რომელიც პერილიმფით გარემოცული და ენდოლიმფით ამოვსებული არის. ამრიგად, ეს აპკოვანი ლაბირინთი სხეულის თხიერი ორგანიზაციის ნაწილია, ხოლო ძვლოვანი ლაბირინთი მყარ ორგანიზაციას განეკუთვნება. სამი ნახევარკა-

ლოვანი არხის (რომელთა აგებულება გულთან დაკავშირებული დიდი სისხლძარღვების ფორმას იმეორებს) ფორმიდან კი უნდა დავასკვნათ, რომ ენდო- და პერილიმფა უძრავი კი არაა, არამედ მუდმივ მოძრაობაში იმყოფება. ოვალური პარკი იჭერს ენდოლიმფას და კვლავ არხებში აბრუნებს მას. ამჟღავნებს კი იქ მდებარეობს, სადაც იმყოფება ენდოლიმფის ცენტრისკენული ნაკადის ჩადინების ადგილი. ნახაზში (გვ. 95) წარმოდგენილია არხებში ენდოლიმფის ცირკულაციის მიმართულება.

რიტმი, რომლითაც მიედინება ეს განუწყვეტელი ნაკადი, შეესაბამება სუნთქვის რიტმს და რეგულირდება მის მიერ.

ამისი პირდაპირი და არაპირდაპირი საბუთებიც არსებობს. ასე მაგ., ბევრ თევზში ე.წ. საცურაო ბუშტი (რომელიც ამფიბიების, რეპტილიების, ფრინველებისა და ძუძუმწოვრების ფილტვების ჰომოლოგიურია) დაკავშირებულია სტატიკურ ორგანოსთან ვებერის კოქით. ამით სტატიკური ორგანოდან გამუდმებით რეგულირდება საცურაო ბუშტში ჰაერის შემცველობა. აქ ნათლად ჩანს ფილტვსა და ლაბირინთს შორის არსებული მჭიდრო მორფოლოგიური კავშირი. ლაბირინთის პატარა დანამატი, *saccus endolimphaticus*, მიღებულია თავის ქალის ღრუს შიდა კედელზე და ამიტომ შეუძლია გაიმეოროს ცერებროსპინალური სითხის რიტმული მოძრაობები. ეს რიტმი და სუნთქვის რიტმი კი ერთნაირია. ამაზე რუდოლფ შტაინერი ხშირად მიუთითებდა. თუმცა, ეს ისედაც ცნობილი ფაქტია, ოღონდ მას იშვიათად აქცევენ ყურადღებას.

ჰაერის ორგანიზაციის პულსისცემა, სუნთქვის რიტმი, აღწყვეს შიგნითა ყურის მდუმარებაში, გადაეცემა დენად ენდოლიმფას და გაჩერების საშუალებას არ აძლევს მას. ასე ნარჩუნდება ამ დინების ტაქტი, რომელიც სუნთქვის რიტმის ცვლილებებზეც რეაგირებს. ამის წყალობით ლაბირინთი ჩართულია სხეულის მთლიან მდგომარეობაში. მყარი, თხიერი და ჰაეროვანი ორგანიზაციის ამგვარი ურთიერთქმედება ლაბირინთის ორგანოს წონასწორობას ანიჭებს. იგი თან მიედინება და თან სიმშვიდეშია – დინებაში სუნთქავს და იმავდროულად

უძრავადაა.

ამ ფაქტში ორგანიზაციის ყოველგვარი დარღვევა თავბრუსხვევის სიმპტომებს იწვევს. ამის მიზეზი შეიძლება მრავალნაირი იყოს. მეტისმეტად სწრაფი სირბილი, ძლიერი ტრიალი, ალკოჰოლის ზედმეტად მიღება, ზოგადი სისუსტე, შიმშილი ყელაზე უფრო „ბუნებრივი“ მიზეზებია. თავბრუსხვევის მძიმე და უმძიმეს მდგომარეობებს იწვევს ასევე ზღვის დაავადება ტრანსპორტის ძალზე სწრაფად და არათანაბრად მოძრაობისას, სმენის გარეგანი ორგანოების სწრაფი გათბობა (რის გამოც ჩქარდება ენდოლიმფის ღინება), ლაბირინთის დაზიანებები და დაავადებები; ამ დროს თავბრუსხვევას გულისრევა და პირღებინება ემატება.

სუბიექტური ფენომენები, რომელთაც ადგილი აქვთ თავბრუსხვევის მდგომარეობისას, უაღრესად მრავალფეროვანია. მაგრამ ყელა მათგანს საერთო მიზეზი აქვს, რომელიც მაშინვე გამოიცინობა, როგორც კი საწყისი სიმპტომის სახით წარმოიქმნება, მაგ., ყურებში წუილის გრძობა. მაშინ ლაბირინთის მდუმარებაში შემოიჭრება სისხლის პულსაციის ხმაური. რაც უფრო დაჩრდილავს სისხლის რიტმი სუნთქვისას რაც უფრო გადაფარავს პულსაცია სუნთქვას მით უფრო გაუარესდება თავბრუსხვევის მდგომარეობა. იმართება ბრძოლა სუნთქვისა და სისხლის რიტმს შორის. როგორც კი იმარჯვებს სისხლი, ადგილი აქვს წონასწორობის ნაწილობრივ დაკარგვას. მაშინ სხეულის წყლები ზევით ამოდის, ავსებს კუქსა და პირის ღრუს და შედეგად გულისრევასა და პირღებინებას ვიღებთ.

ამავე დროს სისხლის ნაკადს ჩვენი სამშენველიც თან მიჰყვება; მასთან ერთად ვეფინათვით სხეულში, მიკვებით სისხლს ზევით-ქვევით და მთლიანად ვკარგავთ ორიენტაციას. „ყელაფერი იწყებს ტრიალს“, რადგანაც ჩვენ სისხლთან ერთად და მასში ვბრუნავთ. მაგრამ თუკი მოვახერხებთ სუნთქვის რიტმის აღდგენას, ღრმად და თანაბრად სუნთქვას, მაშინ წონასწორობაც შეიძლება აღდგენილ იქნეს.

წონასწორობის გრძობა სუნთქვაშია ჩანერგილი. აქა აქვს მას გადგმული მიწიერი ფესვები. და ვინაიდან აქტიური სუნთქვის პროცესი პირველად ხერხემლიანებში იჩენს თავს, მხოლოდ მათ გააჩნიათ წონასწორობის აპარატი.

წონასწორობის გრძობის შინაგანი განცდა

წონასწორობის გრძობა რანგით უმაღლესია ოთხ სხეულე-ბრივ გრძობას შორის. პირველი სამი გვაძლევს ჩვენი საკუთარი სხეულის უშუალო, თუმცაღა ბუნდოვან განცდას. ისინი სხეულს „ჩვენს საკუთრად“ აქცევენ ისე, რომ შეგვიძლია მას „მე“ ვუთხრათ, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ისინი უფრო მეტსაც გვაძლევენ სამშინველში უკუგამოსხივების გზით. შეხების გრძობა გვაწვდის ბუნდოვან ცოდნას ჩვენი საკუთარი თავის შესახებ, იგი საშუალებას გვაძლევს განვიმსჯელოთ ღუთის გრძობით. სიცოცხლის გრძობა აღმოაცენებს სივრცეში განფენილი სხეულებრივი მეობის შეგრძნებას. საკუთარი მოძრაობის გრძობა გვათავისუფლებს, როგორც მშინვეიერ არსებებს და ამით სიხარულის გრძობას გვანიჭებს.

რომელ შეგრძნებებს აღმოაცენებს წონასწორობის გრძობა? თუ რუდოლფ შტაინერს დავუკითხებით, მისგან შემდეგ პასუხს მივიღებთ: „აბა დაფიქრდით, რამდენად ვერ ვახერხებთ... იმის ქეშმარიტად შეგრძნებას, რომ წონასწორობაში ვიმყოფებით. მაშ როგორ შევიგრძნობთ წონასწორობის გრძობის განცდას, რომელნიც სამშინველში ასხივებენ?.. ჩვენ შევიგრძნობთ მათ, როგორც შინაგან სიმშვიდეს, რომლის მოქმედების შედეგიცაა ის, რომ როცა აქედან იქ მივდივარ, უკან კი არ ვტოვებ იმას, რაც ჩემს სხეულშია, არამედ თან მიმაქვს; იგი იგივე რჩება. და ჰაერში ფრენაც რომ შემეძლოს, მაინც იგივე დავრჩებოდი. ესაა ის, რაც საშუალებას გვაძლევს დროისგან დამოუკიდებელნი ვიყოთ. არც იმას მოვიტოვებ უკან, რაც დღესა ვარ და ხვალეც იგივე ვრჩები. სხეულებრივობისაგან

ეს დამოუკიდებლობა არის წონასწორობის გრძობის გამოსხივება სამშენველში. ესაა საკუთარი თავის სულიერ არსებად გრძნობა“.¹⁴

ამ აღწერიდან ნათელი ხდება ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც წონასწორობის გრძობას გააჩნია. უკვე არა მარტო სხეული განიცდება და შეიგრძნობა როგორც „მე“ მე განვიციდი ჩემსავე თავს, როგორც სულს. აქ უკვე სახეზეა არა თავისუფლების ლალი შეგრძნება, რაც მოძრაობის გრძობის საშუალებით გვეძლეოდა, არამედ შინაგანი დარწმუნებულობის ცნობიერება, „მე ვარ“-ის ცნობიერება. „მე ვარ“ უწყვეტი, მარადიული არსება, რომელიც აქაც და იქაც, გუშინაც და ზვალაც ერთი და იგივე არსება ვიყავი, ვარ და ვიქნები. ეს დაახლოებით იგივე დარწმუნებულობაა, რომლითაც ხვალინდელი დღის დადგომასა და მზის ამოსვლას მოველით. გაღვიძებისას რომ მუდამ იგივენი ვიქნებით, რანიც დაძინებისას ვიყავით – ამ დარწმუნებულობას წონასწორობის გრძობას უნდა ვუმაღლოდეთ.

იგი სამშენველში ისევე წარმოქმნის სიმშვიდის ზონას, როგორც სტატიკური ორგანო – სხეულში. სიმშვიდის ამ ზონაში ჩვენ თავს შევიგრძნობთ, როგორც სულს; ჩვენ გვაქვს ცხადი განცდა, რომ ვართ ენტელექტია, რომელიც არ განადგურდება. „ყოველი ენტელექტია არის მარადისობის ნაწილი და ის მცირეოდენი წლები, როდესაც იგი მიწიერ სხეულთანაა დაკავშირებული, არ აბერებს მას“. ეს უთხრა ვოეთემ ეკერმანს 1828 წლის 11 მარტს. საკუთარი ენტელექტის ამ განცდას იძლევა წონასწორობის გრძობის გამოსხივება ჩვენს სამშენველში.

ამასთან კი კიდევ ერთი ფენომენია დაკავშირებული. ახალშობილ ბავშვს თავიდან არ ძალუძს წონასწორობის შენარჩუნება. მხოლოდ სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში სწავლობს იგი დგომასა და სიარულს და ამით ერთვება სივრცეში. ძალა კი, რომელიც ამას შეაძლებინებს, არის ალმართვის ძალა. უკვე 1911 წელს მიუთითა რუდოლფ შტაინერმა

ამ ძალის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. მან თქვა: „პირველ რიგში იგი (ადამიანი) სწავლობს საკუთარი სხეულის სივრცეში ორიენტაციას. თუ რას გულისმობს ეს, ამას თანამედროვე ადამიანი ყურადღებას სულ არ აქცევს. ამით კი ვეხებით არსებით განსხვავებას ადამიანსა და ცხოველს შორის. ცხოველის შემთხვევაში იმთავითვე განსაზღვრულია, რომ იგი გარკვეული სახით დაიქვრს წონასწორობას სივრცეში; ერთნი თავიდანვე მცოცავ ცხოველებად იბადებიან, მეორენი მცურავებად და ა.შ. ადამიანს კი თავიდანვე არ ეძლევა ყველა წინაპირობა წონასწორობის დასაქვრად. ეს უკანასკნელი მან თავისი მთლიანი არსებიდან უნდა ჩამოიყალიბოს... ადამიანი თავად აძლევს საკუთარ თავს ვერტიკალურ მდებარეობას, სივრცეში წონასწორობის მდგომარეობას“²⁸

მოგვიანებით რუდოლფ შტაინერმა უფრო სრულად აღწერა ძალა, რომლითაც ბავშვი წელში იმართება. ერთ-ერთ პედაგოგიურ კურსში ნათქვამია: „სიარულის სწავლა გულისხმობს ადამიანის ისეთ ორიენტაციასა და წყობას, რომ მისი ორგანიზმისა და მოძრაობის შესაძლებლობების წონასწორობა ერთვება სამყაროს წონასწორობასა და მოძრაობის შესაძლებლობებში, რამდენადაც ამ სამყაროში ვდგავართ. სიარულის სწავლისას ჩვენ ვეძებთ სამყაროსთან ადამიანის შესაფერის წონასწორობის მდგომარეობას. ჯერ ვეძებთ ფიზიკურ წონასწორობას აღმართვისას, ხელების გამოთავისუფლებისას კი – მშეინვიერ წონასწორობას“²⁹

ფეხების მეოხებით ჩვენ მოვიპოვებთ ფიზიკურ წონასწორობას, ხელები, რომელნიც არ არიან მიწასთან მიჯაჭვულნი, არამედ თავისუფალი მოძრაობის უნარი შესწევთ, მშეინვიერ წონასწორობას გვაძლევენ. უმოძრაო თავში კი სულიერი წონასწორობა იღვიძებს, რომელიც ჩვენს ენტელექტიაში დარწმუნებულობას გვაძლევს.

აღმართვის ეს ძალა, რომელიც ყველა ადამიანს თან მოაქვს მიწიერ ცხოვრებაში და რომლითაც გაჟღენთილია მისი არსება, იძლევა იმ იღუმალი აქტის შესაძლებლობას, რომლის

მეოხებითაც პატარა ბავშვი თანდათან სწავლობს აღმართულ დგომას. აღმართვის ძალა ჩვენი ენტელექტის ის ნაწილია, რომელიც წონასწორობის გრძნობასა და მის ორგანოებს უკავშირდება და ამით ხანგრძლივი ვარჯიშისა მცდელობების შედეგად ჩვენ სხეულს პორიზონტალური მდგომარეობიდან ვერტიკალურში აყენებს.

ამიტომაც მიუთითებს რუდოლფ შტაინერი იმ ფაქტზე, რომ ცხოველი ისეა ფორმირებული, რომ წონასწორობის მდგომარეობას დაბადებიდან რამოდენიმე დღეში აღწევს. ვინაიდან ცხოველი თავისი სხეულის საშუალებითაა სამყაროს წონასწორობის ძალებში ჩართული. ადამიანმა კი თავად უნდა ისწავლოს ამ ძალებში ჩართვა და ამით იგი მოიპოვებს იმ შინაგან დარწმუნებულობას, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ეს თავდაჯერებულობა მოზარდს აძლევს მშვიდობიერ-სულიერ სივრცეს, სადაც იგი მეტყველებასა და აზროვნებას სწავლობს, ხოლო წონასწორობის გრძნობის მოქმედებიდან წარმოქმნილ ამ სივრცეში, მეტყველებისას და აზროვნებისას ადამიანის მე საკუთარი თავის ცნობიერებისთვის იღვიძებს.

ზოგიერთი რამ წონასწორობის გრძნობის მეტამორფოზაზე სიყრმის განმავლობაში

მას შემდეგ, რაც გავეცანით იმ გასაოცარ როლს, რომელსაც წონასწორობის გრძნობა თამაშობს ადამიანის არსებობაში, ამ გრძნობის კიდევ რამოდენიმე ფარული ნიშან-თვისება და მოქმედება უნდა აღვწეროთ.

ერთ-ერთ საბუნებისმეტყველო კურსში“ რუდოლფ შტაინერმა მიუთითა, რომ ქვედა გრძნობების მნიშვნელობა ბავშვობისა და სიყრმის განმავლობაში იცვლება. სიცოცხლის, მოძრაობისა და წონასწორობის გრძნობების მოკლე დახასიათების შემდეგ იგი ამბობს: „თუ შეიმეცნებთ იმას, რაც ჩასახვიდან კბილების მოცვლამდე ხდება, ნახავთ, რომ ამ დროს ინტენსიურად მოქმედებს ეს სამი შინაგანი გრძნობა. და თუ გან-

კვირტავთ იმას, რაც აქ მიმდინარეობს, შეამჩნევთ, რომ წონასწორობისა და მოძრაობის გრძნობებში სხვა არა ხდება, გარდა ცოცხალი მათემატიზირებისა... ამრიგად, გარკვეულწილად ფარულად ადამიანში შინაგანად მოქმედებს მთელი მათემატიკა, რომელიც კბილების მოცვლისას კი არ კვდება, არამედ არსებითად ნაკლებად ცხადი ხდება მას შემდეგ. ის, რაც ადამიანში აქტიურია წონასწორობის, მოძრაობის, სიცოცხლის გრძნობების მეოხებით, გამოთავისუფლდება... და შემდეგ ვხედავთ, რომ ის, რამაც, როგორც მშენივეერმა, თავდაპირველად მოქსოვა ორგანიზმი, მშენივეერი გახდა იგი, თავისუფლდება, როგორც მშენივეერი ცხოვრება; რომ მათემატიკა, როგორც აბსტრაქცია, ზეამოდის იმ მღვთმარეობიდან, რომელშიც იგი აქამდე კონკრეტულად მოქმედებდა ადამიანის ორგანიზმში... ჩვენ ვაკვირდებით მათემატიკის წარმოშობას ქმნად ადამიანში“

რუდოლფ შტაინერის ეს მითითება უდიდესი მნიშვნელობის მქონეა ადამიანის არსების შემეცნებისთვის. აქ მკაფიოდაა თქმული, რომ მათემატიზირება, რომელიც ბავშვის სამშენველში კბილების მოცვლის შემდეგ იღვიძებს, იმ აღმშენებლობითი და მაფორმირებელი აქტივობის მეტამორფოზაა, რომელსაც აქამდე ორგანიზმში ჰქონდა ადგილი იქ, სადაც მოძრაობისა და წონასწორობის გრძნობების სფეროები იმყოფება. რუდოლფ შტაინერის სხვა მითითებებიდან ჩანს, რომ გეომეტრიზირება უფრო წონასწორობის გრძნობას უკავშირდება, არითმეტიზირება კი საკუთარი მოძრაობის გრძნობას.“

ამრიგად, ბავშვობისას ჩვენ საკუთარ სხეულზე, ცოცხლად განვიცდით გეომეტრიისა და არითმეტიკის კანონებს. მოგვიანებით ისინი, გამშენივეერებულნი და განწყნებულნი, კვლავ იჩენენ თავს ჩვენი აზროვნების სტრუქტურაში. ამ დროს ჩვენ „ვსწავლობთ“ და „ვწვდებით“ იმას, რაც აქამდე „გვიკეთებია“ და „განგვიხორციელებია“.

ფსიქოლოგი პიაჟე და მისი თანამშრომლები (თუმცაღა სულ სხვა კუთხიდან) მივიდნენ შედეგებამდე, რომელნიც ერთმნიშვნე-

ნელოვნად ადასტურებენ რუდოლფ შტაინერის ამ მითითებებს. პიაჟე აღიარებს ფუნდამენტურ კავშირს ინტელექტსა და ბავშვის სენსო-მოტორულ უნარებს შორის. მეტაგერი შემდეგნაირად წარმოადგენს ამ შედეგების ერთ ნაწილს: „მხოლოდ მაშინ, როცა შესაძლებელი ხდება ორი ერთმანეთთან დაკავშირებული თვისების (მაგ., სიმაღლე და სიგანე, ერთდროულად წვდომა და მათი ურთიერთსაპირისპირო ცვლილებისათვის ერთდროულად თვალის მიდევნება, მაშინ (ბავშვს, შეუძლია წედეს, მაგ., ფორმის ცვლილებისას მასის შენარჩუნებას. ამგვარი სიმწიფე მიიღწევა დაახლოებით შეიდი წლის ასაკში.. მხოლოდ ამ დროს ხდება ასევე გასაგები სიგრძის დამოუკიდებლობა მდებარეობისგან, რაოდენობისა სიმკვრივისაგან და სხვა მრავალი. ამასთან, პირველად აღიჭვრის ეკვი გარე გრძობების მონაცემების სანდოობაში“.² ამ მიმართების გაგება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ შემეცნებულ იქნება წონასწორობისა და მოძრაობის გრძობების მეტამორფოზა ცოცხალი მათემატიზირებიდან აზრისმიერ მათემატიზირებად.

ლექციაში „ადამიანის სულისა და ცხოველის სულის“ შესახებ რუდოლფ შტაინერი მიუთითებს წონასწორობის გრძობის შემდგომ მეტამორფოზაზე. აქ წარმოდგენილია, თანდათან თუ როგორ სუსტდება, თითქოსდა ქრება, რამოდენიმე ხანში კი ახალი ფორმით კვლავ წარმოჩნდება ქვედა გრძობების ძალები, რომელნიც ბავშვობისას „თავისუფლად და ლაღად მოქმედებენ“. „ახლა ეს ძალები სულის განვითარებისათვის ძალზე სახასიათო სახით კვლავ მკაფიოდ იჩენს თავს ადამიანში. რასაც ადამიანი აღწევს წონასწორობის გრძობის ჩამოყალიბებისას, მოგვიანებით კვლავ ვპოულობთ, როდესაც იმავე ძალას იგი თავისი ეესტების ჩამოყალიბებისთვის იყენებს... და როდესაც ადამიანი ეესტებში გამოხატავს საკუთარ შინაგან სამყაროს, იგი იმავე ძალას იყენებს, რომლითაც აღწევს წონასწორობის გრძობას წონასწორული მდებარეობის მიღებისას. ის, რასაც ადამიანი თვალსაჩინოდ გამოიმუშავებს სიარულისა და დგომის სწავლისას, მოგვიანებით დახვეწილი, გალ-

რმავებული, გაშინაგნებული სახით იჩენს თავს, როდესაც იგი ნაცვლად სხეულებრივი გამოხატულებისა უფრო მშვინვიყრად მელაენდება ეესტებში“

აქ სახეზეა წონასწორობის გრძნობის კიდევ ერთი მეტამორფოზა. გეომეტრიზირებისას მისი გარდასახვა აზროვნების სფეროში ხდება; ეესტების შემთხევაში კი მისი გამოთავისუფლებული ძალები გრძნობის სფეროში მოქმედებს. ეესტების საშუალებით ჩვენ უფრო ცხადს ვხდით თითოეულ წარმოთქმულ სიტყვას; ისინი ხელშესახები გრძნობით მოსავენ წარმოთქმული წინადადებების შინაარსს. ეესტიკულაციის საშუალებით ჩვენ განვამტკიცებთ, ხაზს უესვამთ, მკაფიოს ვხდით იმას, რისი გამოხატეაც გესურს სიტყვიყრად. ეესტი არის გრძნობისმიერი და ნებელობითი მეტყველება მოტორიკის სფეროში.

ცხოველს არ გააჩნია ეესტები. თითოეული მოტორული აქტი მისი სახეობისა და ოჯახის გამოხატულებაა. ყველა ცხოველი მოძრაობს თავისი სხეულის აგებულებისდა მიხედვით. იგი თავადაა ფორმადქცეული ეესტი; და ამიტომაც არ გააჩნია ეესტების ენა.

მაგრამ ეესტები არ უნდა გავაიგივოთ გამომსახველობით მოძრაობებთან. ეს უქანასენლნი უფრო მრავლისმომცველნი და შორსმწვდომნი არიან. ისინი გამოხატევენ ადამიანის მთელ ემოციურ ცხოვრებას. სირცხვილსა და რისხვას, შიშსა და სიხარულს, სიცილსა და ტირილს გამოხატევის ტიპური ფორმები აქვს. მაგრამ ესენი მეტყველებამდელი ბუნებისანი არიან. ისინი გამოხატევენ გრძნობებს და არა სიტყვათკავშირებსა და აზრებს.

ეესტი გამოკვეთავს, მკაფიოს ხდის ენით გამოთქმულს, ახდენს მის ფორმულირებას. იგი სასვენ ნიშანს უესვამს წარმოთქმულ სიტყვას და გამომსახველობითი მოძრაობების განსაკუთრებულ ფორმას ჰგავს. ამიტომაც ეესტები მხოლოდ მოზრდილ ადამიანში იჩენს ქეშმარიტად თავს. აქამდე ისინი მხოლოდ უხეშ მინიშნებებს წარმოადგენდენ; მოგვიანებით კი მეტყველი ადამიანის ფაქიზ გამომზეურებად იქცევიან.

გენიალური დირიჟორები და ნიჭიერი ორატორები არიან იმ ადამიანთა წარმომადგენლები, რომელნიც სწორად იყენებენ შესტებს. ორივენი თავისუფლად და წელში გამართულნი დგანან იმ ჭგუფის წინაშე, რომელსაც წარმართავენ; ორატორი – აუდიტორიის წინაშე, დირიჟორი კი – ორკესტრის. შესტების საშუალებით ორივეს ორიენტაცია და წონასწორობა შეაქვს მათ მიერ შესრულებულში.

ამიტომაც უმატებს რუდოლფ შტაინერი ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს შემდეგ მითითებას. „ამის გამო ვგრძნობთ ასე ინტიმურად ადამიანის შინაგანს, როცა მის წინაშე ვდგავართ და მის შესტებს... ვამოქმედებთ ჩვენზე. ამ მხრივ თითოეული ადამიანი მეტ-ნაკლებად ხელოვანია სხვა ადამიანებთან მიმართებით“.

შესტში წონასწორობის გრძნობა მხატვრულ დასრულებას აღწევს. როგორც საკუთარი მოძრაობის გრძნობა მალღდება მიმიკამდე, ასევე წონასწორობის გრძნობა ადის შესტამდე. მასში პოულობს იგი სრულყოფას და სიტყვის მსახურად იქცევა.

წონასწორობის გრძნობა სამკურნალო პედაგოგიკის ქრილში

ამ გრძნობის ყველაზე თვალში საცემი დარღვევებია ატაქსიის თანშობილი და შეძენილი ფორმები. აქ საქმე ეხება მოტორიკის შეფერხებებს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან არა თავად კუნთურ აქტივობასთან, არამედ აღმართული მდგომარეობის დაუფლებასთან. ატაქსიით დაავადებულ ბავშვებს ჭლომისას ან წოლისას შეუფერხებლად შეუძლიათ ხელ-ფეხის მარტივი მოძრაობების შესრულება. მაგრამ როგორც კი ფეხზე დგებიან, წონასწორობის გრძნობა მაშინვე უმტყუვენბთ, ისინი კარგავენ თავდაჭერებულობას, ფეხების კუნთური აპარატი იკრუნჩხება, ხელები კი საყრდენს ეძებენ.

უმთავრესი ფორმა ე.წ. ცერებრული ატაქსიაა. ეს დარღვევა

უმეტეს შემთხვევაში თანშობილი არის. მისი ორგანული საფუძველია მცირე ტვინის ღეფექტები ან ანომალიები. დაავადებული ბავშვები ძალზე ჩამორჩენილნი არიან ზოგადი განვითარების მიხედვით. ისინი ძალზე გვიან ან საერთოდ ვერ ახერხებენ თავისუფლად სიარულსა და დგომას. ამასთან ერთად, დანარჩენ უნარებშიც აკლიათ წონასწორობა. მათი გრძნობები ლაბილურია. დიდი წვალეობით სწავლობენ მეტყველებას, ხშირად ვერ აზროვნებენ მკაფიოდ და ვერ აყალიბებენ სწორ ცნებებს. მშენიერი ცხოვრება ქარივით დაუქრით. მათ საყრდენი აკლიათ.

არსებობს ცერებრული ატაქსიის მძიმე და მსუბუქი ფორმები. მაგრამ ყურადღებიანი დამკვირვებელი მსუბუქ ფორმებშიც შეამჩნევს მშენიერი წონასწორობის დანაკლისს.

ამ მდგომარეობისას მუდმივად სახეზეა გრავიტაციის ძალისთვის თავის გათმევის უუნარობა. სხეული ისეთივე მძიმეა, როგორც ნებისმიერი ნივთი და მას არ ძალუძს აქედან თავის დახსნა. როგორც ჩანს, აქ საქმე განსაკუთრებით სიმძიმის გრძნობის დარღვევასთან გვაქვს. ამ დარღვევის შედეგად ბავშვი კარგავს უნარს, განვითარების განმავლობაში კავშირი დაამყაროს სივრცის ძალებთან და განივითაროს სიმსუბუქის გრძნობა.

წონასწორობის დარღვევის მეორე ფორმას ვხვდებით გულურების სფეროში. აქ საქმე ეხება წონასწორობის არა მუდმივ, არამედ დროებით, უეცარ დაკარგვას. ადამიანი ამოვარდება სამყაროში წონასწორობის ჰარმონიული მდგომარეობიდან. იგი უეცრად ვარდება, მთლიანად ან ნაწილობრივ კარგავს დღის ცნობიერებას, სამშენიველი კი საკუთარი სხეულებრივობის წიაღში იძირება.

ეპილეფსიის სხვადასხვა ფორმების გარჩევისას რუდოლფ შტაინერმა მკაფიოდ მიუთითა ერთ-ერთ მათგანზე, რომელიც გრავიტაციის ძალასთან არის დაკავშირებული. „სამკურნალო პედაგოგიური კურსის“ მესამე ლექციაში იგი აღწერს ადამიანის მეს კავშირს სიმძიმის ძალასთან. მეს კავშირი სიმძიმის

ძალასთან არ მყარდება ფიზიკური სხეულის გავლით, რამდენადაც მას სიმძიმე ახასიათებს. პირიქით, ფიზიკური სხეული გარკვეული გაგებით კარგავს თავის სიმძიმეს, გამოთავისუფლდება სიმძიმის ძალისაგან იმის წყალობით, რომ მე-ორგანიზაცია განმსჭვალავს მას და ამით პირდაპირ გადალახავს სიმძიმის ძალას. „მე უშუალო კავშირში შედის (სიმძიმის ძალასთან); როგორც მეს, ისე ათავსებს საკუთარ თავს სიმძიმის ძალაში, ამდენად, განზე ტოვებს ფიზიკურ სხეულს“.

ამ კატეგორიის ეპილეფსიური მდგომარეობები თავს იჩენს მაშინ, როცა ირღვევა უშუალო, „მაგიური“ კავშირი (როგორც რუდოლფ შტაინერი ამბობს) მესა და სიმძიმის ძალას შორის. იმავე ადგილას მითითებულია, რომ ამ დროს წარმოშობილი ცნობიერების დარღვევები თავბრუსხვევის მოვლენების მონათესავეა; საქმე ისაა, რომ მე-ორგანიზაცია და ასტრალური სხეული „უშუალო კავშირს არ ამყარებენ წონასწორობის ძალებთან“

რუდოლფ შტაინერის რჩევით, ამგვარ ბავშვებთან მდგომარეობის გასაუმჯობესებლად – გარდა აუცილებელი მედიკამენტური მკურნალობისა – საჭიროა სხვადასხვა სახის წონასწორობის სავარჯიშოების გაკეთება.“

ატაქსია და ეპილეფსია შეიძლება აღიწეროს, როგორც უშუალოდ წონასწორობის გრძნობის დარღვევა, მაგრამ არსებობს განვითარების შეფერხების ბევრად უფრო დიდი ჯგუფი, რომელიც არაპირდაპირაა დაკავშირებული სტატიკურ გრძნობასთან. ესენია მდგომარეობები, რომელთაც, ჩვეულებრივ, ინტელექტის დეფექტებს უწოდებენ, მაგრამ სინამდვილეში ცოტა რამ თუ აქვთ საერთო ამ უკანასკნელთან.

თუ დავაკვირდებით წონასწორობის გრძნობის მეტამორფოზას ბავშვობისა და სიყრმის განმავლობაში, აღმოვაჩინთ ახლებურ მიდგომას არითმეტიკული და გეომეტრიული ცნებებისა და ფორმების შემეცნებაში ასე ხშირად არსებული დეფექტებისადმი. ზოგიერთ ბავშვს თითქმის სულ არა აქვს მათემატიკის გაგების უნარი და ვერც ივითარებს მას მიუხედავად

მასწავლებლის უდიდესი მცდელობებისა.

ამის ტიპური მაგალითია დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი. რატომ არ ძალუძს მას რიცხვისა და მისი მნიშვნელობის წვდომა? იმიტომ, რომ კუნთური აპარატის სისუსტისა და ატონიის გამო ადრეული ბავშვობისას მხოლოდ ნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ შეეძლო წონსწორობის ძალებში ჩართვა. კბილების მოცვლის შემდეგაც ამგვარი ბავშვის აღმართული მდგომარეობა არათავისუფალი და მძიმე რჩება; წონასწორობის გრძნობის ძალები, რომელნიც, ჩვეულებრივ, გამოთავისუფლებიან ხოლმე, სხეულზე მიჯაჭვულნი რჩებიან და ვერ ახერხებენ აზროვნების ძალად გარდაქმნას. სწორედ ესაა ქეშმარიტი საფუძველი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების უუნარობისა, მოახერხონ მათემატიკურ მიმართულებათა წვდომა.

ძალზე ხშირად, განუხორციელებელი მეტამორფოზის ამავე სფეროში უნდა ვეძიოთ წერა-კითხვის დარღვევების მიზეზებიც. ბავშვი, რომელსაც წონასწორობის გრძნობა ცუდად აქვს ჩამოყალიბებული, ვერ შეძლებს გეომეტრიული წარმოდგენების ისე განვითარებას, რომ მოახერხოს მათი ჩართვა წერილობით სურათ-ხატებში. ასოების გადმოტრიალება, მათი თანმიმდევრობის არევა ამასთანაა დაკავშირებული. შემდგომში ამას მიეყვართ დეფექტამდე, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ამგვარი ბავშვები ვერ უნარჩუნებენ ასოებს ერთ ზომას; მათ არ შეუძლიათ წინასწარ გავლებული ხაზების გარეშე წერა, რადგან სიტყვები ან ზევით გაურბით, ანდა ქვევით. ცალკეულ სიტყვებსა და ასოებს შორის მანძილის, სიტყვათწარმოქმნისა და წინადადების აგების დარღვევებიც მხოლოდ უიშვიათეს შემთხვევებში წარმოადგენს ინტელექტის დეფექტს. უმეტეს შემთხვევებში ამ დარღვევებისას წონასწორობის ძალები საკმარისად არ არის გარდაქმნილი ორგანული ფორმიდან მშენივნეიერში.

ამგვარი მდგომარეობისას სამკურნალო პედაგოგიური საშუალებების მიზანი უნდა იყოს ასეთი ბავშვების სამშენიველის წონასწორობის განმტკიცება. დიდად მარგებელია რუდოლფ

შტაინერის მიერ მოცემული სარკისებური ნახაზების სავარჯიშოები. გარდა ამისა, ვარჯიშები, რომელნიც სხეულის ფლობას აუშვობესებენ, სიარულს, სირბილს, ხტუნვას, კიბეზე ასვლას უფრო მარჯვეს და თავისუფალს ხდიან, ასევე ეხმარება წერის დარღვევების მქონე ბავშვს დაბრკოლებების გადალახვაში. რაც უფრო თავისუფალი ხდება მოძრაობა, მით უფრო მეტად ძალუძს წონასწორობის ძალებს შესაბამის აზრობრივ მიმართებებად გარდაქმნა.

ამ მოვლენებშიც თავს იჩენს სენსორული და მოტორული აქტივობების მკიდრო ურთიერთკავშირი. ერთი ფუნქცია არასოდეს არსებობს მეორის გარეშე. ისინი ერთმანეთს ატარებენ და მხარში უდგანან.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს მრავალი შეფერხებული ბავშვის ეესტიკულაციის სიმწირე. საზოგადოდ, ნორმალურად განვითარებულ ბავშვებსა და ყმაწვილებსაც მწირი ეესტები აქვთ. რამდენადაც პარმონიული და მრავალფეროვანია მათი მოტორიკა, განსაკუთრებით, კბილების მოცვლიდან პუბერტეტამდე, იმდენად გახევებული და ჩლუნგია მათი ეესტები. ხეშეში და დაზეპირებულია ბავშვის ეესტიკულაცია, ლექსს რომ წარმოთქვამს. ამის მიზეზი ისაა, რომ თავად ენა არაა სრულიად დაუფლებული და გაპიროვნებული, რის გამოც ჭერ ვერ ქცეულა საკუთარი თავის გამოხატვის საშუალებად. სკოლის ასაკის ბავშვის ენა მეტწილად ოჯახისა და მასწავლებლის ენის ანარეკლია. ბავშვი ისევე მეტყველებს, როგორც დედ-მამა და მასწავლებელი. იგი ჭერ არას ამბობს თავისას.

შეფერხებული ბავშვის ეესტები კი არა მარტო ხეშეშია, არამედ თითქმის არ არსებობს; მას არ გააჩნია ეესტიკულაცია, ვინაიდან წონასწორობის გრძნობა უმეტესწილად ზედმეტად მიჯაჭვული რჩება ორგანიკაზე და მხოლოდ ვერტიკალურ სიარულს ემსახურება.

ამიტომაც ასე უჭირს მრავალ განვითარებაშეფერხებულ ბავშვს საკუთარი თავის გამოხატვა და ისეთი რალაციის განსახიერება, რაც განსხვავდება მათი შეზღუდულობისაგან. ზოგჯერ

ისინი კარგად ბაძვენ; მაგრამ განსახიერება არაა მიბაძვა, ვინაიდან მოითხოვს შემოქმედებითობას და არა იმიტაციას. მრავალ შეფერხებულ ბავშვს, ვინც ვერ მოახერხა წონასწორობის გრძნობის მეტამორფოზა ეესტებად, ეხმარება დრამატული სავარჯიშოები, რათა ნელ-ნელა შეძლონ საკუთარი თავის თავისუფლად გამოხატვა.

წონასწორობის გრძნობის კავშირი სმენასთან

ყოველივე ზემოთქმულის ბოლოს ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას სმენისა და წონასწორობის გრძნობის ორგანოთა მორფოლოგიურ ურთიერთკავშირზე. რალა თქმა უნდა, შემთხვევითობას არ წარმოადგენს, რომ ერთი პატარა წარმონაქმნიდან, სასმენი ბუშტიდან, რომელიც ადრეულ ემბრიონულ პერიოდში წარმოიშობა, ვითარდება ორმაგი ორგანო სმენისა და წონასწორობისათვის.

ხერხემლიანთა უმეტესობას მხოლოდ ძალზე რუდიმენტულად აქვს ჩამოყალიბებული ლოკოკინა კორტის ორგანოთი, რომელიც სმენას ემსახურება; თავის სრულყოფილ სახეს იგი მხოლოდ ადამიანში იღებს. მასში ლაბირინთი სამი ნაწილისაგან შედგება:

1. არხების სისტემა, რომელიც სივრცის ანუ სიმსუბუქის გრძნობას ემსახურება;
2. ოვალური პარკი,* რომელიც სიმძიმის გრძნობას უკავშირდება;
3. ოვალური სარკმელი** და ლოკოკინა, რომელიც სმენას ემსახურება.

სიმძიმის გრძნობა სტატოლიტური ორგანოთი სათავეს წარ-

* Utriculus.
Sacculus

მოადგენს; აქედან, ერთი მხრივ, ვითარდება რკალური აპარატი, მეორე მხრივ, კი ლოკოკინა. ამგვარად, სიმსუბუქის გრძობა და სმენა მსგავსია ორი გზისა, რომელნიც, გააჩნიათ რა ერთი საწყისი, თითქოსდა მესამისკენ, ზემდგომისკენ, მიისწრაფვიან.

სივრცის გრძობა ადამიანის სამშენველისთვის მისაწვდომ ხდის სივრცის სამი მიმართულების განცდას. იგი ერთმანეთისგან არჩევს ზევით და ქვევით, მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკანს. ამით კი საკუთარი სხეულის ფორმას და აგებულებასაც განიცდის. ამდენად, სივრცის გრძობა სამშენველისთვის მისაწვდომ ხდის ფიზიკური სხეულის ფიგურას, სხეული კი სამშენველის მატარებელი ხდება. ამ უკანასკნელისთვის საკუთარ სხეულთან შეუღლების შედეგად ცხადდება სამყაროს ამგები უმაღლესი ძალები, რომელნიც მუსიკალური ბუნებისანნი არიან.

შუა საუკუნეთა ფილოსოფიისთვის ჭერაც ცნობილი იყო ეს ურთიერთკავშირი. იამბლიკუსი ამბობდა: „სანამ სამშენველი მიწიერ სხეულს დაუკავშირდებოდა, იგი ღვთაებრივ პარმონიას უგდებდა ყურს“. წმინდა ბაზილიუსი სხეულს უწოდებდა „სიმებიან საკრავს, აწყობილს ღვთისათვის ჰიმნების საგალობლად. სხეულის ქმედებანი შეიძლება ფსალმუნებად იქცეს, ვინაიდან იგი იმდენად პარმონიულადაა ქმნილი, რომ ჩვენი მოძრაობებიც პარმონიად იქცევა““

შუა საუკუნეების სულიერი აღზრდა-განათლება შეიღ თავიუფალ ხელოვნებას ეფუძნებოდა. გრამატიკის, რიტორიკისა და დიალექტიკის ტრივიუმი სიტყვის იღუმალეებს ეძღვნებოდა. კვადრივიუმი კი არითმეტიკის, გეომეტრიის, მუსიკისა და ასტრონომიისგან შედგებოდა. აქ ვხვდებით ოთხ მეცნიერებას, რომელნიც წონასწორობის გრძობისა და სმენის უშინაგანეს გამოცანას გვიხსნიან. არითმეტიკა და გეომეტრია სტატიკური გრძობის ცოცხალი მათემატიკის გარდაქმნა არის. მუსიკა და ვარსკვლავთ სფეროების ელერადობა, ასტრონომია, კი სმენის საიდუმლოებებს განგვიცხადებს.

ანატომიური ერთი რომ ვთქვათ, ტრივიუმს საქმე აქვს ხორხის გრძობასთან, კვადრივიუმს კი შიგნითა ყურის კოსმიურ სტრუქტურასთან. აქ სამყაროს ფორმა – სივრცის არქიტექტურა – ხედება თავის ამგებ ძალებს – მუსიკასა და სფეროთა ელერას.

შუა საუკუნეების ბოლოს, ცნობიერი სამშენველის ეპოქის დასაწყისისთვის, დიდი სწავლული და ხელოვანი ლეონ ბატისტა ალბერტი (1404-1472) კიდევ ერთხელ აჯამებს ამ ცოდნას და არქიტექტურას უწოდებს ხელოვნებას, რომელიც თავის კანონებს მუსიკალური პროპორციებიდან იღებს. „ჩვენ ვთქვით, რომ ჰარმონია არის ბგერათა თანაჟღერადობა, ტბილად მოსასმენი; ბგერათაგან ზოგი დაბალია, ზოგიც მაღალი. დაბალ ბგერას გამოსცემს გრძელი სიმი, მაღალს – მოკლე და ამ ბგერათა სხვადასხვაგვარი მონაწილეობის შედეგია სხვადასხვანაირი ჰარმონია. ეს ჰარმონიები ჩვენმა წინაპრებმა სიმების ცვალებადი ელერადობებიდან გადაიყვანეს გარკვეულ რიცხვებში... ყველა ამ რიცხვს წარმატებით იყენებდნენ არქიტექტორები ბაზრების, მოედნების, გადახურული სივრცეების ხაზვისას, თუმცა ამ უკანასკნელში უკვე აღარ დაიკვირება მხოლოდ ორი განზომილება... მასში სიგრძესთან ერთად ფიგურირებს სიგანეც და სიმაღლე უნდა შეესაბამებოდეს მათ გარკვეული პროცორციით“.

აქ, თითქოს სულის დაისის უკანასკნელ შუქზე, დანახულ იქნა ის საერთო საფუძველი, საიდანაც მუსიკა და არქიტექტურა არის ამოზრდილი. ეს იგივე საფუძველია, საიდანაც შიგნითა ყურის ლაბირინთია აგებული: სივრცე და მუსიკა.

პირველად ნოვალისთან ხდება ამ ურთიერთკავშირებისათვის ხელახალი გამოღვიძება; ამიტომაც ეძახის იგი ბუნებას „ეოლოსის ქნარს, მუსიკალურ საკრავს, რომლის ბგერებიც ზენა სიმთა აჟღერება ჩვენში“ არქიტექტურას კი იგი „გაყინულ მუსიკას“ ადარებს.

აქედან გზა ამ იღუმალის კავშირებისა და ურთიერთშესაბამისობების სულისმცნოერული წვდომისაკენ მიემართება.

სხეულის სქემა და სხეულებრივი გრძნობები

გეორგ ფონ არნიმი

განვითარებაშეფერხებულ ბავშვთა უმრავლესობისათვის საკუთარი სხეულის განცდა ძირეულად განსხვავდება ჯანმრთელი ბავშვების მიერ სხეულის განცდისგან. განცდათა ამ მეტ-ნაკლებად არააწივრად სფეროს, რომელიც ზოგადად შეიძლება დაეხასიათოს, როგორც ბავშვის მიმართება საკუთარ სხეულთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება განვითარებაშეფერხებული ბავშვების მოვლასა და აღზრდაში, თუმცა თანამედროვე სამკურნალო პედაგოგიურ ლიტერატურაში მას თითქმის სულ არ ექცევა ყურადღება უამრავი წმინდა ფსიქოლოგიური კვლევის ფონზე. რასაკვირველია, სხეულებრივი არსებობის სფეროს გააზრება, უეჭველად, არსებითად უფრო დიდი სირთულეების წინაშე დგება, ვიდრე შეფერხებული ბავშვის ამა თუ იმ ქცევის ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციები.

როდესაც საუბარია საკუთარ სხეულთან ბავშვის „დამოკიდებულებაზე“, ამით იმთავითვე იგულისხმება, რომ ბავშვის სულიერი არსება სხეულზე აღმატებული, მისგან განსხვავებული ბუნების არის და რომ მათ შორის მიმართება სულ სხვა სახისაა, ვიდრე ცხოველთან. ბავშვის განვითარების ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ისაა (მოგვიანებით ამას უფრო დაწვრილებით შევეხებით), რომ ასაკთან ერთად მოიპოვოს „თავისუფალი“ დამოკიდებულება საკუთარი სხეულისადმი. ქცევის შედარებითმა მეცნიერებამ (ეთოლოგიამ) მრავალი კვლევის შედეგად დაადგინა, რომ ყველა ცხოველს აქვს ე.წ. „ქცევითი პროგრამები“, რაც გაგებულია, როგორც სხეულებრივად, ფიზიოლოგიურად მოცემული. ისინი დიდად განსაზღვრავენ ცხო-

ველის მოქმედებების მიმდინარეობას.56 აზრთა სხვადასხვაობა არსებობს მხოლოდ ამ „ქცევითი პროგრამების“ წარმოშობის თაობაზე. ამასთან, მეტწილად გადაილახა ვარაუდი, რომ ცხოველების გარკვეული ქცევები და მოძრაობები დაისწავლება სიცოცხლის პირველ ხანებში. უპირატესობა მიეცა თვალსაზრისს, რომ ისინი „ორგანოთა მსგავსად მწიფდებიან მემკვიდრეობით, მიღებული განვითარების რეცეპტებისა და მიხედვით“. სხვა სიტყვებით, ცხოველის სხეულის ბიოლოგიურ მონაცემებში ისეა დადგენილი მისი ქცევების მიმდინარეობა, რომ თვით ცხოველს არ შეუძლია მისი შეცვლა ან გარდაქმნა. „ეთოგრაჰიაში“ გაერთიანებულია ყოველი ცხოველისთვის დამახასიათებელი მოქმედებები, მაგ., როგორ თხრის, ღრღნის, როგორ აბრუნებს უკან ბუდიდან გადმოგორებულ კვერცხს, როგორ მიმდინარეობს მისი სქესობრივი ურთიერთობები და ა.შ. ცხოველი სულ სხვაგვარად წარმოადგენს სხეულს, ვიდრე ადამიანი; აქ მოყვანილი მოსაზრებებიდან გამომდინარე აზრს მოკლებული იქნებოდა, ისევე მივდგომოდით ცხოველის ნაწიერის დამოკიდებულებას საკუთარ სხეულთან, როგორც ბავშვისას. გასული ათწლეულების კვლევებმა სრულად დაამტკიცა ის, რაც სულისმეცნიერებიდან გამომდინარე უკვე 1910 წელს განაცხადა რუდოლფ შტაინერმა ცხოველის ორგანოების მის ქცევაზე უშუალო ზემოქმედების შესახებ.“

პედაგოგიურ ურთიერთმიმართებებში თავიანთი დიდი როლის გამო ეს ფენომენები ამჟამად ახალ აქტუალობას იძენს. ქცევის ყოველგვარი მეცნიერების მიზანია, „შეეძლოს პროგნოზირება ვითარების საკმარისი ცოდნისას“ თუ ვიცით ინდივიდუუმის გარკვეული ამოსავალი მდგომარეობა და მისი „ქცევითი პროგრამა“. შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ მისი რეაქციები. „სადღეისოდ ახალ იმპულსებს ბიოლოგია იძლევა და უკვე დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ადამიანური ქცევის სფეროსთვის ძირითადად გამოსადეგია ცხოველის ქცევის შესწავლიდან მიღებული სამუშაო ჰიპოთეზები. ცნო-

ბილია, რომ ადამიანის ქცევა გარკვეულწილად განისაზღვრება გეაროვნული შეგუებით. ეს კი უდიდესი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობის მქონეა ადამიანის შესახებ მეცნიერებისათვის — მაგ., პედაგოგიკისა და სოციოლოგიისთვის.“ ამის საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ ადამიანი სულ სხვაგვარად გრძნობს თავს საკუთარ სხეულში, ვიდრე ცხოველი. სწორედ ამისი შედეგია ის, რომ იგი აღზრდას ექვემდებარება ამ სიტყვის ქეშმარიტი გაგებით. ვინაიდან, აღზრდას საქმე აქვს არა ადამიანის ბიოლოგიურად განპირობებულ არსთან, არამედ მისი არსების სულიერ ბირთვთან. ბავშვის მიერ საკუთარი სხეულის განცდის ფენომენის წვდომის ყველა მცდელობის ქეშმარიტი ამოსავალი წერტილი შეიძლება იყოს მხოლოდ „მე“-ს მიერ საკუთარი თავის საფეხურებრივი გამოვლენა. ვინაიდან ის, რაც ბავშვობისას ლაშობს საკუთარი თავის გამომზეურებას, როგორც „მე“, არის არა შედეგი, არამედ წინაპირობა მისი სხეულებრივი გამოვლინებისა. ჩვენ ვნახეთ, რომ არსებითად სხეულებრივი გრძნობების მოქმედება აძლევს საფუძველს სხეულთან მიმართებას და მის მეტამორფოზას ბავშვობის განმავლობაში, ამით კი გზას უკაფავს „მე“-ს გარე გამოვლინებას.

ქვემოთ ჩვენი განხილვის საგანი იქნება აღნიშნული პრობლემეტიკის ერთი ასპექტი. სამკურნალო პედაგოგიური პრაქტიკული მუშაობისას ხშირად იძულებულნი ვართ, ვიკითხოთ, თუ როგორ ხდება, რომ გარემომცველი სამყაროს მიმართ ბავშვი თავს განიცდის, როგორც სხეულებრივად შემოზღუდულ არსებას. ერთი მხრივ, აქ მუდამ საქმე გვაქვს იღუმალ მოვლენებთან, მეორე მხრივ, განცდათა ამ სფეროდან არც თუ იშვიათად გადამწყვეტი სამკურნალო პედაგოგიური ამოცანები წამოიჭრება. თუ რამდენად კარგად გადაიჭრებიან ისინი, ხშირად განაპირობებს იმას, თუ რამდენად შორს მოხერხდება ბავშვის წინწაწევა.

ცვლილებები საკუთარი სხეულის განცდაში, რომელთაც განცდის ჯანმრთელი ბავშვი სიცოცხლის პირველი წლებიდან განვითარების ბოლომდე, თავისთავად ცხადია და არასოდესაა ისე

თვალში საცემი, როგორც განვითარების შეფერხებისას. განსაკუთრებით კარგი ფენომენოლოგიური დაკვირვებაა საკირო, რათა გარკვეულწილად გავიაზროთ, რომ სხეულებრივობის სფერო, საკუთარი სხეულებრივი შემოზღუდულობის განცდა ძალზე სხვადასხვაგვარად სცილდება კანით დადგენილ საზღვრებს, არაა მათი იდენტური იმისდა მიხედვით, საქმე ეხება კონტაქტის დარღვევების, თუ სპასტიკური დამბლის მქონე ბავშვს. განსხვავებულ სურათს ეხედავთ გულყრების მქონე, დაუნის სინდრომის მქონე, თუ პოსტენცეფალიტიან ბავშვებთან. ხშირად ვამჩნევთ, თუ რაოდენ დაკავშირებულად შეიგრძნობს ერთი ბავშვი ქვას საკუთარი სხეულებრივობის სფეროსთან, მისი ხელში დაჭერის შემდეგ, მეორე კი, მაგ., სპასტიკური დამბლის მქონე, მაშინაც კი, როცა მოძრაობა შესაძლებელია მექანიკური გაგებით, ხშირად ვერ ახერხებს საგნისთვის ხელის სწორად მოკიდებას, ვინაიდან სხეულებრივი საზღვრები არასაკმარისად „წელვადია“, რათა საგანს გარს შემოერთყას.

ეს „სხეულებრივი“ შეიძლება დრამატული დარღვევებისა და რადიკალური ცვლილებების მსხვერპლი გახდეს. ამის დაკვირვება შემოდლო თექვსმეტი წლის ბიჭის განცდებზე, რომელსაც გულის თანშობილი მანკი ჰქონდა, ცალი მხარის სპასტიკური დამბლა და გულყრები (ეს მაგალითი მომყავს ნათქვამის საილუსტრაციოდ). გულყრის შეტევის წინ იგი ხშირად ამჩნევდა (შეტევის წინმსწრები აურას გაგებით), რომ მარცხენა ფეხის ტერფი (წართმეული რომ ჰქონდა) „უსასრულობაში“ იზრდებოდა. უშუალო შთაბეჭდილება ყოველგვარი რეფლექსიის გარეშე იყო, რომ „ის თითქოს გასივდა“ ან „მას არა აქვს დასასრული“, თუმცა სხეულებრივ არავითარი გასივება არ შეიმჩნეოდა. ეს ხდებოდა უფრო მეტად საღამოს ან ღამით; მაშინ ბიჭი შეშინებული წამოდგებოდა და მეორე ოთახში მირობოდა, თითქოს უნდოდა, ფეხზე დგომით დაებუნებინა მისთვის სწორი ფორმა. ამ დროს დაკარგული იყო ფეხის ტერფის ბუნებრივი საზღვრების მკაფიო შეგრძნება, თუ სად მთავრდება იგი. ეს შეგრძნება რომ ყოველთვის არ ემთხვევა კანს, ამის

დაკვირვება ყველას შეუძლია საკუთარ თავზე. მსგავსი რამ უნდა მომხდარიყო გულყრისწინა დღეებში ბიჭის მიერ საკუთარი სხეულის მთლიანობით განცდაშიც, თუმცაღა იგი გარკვევით არ ლაპარაკობდა ამაზე. მაშინ არამარტო მისი ქცევები ხდებოდა უჩვეულოდ მოუსვენარი, ხშირად ქოლერიული, არამედ ნორმალური პროპორციების გრძნობაც ეკარგებოდა. რაზეც იგი ამ პერიოდებში ყვებოდა, უსასრულობად იყო ქცეული: „ასი სახლი“ ჩნდებოდა იქ, სადაც ერთი იღგა, „სამი ათასი წელი“ იყო დარჩენილი მომავალ არდადეგებამდე. გულყრებისაგან თავისუფალი, განსაკუთრებით გულყრის შემდგომი პერიოდისგან განსხვავება აშკარა იყო. მეორე, თითქმის იმავე ასაკის ბიჭის შემთხვევაში გულყრის წინ რამოდენიმე საათით ადრე ადგილი ჰქონდა მარცხენა ყურის ზრდასა და განვრცობას; გულყრისას კი განსაკუთრებით მკაფიო კონველსიები შეიმჩნეოდა სახის მარცხენა მხარეს. აქ კვლავ დაკარგული იყო საკუთარი სხეულის საზღვრების განცდა, ადგილი ჰქონდა სხეულებრივობის გაუსაძლის დაკარგვას, რაც რამოდენიმე საათის შემდეგ გადაილახებოდა პროცესით, რომელსაც გულყრას ვეძახით. რა არის ამ სხეულებრივობის საფუძველი?

ო.ფ. ბოლნოვის წიგნში „ადამიანი და სივრცე“, თავში „ადამიანის სიცოცხლის სივრცობრივობის“ შესახებ, არის პატარა, მაგრამ მრავლისმთქმელი ნაწყვეტი ქვესათაურით „სხეული“. აქ მთელი მკაფიოებითაა დასმული ადამიანის საკუთარ სხეულთან მიმართების საკითხი. ჩანს, თუ რაოდენ ძნელია, შეუძლებელიც კი, პასუხის გაცემა, თუ არ იქნა მიტოვებული სამგანზომილებიანი სივრცის სფერო, რომელზეც ლოგიკური ცნებებით ვმსჯელობთ. აქ დაწვრილებით ვერ წარმოვადგენთ ბოლნოვის ნაშრომს. მხოლოდ შემდეგი აზრების რეზიუმირებას მოვახდენთ. ჯანსაღი მდგომარეობისას გულუბრყვილო ცნობიერებით ადამიანი თითქმის ვერ განიცდის სივრცეს, რომელიც მის სხეულს უჭირავს; ეს ხდება მხოლოდ „საზღვრების განცდისას“ საგნობრივ გარე სამყაროსთან შეხების დროს. საქმე სხვაგვარადაა ტკივილისას და ავადმყოფური მდგო-

მარეობისას. ისმის კითხვა: „როგორ გვეძლევა ჩვენი საკუთარი სხეულის სივრცე, როდესაც მისდამი ჩანსალი მიმართება გაგვაჩნია და იგი არაა ობიექტივირებული ტკივილით ან სხვა დარღვევებით?“

ამგვარ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობისას ერთი რამ უდავო ხდება: ბავშვის განვითარება არსებითად იმაში მდგომარეობს, რომ ამ მხრივ მიაღწიოს არსებობის შესაფერის ფორმას. როგორც უკვე აღვნიშნე, შეფერხებული ბავშვების განვითარების ქეშმარიტი დარღვევები უნდა ვეძიოთ საკუთარი სხეულის განცდის სისუსტეებსა და ცალმხრივობებში. სწორედ უჩვეულო, პარმონიული შემოსაზღვრულობიდან გადახრილი მდგომარეობები გვაძლევს საშუალებას, გავიაზროთ ყოველივე ეს. ჩანსალი ბავშვის განვითარების შემთხვევაში გაცილებით უფრო რთულია ზოგიერთი დეტალის შემეცნება, ვიდრე იქ, სადაც რადიკალური ცალმხრივობა ააშკარავებს სიღრმისეულ პროცესებს.

სხეულის შესახებ ბოლნოვის განაზრებების ბოლო ნაწილის სათაურია „ინკარნაცია, როგორც სხეულის ფლობის გზა“. აქ მკაფიოდაა ნაჩვენები, რომ ადამიანს არ შეუძლია თავისი სხეული „ჰქონდეს“ ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. მას არ შეუძლია ფლობდეს თავის სხეულს იმავე სახით, როგორც სხვა საგნებს. „შეუძლებელია ჩვენივე სხეულისაგან დაშორება“. მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ ადამიანი არის სხეული. ამგვარ გაიგივებას ვერ მოვახდენთ, თუმცა ჩვენი სხეული ყოველივე დანარჩენზე უფრო ახლოა ჩვენგან, მაგრამ თქმა იმისა, რომ ჩვენ ვართ ჩვენი სხეული, შეუძლებელია. უკვე გამოთქმის შეუსაბამობა ენობრივ კანონებთან გამოხატავს ურთიერთმიმართების სირთულეს“ საკუთარი სხეულის მიერ დაკავებული სივრცისათვის სიტყვა „არასივრცე“ კი წარმოიქმნა; ჩვეულებრივი შეხედულებები სივრცეზე ვერ მიესადაგება ადამიანის მიმართებას საკუთარ სხეულთან. ჩვენ საქმე გვაქვს „ჩვეულებრივი ენით გამოუთქმელ“ შუალედურ დამოკიდებულებასთან: მე ვარ ჩემი სხეული და მანც არა ვარ იგი, რადგან იგი ჩემთვის

გარეგანად რჩება, მე მაქვს ჩემი სხეული და მაინც არ მაქვს იგი, რადგან იგი შინაგანად მეკუთვნის მე“. სწორედ ამაში მდგომარეობს ინკარნაციის საიდუმლო

მსგავსი სახით განიხილა ეს უცნაური ურთიერთმიმართება პლუგემი.²⁸ ავადმყოფური მდგომარეობისას წინა პლანზე მოიწვევს „მაქვს“ ასპექტი, ვთქვათ, წართმეული კილურისა. „ამ დროს ფეხი წყნარად არ ერთვის მოქმედებას, ჩემს წამოწყებას, ხალას ყოფას“. ჩამოყალიბდა „თავისუფალი სივრცის“ ცნება, რომელიც გულისხმობს იმ ზონას, სადაც „ჩემი სხეულებრივი მე და ჩემი სამყარო ერთმანეთს მოითხოვს და განაპირობებს“ თუ სახეზეა დამბლა, ეს „თავისუფალი სივრცე“ მაშინვე ვიწროვდება და უფრო მეტად მელავენდება წართმეული ფეხის გეომეტრიული გაგებით სივრცითი, „საგნობრივი“ მხარე. პლუგე ასე ამბობს: „ჩემი თავისუფალი სივრცე უჩვეულოდ მწირდება; მის ნაცვლად იზრდება შესაძლებლობა, ნამდვილად სივრცითად განვიცადო ჩემი სხეულებრივობის გარკვეული ნაწილი. როგორც ვხედავთ, „თავისუფალი სივრცე“ და „სივრცულობა“ (განფენილობის აზრით) ძირს უთხრიან ერთმანეთს. თავისუფალი სივრცე არაა სივრცე გეომეტრიული გაგებით, არამედ სხეულებრივი ფორმის ცვლილების მუდმივი შესაძლებლობის გამოხატულებაა და ამდენად უსაზღვროა. სივრცე გეომეტრიული გაგებით კი ხასიათდება განფენილობით, შემოსაზღვრულობით, წონით, მასით. ფიზიკალურად განსაზღვრული სივრცე გამორიცხავს თავისუფალ სივრცეს“.

ეს ურთიერთდაპირისპირება, რა თქმა უნდა, გამუდმებით გვხვდება. როგორც ბავშვის განვითარების სხვადასხვაგვარი ანომალიებიდან ჩანს, იგი ხშირად ძალზე რთულ ფორმებს იღებს. მაგალითისთვის შეიძლება ითქვას, რომ სპასტიკური დამბლის მქონე ბავშვისთვის ძირითად სიძნელეს წარმოადგენს უუნარობა, მოიპოვოს ის, რასაც აქ თავისუფალი სივრცე ვუწოდებთ. ეს თითქმის ყოველთვის უფრო გადამწყვეტია, ვიდრე მოძრაობის უნარის წმინდა მექანიკური შეზღუდულობა. ფაქტობრივად, აქედან იწყება სპასტიკური ბავშვის სამკურნალო პედა-

გოგოკა, ვიწრო გაგებით. ვინაიდან, კიდურების ჩათვლით „სხეულის“ განცდის დეფექტები იწვევს არა მარტო გარემოსკენ მიმართული მოძრაობების მართვის ძლიერ შეფერხებას, არამედ გარკვეული სხეულებრივი სინამდვილისა და გარე სამყაროს განუცდებლობას. ყოველივე ამის ილუსტრაციაა ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების მისწრაფება, გახდნენ მებაღე, ამწე-მანქანის მძღოლი ან ექიმი, მაშინ როცა ინტელექტი და ასაკი მათ ხელს არ უშლის ამგვარი განზრახვის შეუძლებლობის გაცნობიერებაში. ამასთან, ეს მათთვის არა მარტო ოცნებაა, რომლის ოცნებით ხასიათსაც ისინი გუმანით გრძნობენ, არამედ ეს მათი უდავო „არანამდვილი სინამდვილეა“. ამგვარი დაკვირვებების მოხდენა შეიძლება განსაკუთრებით იქ, სადაც პირველ ყოვლისა სახსრების დამბლასთან გვაქვს საქმე. მოძრაობის გაუმჭობესება იმ გაგებით, რომ სხეულებრივი კიდურების მოძრაობის მომცველი სივრცე გარკვეული ხარისხით განცდადი ხდება, ხშირად იწვევს სინამდვილის განცდის ცვლილებასაც.

ამ მხრივ სხვა ვითარებაა აუტისტურ ბავშვებთან. ისინი საგნებს განიცდიან უპირატესად და ცალმხრივად გეომეტრიულ სივრცეში მათი ადგილმდებარეობის მიხედვით. ნივთთა სამყაროსთან ანომალიური კავშირი გამოიხატება მათ სწრაფვაში, იმეორონ თავიანთი ყოველდღიური გარემოს საგნების ერთი და იგივე განლაგება. მთელ გარე სამყაროს მათთვის გააჩნია გეომეტრიული საგნობრივობის ის ხასიათი, რაც ჩანმართელებისთვის მათი საკუთარი „სხეულებრივი სივრციდან“ ამოვარდნილ სნეულ ნაწილს აქვს. თითქოს აუტისტური ბავშვისთვის მთელი მისი გარემომცველი სამყარო იყოს „საკუთარი სხეულის ნაწილი“, ფიზიკური საგნობრივობის გაგებით. ვერ მყარდება წონასწორობა „სხეულის ქონასა“ და „სხეულად ყოფნას“ შორის, საკუთარი სიცოცხლის სფეროს არ ძალუძს შემოსაზღვრა, წარმოიქმნება ისეთი რამ, რასაც საპირისპიროდ სპასტიკური ბავშვის „არასინამდვილისა“ შეიძლება „ყალბი სინამდვილე“ ვუწოდოთ. „ამიტომ აუტისტური ბავშვი ორიენ-

ტირებულთა სივრცეში ნივთების განლაგებაზე. ამასთან, ეს ბავშვები ცდილობენ შექმნან ჩაკეტილი სივრცე, რომელიც სრულყოფილია საგნების ადგილმდებარეობის მიხედვით, რითაც იძლევა საიმედოობას, თუმცაღა გამორიცხავს ადამიანთაშორის ინტენციებსა და მნიშვნელობებს. არსებობს ამისი მრავალი მაგალითი, როგორცაა ერთ-ერთი ჩვენი ბავშვის ქცევა, რომელიც მორებით აკეთებდა უწყვეტ ჩაკეტილ მწკრივებს ან წრეებს. სუფრასთან ეს ბავშვი უეცრად წამოხტებოდა ხოლმე და თავის თეფშს დადებდა სხვა მაგიდაზე რომელიმე ბავშვის თეფშის ადგილას იმ მომენტში, როცა ეს უკანასკნელი თავის თეფშს დიასახლისს მიაწოდებდა. ამით ირღვეოდა თეფშების წყობა იმ მაგიდაზე (წარმოიქმნებოდა სიცარიელე) და ბიჭი კვლავ ალაღგენდა ჩაკეტილ წრეს თავისი თეფშით.“

როგორც ვთქვი, სხეულის ანომალური განცდა უნდა იყოს ბავშვის განვითარების დარღვევის ფუნდამენტური ასპექტი; სწორედ ამ სფეროში ეხვდებით პათოლოგიურ გადახრათა დიდ მრავალფეროვნებას. საკუთარ სხეულში „მე“-ს გაცნობიერება და სხეულის საშუალებით „მე“-ს ცხოვრება ამქვეყნად შეიძლება სხვადასხვა დარღვევების მსხვერპლი გახდეს. ყველაფერი ტრიპლებს საკუთარი სხეულებრივი შემოსაზღვრულობის განცდის საკითხის გარშემო. ზემოთქმულიდან ირკვევა, რომ ეს არ შეიძლება იყოს სხეულის იდენტური. ასე რომ ყოფილიყო, ადამიანი ვერასოდეს შეძლებდა განვითარებინა მისთვის დამახასიათებელი მიმართება სხეულისადმი. მეორე მხრივ, საკუთარ „სხეულებრივობაში“ დარწმუნებულობა აუცილებელია არა მარტო საკუთარი „მე“-ს გაცნობიერებისთვის, არამედ სხვების „მე“-ს აღქმისა და აღიარებისთვისაც. ამიტომაცაა, რომ როცა კი ვცდილობთ, დაკვირვებითა და თანაგრძნობით ვწვდეთ განვითარებაშეფერხებული ბავშვის განცდების როგორობას სწორედ ამ მონაცემების გათვალისწინებით, იძულებულნი ვართ ვთქვათ: საკუთარი სხეულებრივობის შემოსაზღვრულობის განცდა უცილობლად უნდა იქნეს მიღწეული, რათა საკმარისად მკაფიოდ განცდადი გახდეს საკუთარი არსების მეობრივი ბუნე-

ბა. მაგრამ ასევე აუცილებელია, რომ ეს განცდა არ შემოიფარგლოს კანის არეალით ფიზიკური ანდა გეომეტრიული სასრულობის გაგებით. იგი უნდა შეიცავდეს სახეცვლილების უნარს, მობილურობას, სიცოცხლისუნარიანობას. სად შეიძლება მისი პოვნა, როგორ ვითარდება იგი, რა არის მისი საფუძველი?

სანამ შევეცდებოდეთ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას, საჭიროა გავიხსენოთ რამოდენიმე ახალი დაკვირვება, რომელნიც ე.წ. ფანტომურ კიდურებსა და სხეულის სქემას ეხებიან. ირკვევა, რომ ამ წარმონაქმთა არსებობა მნიშვნელოვანია ზემოთ განხილული ურთიერთკავშირებისთვის. საუკუნეზე მეტი ხანია ცნობილი, რომ კიდურის დაკარგვის შემდეგ ხშირად სახეზეა შეგრძნება, თითქოს ეს კიდური მაინც არსებობს. ამგვარ კიდურს, რომელიც რეალურად განიცდება, მაგრამ ფიზიკურად არ არსებობს, „ფანტომს“ უწოდებენ. ამგვარ ფანტომებს მრავალი აღსანიშნავი და ძნელად ასახსნელი თვისება აქვს. ჭერ ერთი, მათ გააჩნიათ ექვემოთნელი და ყოველგვარი რაციონალური მოსაზრების აბუჩად ამგდები სუბიექტური რეალობა. განცდას აშკარად უშუალო სიცხადე ახასიათებს და გამორიცხავს ლოგიკურ კონფლიქტს იმის თაობაზე, არსებობს რაიმე, თუ არა. ამ სიტუაციის საუკეთესო ილუსტრაცია, ალბათ, ერთი ამპუტირებულის შენიშვნა, რომელმაც მხოლოდ ასე შეძლო შეპასუხება, როდესაც ყურადღება მიაქცევიან ამგვარი წინააღმდეგობის შესაძლებლობაზე მის ფანტომურ ხელთან დაკავშირებით: „მარჯვენა ხელი სულ არ ფიქრობს ამაზე“.¹⁰ მსგავს რამეს აღწერს პლუგე ერთ ცდასთან დაკავშირებით, როცა ამპუტირებულის კიდურის ნარჩენი იმდენად მიუახლოვდა კედელს, რომ ფანტომი თითქოსდა მსჭვალავდა მას. მსგავს კითხვაზე ხსენებულმა პიროვნებამ დაბნეულმა მიუგო: „ეს ხომ სულ სხვა რამაა!“ დაბოლოს, ჩანს, რომ ასევე ნაკლებად განიცდება წინააღმდეგობა ფანტომის მკაფიო შეგრძნებასა და კიდურის მონარჩენის ვიზუალურ აღქმას შორის.¹¹

მეორე, რაც თვალში გვეცემა, არის ფანტომის მოძრაობის

უნარიანობა. მას შეუძლია განივრცოს ანდა ფიზიკურ მონარჩენში შეიწიოს, შეიკუმშოს ან გაიშალოს. ფანტომური კიდურის ფორმა ყოველთვის ნარჩუნდება, მაშინაც კი, როცა პერიფერიული ნაწილი ფანტომისა უშუალოდ ფიზიკურ მონარჩენზე შეიგრძნობა, მაგ., ხელის მტევანი მხარზე (ტელესკოპინგი). შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ფანტომური კიდური სრულად არ იჩენდეს თავს და პერიფერიულ ნაწილსა და ფიზიკურ მონარჩენს შორის წარმოიშობოდეს სიცარიელე.“ ფანტომი უფრო მკაფიოდ შეიგრძნობა მის პერიფერიულ ნაწილში, ვიდრე ფიზიკური მონარჩენის მახლობლად. ფიზიკურ მონარჩენში კი თავს იჩენს გაზრდილი მგრძნობიარობა, როგორც ჩვეულებრივია კიდურების პერიფერიულ ნაწილებში, მაგ., ხელის მტევანებში. როცა ფანტომი გაქრობას იწყებს, ყველაზე დიდხანს ნარჩუნდება პერიფერიული ნაწილები, ანდა ისინი ტელესკოპინგისებურად გადაინაცვლებენ ფიზიკურ მონარჩენში, სახსრები ფანტომის განსაკუთრებით მკაფიო განცდის ადგილს წარმოადგენს.“

ამგვარი ცვლილებები შეიძლება დიდი ხნის მანძილზე სპონტანურად ხდებოდეს. მეორე მხრივ, ზოგჯერ ფანტომთან „შეხება“ მომენტალურად იწყებს მის შეკუმშვას ფიზიკურ მონარჩენში. პოეტი იძლევა შემდეგ აღწერას: „ადამიანთა დიდ ჭკუფს ჰქონდა განცდა (ყელის ცდის მსგავსად), თითქოს ხელის (ექსპერიმენტატორისა) მოახლოებისას ფანტომი ფიზიკურ მონარჩენში იხვედა უკან, სანამ არ გაქრებოდა მონარჩენთან ხელის შეხებისას. შესაძლებელი იყო ზუსტად დადგენა და რეპროდუქცია სივრცეში იმ ადგილისა, სადაც წარმოიქმნებოდა ეს შეგრძნებები, ანუ სადაც ხდებოდა ფანტომთან შეხება. მაგ., ზეწრის ზოლის მიხედვით, რომელსაც თავად ცდისპირი, რომელსაც ფეხი ჰქონდა ამპუტირებული, ვერ ხედავდა. ხელის წინ და უკან მოძრაობით შესაძლებელი იყო ფანტომის შეწვევა ფიზიკურ მონარჩენში, ან მისი იქიდან ამოზრდა“. მრავალჯერაა მოხსენიებული ერთი და იმავე პიროვნების მიერ ფანტომური და ფიზიკური კიდურების ურთიერთშეხების განცდა.

ყველა ამ აღწერისა და განცდის შემთხვევაში ცხადია, რომ სამგანზომილებიანი სივრცის მასშტაბებს აქ ძალა არა აქვს. სამგანზომილებიანობაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც არსებობს მკაფიო და დადგენილი საზღვრები. ეს კი არაა ასე ჩვენს მიერ განხილულ სფეროში. აქ საქმე ეხება „სხვა“ სივრცესა და სხვაგვარ განცდებს, ვიდრე ჩვენი ფიზიკური ბუნება გვაძლევს მაშინ, როცა რაიმე საგანს ვიღებთ და ერთი ადგილიდან მეორეზე გადავდებთ. ამას მკაფიოდ გვიჩვენებს პლუგეს მიერ აღნიშნული დაბნეულობა, გაოგნებულობა, დამცინავეი უარი მისი პაციენტების მხრიდან, როცა ფანტომის განცდები უნდა გამოეხატათ სამგანზომილებიანი სივრცის ტერმინებით. თუნდაც მომავალში გაგრძელდეს მცდელობები, „ფანტომის სივრცობრივობის“ ნამდვილი არსის დაწვრილებით გამოსარკვევად, ახლავ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აქ საქმე არაფრით შეიძლება ეხებოდეს სამგანზომილებიან, კოორდინატების მიხედვით გააზრებულ სივრცეს. ამიტომ ფანტომის განცდის ადექვატური აღწერა ვერ მოხერხდება „სამგანზომილებიანი“ ტერმინოლოგიით. „ვინაიდან ექვგარეშეა, რომ ამპუტირებული თავისი ფანტომური კიდურით ერთდროულად ორ რეალობაში ცხოვრობს“ (პლუგე*). რას წარმოადგენს ეს „მეორე რეალობა“?

ფანტომები თავს იჩენს არა მარტო ამპუტაციის შემდეგ, არამედ ზურგის ტვინის დაზიანებისას ან გათიშვისას, მაგ., განივი მიელიტისას ან ანესთეზიისას. ზურგის ტვინის მთლიანი გადაკრისას ფანტომს გამონაკლისის გარეშე ახსენებენ. ამრიგად, იგი თავს იჩენს არა მარტო ფიზიკური კიდურების დაკარგვისას, არამედ მაშინაც, როცა ზურგის ტვინის დაზიანების გამო დარღვეულია კიდურების ნორმალური შეგრძნება. სამედიცინო ენით რომ ვთქვათ, საქმე ეხება „ცენტრალური ნერვული სისტემისათვის აფერენტული სენსორული ინფორმაციის მიუწოდებლობას“.⁴⁴

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფანტომურ კიდურს, მაგ., ხელს, შეუძლია იყოს მოდუნებულ, გაშლილ ან მთლიანად დაკრუნ-

ჩხულ მდგომარეობაში; უკანასკნელს ხშირად ადგილი აქვს იმ დაზიანების მომენტში, რომელიც ამპუტაციის მიზეზი შეიქმნა. შესაფერისი ვარჯიშით შესაძლებელია ამგვარი შეკუმშულობის მოხსნა. წლების განმავლობაში ეს ხდება კანადის ერთ სარე-აბილიტაციო დაწესებულებაში, როგორც შემზადება პროტეზის სატარებლად. ფანტომთან დაკავშირებული ყველა მოძრაობა და ვარჯიში ნელ-ნელა უნდა იქნეს შესრულებული და საჭიროებს ხშირ პაუზებს, თორემ ადგილი ექნება კრუნჩხვსა და ტკივილის განახლებას. მსგავსი კრუნჩხვითი ეფექტი აქვს საერთო დაღლილობას ან მშვინვიერ გადატვირთვას (სტრესს). ცნობილი, ხშირად აღმოცენებადი ფანტომური ტკივილები შესაძლოა განპირობებული იყოს ფანტომის კრუნჩხვითი მდგომარეობით.³ ბავშვებთან ფანტომური ტკივილები უჩვეულოდ იშვიათია.⁴

ფანტომის წარმოშობა, როგორც ჩანს, დაკავშირებულია იმასთან, რომ იქამდე არსებობდა, ასე ვთქვათ, სიცოცხლით სავსე კიდური. კეთრისას ფანტომი ჩნდება ქირურგიული ამპუტაციისას, მაგრამ იგი არ აღმოცენდება მაშინ, როცა მაგ., თითები სპონტანურად სძვრებათ. როცა ორივე შემთხვევა ერთ პაციენტთანაა სახეზე, გვეძლევა შედარების კარგი შესაძლებლობა. „ზოგიერთი პაციენტი ფანტომის სპონტანურ არარსებობას (უკანასკნელ შემთხვევაში) უდარებდა ძალზე ცოცხალ ამპუტაციის შემდგომ ფანტომს. მათი აზრით, ისინი ვერც შეიგრძნობდნენ აბსორბირებული თითების ფანტომებს, ვინაიდან თითები უკვე დიდი ხანია, რაც მკვდარი იყო“.⁵

უახლოეს პერიოდში ჩატარებულმა დაკვირვებებმა აქამდე ცნობილ ფაქტებს ორი სრულიად ახალი მონაცემი დაუმატა. ჯერ ერთი, დადგინდა, რომ კიდურების თანშობილი დანაკლისისასაც შეიძლება აღმოცენდეს ფანტომი; მეორეც, ადრეული ამპუტაციებისას დადგინდა ფანტომის წარმოშობის აშკარა დამოკიდებულება ასაკზე. ამ ფაქტებზე დაყრდნობით უნდა ჩავთვალოთ, რომ „ფანტომის უნარის“ სხეულებრივი საფუძველი დაბადებიდანვე კი არაა სახეზე, არამედ ვითარდება ადრეული ბავშვობის განმავლობაში. გადამწყვეტი ასაკობრივი ზღვარი და-

ახლოებით ექვსი წლის ასაკზე მოდის. 165 ამპუტირებული ბავშვის კვლევით გამოვლინდა საესებით აშკარა სხვაობა ფანტომის გამუდმებულ არსებობასთან დაკავშირებით იმისდა მიხედვით, ამპუტაციას ადგილი ჰქონდა ექვსი წლის ასაკამდე, თუ მის შემდეგ კიდურების თანშობილი დანაკლისისას ცალკეული ბავშვი არარსებული კიდურის ფანტომის თანდათანობით „ზრდაზე“ ლაპარაკობდა.

ერთი თითქმის კლასიკური მაგალითი მოჰყავს პოეკს.“ იგი აკვირდებოდა თერთმეტი წლის გოგონას, რომელსაც დაბადებიდანვე არ ჰქონდა არც ერთი წინამხარი და ხელის მტევანი. ეს ბავშვი ამბობდა, რომ ძალზე მკაფიოდ და ინტენსიურად განიცდიდა ხელის მტევნების ფანტომებს, რომელნიც პირველად ექვსი წლის ასაკში შეამჩნია. მას ყველა თითის გარჩევა და მათი თავისუფლად მოძრაობა შეეძლო. სკოლაში სიარულის დაწყებისას ანგარიშის მარტივი ამოცანების შესრულებას იგი თავისი თითების დათვლით სწავლობდა, მსგავსად ჭანმრთელი ბავშვებისა. ამ მიზნით იგი ფანტომურ ხელებს მაგიდაზე აწყობდა და ერთმანეთის მიყოლებით ითვლიდა გაქიმულ თითებს. გამოკვლევებისას მას იოლად შეეძლო თავისი ფანტომებით გაემეორებინა მის წინ შესრულებული მოძრაობები ან პოზები. სიზმრებში გოგონა „ულამაზესი ხელეებით“ ხელადა საკუთარ თავს. უნდა ვიფიქრობთ, რომ ამგვარი სიზმრები „სხეულის“ ქეშმარიტ განცდებს აღმოაცენებს და არ უნდა იქნეს ოცნებებად შერაცხული. აქ გვახსენდება გრიმების ზღაპარი უხელო გოგონაზე, რომელიც იმაგინაციური გამომსახველობითი ძალით წარმოგვიდგენს ხელების ზე-სხეულებრივ არსებას.

კიდურების თანშობილი არარსებობისას განვითარებული ფანტომები ბევრად უფრო მალე განიცდება, როგორც ბუნებრივი და ნორმალური სიდიდითა და განფენილობით, უსიამოვნო შეგრძნებების გარეშე, ვიდრე ადრეულ ასაკში ამპუტაციის შემდეგ წარმოქმნილი. თუ უკანასკნელ შემთხვევაში კიდური დეფორმირებული იყო, ფანტომიც შეიძლება დეფორმირებული

გამოდგეს. პროტეზით სარგებლობა შვიდი წლის ასაკამდე უფრო ხშირად იწვევს ფანტომის განცდებს, ვიდრე სხვა შემთხვევაში.⁴⁴ ფანტომის არსებობა დეფორმირებული კიდურის ადრეულ ასაკში ამპუტაციისას, როგორც ჩანს, იმაზეცაა დამოკიდებული, შესაძლებელი იყო თუ არა ამპუტაციამდე ამ კიდურის ფუნქციონალურად ხმარება.⁴⁴

ზემოთ მოყვანილ ფენომენებს თუ ერთიანად მიმოვიხილავთ, ნათელი გახდება, რომ საქმე ეხება ბევრად უფრო შორსმწვდომ ფაქტებს, ვიდრე აქამდე ითვლებოდა ფანტომური კიდურების განხილვისას. ბოლოდროინდელმა აღმოჩენამ, რომ ფანტომის განვითარება დამოკიდებულია ასაკზე, სულ ახალი კუთხით გააშუქა ეს მოვლენა. ჯერ ერთი (და ესეც უკვე აღნიშნულია),⁴⁴ გამოდის, რომ საქმე გვაქვს პროცესთან, რომელიც ადამიანის ბუნებრივ განვითარებას განეკუთვნება და, როგორც ასეთს, არ გააჩნია აუადმყოფური ხასიათი. ოღონდაც გარკვეული პირობებია საჭირო, რათა იგი შესამჩნევი გახდეს სუბიექტური, ყოველდღიური განცდებისთვის. მაგრამ თუ ამ კუთხით შევხედავთ ფანტომურ კიდურებს, ისინი შეიძლება გავიგოთ, მხოლოდ როგორც ერთი მთლიანობის ნაწილები; მდგომარეობის სწორად გასაშუქებლად უნდა ვისაუბროთ „ფანტომურ გეშტალტზე“.* ამით კიდევ ერთ ნაბიჯს ვდგამთ იმ მიმართულებით, რომელიც დაეახასიათეთ, როგორც ადამიანის სხეულებრივობის საკითხი. პირველ ყოვლისა, შეიძლება ითქვას, რომ აქ ჩვენს წინაშეა ფორმის დამოუკიდებელი პრინციპი, რომელსაც თავისი საკუთარი ყოფიერება და სინამდვილე გააჩნია. მისი გაგება არ შეიძლება, როგორც ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მიმდინარე პროცესების „გარეპროექციისა“ შემდეგ ისიც ჩანს, რომ ეს მთლიანობითი ფორმა ზრდისა და განვითარების პროცესს გადის, რომელიც ფიზიკური განვითარების პროცესთან მიმართებით წინაცვლებული არის. სხვა სიტყვებით, ჩვენს წინაა ნამდვილი, სივრცითი ფორმის პრინციპი, რომელიც არაა ჩვენი სხეულის მატერიალური

* Gestalt - გერმ. ფორმა, სახე, აღნაგობა

ფიზიკური ბუნების იდენტური, ყოველ შემთხვევაში, ბავშვის განვითარების გარკვეული პერიოდიდან მოყოლებული მაინც, რაც დაახლოებით ექვსი წლის ასაკზე მოდის.

სანამ უფრო მეტად გავშლიდეთ ამ მოსაზრებას, უნდა განვიხილოთ ერთი ცნება, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან ცნობილია სხეულის სქემის სახით. აქაც არაა სრული სიცხადე იმის თაობაზე, თუ რასთანა გვაქვს საქმე. ეს ცნება სათავეს ძირითადად ნევროლოგიიდან იღებს. პირველად იგი აღნიშნავდა „სივრცით სურათ-ხატს, რომელიც ყოველ ჩვენთაგანს გააჩნია საკუთარ თავზე“ (შილდერი, ციტირებული კონრადთან¹⁴). ფიქრობდნენ, რომ იგი წარმოდგებოდა ცალკეული განცდების ჯამიდან შეხების, საკუთარი მოძრაობის აღქმისა და მხედველობის სფეროში, „რომელნიც რთულ კომპლექსებად ერთიანდებიან მეხსიერებაში“. როგორ ხდება ეს?

ჯ. კონრადის¹⁴ 1933 წლის ერთ-ერთ კრიტიკულ გამოკვლევაში ამ თემასთან დაკავშირებით ძალზე საგულისხმო მითითებებს ვხვდებით. მისი მთავარი განზრახვა იყო, გადაეღახა ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისი სხეულის სქემის წარმოქმნის შესახებ. ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის შეხედულება, მართლაც, გადაულახავი დაბრკოლებასავით ეღობება ყოველივე იმის ქეშმარიტ გაგებას, რაც სხეულის სქემასა და ფანტომურ კიდურებში იჩენს თავს. ინგლისელი ემპირისტების ჯონ ლოკისა და განსაკუთრებით დავიდ იუმის შემდეგ ასოციაცია, როგორც ფსიქოლოგიური ტერმინი, გულისხმობს, რომ განმეორებადი, სივრცესა და დროში ურთიერთდაკავშირებული პროცესების გარეგან დაკვირვებას მიჩვევის გზით უნდა მიყვავდეთ მათი შინაგანი კავშირის დაშვებამდე. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ყველაფერი, რაც მთლიანობის სახით იჩენს თავს სამშეინველში, გაგებულია, როგორც ნაწილებისა და ერთეულებისგან მექანიკურად აგებული. ხსენებული პროცესის ასახსნელად გამოყენებულ იყო აგურის (აღქმის ელემენტი) და დუღაბის (ასოციაცია) სურათ-ხატი.¹⁵ სწორედ ეს შეხედულება იყო გამეფებული, როდესაც საუკუნის და-

საწყისში ჩატარდა პირველი კვლევები სხეულის სქემასთან დაკავშირებით.

თუმცა ამ პრობლემაზე მრავალი მკვლევარი მუშაობდა, სხეულის სქემის ცნება ინგლისელი ნევროლოგის კ. ჰედის სახელთან არის დაკავშირებული. კონრადის ენით რომ ვთქვთ, ჰედი „ებრძოდა სწორედ იმ შედეგებს, რომელნიც ვერ ერგებოდა ამ მოძღვრებას (ასოციაციონისტურ ფსიქოლოგიას)“. მაგ., ჰედი დააკვირდა, რომ კიდურის მდებარეობის ცვლილება არ წარიმართება ამ კიდურის ჩვენს მიერ ცნობიერი წარმოდგენით. კონრადის სიტყვებით, ჰედს მოუწია „დაეშვა რაღაც რაც კიდურის მდებარეობის ცვლილების გაცნობიერებამდე ამყარებს კავშირს მასთან – ერთგვარი საზომი (სტანდარტი), რითიც იგი (ეს ცვლილება) იზომება. ამ თავისებურ ურთიერთკავშირს იგი „სქემით“ აღნიშნავს“ შემდეგ კონრადს მოჰყავს თავად ჰედის სიტყვები: „მდებარეობის განუწყვეტელი ცვლილებების საშუალებით ჩვენ მუდმივად ვაგებთ ჩვენი საკუთარი მდებარეობის მოდელს (პოსტურალურ ანუ შემდგომ-მოდელს), რომელიც განუწყვეტლივ იცვლება. ყოველი ახალი მდებარეობა თუ მოძრაობა აღიბეჭდება ამ პლასტიკურ სქემაზე. კორტექსის (თავის ტვინის ქერქის) აქტივობა განაპირობებს შეცვლილი მდებარეობით გამოწვეული შეგრძნებების ყოველი ახალი ჯგუფის ჩართვას ამ სქემაში. მხოლოდ ამგვარი ჩართვის შემდეგ ხდება მდგომარეობის აღქმა“

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ჰედისთვის სიტყვა „სქემასთან“ დაკავშირებულია პლასტიკური, „მუდმივად ცვალებადი“ რამ. მხოლოდ გრძნობადი გამოცდილებების დაგროვებით, ასოციაციური კავშირისა და ფიქსაციის გაგებით, ვერ მივიღებთ ამგვარ პლასტიკურობას. კონრადის შემდგომი განხილვები გამომდინარეობს გეშტალტფსიქოლოგიის თვალთახედვიდან. იგი სრულად და გადაჭრით უკუაგდება იმ თეზას, თითქოს ჩვენი სხეულის მთლიანობის ცნობიერება შეიძლება ზემოაღნიშნული გაგებით ცალკეული განცდებიდან გამომდინარე ორგანიზდეს სხეულის სქემად. საპირისპიროდ ამისა, ამ ცნობიერების საფუ-

ძვლად იგი თვლიდა „მთლიანობით პროცესს ამ სიტყვის ქეშ-
მარიტი გაგებით“, რომელიც გეშტალტის კანონზომიერებებს
ექვემდებარება.

სხეულის სქემის თანამედროვე, ნაკლებნევროლოგიური, უფ-
რო მეტად განცდისმიერი აღწერები ცხადყოფს, რომ ამ მხრივ
შესაძლებელია გამოცდილების მოპოვება, რომელიც ძალზე მსგა-
ვსია ფანტომურ კიდურებთან დაკავშირებულისა. მაგალითი ამი-
სა არის ბავშვთა ფსიქიატრიის ერთ ახალ სახელმძღვანელოში⁴⁴
მოყვანილი აღწერა სხეულის სქემისა (სხეულის ხატისა). აქ
ნახსენებია, რომ ზოგჯერ სავებით ჭანმრთელი ადამიანიც გან-
იცდის სხეულის სქემის დარღვევებს. მაშინ იგი გრძნობს, რომ
შეეცვალა კიდურების ფორმა ან სიდიდე. ამგვარი სახეცვლილე-
ბანი თავს იჩენს განსაკუთრებით დაძინებისას, ასევე დალი-
ლობისას ან შაყიყისას, ზოგჯერ გრიპისაც კი. შემდეგ მოყ-
ვანილია ერთი პაციენტის შთამბეჭდავი განცდები — ხუთი
წლის ასაკში ავტობუსით მგზავრობისას უეცრად მას ისეთი
შთაბეჭდილება შეექნა, თითქოს ხელი, რომლითაც ბილეთი ეჭი-
რა, ძლიერ გაუდიდდა. აქაც საქმე გვაქვს სხეულებრივობის
სფეროში მიმდინარე ცვლილებებთან ან მოუწესრიგებლობასთან.
ამგვარი გარდაქმნები რომ გულყრებს შეიძლება წინ უსწრებ-
დეს, ეს დასაწყისში ნახსენები დაკვირვებებიდან ჩანს. კიდევ
რამოდენიმე ამ სახის შემთხვევა თავმოყრილია იანცის მიერ
შედგენილ ეპილეფსიის სახელმძღვანელოში.⁴⁵

სხეულის სქემის განხილვამ, როგორც სხეულის საზღვრების
განცდის სფეროში, ახლახან ბიძგი მისცა პროექციული (რორ-
შახის) ტესტებით კვლევებს ფსიქოლოგიური და ქცევის ფსიქო-
ლოგიის დარგში.⁴⁶ ამოსავალი პუნქტი იყო ართრიტიანებზე
ჩატარებული დაკვირვებები, რომელთა მიერ საკუთარი სხეულის
შემოსაზღვრულობის განცდაში ეგონათ, რომ შეამჩნევდნენ გან-
საკუთრებულ უმოძრაობასა და გახვევებულობას, რასაც მათ
ფსიქოლოგიურ განწყობას დაუკავშირებდნენ. მრავალი გამოკვლ-
ევა ჩატარდა რორშახის ტესტის გამოყენებით. მივიდნენ დასკ-
ნამდე, რომ ადამიანის სოციალური ქცევისთვის ყოველმხრივ

დიდი მნიშვნელობის მქონეა, თუ როგორ განიცდება საკუთარი სხეულებრივობა – მკაცრად შემოსაზღვრულად, თუ ღიად და გარემოსადმი გახსნილად. განცდათა ამ როგორობას დიდი მნიშვნელობა მიაწერეს პიროვნების სოციალური ქცევის წინასწარმეტყველებისათვის. ეს გამოკვლევები საინტერესოა, მაგრამ ქცევის წინასწარმეტყველებადობის მრწამსის წყალობით ისინი ჩრდილავენ და ბუნდოვანს ხდიან სწორედ იმას, რაც უმთავრესია აქ. კერძოდ, „მობილურობას“, მოძრაობის უნარიანობას. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ იმ ძალებში, რომელნიც საკუთარი სხეულის ხატის განცდიდან ასხივებენ, უნდა ვეძიოთ სათავე ყოველივე იმისა, რაც ადამიანს შეაძლებინებს, მისცეს თავის მოქმედებას სულ ახალ-ახალი, არაპროგნოზირებადი მიმართულება.

ბავშვის განვითარების სფეროში ნათლად იჩენს თავს კავშირი სხეულის სტემასა და ფანტომურ კიდურებს შორის; ორივე ფენომენი ვლინდება, ზოგადად რომ ითქვას, დაახლოებით ერთსა და იმავე დროს, მეორე შვიდწლეულში გადასვლისას. ეს გაიჩქვა „ჩანმრთელი, ბრმა და ამპუტირებული ბავშვების გამოკვლევებიდან“, რომელთაც უნდა დაედგინათ კავშირი სხეულის სტემასა და ფანტომურ კიდურებს შორის, შემოწმდა საკუთარი და მოდელის სხეულის ნაწილების იდენტიფიცირება, დიფერენცირება მარჯვენასა და მარცხენას შორის. მიზანმიმართული მოძრაობები, მაგ., თითის მიტანა ცხვირთან და ა.შ., ასევე ხელის სტემის დიფერენცირება და ცალკეული თითების იდენტიფიკაცია. მსგავსი შედეგები იქნა მიღებული სხვა გამოკვლევებისას ჩანსალი ბავშვების მიერ სივრცითი განზომილებების – წინ/უკან, ზევით/ქვევით, მარჯვნივ/მარცხნივ – წვდომის პერიოდთან დაკავშირებით.” საინტერესოა, რომ სხეულის სტემის ყველა გამოკვლევული ასპექტისათვის ვერავითარი განსხვავება ვერ იქნა ნაპოვნი ბრმა და მხედველ ბავშვებს შორის. ამრიგად, ოპტიკური გამოცდილებები არაა საჭირო მისი წარმოქმნისათვის. მეორე მხრივ, სხეულებრივი სფეროდან მიღებული სენსორული გამოცდილება ასევე ნაკლებად წარ-

მოადგენს უცილობელ წინაპირობას, როგორც ამას ფანტომის აღმოცენება ცხადყოფს კიდურების გარეშე დაბადებულ ბავშვებთან. ამგვარად, თუ რა უდევს საფუძვლად ამ განვითარებას, ეს საკითხი ღიად რჩება. არ არსებობს ყოველივე ამის დამაკმაყოფილებელი ახსნა. უფრო მეტიც, არ არსებობს ანთროპოლოგიური შეფასება, რომელიც გასცდებოდა წმინდა ნევროლოგიური დაკვირვების ფარგლებს და შეძლებდა იმ მნიშვნელობის შემეცნებას, რომელიც ამ ფენომენებს აქვს ადამიანის განვითარებისთვის.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე კარლ კიონიგი დაკავებული იყო სხეულის სქემითა და ფანტომური კიდურებით.¹ მან დაბეჭივით მიუთითა ორ სფეროზე, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელია ამ მოვლენების გაგება. ერთია ამ წიგნში განხილული სხეულებრივი გრძნობები. „გარე გრძნობების შესახებ რუდოლფ შტაინერისეული მოძღვრებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სხეულის სქემის ქსოვილს ქმნის იმ შეგრძნებების მთლიანობა, რომელიც წარმოიქმნება ოთხი სხეულებრივი გრძნობის (შეხების, სიცოცხლის, საკუთარი მოძრაობის და წონასწორობის გრძნობების) ურთიერთქმედებიდან“. მეორე სფეროს, კიონიგის მიხედვით, უნდა მივაკუთვნოთ ბავშვის განვითარების ერთი გადამწყვეტი ფაქტი, რათა გავიგოთ ეს უჩვეულო და აზროვნების ჩვეული კატეგორიებით დამაკმაყოფილებლად ვერგანჭვრეტელი მოვლენები. იგულისხმება იმ ძირეული გარდაქმნების პროცესი, რომელსაც ბავშვში ადგილი აქვს ექვსი-შვიდი წლის ასაკში. ადამიანური ყოფიერების ეს ძირეული პროცესი შტაინერმა პირველად აღწერა 1907 წელს (შემდეგ კი არაერთი ხელსაყრელი შემთხვევისას საუბრობდა მასზე), როგორც ეთერული ან ფორმადმქმნელ ძალთა სხეულის გამოთავისუფლება ანდა „დაბადება“. კიონიგი ამის თაობაზე ამბობდა: „ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ ბავშვთან სხეულის სქემის ჩამოყალიბება მჭიდროდაა დაკავშირებული მისი ეთერული სხეულის (სასიცოცხლო ანუ ფორმადმქმნელი ძალების სხეულის) დაბადებასთან ანდა გამოთავისუფლებასთან. ამ

გამოთავისუფლების შედეგად ხდება აღნაგობის პირველი სახე-
ეცელილება და საკუთარი სხეულის გაცნობიერება" იმავე ნაშ-
რომის ბოლოს ვკითხულობთ: „კბილების მოცვლასა და აღნა-
გობის პირველ სახეეცელილებასთან ერთად ხდება ეთერული
სხეულის დაბადება. ეს გამოთავისუფლებული ფორმადმქმნელი
ძალების სხეული არის სხეულის სქემის ბუნდოვნად განცდილი
საფუძველი. ეს სქემა სიცოცხლის გრძობის მეოხებით ცნო-
ბიერდება. თანდათან მას ერთვის ის განცდები, რომლებსაც
მოძრაობის გრძობა გვაწვდის. ეს უფრო მკაფიოს ხდის
სხეულის სქემის სინამდვილეს – განსაკუთრებით კიდურების
სფეროში – და განამტკიცებს ჩვენს ცოდნას ჩვენივე სხეულის
„ქეშმარიტი სინამდვილის“ შესახებ. როცა პატარა ბავშვს
ვკითხებთან, თუ სადა აქვს მკერდი, იგი ჯერ კიდევ გარედან
უჩვენებს მას. ყრმა თავის სხეულებრივობას შიგნიდან შეიგრ-
ძნობს ახლახან გამოღვიძებული ოთხი სხეულებრივი გრძობის
წყალობით. ამპუტირებულებს მათი წყალობით უჩნდებათ ფან-
ტომური კიდურის რეალურობის რწმენა“. აქ ვერ შევხებით
რუდოლფ შტაინერის მრავალრიცხოვან მითითებებს ფორმად-
მქმნელი ძალების სხეულისა და მისი გარდაქმნების შესახებ.
ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ადამიანის სხეულე-
ბრივობა არაა საბოლოოდ ჩამოყალიბებული მისი ფიზიკური
დაბადებისას. სხეული, როგორც ფიზიკური წარმონაქმნი, ვერ
შეძლებდა წინაპირობა შეექმნა გარემოსთან ყველა იმ მრავალ-
ფეროვანი მიმართებისთვის, რომელიც ეყრდნობა იმ ფაქტს,
რომ თუმცაღა ადამიანი საკუთარ სხეულთან ერთიანად
გრძნობს თავს, იგი თავს არ განიცდის სხეულით. კანით
შემოსაზღვრულ არსებად. ეს მხოლოდ იმიტომ შეიძლება ხდე-
ბოდეს, რომ ადგილი აქვს რალაცას, რაც უნდა აღვნიშნოთ,
როგორც „ფორმის მეორეჯერ ჩამოყალიბება“ ფორმადმქმნელი
ძალების სხეულის გამოთავისუფლების შესახებ ცოდნის წყა-
ლობით რუდოლფ შტაინერისეულმა სულისმცნეირულმა კვლ-
ევამ პირველად მოგვცა შესაძლებლობა, რათა აიხსნას ბავშვის
განვითარების მრავალი მოვლენა, რომელიც სხვაგვარი აუხს-

ნელი უნდა დარჩენილიყო. ამ ცოდნის გამოყენების შესახებ შტაინერმა ერთხელ ასეთი რამ თქვა: „აუცილებელია, რომ ანთროპოსოფიულ-სულისმეცნიერული განხილვების დასაწყისში გაგვაჩნდეს ისეთი ფორმულა, როგორცაა, მაგ., „ფიზიკური სხეულიდან ეთერული სხეულის დაბადება“, რაც ფაქტობრივ მოვლენებს შეესაბამება. მაგრამ შემდეგ, როცა უნდა მოიძებნოს გადასვლა ამ სულისმეცნიერებიდან, ვიწრო გაგებით, – რომელსაც საქმე აქვს ადამიანის უშუალო დღის განცდების განხილვასთან – ცალკეული მეცნიერებებისკენ, მაშინ ის, რაც თავდაპირველად ფორმულის სახით გამოვთქვით, იქცევა მათემატიკური ფორმულის მსგავსად: იგი იქცევა მეთოდად – ფაქტების განხილვის მეთოდად“.⁴

შინაგანი მომწიფების პროცესისას ყალიბდება ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ფუნქციონალური ფორმა. ამისი მიზეზები და წინაპირობები ბავშვის ცხოვრების განვითარების აუცილებლობებში უნდა ვეძებოთ. ჭანსალი განვითარებისას ხსენებულ მოვლენას ისევე აქვს ადგილი განსაზღვრულ მომენტში, კერძოდ, დაახლოებით კბილების მოცვლის დასაწყისში, როგორც ფიზიკურ დაბადებას ემბრიონული განვითარების ბოლოს. ეს გეშტალტი, კერძოდ ფორმადმკმნელი ძალების სხეული, არაა ფიზიკური ბუნების; „იგი შედგება ქმედითი ძალებისაგან და არა ნივთიერებისგან“ (შტაინერი). „ქმედითი ძალები“, რომლებთანაც საქმე გვაქვს ამ დროს, იმავე სახისანი არიან, რაც ორგანულ ნაერთებში ზრდისა და სიცოცხლის წარმომკმნელი ძალები. „მეორე გეშტალტი“ იგულისხმება არა აბსტრაქცია, არამედ ყოფიერების, „სხეულებრივი ყოფიერების“ რეალური სფერო. უნდა ვისწავლოთ მოაზრება იმისა, რომ ფიზიკურ სხეულებრივობასა და წმინდა მშენიერი (ფსიქოლოგიურ) განცდებს შორის არსებობს სფერო, რომელიც არც ერთი მათგანის იდენტური არის და რომლისთვისაც ჭერ არ არსებობს საყოველთაოდ ხმარებული ტერმინოლოგია.

თუ მეთოდურად გამოვიყენებთ ცოდნას ფორმადმკმნელი ძალების შესახებ, როგორც ეს კიონიგმა გააკეთა, მაშინ მივხე-

დებით, რომ სხეულის სქემისა და ფანტომური კილურების შემთხვევაში მთლიანობით მოვლენასთან გვაქვს საქმე. ესაა ერთი ასპექტი უფრო გრანდიოზული და ვრცელი პროცესისა, რომელიც ფორმადმქმნელი ძალების სხეულის გამოთავისუფლებასთან ერთად მიმდინარეობს. ეს მოვლენა არაა რაიმე გარეგანი ფაქტორით გამოწვეული; აქ არც ცენტრალური ნერვული სისტემის წარმონაქმნების გარეპროექციასთან გვაქვს საქმე: აქ თავისთავადი „სხეულებრივობა“ გვამცნობს თავს. სხეულებრივი გრძნობებით მიღებული გამოცდილებები სინამდვილეს ანიჭებს მას.

სხეულის სქემის წარმოქმნით ბავშვი ცნობიერების სხვა საფეხურზე აღის საკუთარი სხეულის სივრცით გამოვლინებასთან დაკავშირებით და ასევე გარე სამყაროსთან დაკავშირებით, რაც სხეულის განცდიდან გამომდინარეობს. კიონიგი საუბრობს „ცნობიერების ნახტომზე“, რომელიც ამ დროს ხდება. ამ რადიკალური ფორმულირების უფლებამოსილება ცხადი ხდება იმ ფაქტიდან, რომ ახლა არსებობს „სხეული“, „შეორე გემტალტი“, რომელიც აქამდე არ არსებობდა. აქ პოულობს პასუხს ჩვენს მიერ დასმული კითხვა სხეულებრივ შემოსაზღვრულად საკუთარი თავის განცდის საფუძვლის შესახებ. „სხეულის სქემა“ განგვიცხადდება როგორც ცოცხალი, მოძრავი, არა სამგანზომილებიანი, მაგრამ მაინც სივრცულად განცდადი სხეულებრივობა. იგი მოქმედებს არა საგანთა სივრცეში, არამედ, ასე ვთქვათ, ძალთა სივრცეში. ისეთი ნაშრომი, როგორცაა ჯ. ადამსის „ეთერული სივრცისათვის“, ან არამათემატიკოსებისთვისაც ნათელს ხდის „სივრცის შემობრუნების“ ბუნებას, რასაც აქა აქვს ადგილი.

სულ პატარა ბავშვის მიერ სივრცის განცდისათვის თვალის შევლემამ შეიძლება სხვა მხრიდან გააშუქოს ეს მოვლენა. კიონიგი ამაზე შემდეგს ამბობს, როდესაც აღწერს სიცოცხლის პირველი წლისას ბავშვის მიერ სივრცის თანდათანობით ათვისებას: „რათა შევიმეცნოთ ბავშვის გარკვეული სახის ქცევები, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: რაც უფრო პატარაა

ბავშვი, მით უფრო დიდად განიცდის თავს სივრცით სამყაროსთან დაკავშირებით“.²⁰ ეს ნიშნავს, რომ ბავშვის სხეულში და მის გარემოში მოქმედი მაფორმირებელი ძალები ამ დროს სულ სხვაგვარ და ბევრად უფრო ინტიმურ ურთიერთკავშირში იმყოფება, ვიდრე შემდგომში. მდგომარეობა იცვლება სიცოცხლის პირველი შეიღწეულის განმავლობაში და დასასრულს პოვნებს ფორმადმქმნელი ძალების სხეულის გამოთავისუფლებასთან ერთად.

ამით წარმოიქმნება იმის წინაპირობებიც, რომ განვითარების ამ პერიოდში, კბილების მოცვლამდე, წამყვანი როლის თამაში კიდევ ერთ მოვლენას შეუძლია, რომელიც მიბაძვის სახითაა ცნობილი. როდესაც 1907 წ. შტაინერი მიუთითებდა მიბაძვასა და მაგალითზე, როგორც „ჯადოსნურ სიტყვებზე“, რომელნიც განსაზღვრავენ ბავშვის მიმართებას გარემოსადმი,“ ამით იგი გულისხმობდა, რომ ხსენებულ ასაკში არსებითად სხვაგვარი მიმართების არსებობა შეუძლებელია. ეს მდგომარეობა იცვლება მაშინ, როცა პირველი შეიღწეულის ბოლოს წარმოიქმნება „მეორე გეშტალტი“ მიბაძვა, როგორც შტაინერის მიერ ნაგულისხმევი განსაკუთრებულობისა და აუცილებლობის მქონე პროცესი, ამოწურავს თავის თავს; გარე სამყაროსადმი მიმართება იცვლება. მიბაძვის პროცესების საფუძველი ფიზიკური გეშტალტია და ისინი ფიზიკურად ხორციელდებიან. მაგრამ ეს პროცესები არა მარტო გარეგნულ მხარეს გულისხმობენ, არამედ ძალუძთ იმიტირებული გარემოს მორალური და არამორალური ინტენციების მიხედვით იმოქმედონ ბავშვის სხეულში, ჩამოუყალიბონ მას მოტორიკა, ზეგავლენა მოახდინონ ორგანოთა ჩამოყალიბებაზეც კი.“ – მიზეზი ამისა კი მაფორმირებელ ძალებში უნდა ვეძიოთ, რომელნიც ჭერაც მთლიანად პატარა ბავშვის სხეულთან არიან გადაწნილნი, მაგრამ მოგვიანებით გარდაიქმნებიან, ყალიბდებიან, იბადებიან „მეორე გეშტალტად“ აქ საქმე გვაქვს ჰეშმარიტი გარდაქმნის პროცესთან, რომელსაც ახორციელებენ ის ძალები, რომელნიც თავდაპირველად მთლიანად ბავშვის ფიზიკურ-ორგანულს აყალ-

იბებენ. მასთან არიან შეზრდილნი და მდგრადობას ანიჭებენ ფიზიკურად მიბაძულს, შემდეგ კი განვითარების შინაგანი აუცილებლობის შედეგად მთლიანობით ფორმად მწიფდებიან, რომელიც სულ უფრო და უფრო იჩენს თავს.

სამკურნალო პედაგოგიური განხილვებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ მრავალფეროვანი დარღვევების შემეცნებას, რომელთა მსხვერპლიც შეიძლება გახდეს ეს განვითარება. ზოგიერთი მათგანი კიონიგის აღწერებშია მოყვანილი, რომლებიც წინამდებარე წიგნშია წარმოდგენილი. თერაპიული ხასიათი, რომლისთვისაც მოწოდებული არის სამკურნალო პედაგოგია, საბოლოოდ შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ ისე, რომ მან გაშუღმებით უნდა ექებოს გზები და საშუალებები, რათა სხვადასხვა სახის ვარჯიშებით – რომელთა შორის ერთ-ერთ უძირითადესად შეიძლება სამკურნალო ევრითმია დავასახელოთ – გამოაკეთოს განვითარების ამ პროცესის, ამ „მეორე დაბადების“ გადახრები და დამახინჯებები. იმიტომ, რომ ყოველივე ის, რაც თავს იჩენს განვითარების სხვადასხვაგვარ დარღვევებში, არსებითად სხვა არაფერია, თუ არა გამოვლინება ძალზე მრავალფეროვანი განსაკუთრებულობების, წინაპირობებისა და შედეგების, რომელნიც შეიძლება დაკავშირებულნი იყვნენ „მეორე დაბადებასთან“. ამ მხრივ, სამკურნალო პედაგოგია საჭიროებს საკუთარ, წმინდა პედაგოგიურისგან აშკარად განსხვავებულ მიდგომას, რამდენადაც იგი თერაპიულად მოქმედებს შესაბამისი ვარჯიშის მეთოდებით და ხშირად განვითარების დარღვევების მქონე ბავშვს უხსნის და უმსუბუქებს გზას, რათა პედაგოგიურმა შექმლოს მოქმედების დაწყება.

ჩვენი განხილვების ამ ადგილას უნდა შევჩერდეთ ბავშვის განვითარების დარღვევებისას არსებულ სხვადასხვა სახის „სხეულებრივობების“ ურთიერთშედარებაზე. შეგვეძლო გვეთქვა: ის, რაც სპასტიკურის „შევიწროებულ“ სხეულში იჩენს თავს, შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ, როგორც ფანტომური კიდურების ჩამოუყალიბებლობა, არასაკმარისი დაუფლებულობა და თავისუფლება. ამგვარ ბავშვებთან ყოველდღიური და

მკიდრო ურთიერთობისას, თანაცხოვრებისას გამუდმებით გვექმნება ამგვარი შთაბეჭდილება. იძულებულნი ვართ დაუშვათ, რომ თუ უხელ-ფეხო ბავშვს გარკვეულ პირობებში უნარი აქვს, ძალზე ინტენსიურად გამოიყენოს თავისი ფანტომები, სპასტიკურს ამ მხრივ თავისი მთავარი სირთულეების გადალახვა უწევს. მას არ ძალუძს საკუთარი მოძრაობის ერთგვარი „წინასწარი მონახაზის“ გაკეთება; სივრცე ხელსა და საგანს შორის, რომელსაც უნდა, რომ მოკიდოს ხელი, ფენომენოლოგიური გაგებით „ცარიელი“ რჩება. არ მყარდება ნამდვილად განცდილი – და არა უბრალოდ წარმოდგენილი და „მხოლოდ „გარედან“ დანახული – მიმართება ხელსა და საგანს შორის, მხედველობის ველი ბუნდოვანი რჩება და იძენს არარეალურ ხასიათს. სადაც ხელი ზედმეტად სხეულად რჩება, იქ ვერ იკვრება გეშტალტური წრე (ფონ ვაიციზჟერი⁴⁾) ხელსა და თვალს შორის.

სპასტიკური დამბლისას ხშირად მიუთითებენ სხეულის სქემის დარღვევებზე.⁵ მაგრამ საჭიროა ამასთან დაკავშირებული წარმოდგენების გაფართოება, რათა მივხვდეთ, რომ აქ დარღვეულია იმავე მთლიანობითი არსის გაშლა-განვითარება, რომელიც თავს იჩენს უხელ-ფეხო ბავშვების ფანტომურ კიდურებში და საფუძვლად უდევს სკოლის ასაკის ბავშვის მეტყველი და ჰარმონიული მოძრაობების მდინარებას. სპასტიკურს აკლია სწორედ ის, რაც ამპუტირებულს – შესაბამისი მომზადების შემდეგ – ანდა უხელ-ფეხოს შეაძლებინებს პროტეზის იმგვარად გამსვენებას, რომ შესაძლებელი ხდება ნიადაგის ყოველი უსწორმასწორობის, ავტომანქანის ტარებისას გაზის ბერკეტის ყოველი ოდნავი მოძრაობის აღქმა.” აქ საქმე გვაქვს კიდევ სხვა რამესთან, ვიდრე უბრალოდ მოძრაობის მიმდინარეობაზე რეფლექტორული ზეგავლენის პრობლემა არის. უნდა ვიფიქროთ, რომ სპასტიკურისთვის უცხოა „ფანტომთა მოძრაობის უნარიანობა“, ფანტომური კიდურის „წინასწარი მოძრაობის“ შესაძლებლობა. რა სიმალეზე უნდა აიწიოს ფეხი დაბკოლების გადასაბიჭებლად, რამდენად ღრმად ეშვება იგი ერთი

საფეხურით ქვევით ჩასვლისას, როგორ უნდა შემოვტრიალდეთ, რათა დავსხდეთ სკამზე? ყოველივე ეს უნდა განცდილ - და არა მარტო დანახულ - იქნეს მანამ, სანამ მოძრაობა შესრულდებოდეს. სწორედ აქ უწევს სპასტიკურს, როგორც ჩანს, თავის „გახეხებულ ფანტომებთან“ ბრძოლა.

ახლა კვლავ მიუბრუნდეთ განვითარების საფეხურების განხილვას, რომელნიც ემთხვევიან „მეორე გეშტალტისა“ და ფანტომების გაჩენას, თუმცაღა მხოლოდ გარკვეული მომენტების აღნიშვნა იქნება შესაძლებელი. ამ პერიოდში, ე.ი. პირველი შვიდწლეულიდან მეორეზე გადასვლისას, ადგილი აქვს ბავშვის აზროვნების გადამწყვეტ სახეცვლილებებს, რასაც სრულიად ახალ საფეხურზე აპყავს ბავშვისა და მისი გარემომცველი სამყაროს ურთიერთმიმართება. აზროვნების ეს ნაბიჯი და ფორმადმქმნელ ძალთა სხეულის ზემოხსენებული ჩამოყალიბება არ არის მხოლოდ დროში თანმხვედრი მოვლენა; ადგილი აქვს პირდაპირ ურთიერთკავშირს, რაც გამომდინარეობს შტაინერისეული დეტალური აღწერებიდან. განვითარების ამ პერიოდში საქმე ეხება აზროვნებას, რომელიც ჯერ არ ატარებს აბსტრაქტულ-სპეკულაციურ ხასიათს, არამედ ძირითადად ხატოვან-განცდისმიერია. ბავშვის განვითარების მათორმირებელი ელემენტის სახით იგი იწყებს იმავე ადგილის დაქერას, რაც ადრე მიბაძვას ჰქონდა.

აქ მხოლოდ ვახსენებთ ამ ურთიერთკავშირს და მიუბრუნდებით ერთ სფეროს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, კიდევ ახალი კუთხით გავაშუქოთ მეორე გეშტალტის გამოთავისუფლება. საქმე ეხება ბავშვის განვითარებისას დროის ცნობიერებისა და დროის ცნების წარმოშობას. თავიდან უნდა აღინიშნოს, რომ შტაინერს მრავალჯერ აღუწერია ფორმადმქმნელ ძალთა სხეულის სფერო, როგორც საფუძველი ყოველივე იმის განცდისა, რაც ფართო გაგებით დროით ნაკადთანაა კავშირში. ფორმადმქმნელ ძალთა სხეული ამავე დროს დროითი სხეულია. ამდენად, მოულოდნელი აღარ უნდა იყოს, რომ ფორმადმქმნელ ძალთა სხეულის სახეცვლილებებთან და განვითარ-

რებასთან ერთად ბავშვი ახლებურ მიმართებას ამყარებს დროსთან. პიაჟემ დაწვრილებით იკვლია ბავშვთან დროის განცდის განვითარება და დროის ცნების აღმოცენება² და დაადგინა, რომ დაახლოებით იმ ასაკში, როდესაც თავს იჩენს „მეორე გეშტალტის“ ფენომენები, ბავშვი იწყებს ასაკის ზრდის, როგორც დროითი პროცესის, გარჩევას სხეულებრივი ზრდისაგან, ანუ სივრცითი ზრდისა და ზომის მატებისაგან. გამოკვლეულ ბავშვებთან ერთად, მაგ., განიხილებოდა სხვადასხვა სიდიდის ხეები და ცხოველები, რასაც მოსდევდა საუბარი ადამიანის ასაკსა და ზომას შორის ურთიერთმიმართების შესახებ. დიდტანიანი ადამიანები ყოველთვის მომცროტანიანებზე უფროსები არიან, თუ ხნიერი პატარა ტანის ადამიანებიც არსებობენ? აღმოჩნდა, რომ ოთხიდან ათ წლამდე ორმოცი შემოწმებული ბავშვიდან სწორად პასუხობდნენ ბავშვები, რომელთა ასაკიც ცხრა წელს აღემატებოდა, ხოლო ოთხიდან ექვს წლამდე ყველა ბავშვმა არასწორი პასუხი გასცა.

პიაჟეს შემდეგი შენიშვნა ნათლად გამოხატავს პრობლემის არსს: „პირველი შედეგი შემდეგია: ბავშვი, რომელიც შორსაა იქიდან, რომ ამოსავალ წერტილად ასაკის სუბიექტური ცნება აიღოს, იწყებს ყველაზე მეტად გარეგნული და მატერიალური ცნებით, რაც კი მის განკარგულებაშია: სტრუქტურით, ანუ ტანის სიდიდით. ამაზე შემოგვედავებიან, რომ ეს სავესებით ბუნებრივია და ამის თქმა ნამდვილად შეიძლება აპოსტერიორი (გამოცდილებიდან). თუმცა შეიძლება სხვა შესაძლებლობებზეც ვფიქროთ, როცა საქმე ეხება პიროვნების ასაკს და მით უმეტეს, საკუთარ და ოჯახის წევრების ასაკს. ჯერ ერთი, სხვებთან შედარებით ადამიანი უმცროს-უფროსად ერთგვარი გლობალური შთაბეჭდილების სახით გრძნობს თავს, რაც შეიძლება ატყუებდეს მას, ბავშვისთვის კი, რომელიც ჩვენზე ნაკლებად კრიტიკულია, სავესებით გამოსადეგი იყოს. გარდა ამისა, შეიძლება სულიერი და ზნეობრივი ზრდის მოხმობა: უფროსებმა უმცროსებზე მეტი იციან, ისინი ნაკლებად არიან „ბავშვები“. სხვა თამაშობებს თამაშობენ, უფრო თავაზიანები

არიან და ა.შ. დაბოლოს, საინტერესო კონსტრუქციებს მოგვაწვდიდა მეხსიერება: უფროსებს აგონდებათ მოვლენები, რომელთა შესახებაც უმცროსებმა არაფერი იციან და ა.შ. მაგრამ, შორსაა რა იქიდან, რომ შიგნიდან გარეთ წაიწიოს წინ, ბავშვი იწყებს გარეგანი ანალიზიდან, რათა გარეგანი შესახედობის ეს მცდარი კრიტერიუმი თანდათან შეასწოროს დროითი გადამუშავების სასარგებლოდ“.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ფენომენების ამგვარ აღწერაში თავს იჩენს ის, რაც შტაინერმა დაახასიათა, როგორც ფორმალმქმნელ ძალთა სხეულის გამოთავისუფლება. სანამ ეს გამოთავისუფლება არ მომხდარა, ბავშვს არ ძალუძს იმის გაკეთება, რასაც პიაჟე უწოდებს „შიგნიდან გარეთ წინსვლას“. მხოლოდ ამგვარი ხედვის საშუალებით ხდება გასაგები ის, რომ სხეულის სიდიდის, როგორც სივრცობრივობის და ასაკის ზრდის, როგორც დროითი მოვლენის, სხვადასხვაობის წვდომა მარტოოდენ მაშინაა შესაძლებელი, როცა წმინდა დროითის გამაშუალებელი მათორმირებელი ძალები თავის საკუთარ გეშტალტურობას (მთლიანობით ფორმას) შეიძენს. თანდათან მოზარდისათვის დრო იძენს განცდილი დროის, საკუთარი დროითი სინამდვილის, ბიოგრაფიული შინაარსიანობისა და განუმეორებლობის ხასიათს სწორედ დროითი სხეულის განვითარების წყალობით, რომელიც იმავდროულად არასხეულებრივი სივრცობრივობის მატარებელია. რისმანის ენით რომ ვთქვათ, ამ დროს თავს იჩენს „კონკრეტული, აქტიური დრო, რომელიც ცალკეულ ცოცხალ არსებებში სივრცითი ხდება და ინდივიდუალიზდება. მაკროკოსმოსი ქმნის დიდ დროით ორგანიზმს, რომელიც მცენარეთა და ადამიანთა სამყაროს მიკროკოსმოსში, როგორც მცირე დროით ორგანიზმებში, განაგრძობს ელერას“.¹⁴ ადამიანის არსებაში იგი ინდივიდუალური ბედისმძიერი დროის მნიშვნელობას იძენს.

სულ სხვა სახით, ქცევის კვლევისთვის ცხოველთა ქცევის წესები „დროით გეშტალტებს“¹⁵ წარმოადგენს, რამდენადაც ისინი განსაზღვრული ფორმით მიმდინარეობენ და თავიდან ბო-

ლომდე ერთ მტკიცე მთლიანობას ქმნიან. მათი სივრცეში ფიქსირება და დოკუმენტირება შეიძლება, მაგ., კინო- ან მაგნიტოფირზე აღბეჭდვით. მაგრამ ამ დროით გეშტალტებს, რომელთაც საფუძვლად არ უდევთ ფორმალმქმნელ ძალთა ინდივიდუალური სხეული, არ გააჩნია ბიოგრაფიული ხასიათი. ამიტომაც ცხოველი თავისი სხეულის „ბიოლოგიური სისტემით“ ადამიანზე ბევრად უფრო ღრმად დაკავშირებული დედამიწის ბრუნვით წარმოდგენილ კოსმიურ ურთიერთმიმართებებთან. მისი „ბიოლოგიური საათი“ გასაოცრად მძლავრია და არ შეედრება დროის ადამიანურ განცდას. ამისი შთამბეჭდავი მაგალითია მწერების, ფრინველებისა და სხვა ცხოველების ახლახან შესწავლილი უნარი, სივრცეში მოძრაობისას საორიენტაციო წერტილად გამოიყენონ მზე, დღის განმავლობაში მზის მდებარეობის მიხედვით კი გაასწორონ თავიანთი „შინაგანი საათი“.³ ამგვარი კვლევები შეგვაძლებინებს სხვა მხრიდან შევიმეცნოთ ის მნიშვნელობა, რომელიც ადამიანის პირმშოს განვითარებისათვის გააჩნია დროის ინდივიდუალური განცდის ჩამოყალიბებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ სხეულის სქემა ბევრად უფრო ფართო ანთროპოლოგიური ურთიერთკავშირების კრილში უნდა იქნეს გააზრებული, ვიდრე აქამდე ხდებოდა, რათა გამოიკვეთოს შორსმიმავალი აზრობრივი მიმართებები. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვალსაზრისს, რომ ბავშვის განვითარება, კერძოდ ინკარნაცია, არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც მხოლოდ ხორციელი პროცესი, როგორც ხორციელი სხეულის სრულყოფა. არახორციელი სხეულებრივობის, რომელიც გარსისებრი ბუნებისაა, ინდივიდუალური ჩამოყალიბება საფუძველი არის განვითარების ყველა იმ საფეხურისა პირველი შვიდწლეულის ბოლოს, რომელნიც გაუგებარნი დარჩებიან, თუკი დანახულნი იქნებიან, როგორც წმინდა ხორციელი სხეულის განვითარება.

ჩვენი განხილვები შეიძლება გავალრმავოთ ერთი შენიშვნით მეხსიერების შესახებ. ხსენებულ ასაკში ადგილი აქვს სახ-

ეცვლილებებს, რომელნიც შეიძლება გაგებულ იქნენ, მხოლოდ როგორც ახლახან შექმნილი სხეულებრივობის ანარეკლი. ბავშვის მესხიერება კბილების მოცვლამდე, შტაინერის მიხედვით, სულ სხვა გვარისაა, ბევრად უფრო დაკავშირებულია ამ ასაკისთვის სახასიათო მიბაძვასთან, ვიდრე სკოლის ასაკის ბავშვის მესხიერება, ანუ კბილების მოცვლის შემდეგ." ისმის კითხვა, რა განსაკუთრებულობით ხასიათდება მესხიერება კბილების მოცვლამდე, რომელზეც ითქმება, რომ მისგან შემდგომი ასაკის მესხიერება იღებს სათავეს. პასუხი ასეთია: „ბავშვთან იგი ჯერაც ჩვევაა. ბავშვში, რომელიც მიბაძვით ითვისებს ყოველივეს, წარმოიქმნება შინაგანი, უჩინარი ჩვევა სიტყვის აღქმისას და ამ ჩვევიდან, იქიდან, რაც მოგვიანებით ჩვევის სახით იჩენს თავს, განსაკუთრებულად ჩამოყალიბებული ჩვევიდან, რომელიც ჯერ უფრო ბორცვილი თვისებაა, აღმოცენდება ის, რაც შემდგომში, კბილების მოცვლის შემდეგ, მშენიანიერად ქცეულ ჩვევას, მესხიერებას წარმოადგენს“. (ხაზგასმა ავტორისა).

როგორც ვხედავთ, აქაც იმავე პროცესზეა საუბარი. მესხიერება იძენს დროისადმი თავისუფალ დამოკიდებულებას, როდესაც სხეულებრივი, საპირისპიროდ ბორცვილისა, ყალიბდება აქამდე არარსებული სახით და ამით ახალი უნარი შეიძინება. პატარა ბავშვის მარტოოდენ ბორცვილი მდგომარეობის სრულყოფის გზით ეს ნაბიჯი ვერ გადაიდგმებოდა; აუცილებელია, რომ სხვა სხეულის „სუბსტანციამ“ მიიღოს ფორმა და დაიბადოს. ახალი სხეულებრივი თავისთავადობის, დამოუკიდებლობის, სხვა სხეულებრივი ყოფიერების შექმნის ეს ნაბიჯი ასევე გამოიხატება დროის განცდის სახეცვლილებაში და „ცნობიერების ნახტომში“ გვამცნობს თავს, რაზეც ზემოთ გვკონდა საუბარი სხეულის სქემის ახალ სივრცობრივობასთან დაკავშირებით.

ყოველივე ეს თავის მნიშვნელობასა და აზრს იძენს „ეთერიული სხეულის დაბადების“ ფონზე (როგორც ეს შტაინერს ესმოდა), თუმცაღა თავად ეს დაბადება გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე აქ შეიძლება გამოკვეთოთ. როდესაც ბავშვი –

მართალია, არაცნობიერად – თავისი სხეულებრივობის, როგორც „მოძრავისა და თან შემოსაზღვრულის“, განცდის საფუძველს იმის წყალობით იძენს, რომ უწყალობდება ანდა ებადება მეორე, ოღონდ არახორციელი სხეულებრივი გარსი, ამაში შეიძლება დროსა და სივრცეში დამოუკიდებლად გახდომის პროცესი დავინახოთ. ამით ბავშვი უფრო ღრმა გაგებით ხდება დედამიწის მოქალაქე, ვიდრე აქამდე იყო. დროსა და სივრცეში დამოუკიდებლად ქცევის ეს პროცესი გაგებულ უნდა იქნეს, როგორც გამომზეურება მოზარდის სულიერი ინდივიდუალობისა, მისი „მე“-სი, რომელიც მასში მოქმედებს და სულ უფრო მეტად იჩენს თავს. აქ ჩვენს წინაშეა ძლევამოსილი მოვლენა, რომელიც ვერ მოხდებოდა ინდივიდუალური ადამიანური ცხოვრების გარეშე. სივრცეში და დროში გადადგმული აქ განხილული ნაბიჯები მკაცრი გაგებით ხორციელ პროცესებს რომ წარმოადგენდეს და თავიანთი შინაგანი ხასიათით წმინდა ფიზიკური სახის რომ იყოს, მაშინ მათ უცილობლად დროსა და სივრცეში დამოუკიდებლად ქცევის საპირისპირო მოვლენამდე უნდა მივეყვანეთ; შედეგი იქნებოდა ინდივიდუალობისა და მეს დაკარგვა. აქაა ასევე საფუძველი იმისა, რომ ყველა პედაგოგიურ და სამკურნალო-პედაგოგიურ მცდელობას, რომელნიც ამოდიან აღმზრდელობითი მიზნებისათვის ადამიანისა და ცხოველის ურთიერთშედარების შესაძლებლობიდან, მხედველობიდან ეპარება სწორედ ის თვალსაზრისი, რომელიც ცენტრალური არის აქ. ცხოველი ამ სახით არა დგამს დროსა და სივრცეში დამოუკიდებლად ქცევის ნაბიჯს, რომელიც თავის გამოხატულებას ეთერული სხეულის დაბადების „ფორმულაში“ პოუვებს. გამომდინარე თავისი ბუნებიდან – როგორც ჭგუფური ანუ გვაროვნული არსება – იგი ვერც ვერასოდეს გადადგამდა ამ ნაბიჯს.

ყოველგვარი მსჯელობა საკითხზე, თუ როგორ ახერხებს ადამიანი თავის ხორციელ სხეულთან გაწონასწორებული ურთიერთობის დამყარებას, უნდა მოიცავდეს იმ მშვინვიერი განცდებისა და შეგრძნებების განხილვასაც, რომელნიც ოთხ სხეუ-

ლებრივ გრძნობაზე აღინთებიან. თუმცაღა წინა თავებში კიონიგმა (შტაინერის აღწერებზე დაყრდნობით) დაწვრილებით განიხილა ხსენებული გარე გრძნობების შესაბამისი მშენიერი შთაბეჭდილებები, მთლიანი სურათის შესაქმნელად კიდევ ერთხელ თავს მოკუყრი მათ. ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, როდესაც კიონიგი მიუთითებს, რომ ოთხი სხეულებრივი გრძნობის ურთიერთქმედება ქმნის „სხეულის სქემის ქსოვილს“, როდესაც ვითვალისწინებთ იმას, რომ ამით მინიშნებულია ახალი სხეულებრივი გარსის წარმოქმნა, რომლის წყალობითაც პირველად ხდება შესაძლებელი საკუთარი ყოფიერების დროსა და სივრცეში შემოსაზღვრულობისა და მისი გარესამყაროსთან კავშირის გარკვეული სახით განცდა, მაშინ უმაღლეს ხედვებით, რომ ამ ოთხ სხეულებრივ გრძნობასთან დაკავშირებული ოთხი მშენიერი განცდის მთლიანობას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია.

რასაკვირველია, ჩვენს განხილვებს მიეკუთვნება იმ განსაკუთრებული ადგილის გათვალისწინება, რომელიც სხეულებრივ გრძნობებს უჭირავს გარე გრძნობების მთელ სფეროში. დანარჩენი გარე გრძნობებისაგან განსხვავებით მარტოოდენ მათ გააჩნიათ თვისება, უნარებად გარდაისახონ, ან განაპირობონ ადამიანში გარკვეული უნარების ჩამოყალიბება. ეს უკანასკნელნი სულ სხვა სახისანი არიან, ვიდრე შეხების, საკუთარი მოძრაობის, სასიცოცხლო პროცესებისა და წონასწორობის პირდაპირი აღქმა. მაგრამ ისინი შეიძლება გაგებულ იქნენ, როგორც სხეულის უშუალო განცდის შედეგი და შტაინერის თანახმად, ორმაგი ბუნებისანი არიან. ჯერ ერთი, მათ კავშირი აქვთ გარკვეული ცნებების წარმოქმნასთან, რომელნიც მისაწვდომს ხდიან აბსტრაქტულ სივრცესა და დროს, როგორც მათემატიკისა და ლოგიკის იდეებს. ამავე დროს თავს იჩენს სრულიად არააღნიშნული, მეტ-ნაკლებად არააღნიშნული შინაგანი განცდები — ასევე სხეულებრივი გრძნობებიდან აღმოცენებულნი — რომელნიც მოქმედებენ იქ, სადაც განცდილ სივრცესა და დროზე შეიძლება იყოს საუბარი. სხვა სიტყვებით, ეს

უკანასკნელნი ქმნიან არა ცნებით-აბსტრაქტულ, არამედ არა-ცნებითად მოქმედ, ფაქტობრივსა და განცდად ინდივიდუალურ დროსა და სივრცეს. სხეულებრივი გრძნობების ამ სახე-ცვლილების გათვალისწინების გარეშე ვერ მოხერხდება საკუთარ სხეულთან ბავშვის დამოკიდებულების გაგება. განვითარების შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა მეორე შეიღწეულის დასაწყისიდან ხდება.

ლაუერმა კარგად ცხადყო, თუ რამდენად არაცნობიერი ხასიათისაა აღქმები სხეულებრივი გრძნობების სფეროში. საფუძველი ამისა ისაა, რომ ეს აღქმები გარკვეული ხარისხით მუდამ აქტივობას ერთვის თან; ყოველ მოქმედებასთან დაკავშირებული ნებელობითი ელემენტი განაპირობებს ამ არაცნობიერებას. რასაკვირველია, ამ მხრივ ცალკეული სხეულებრივი გრძნობები განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ასე მაგ., მოძრაობის აღქმა - სწორედ საკუთარი მოძრაობის მეშვეობით, რომელიც აღიქმება - უფრო მეტ აქტიურობასთანაა დაკავშირებული, ვიდრე შეხების განცდა. ცალკეული გრძნობებისთვის ასევე განსხვავებულია იმ ორმხრივი ზეგავლენის სიდიდეც, რომელსაც ერთმანეთზე ახდენს ის, რაც აღიქმება (ჩვენს შემთხვევაში მოძრაობა) და აღქმის გრძნობადი პროცესი (საკუთარი მოძრაობის გრძნობა). კიონიგმა ეს გრადაციები ერთ სქემაში მოაქცია (იხ. გვ. 67); მეტ-ნაკლებად დარღვეული გრძნობადი აღქმის ზეგავლენა აღქმულ პროცესზე ყველაზე მკვეთრად ვლინდება მოძრაობისა და წონასწორობისას. როდესაც კიონიგი მიუთითებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გაგებას, რომ სხეულებრივი გრძნობების შემთხვევაში აღქმის აქტი აღქმულის განუყოფელი ნაწილია, ეს ძირეული მოვლენაა სწორედ „მეორე გეშტალტის ჩამოყალიბებასთან“ დაკავშირებით. ამ სახით ხდება მისი გამოძერწვა.

სხეულებრივი გრძნობების არაცნობიერ ელემენტში უნდა ვეძიოთ ამოსავალი წერტილი იმისა, რომ ისინი გარდაქმნებს უღებენ სათავეს, რომელნიც შემდგომში უნარების სახით ვლინდებიან. როგორც უკვე აღინიშნა, ერთი მხრივ, აქედან გზა

გეომეტრიის, მათემატიკისა და ლოგიკის სფეროსკენ მიდის. ყველა საჭირო ცნების ჩამოყალიბების უნარი სხეულებრივი გრძნობების სფეროს არაცნობიერი აღქმებიდან მომდინარეობს, რომელთაც ეს სახეცვლილი ფორმა აქვთ მიღებული. ისინი იოლად არ ამჟღავნებენ თავიანთ წარმომავლობას, არამედ მხოლოდ ღრმადმწვდომი ადამიანთმცოდნეობის მზერას ეხსნებიან.²⁴ ამ მეტამორფოზის მნიშვნელობის უფრო კარგად წვდომა ლაუერის აღწერებიდან შეიძლება.

მეორეა სხეულებრივი გრძნობების გარდაქმნის ის პროცესი, რომლითაც აქ განსაკუთრებით ვიყავით დაკავებულნი და რომელიც კიონიგის აღწერებიდან იკვეთება. აქ საქმე ეხება არა სხვადასხვაგვარი ცნებების ჩამოყალიბებას ან ამ ჩამოყალიბების უნარის გაჩენას, არამედ ამ პირველი მეტამორფოზის ერთგვარ პოლარობას, კერძოდ, უნარს, განიცადო საკუთარი თავი, როგორც სხეულით შემოფარგლული არსება ისე, რომ არ ჩაიძირო ხორციელი სხეულის მატერიალურობაში. რათა სხეული გარეგანად არ დარჩეს ჩვენთვის, მაგრამ ვერც ჩვენი „შთანთქმა“ შეძლოს, ამისათვის სხეულებრივი გრძნობებით მიღებული განცდები მეტამორფოზირებული სახით უნდა დაუკავშირდეს იმას, რაც კბილების მოცვლის დაწყებისას დაიბადება, როგორც გამონთავისუფლებული ფორმადმქმნელი ძალების სხეული, „მეორე გეშტალტი“.

სანამ გავიხსენებდეთ, სხეულებრივი გრძნობებიდან აღმოცენებული რომელი შეგრძნება არის აქ მთავარი, კიდევ ერთხელ შევეხები ახლახან ნახსენებ ძირეულ თვალსაზრისს. ესაა მითითება განვითარების იმ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯზე, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ეს ოთხი შეგრძნება ერთიანდება ჩვენი სხეულებრივი არსებობის ძირეულ განწყობად. ვინაიდან მთლიანობა, რომელიც შერწყმის ამ პროცესიდან წარმოიქმნება და რომლის ზუსტი სახელდებაც ვერ ხერხდება, აუცილებელ ამოსავალ წერტილს ქმნის ყველა შემდგომი განვითარებისთვის, რომელიც უნდა განვლოს ბავშვმა თუ მოზარდმა, როდესაც გადააბიჯებს ზღურბლს პირველი შეიღწეუ-

ლიდან მეორისკენ.

მეორე გეშტალტის ჩამოყალიბება და ამ ოთხეულის გამ-
თლიანება ჩვენი სხეულებრივი არსებობის განცდის საფუძვლად
საკუთარ თავში ჩაყეტილი პროცესია. თუ ვეცდებით, ყოველ-
თვის ერთად მოვიაზროთ ისინი, მაშინ შთამბეჭდავად წარმო-
ჩნდება მათი გრანდიოზულობა და ღიღებულება. ყოველ ბავშ-
ვთან მიმართებით, რომელიც ამ განვითარებას გადის, მოწი-
წების გრძნობა უნდა აღმოგვიცენდეს. ამ მოვლენის სიღრმეს
თითქმის ვერაფერი შეედრება. მას არც ცხოველთა საუფლოში
აქვს ადგილი.

ამგვარად შესაძლოა ჩვენს წინაშე გაიხსნას ყოველივე იმის
კიდევ ერთი ასპექტი, რაც „მეორე გეშტალტის ჩამოყალიბებას“
უკავშირდება. სწორედ ამაზე ხდებოდა მინიშნება, როდესაც
ზემოთ ნათქვამი იყო, რომ არსებობს სხეულებრივი გრძნობები,
რომელნიც ამ მოვლენას „რეალობას“ ანიჭებენ. „ღვთის გრძნო-
ბით განმსჭვალულობა“, „საყოველთაო კოსმიური სუბსტანციით“,
„ყოფიერებით, როგორც ასეთით“ აღვსილობა — შტაინერის
გამოთქმები რომ მოვიხმოთ — არის ის, რაც შეხების განც-
დიდან მოდის. სიცოცხლის გრძნობის საშუალებით ადამიანს
ძალუძს თავი შეიგრძნოს, როგორც „სივრცეში განფენილი,
სხეულებრივი მეობა“, „მთლიანი შინაგანობა“. მოძრაობის
გრძნობა ამას უმატებს „ადამიანის მიერ თავისუფლების იმ
გრძნობას, რომელიც შეაძლებინებს მას, რომ თავი სამ-
შვინველად შეიგრძნოს: ესაა საკუთარი თავისუფალი მშვინვიე-
რების შეგრძნება“ დაბოლოს, წონასწორობის გრძნობის მოქმე-
დების შედეგია შინაგანი სიმშვიდე და თავდაჭერებულობა მიუ-
ხედავად ყველა გარეგანი ცვლილებისა; „ის, რაც დროისაგან
დამოუკიდებელს გვხდის“, რაც „სხეულებრივობისგან დამოუკი-
დებლობასა“ და „საკუთარი თავის სულად გრძნობას“ ნიშნავს.
ამასთან, აქ საქმე ეხება დროისა და სხეულებრივობის უფრო
გარეგნულ გამოვლინებებს. ამ ოთხეულის ძალით ადამიანი არ
არის საკუთარი სხეული, არამედ ცხოვრობს მასში და მისი
მეოხებით. ესაა ის ნიადაგი, რომელიც სამკურნალო პედაგო-

გაკამ უნდა დაამუშაოს, რათა მოზარდი ბავშვის ინდივიდუალობამ შეძლოს მისი განმსჭვალვა და გარე სამყაროსთან შეზრდა.

კიონიგს დიდი წვლილი მიუძღვის სამკურნალო პედაგოგიკის სფეროში იმით, რომ მან ეს ურთიერთმიმართებები განვითარების სხვადასხვა სახის დარღვევების კრილში განიხილა. ამით სრულიად ახლებური მიდგომა გაჩნდა ბავშვის განვითარების გადახრებისადმი, ბევრად უფრო პირდაპირი, ვიდრე კონვენციონალური მსჯელობები და ამა თუ იმ ტესტების მონაცემები არის. აქ ჩვენს წინაშეა ისეთი რამ, რასაც სულ სხვა გაგებით, ვიდრე ჩვეულებრივ ხდება, შეიძლება „სიღრმის“ ფსიქოლოგია ვუწოდოთ. ბავშვის სხეულებრივი განვითარების სიღრმეები იდუმალად თავს იჩენს აქ და მონაწილეობს დროით-სივრცითი ცნობიერების ცალკეული ნიშან-თვისებების ფორმირებაში ან ამისთვის წინაპირობების შექმნაში მაინც. მართალია, კიონიგმა ამ მხრივ მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადადგა, მაგრამ მან გაკათა გზა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალი გამოკვლევებისათვის. აქ ვხედავთ საყრდენ პუნქტებს სამკურნალო პედაგოგიური დიაგნოსტიკისთვის, რომელნიც შეიძლება იმთავითვე შეიცავდნენ მითითებებს თერაპიული საშუალებებისათვის.

რათა შეფერხებულმა ბავშვმა პოვოს საკუთარი თავი და თავისი კუთვნილი ადგილი დაიკვიროს ადამიანთა საზოგადოებაში, ამისთვის მასში უნდა გავალევივით და გავახაროთ ყოველივე ის, რაც შემოქმედებითია ადამიანში. ამ შემოქმედებითისათვის უცხოა აბსოლუტური შეფასებითი მასშტაბები, მან შეიძლება მარტივშიც ისევე იჩინოს თავი, როგორც მნიშვნელოვანში. შეფერხებულ ბავშვში ადამიანური თვითცნობიერების გაჩენა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, რომ მას საკმარისი შესაძლებლობა ჰქონდეს, ყელაფერში, რასაც კი აკეთებს, თანდათან საკუთარ შემოქმედებით არსებას სწვდეს. ეს შეიძლება მოხდეს უმარტივესი ფერწერისას, მცირე მუსიკალური ნაწილების შესრულებისას, უმნიშვნელო ხელსაქმისას,

არასრულყოფილი დრამატული წარმოდგენისას. საკუთარი შემოქმედებითი ძალისთვის ამგვარი თანდათანობითი გამოღვიძება არის პროცესი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული საკუთარ სხეულთან დამოკიდებულების საკითხთან. ბავშვის შემოქმედებითი ელემენტი მძლავრ ბიძგს იღებს ფორმადმქმნელ ძალთა სხეულის გამოთავისუფლებით და ამის შედეგად შეცვლილი მიმართებით საკუთარი სხეულისადმი. შეფერხებულობა, ფაქტობრივად, ნიშნავს საკუთარი ხორციელებისაგან არასრულყოფილად გამონთავისუფლებას აქ ნაგულისხმევი გაგებით. ბავშვის განვითარების ბირთვი, „ინკარნაცია“, უბრალოდ იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ფიზიკური სხეულის მიღმა ყალიბდება მეორე სხეულებრივი გარსი, რომელიც ინდივიდუალური განვითარების ქეშმარიტ ადგილს წარმოადგენს. სხვადასხვაგვარ შეერხებათა ყოველი გადალახვა ან გაუმჯობესება მნიშვნელოვანწილად იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ბავშვი ნაბიჯს დგამდეს წინ ხორციელებისაგან ამ გამოთავისუფლებაში. მხოლოდ ამით აღიძვრება და მტკიცდება მასში შემოქმედებითობის სფერო.

შენიშვნები

1. K. König, "Die Wissenschaft an der Schwelle", Die Drei, 35. Jahrg. (1965), Heft 6.
2. აქ მიყვები რუდოლფ შტაინერის მოსაზრებებს და ვერდნობი მის მიერ წაკითხულ ლექციებს. ლიტერატურა ლაუერთან, იხ. შენიშვნა 19.
3. იხ ამასთან დაკავშირებით თავი "Die Entfaltung der drei höchsten Sinne" ავტორის წიგნში "Die ersten drei Jahre des Kindes" 9. Aufl. Stuttgart 1994 (Praxis Anthroposophie 29).
4. R. Steiner, "Anthroposophie, Psychosophie, Pneumatosophie". Dornach 1965. Vorträge vom 23. und 25. October 1909. (GA 115. Dornach' 1980).
5. R. Steiner, "Anthroposophie. Ein Fragment aus dem Jahre 1910". Dornach 1951. (GA 45. Dornach' 1980)
6. R. Steiner, "Weltwesen und Ichheit", GA 169. Dornach' 1963.
7. D. Katz, "Handbuch der Psychologie". Basel 1951.
8. R. Steiner, "Allgemeine Menschenkunde als Grundlage der Pädagogik." Dornach 1960. (GA 293. Dornach' 1992).
9. R. Steiner, "Theosophie, Einführung in übersinnliche Welterkenntnis und Menschenbestimmung", Dornach 1961 (GA 9, Dornach" 1987).
10. W. Stern, "Psychologie der frühen Kindheit". Leipzig 1928.
11. M. Loosli-Usteli, "Die Angst des Kindes". Bern 1948.
12. L. Braun, "Herz und Angst". Wien 1932.
13. K. Fahrenkamp, "Der Herzkranke". Stuttgart 1931.
14. R. Steiner, "Geisteswissenschaft als Erkenntnis der Grundimpulse sozialer Gestaltung", Dornach 1967. (GA 199. Dornach' 1985).
15. A. Kubin, "Dämonen und Nachtgesichte". München 1959.
16. E. Fröschels, "Angst". Basel/New York 1950
17. M. Neumann, "Über die Angst". Basel 1947
18. R. Steiner, "Heilpädagogischer Kursus". Dornach 1965. (GA 317. Dornach' 1985).
19. H.E. Lauer, "Die zwölf Sinne des Menschen". Basel 1953.
20. R. Treichler, "Von der Welt des Lebenssinnes". Beiträge zu einer Erweiterung der Heilkunst, 5 (1952).
21. N. Glas, "Gefährdung und Heilung der Sinne". Stuttgart 1958.
22. W. Aeppli, "Sinnesorganismus, Sinnesverlust, Sinnespflege". Stuttgart 1955.
23. Landois-Rosemann, "Physiologie des Menschen". München/Berlin 1950.
24. R. Steiner, "Von Seelenrätseln". Dornach 1960 (GA 21. Dornach' 1983).

25. R. Steiner, "Grenzen der Naturerkenntnis". Dornach 1969. (GA 322. Dornach' 1981).
26. K. König, "Die ersten drei Jahre des Kindes". Stuttgart 1957. (9. Aufl. Stuttgart 1994, Praxis Anthroposophie 29).
27. F. Hoff, "Klinische Physiologie und Pathologie". Stuttgart 1957.
28. აქ მოყვანილი სიმპტომები აღებულია შესაბამისი ცხრილებიდან Landois-Rosemann (იხ. შენიშვნა 23) და F. Hoff-თან (იხ. შენიშვნა 27).
29. K. König, "Des Kindes Erleben von Tod und Geburt". Anthroposophisch-Medizinisches Jahrbuch Bd. II Stuttgart 1951.
30. R. Steiner, "Eine Okkulte Physiologie", Dornach 1957. (GA 128. Dornach' 1991).
31. R. Steiner, "Ägyptische Mythen und Mysterien". Dornach 1960. (GA 106. Dornach' 1992).
32. იხ. ბავშვის მეტყველების განვითარებისას წარმოთქმის, სახელებისა და ლაპარაკის საფეხურების აღწერა ნაშრომში "Die ersten drei Jahre des Kindes". (იხ. შენიშვნა 26).
33. W. v. Buddenbrock, "Vergleichende Physiologie", I Bd. Basel 1952.
34. V. v. Weizsäcker, "Der Gestaltkreis". Stuttgart 1950.
35. M. Saffron, "Die Radierungen Rembrandts". Mainz 1950.
36. W. Bergmann, "Histologie und mikroskopische Anatomie des Menschen. Stuttgart 1956.
37. ისინი უფრო ხშირად გვხვდებიან გამშლელებში, ვიდრე მომხრელებში, რაც არაა გასაკვირი, ვინაიდან ჩვენი კიდურების გამშლელ კუნთებში უფრო დიდი ცნობიერება უნდა მოქმედებდეს, ვიდრე იმ კუნთებში, რომელნიც მოხრას ემსახურებიან. გამშლელი გამომაფიხილებელი არიან, მომხრელები - სიზმარეულნი.
38. ოც წელზე მეტია, რაც შენიშნეს, რომ ამ ფირფიტებზე გამოიყოფა კიბიური ნივთიერება (აცეტილქოლინი): ეს მიუთითებს მათ ნივთიერებათა ცვლის ფუნქციაზე.
39. S. Strasser, "Das Gemüt. Grundgedanken zu einer phänomenologischen Philosophie und Theorie des menschlichen Gefühlslebens". Freiburg 1956.
40. C. Haensel, "Das Wesen der Gefühle". Überlingen 1946.
41. F. J. J. Buytendijk, "Das erste Lächeln des Kindes". Abgedruckt in "Das Menschliche", Stuttgart 1958.
42. R. Steiner, "Das Wesen der Künste". In "Kunst und Kunsterkenntnis". Dornach 1961. (Ga 271. Dornach' 1985)
43. ათეტოზი უნებლიე, შეუკავებელი ფსევდოსპონტანური მოძრაობები.
44. ატაქსია: ნებსითი და უნებლიე მოძრაობების მიმდინარეობის დარღვევა განპირობებულია მცირე ტვინში (cerebrale A) ან ზურგის ტვინში (spinale A) მიმდინარე ცვლილებებით.
45. F. Werfel, "Einander" (Oden, Lieder, Gestalten). München 1920.
46. E. v. Kries, "Allgemeine Sinnenphysiologie". Leipzig 1923.
47. A. Tschermak, "Optischer Raumsinn", Handbuch der normalen und pathologischen Physiologie, herausgegeben von Bethe und von Bergmann, Bd. XIIIh2. Berlin 1931.

48. E. Wodak, "Kurze Geschichte der Vestibularisforschung". Stuttgart 1956.
49. R. Steiner, "Die geistige Führung des Menschen und der Menschheit". Dornach 1963. (GA 15. Dornach^o 1987).
50. R. Steiner, "Die pädagogische Praxis vom Gesichtspunkte geisteswissenschaftlicher Menschenerkenntnis". Bern 1956. (GA 306. Dornach⁴ 1989).
51. ლაუერმა დაწერილებით განიხილა ეს მინიშნებები და არაერთი მნიშვნელოვანი დასკვნა გამოიტანა აქედან. თავის წიგნში (იხ შენიშვნა 19) იგი ცალკე თავს უძღვნის ამ თემას, რაც დედანში უნდა იყოს წაკითხული.
52. W. Metzger, "Die Entwicklung der Erkenntnisprozess", Handbuch der Psychologie, III. Bd.: Entwicklungs-psychologie. Göttingen 1959.
53. R. Steiner, "Menschengeist und Tiergeist", In "Antworten der Geisteswissenschaft auf die großen Fragen des Dascins". Dornach 1959 (GA 60. Dornach² 1983).
54. დეტალები იხილე დედანში.
55. H. Kayser, "Bevor die Engel sangen". Basel 1953.
56. I. Eibl-Eibesfeldt, "Grundriß der vergleichenden Verhaltensforschung". München 1967.
57. O. F. Bollnow, Mensch und Raum. " Stuttgart 1963.
58. H. Plügge, "Der Mensch und sein Leib". Tübingen 1967.
59. H. Müller-Wiedemann, "Die verstellte Welt", in: Der frühkindliche Autismus als Entwicklungsstörung. Erscheinungsformen und Hintergründe. mit Beiträgen von Walter Holtzapfel, Hellmut Klimm, Karl König, Jakob Lutz, Hans Müller-Wiedemann und Thomas J. Weihs. Stuttgart 1981.
60. K. Poeck, "Phantome nach Amputation und nach angeborenem Gliedmaßenmangel", Dtsch. Med. Wochenschrift 94 (1969).
61. K. Poeck, "Phantoms following amputation in early Childhood and in congenital absence of limbs", Cortex, Vol. I. 1964.
62. K. Koerner, "The phantom limb phenomenon in amputee training", J. Canad. Physioth. Assoc. 21 (2) (1969).
63. R. Janzen, "Schmerz und Schmerzanalyse", Dtsch. Med. Wochenschrift 91 (1966).
64. M. L. Simmel, "Developmental aspects of the body scheme", Child Developm. 37 (1966).
65. S. Weinstein, E. A. Sersen, R. I. Vetter, "Phantoms and somatic sensation in cases of congenital aplasia", Cortex, Vol. I, 1964.
66. K. Conrad, "Das Körperschema", Zeitsch. f. d. ges. Neurologie und Psychiatric 147 (1933).
67. L. I. Pongratz, "Problemgeschichte der Psychologie". Bern 1967.
68. P. McKellar, "Thinking, Remembering, Imagining", In: I. G. Howells (Edit), "Modern Perspectives of Child Psychiatry". EdinburghhLondon 1965.
69. D. Janz, "Die Epilepsien", Stuttgart 1969.
70. S. Fisher, S. E. Cleveland, "Bodyimage and Personality". New York 1958.
71. K. Poeck, B. Orgass, "Über die Entwicklung des Körperschemas", Fortschr. Neurol. Psychiatric 32 (1964).

72. I. Paul, "Grundlagen zur Erforschung von Raum- und Zeitbewußtseinsstörungen bei Kindern und Jugendlichen", Dtsch. Med. Wochenschrift 92 (1967).
73. R. Steiner, "Die Erziehung des Kindes vom Gesichtspunkte der Geisteswissenschaft" Dornach 1969.
74. R. Steiner, Vortrag vom 7. 4. 1921. In: "Ansprachen und Vorträge Rudolf Steiners im zweiten anthroposophischen Hochschulkurs" Bern 1948.
75. G. Adams, "Von dem atherischen Raume" Stuttgart 1964.
76. T. T. S. Ingram, "Paediatric Aspects of Cerebral Palsy" Edinburgh and London 1964.
77. იხ. ამასთან დაკავშირებით ქვეთავი „შეხების გრძნობის ორგანოები“
78. J. Piaget, "Die Bildung des Zeitbegriffes beim Kinde" Zürich 1955.
79. R. Rissmann, "Evolution der Pflanze" Stuttgart 1969.
80. R. W. Meyer (Hrsg.), "Das Zeitproblem im 20. Jahrhundert" Bern 1964.



ქარლ კოსინგი (1902-1966) იყო ავსტრიელი ექიმი-ფსიქიატრი, შედოცინის დოქტორი, კემპილის მოძრაობის ინოვაციური, ცნობილი სპეციალისტი სამკურნალო პედაგოგიკაში, მრავალი წიგნისა და სტატიის ავტორი.

1927 წელს მან დაამთავრა ვენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და დაიწყო სადოქტორო დისერტაცია. სამედიცინო მოღვაწეობა ვენის უნივერსიტეტის ემბრიოლოგიის ინსტიტუტში დაიწყო. იყო პრაქტიკოსი ექიმი ასევე ეწეოდა სალექტორო მოღვაწეობას, დააარსა სამწვლანო სემინარი კემპილის თანამშრომლებთან ერთად. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა ავსტრია და წასულიყო შოტლანდიაში, სადაც 1939 წელს ვილიამსტაუნში მისი თაოსნობით დააარსდა სამკურნალო-პედაგოგიური თემი განვითარების შეუფერხებლად მქონე ბავშვებისათვის. 1940 წელს თქმი გადავიდა ქაბერდინის შახლობლად მდებარე ადგილას, სახელად კემპილი, რითაც დასაბამი შეიქმნა ე.წ. კემპილის მოძრაობას.

„უმთავრესი ამ ბავშვებისათვის იყო ნამდვილი სოციალური გარემოს შექმნა. არა დაწესებულებები დიდი საძინებლებითა და საკლასო ოთახებით, არამედ ოჯახები, რომელთა წევრებაც არიან ბავშვები, მასწავლებლები, დამხმარეები, მედლები, ექიმები; თქმი, რომლის ბიროტისაც ოჯახები წარმოადგენენ.“ - ასე გამოხატა ქარლ კოსინგი კემპილის მოძრაობის სულისკვეთება.

ეს მოძრაობა შემდგომში ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში. დღესდღეობით ამ ტიპის ბავშვთა, მოზარდთა და მოზრდილთა დასახლებები ოთხივე კონტინენტს მრავალ ქვეყანაში არსებობს და 90-ზე მეტ თავმჯდომარესა და 30-ზე მეტ მსოფლიო თვლას. აქ აღიზრდებიან ბავშვები, რომელნიც გამსაკურთხებულ ზრუნვას საჭიროებენ, ცხოვრობენ და მუშაობენ მოზრდილები, რომელთა განვითარება შეუფერხებულა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ამგვარი სოფლები ბალტიისპირეთისა და რუსეთშიც დააარსდა.

ერთობლივი ყოველდღიური ცხოვრება დამყარებული ოჯახური თანაცხოვრების პრინციპებზე, ერთად შრომა და დასვენება, შეფერხების მქონე პიროვნების პატივისცემა დამახასიათებელია ამგვარი თემებისათვის. ყოველივე ამას საფუძვლად უდევს ადამიანის ყოველმხომოცველი გაგება, როგორც სხეულის, სამშენებლისა და სულის ერთიანობისა.